საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

ყოველკვირ... №18 ... – 5 მაისი • ფასი 1,50 ლარი



## რაში უდგას თაკო ჩხეიძეს გვერდში მეუღლე

გვ. 71

## რის ნაკლებობას არ განიცდიან ანუკა არეშიძის შვილები

გვ. 71

ISSN 1987-569X



გვ. 74

რა გავლენას არ აღიარებს გრეგორი დევეჯიევ-რეჟინი და რა პაუზა აიღო მან



გვ. 50

რა არ იწვევს გაღიზიანებას თიკო სადუნიშვილში და რა შემთხვევაში შერცხვებოდა მას საკუთარი თავის წინაშე



გვ. 15

რით ავსებენ ერთმანეთს სოსო თოლორაია და ქეთი ორჯონიკიძე და როგორ გახდნენ ისინი თანაწამყვანები



რაში „დასთენებია“ ღამეები ეკა აბშილავას და როდის აქვს მას „გათიშვის“ პერიოდები

გვ. 75

## მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

LOVATO
LET THE BLUE DRIVE YOU

# „ავტოგაზის ნოვატორს მიაკითხეთ „ლოვატოს“

**ავტობაზარზე კარგა ხანია, დომინირებს მანქანებზე საწვავის ალტერნატივა – გაზი. საქართველოში ბენზინზე ფასების მომატების შემდეგ იმატა გაზის აპარატურის დამონტაჟების მსურველების რაოდენობამ. ბუნებრივია, მომრავლდა ამ საქმით დაკავებულთა რიცხვიც, მაგრამ, მანქანის მფლობელების დიდმა ნაწილმა საქართველოში იცის, რომ, ნებისმიერ სხვა ფირმასთან შედარებით, „ლოვატო ჯორჯიას“ მეხუთე თაობის გაზის აპარატურის დამონტაჟება გაცილებით უსაფრთხოცაა, ხელსაყრელიც და ბევრად უფრო კომფორტულიც, რადგან აქ იტალიურ ტექნოლოგიებს ექსკლუზიურად ფლობენ და, უსაფრთხოებასთან ერთად, ექსპლუატაციის გარანტიებიც შესაბამისად მაღალი აქვთ. იტალიური ფირმა „ლოვატო“ 1958 წლიდან აწარმოებს ავტოგაზის აპარატურას და 60-ზე მეტ ქვეყანაში ავრცელებს.**

**ვესაუბრებით ფირმა „ლოვატო ჯორჯიას“ დირექტორს, ბატონ მამუკა ბედინაშვილს:**

**– მანქანების მფლობელები უამრავ ფირმათაგან თქვენს ფირმას ანიჭებენ უპირატესობას. რა არის ამის მიზეზი?**

– სხვებისგან განსხვავებით, ჩვენ არა მარტო ვფლობთ იტალიურ ტექნოლოგიებს, არამედ, სწორედ იტალიიდან მოწვეული ინჟინრების მეთვალყურეობის ქვეშ, სტაჟირებაგავლილი და შესაბამისი სერტიფიკატის მფლობელი მაღალი კვალიფიკაციის ინჟინრები ახორციელებენ იტალიური წარმოების უკანასკნელი მოდიფიკაციის დანადგარების, კერძოდ, მეხუთე თაობის გაზის აპარატურის კონფიგურაციის მონტაჟს.

**– თქვენი მომხმარებლები ეჭვქვეშ ხომ არ აყენებენ აპარატურის მეხუთე თაობის არსებობას? ხშირად გაიგონებთ, რომ ასეთი აპარატურა საქართველოში არ შემოუტანიათო.**

– 2012 წლამდე არ არსებობდა, მაგრამ, ამჟამად არსებობს და ჩვენ ვფლობთ მისი რეალიზაციის ექსკლუზიურ უფლებას საქართველოში. მეხუთე თაობის აპარატურის არსებობა სათანადო დოკუმენტაციით არის დადასტურებული და მისი ნახვა შესაძლებელია ჩვენს ვებ-გვერდზე: www.lovatogeorgia.ge. მაგრამ, ამის დამადასტურებელი მაინც ის მაღალი ხარისხი და უახლესი ფუნქციებია, რომლითაც განსხვავდება მეხუთე თაობის აპარატურა „ლოვატოს“ მეოთხე თაობის აპარატურისგან.



**– კონკრეტულად რა არის ამ აპარატურის უპირატესობა თავის წინამორბედებთან შედარებით და, შესაბამისად, მომხმარებელთა მადლიერების მიზეზი?**

– მოგეხსენებათ, რომ ტექნოლოგიები დღითი დღე ვითარდება მთელ მსოფლიოში. კომპანია „ლოვატოც“ ფეხს უწყობს თანამედროვე ტენდენციებს და თავის მომხმარებლებს მუდმივად სთავაზობს სიახლეებს. 2011 წლის ბოლოს კომპანიაში გააუმჯობესეს პროდუქციის ტექნიკური მახასიათებლები და შექმნეს ეგრეთ წოდებული „ევრო 5“ – მეხუთე თაობის აპარატურა, რომელსაც აქვს ფუნქცია, კომბინირებულ რეჟიმში მიაწოდოს ძრავას ბენზინი და გაზი ერთდროულად, რაც მას 100 პროცენტამდე უნარჩუნებს სიმძლავრეს. მეხუთე თაობის „ლოვატოს“ აპარატურას აქვს დამატებით ტემპერატურის სენსორი, რომელიც გარემო ტემპერატურის ცვალებადობასთან ერთად, უზრუნველყოფს სისტემის სწორად მუშაობას და აღარ არის საჭირო სეზონური რეგულირება. წინა თაობებთან შედარებით, მეხუთე თაობის „ლოვატოს“ აპარატურა მოიხმარს 10-15 პროცენტით ნაკლებ გაზს; ავტომობილზე სისტემის დამონტაჟების დროს გაზის სისტემის კომპიუტერი უკავშირდება ძრავის კომპიუტერს და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ახორციელებს ძრავის მუშაობას გაზზე იმავე სიზუსტით, როგორც მუშაობდა ის ბენზინზე. ამიტომ, გაზზე მუშაობის დროს ყველა პარამეტრი დაცულია და მანქანა აღარ ანთებს „check Engine” სიგნალის ნათურას, რაც იმას ნიშნავს, რომ შედეგი მიღებულია მაქსიმალური სიზუსტით.

**– ეკონომიურობაზე რას იტყვით.**

– ეკონომიურობა დაანგარიშებული გვაქვს მიუხედავად იმისა, რომ ყველა მანქანაზე სხვადასხვა მონაცემია, მაინც, ყველა მარკის მანქანაზე, დღევანდელი ფინანსური გათვლებით, ეკონომია დაახლოებით ასე გამოიყურება: თუ რაღაც დისტანციაზე გარბენისას ავტომობილს 100 ლარის ბენზინი სჭირდება, იმავე დისტანციას გაზით გაივლის 40 ლარად. ასე რომ, ფინანსური შეღავათი გამოდის 60 პროცენტი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველ 1 000 ლარზე დავზოგავთ 600 ლარს, რაც საკმაოდ დიდი შეღავათია ავტომფლობელებისთვის. და, კიდევ ერთი: გაზზე გადაყვანილი ავტომობილით 10 000 კილომეტრის გავლის შემდეგ მიღებული დანაზოგი უტოლდება იმ თანხას, რომელიც მომხმარებელმა გადაიხადა გაზის აპარატურის მონტაჟისთვის.

**– უსაფრთხოება?**

– „ლოვატო ჯორჯია“ დაარსების დღიდან 2 500-ზე მეტ კლიენტს მოემსახურა და ეს მაჩვენებელი დღითი დღე მატულობს. ავტომობილზე დასამონტაჟებელი ყოველი კომპლექტი ვარგისიანობაზე შემოწმებულია იტალიის ლაბორატორიაში და აკმაყოფილებს ISO საერთაშორისო სტანდარტებს, ხოლო თავად კომპანია „ლოვატოს“ მინიჭებული აქვს ISO 16949 და ISO 9001 / VISION სერტიფიკატები, „ლოვატოს“ ლაბორატორია კი სერტიფიცირებულია DEKRA-ს მიერ გერმანიაში. თითოეული კომპლექტი, რომელიც იგზავნება მსოფლიოს სამოცზე მეტ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც, შემოწმებულია „ლოვატოს“ ლაბორატორიაში და აკმაყოფილებს ISO სტანდარტებს. უსაფრთხოებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, რომ აპარატი დამონტაჟდეს იმ მეთოდებით, რომელიც შეესაბამება მსოფლიო სტანდარტებს და, ეს მეთოდები რომ არ დაირღვეს, „ლოვატოს“ ცენტრალური ოფისიდან პერიოდულად ჩამოდიან უსაფრთხოების სპეციალისტები, რომლებიც ახორციელებენ ტექნიკური ჯგუფის კონტროლს.

**– გარანტიებზე რას იტყვით?**

– ჩვენ მიერ ნებისმიერ მანქანაში დამონტაჟებული „ლოვატოს“ აპარატურის ყველა დეტალზე ორწლიანი გარანტია მოქმედებს. საგარანტიო მომსახურების მიღება შეგიძლიათ „ლოვატო ჯორჯიას“ ნებისმიერ ფილიალში, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ფილიალში დაგიმონტაჟეს აპარატურა. მაგალითად, თუ დაამონტაჟეთ აპარატურა თბილისში და მოულოდნელად თქვენს ავტოსატრანსპორტო საშუალებას წარმოექმნა უწესრიგობა, შეგიძლიათ, მიაკითხოთ „ლოვატო ჟორჯიას“ ქუთაისის, ბათუმის, თელავისა და ზუგდიდის ფილიალებს და მიიღოთ მომსახურება უფასოდ!

**– ფინანსური შეღავათის გარდა, რა უპირატესობები აქვს გაზს?**

– მანქანის გაზზე გადაყვანის შემდეგ ძრავა არ იკეთებს ნადებს და არ ათხელებს ზეთს. „პორშინები“ და ცილინდრები განიცდის ნაკლებ ცვეთას, ამიტომ, ძრავის მუშაობის ხანგრძლივობა იზრდება და, ამასთანავე, ნაკლები სიხშირით საჭიროებს ზეთის გამოცვლას. ერთ-ერთი ყველაზე ყურადსაღები უპირატესობა ბენზინთან შედარებით, გახლავთ მავნე ნივთიერებების ნაკლებობა გამონაბოლქვში. კერძოდ, ისეთ ნივთიერებას, როგორიც არის ტყვია, გაზის გამონაბოლქვი საერთოდ არ შეიცავს. გარდა ამისა, გაზის გამონაბოლქვში გაცილებით მცირეა სხვა მავნე ნივთიერებები და ლაბორატორიულად დადგენილია, რომ გაზის გამონაბოლქვი ბენზინის გამონაბოლქვთან შედარებით დაახლოებით 4-ჯერ უფრო ნაკლებად აბინძურებს გარემოს. აქედან გამომდინარე, ავტომობილის გაზზე გადაყვანის შედეგად იღებთ საგრძნობ ეკონომიას საწვავის ხარჯის მხრივ და გაცილებით ნაკლებ ზიანს აყენებთ ბუნებას.

**– რამე შეღავათებს ხომ არ შესთავაზებთ ჩვენს მკითხველს?**

– რატომაც არა. 1 ივნისამდე, ჟურნალი „თბილისელების“ ამ ნომრის წარმოდგენის შემთხვევაში, დაინტერესებული პირი მიიღებს 50-ლარიან ფასდაკლებას „ლოვატო ჯორჯიისაგან“.

***ჩვენი მისამართები შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ვებ-გვერდზე: www.lovatogeorgia.ge***

**მარი გოცირიძე**

**რაც უფრო გვიან გადახვალ გაზზე, მით მეტ საყვედურს იტყვი შენს თავზე!**



# „საიდუმლოდ“

## ცხვრებად გაფორმებულები

**მიუხედავად ინფორმაციის** მეტ-ნაკლებად **გათავისუფლებისა, ჯერჯერობით ისევ უცნობია, რა დაგვიჯდა პრეზიდენტის სასახლე** (მშენებლობა 2004-2009 წლებში მიმდინარეობდა, **საზეიმოდ კი აგვისტოს ომის თითქმის წლისთავზე, 2009 წლის 12 ივლისს გაიხსნა**), თუმცა, როგორც აღმოჩნდა, **საქმე გაცილებით მძიმედაა: მფლობელიც კი უცნობია.**

კერძოდ, გაზეთ „ვერსიის“ ცნობით, **ავლაბრის საპრეზიდენტო რეზიდენცია კერძო პირზეა გაფორმებული.** გადაფორმების **აქტი კი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე შემდგარა.**

**ინფორმაციის გადამოწმება შეუძლებელია**, **ვინაიდან**, ამ ჩვენი კანონის თანახმად (რასაც საჯარო რეესტრის შესაბამისი სამსახური იშველიებს), **„საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში დაც-**



**ული ინფორმაცია სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობის, სამთავრობო რეზიდენციებისა და სხვა მნიშვნელოვანი შენობა-ნაგებობბების შესახებ განეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის კატეგორიას და ადევს გრიფი „საიდუმლო“.**

ხოლო, **რადგან დაგრიფულია, უბრალო მოკვდავთა თვალებისთვისაც მიუწვდომელია,** მეორე მხრივ, ისიცაა, ვითომ **რატომ უნდა იყოს საიდუმლო სახელმწიფო შენობა-ნაგებობების მესაკუთრის ვინაობა**, **როცა**, საბოლოოდ, **მესაკუთრე მაინც ესა თუ ის სახელმწიფო უწყებაა** (ვითომ საქართველოს მოქალაქის ტვინი ვერ ჩასწვდება ქართული დემოკრატიის ხვეულებს)?!

**ჩასწვდება თუ ვერ ჩასწვდება**, ფაქტია, რომ **დაგრიფულს დაგრიფული ემატება**, აქედან გამომდინარე კი, არც ის არის გამორიცხული, **ერთ მშვენიერ დღეს გაირკვეს, რომ საჯარო რეესტრში** ჩვენ, **საქართველოს მოქალაქეები, გრიფით „საიდუმლო“, ცხვრებად ვართ გაფორმებულნი.**

# „დამპატიჟე“

საქართველოს **პრემიერ-მინისტრის ევროსაბჭოს ასამბლეის სხდომაზე გამოსვლას, ჩვეულებისამებრ, არაერთგვაროვანი** და **რადიკალურად განსხვავებული შეფასებები მოჰყვა**: **„ოცნება“ კმაყოფილია, „ნაცმოძრაობა“ – უკიდურესად უკმაყოფილო.** თუმცა, **თუ თავად ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეაქციით ვიმსჯელებთ, მასპინძლები უფრო კმაყოფილებისკენ იხრებიან** (პირადად მე იმით გახლავართ მოხარული, **ევროსაბჭოს ტრიბუნიდან ქართველი სახელმწიფო მოხელე ქართულ ენაზე რომ საუბრობდა,** რაც, 2003 წლიდან მოყოლებული, წინა ხელისუფლება მშობლიურ და სახელმწიფო ენას ქვეყნის გარეთ არ სწყალობდა).

ასეა თუ ისე, როგორც გაირკვა, **სამუშაო სადილზე საქართველოს დელეგაციაში მყოფი ოპოზიციონერი დეპუტატები ვერ მოხვდნენ** (აი, ისინი, პრემიერის გამოსვლა რომ დაიწუნეს). თავად ბ-ნმა **ივანიშვილმა ფაქტი** შემდეგნაირად **ახსნა: „ევროსაბჭოს ასამბლეის პრეზიდენტმა ბატონმა მინიონმა მიგვიწვია სტუმრებად.“**

თუმცა, **ქართველ „ეროვნულ“ ოპოზიციას არც ის ეპიტნავა, რომ სადილზე** (სადაც მათ წიხლი უკრეს) **რფ-ის დელეგაცია ბრძანდებო-**

## ანუ ყელსაბამიც ეყოფაო

**და** (რამაც ჩვენებური ოპოზიციონრების წყენა კიდევ უფრო გააღრმავა).

ამ ფაქტს ყველაზე **ნორჩი დეპუტატი** ქ-ნი **საჯაიაც გამოეხმაურა** (ნეტავ, ის **როდისღა წავა სასწავლებლად: პარლამენტარის ერთი ვადის ამოწურვის შემდეგ თუ ორი-სამი ვადის მოცვლას დაელოდება**?!), ბოლოდროინდელი ტრადიციით, სოციალურ ქსელ „ფეისბუქით“.

სახელდობრ, 21 წლის კანონმდებელი ბრძანებს: **„ოფიციალურ სადილზე, სადაც მიწვეული უნდა ყოფილიყო საქართველოს მთელი დელეგაცია** (ეს პროტოკოლითაა გათვალისწინებული), **არ არის გათვალისწინებული ოპოზიციის წარმომადგენლობა.** სამაგიეროდ პუშკოვია მიწვეული.“

რაკი **სტუმრები თვით ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს მიუწვევია**, წარმოდგენაც არ გვაქვს, **რატომ დაგვიჩაგრა ერთ დროს დემოკრატიის შუქურად წოდებული, აწ კი საქართველოს ერთადერთი საპარლამენტო ოპოზიცია**, თუმცა, თუ **იმ ფარულ ხარჯებს გავიხსენებთ, პრეზიდენტი საკუთარი თანაგუნდელებისთვის ფუფუნება-კომფორტის შესაქმნელად ბიუჯეტიდან რომ ეწეოდა (**მათ შორის, ქ-ნი საჯაიასთვის მირთმეულ სამკაულსაც), **იქნებ ბ-ნმა მინიონმაც მიიჩნია,** ყოველ შემთხვევაში, **ქ-6 საჯაიას ყელსაბამიც ეყოფაო?!**

# გადანათლულები

**თუ აქამომდე ერის მამათა საქჲე ეპყრათ** (და მერე რა, რომ სტატისტიკური ინფორმაცია იმგვარად ჰქონდათ აწყობილი, დასაქმების მაჩვენებლით თვით ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანასაც კი ვჯობდით), **რაკი ახლა ოპოზიციაში გადაინაცვლეს** (ზედაც **„ეროვნულებად“ გადაინათლნენ**), ქვეყნის ბედმა ათმაგად დააფიქრა. ჰოდა, რადგან ჩაფიქრდნენ, დაადგინეს, რომ „ქვეყანაში შექმნილია არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა“ და, როგორც ქვეყნის ამაგდარ პოლიტიკურ ძალას შეეფერება, ხელისუფლებას რჩევებიც გამოუცხვეს.

კერძოდ, **9-წლიანი სახელისუფლო სტაჟის** (და, იმავდროულად, უმუშევრების არმიის) **მქონე „ნაციონალები“ უსტაჟო „მეოცნებეებს“ უმუშევრობის დაძლევის 4-პუნქტიან გეგმას სთავაზობენ** (ჭეშმარიტად, **მაშინ მოდის გამოცდილება, როცა იგი აღარ გვჭირდება**!).

კერძოდ, **პირველ პუნქტად გადასახადების შემცირებას მოითხოვენ** (და მერე რა, რომ თავად ზრდიდნენ?!); მეორე პუნქტში **კერძო სექტორში დაცულობისა და სტაბილურობის განცდის გაჩენაზე ამახვილებენ ყურადღებას** (ვითომ **ისეთ დაცულობას გულისხმობენ, როდესაც ბიზნესმენები უშურველად ჩუქნიდნენ სახელმწიფოს მილიონებს**?!) და აქვე **ფინანსურ-ეკონომიკური დანაშაულის ამნისტიის აუცილებლობაზეც საუბრობენ**

## ამას გვიმალავდით?!

(რაც, თუ ბიზნესმენთა მიერ სახელმწიფოსთვის წინა 9 წელიწადში ნაჩუქარ ქონებებს გავიხსენებთ, სავარაუდოდ, ნაჩუქარით გაბერილი ჯიბის გადარჩენის მცდელობაა), მეტიც, **სასამართლოს ნებართვის გარეშე კერძო კომპანიების შემოწმების აკრძალვასაც ამატებენ** (?!).

დანარჩენი **ორი პუნქტი შედარებით პროზაულია: მაკროეკონომიკური პარამეტრების შენარჩუნება და ახალი საექსპორტო ბაზრების გახსნა**, სხვათა შორის, **ევროკავშირისა და აშშ-ის მიმართულებით** (მეორე მხრივ, ამ დასავლურ ბაზრებზე პროდუქციის ხარისხია უმნიშვნელოვანესი, ჩვენში კი, ხარისხის მაკონტროლებელი ბარიერები, სწორედაც რომ, ლიბერალური ეკონომიკისადმი ლტოლვით გაუქმდა).

ჩვენ არ ვიცით, **გაიზიარებს თუ არა ხელისუფლება ოპონენტი კოლეგების რჩევა-რეკომენდაციებს**, მაგრამ, თუ **იმ უტყუარ ფაქტს გავიხსენებთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ტრაგიკულად მაღალია ღარიბთა ოდენობა,** აშკარაა, რომ **რჩევის მომცემებმა** იქ, ზემოთ, ყოფნისას, მაინცდამაინც **ვერ ივარგეს.**

ხოლო, თუ, ზედაც, დავამატებთ, რომ **ახლა მესამე თვალიც გახსნიათ**, შესაძლოა, **საქმე მხოლოდ სხვის ომში დაბრძენებასთან კი არა, მონათვლის მადლით ყოფილთა გონების განათებასთანაც გვქონდეს.**


**ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“**

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




დაბეჭდილია „ასავალ-დასავალის“ სტამბაში
ელ-ფოსტა: PRINT@ASAVALI.GE

**განყოფილებები**

პოლიტიკა: ნინო ხაჩიძე, თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
კორექტორი: ხატია ჟღენტი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე

მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მაია ფირცხალავა
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52;
599 10-15-20
239-23-52

სარეკლამო სამსახური:
593 38-75-61;
239-23-53

დამფუძნებელი:
შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# „სამშობლოს მთებო, თქვენი შვილი განებებთ თავსა“

## მომწვანილებულად ცოდნაგაღრმავებულნი

რაკი ჩვენს ქვეყანაში **სახელისუფლო პარტიებს დაშლა ემუქრებათ**, ბუნებრივია, **გამონაკლისი ვერც წინა ხელისუფლება იქნება და, მომავალში, შესაძლოა, ამას ვერც ახლანდელი ასცდეს.**



ჯერჯერობით, სურათი შემდეგნაირია: **არცთუ დიდმა, მაგრამ, მაინც რაღაც ნაწილმა, „ნაცმოძრაობა“ დატოვა**, მათგან ზოგი **„ოცნებაში“ გადაბარგდა**, ზოგიც გვარწმუნებს, **დამოუკიდებლობას ვინარჩუნებო, ნაწილი კი – უკვალოდ ქრება.**

მოარული ხმებით, საცაა, **მშობელ პარტიას ბ-ნი კირკიტაძეც მიატოვებს**, რომელიც **გუბერნატორის პოსტს უკვე დანამდვილებით გამოემშვიდობება.** პარტიის **მიტოვების მოტივთა შესახებ ნაგუბერნატორალი კომენტარს არ აკეთებს.** სამაგიეროდ, აი, იმას კი **არ გვიმალავს, რომ 17 მაისს ოკეანის გაღმა მიემგზავრება სასწავლებლად.**

სამწუხაროდ, **დაზუსტებით უცნობია, რა მიმართულებით გაიღრმავებს ცოდნას ნაჩინოვნიკარი** (surprise!), თუმცა, თუ **ბოლო წლების ტენდენციას გავიხსენებთ**, როდესაც ბ-ნი კირკიტაძის კოლეგები და თანამოაზრეები **თანამდებობების მოვლის შემდეგ მიემგზავრებოდნენ სასწავლებლად** (მათ შორის, ერთ დროს განათლების მინისტრი ბ-ნი გვარამიაც მას შემდეგ დაეწაფა უცხოურ ცოდნას, რაც საქართველოს ნომერ პირველი განმანათლებლობა მოიშვნილა), როგორც ჩანს, **ტრადიცია გრძელდება,** რაც ბუნებრივად **ბადებს კითხვას: პირიქით არ აჯობებდა?!**

# ჩასასხდომები

## ანუ, სიყვარულით ჯიბეგამსკდარი საქმოსნები

თუმცა ჯერჯერობით **შესაბამისი ორგანოები მაინცდამაინც, არ იკლავენ თავს მედიასაშუალებებსა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული მასალების კვალზე საქმეების აღსაძვრელად**, იმის **ფუფუნება კი ნამდვილად გვეწვია, რომ უკიდეგანოდ და შეუზღუდავად მივიღოთ ინფორმაცია.**

ხოლო, **რაკი ეს ბედნიერება მაინც გვეღირსა**, გასულ კვირას „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ მორიგი კვლევა გამოაქვეყნა და შეგვატყობინა, რომ **2003–2007 წლებში ჩვენებურ ბიზნესმენებს სახელმწიფოსთვის 120 მილიონამდე ლარის ღირებულების ქონება უჩუქებიათ.**

**თუ ამ ტენდენციას გავითვალისწინებთ** და, ზედაც, **არაერთი ბიზნესმენის ნაამბობს დავამატებთ**, სავარაუდოა, რომ **ნაძალადევი ქველმოქმედება მხოლოდ 120 მილიონზე ვერ შეჩერდებოდა** (ჩვენებურთა „გულკეთილობის“ ამბავი რომ ვიცი).

**შესაბამისი სტრუქტურები ამ საკითხს ჯერჯერობით არ ჩასხდომიან** (გამოსაძიებლად, რასაკვირველია), თუმცა, მაგალითად, **უკვე თითქმის მარადიული დეპუტატი**, ოღონდ, **აწ ოდენ ნავიცესპიკერალი** ბ-ნი **მაჭავარიანი** (რომლის ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც გაგვრიავლებიან გულკეთილი საქმოსნები) **აცხადებს, დაე, გამოიძიონ და დამნაშავეები დასაჯონო** (მაგრამ, რომ არ იძიებენ?!).



ჰოდა, რადგან არ იძიებენ, **ოკუპანტურ ჭეშმარიტებას** („ნე პოიმან – ნე ვორ“) **არათუ მოვრგებივართ,** ზედაც, **გავცდენილვართ.** ამ რეალობის გათვალისწინებით კი, ისღა დაგვრჩენია სანატრელად, რომ **ბიზნესმენებს**, თუ უწინდელ ნაჩუქარს ვერ დაიბრუნებენ, სიყვარულის (ანუ **ქონების გაჩუქების) ბუშტი კვლავაც არ გაუსკდებათ.**

# „ნაციონალურად“ შეყრილი და „ოცნებით“ დაშორებული

## ნაგვის როლი თბილისელის ცხოვრებაში

მართალია, **დედაქალაქის საკრებულოში ძალთა ბალანსი საბოლოოდ კვლავაც არ დადგენილა,** თუმცა, **ტენდენცია აშკარაა** – ერთ დროს **ფოლადივით მონოლითური „ნაცმოძრაობის“ ფრაქცია ცოტავდება.**

მაგრამ, როგორც უნდა იყოს, **დედაქალაქის ბიუჯეტი იზრდება** (83 **მილიონით**) და, როგორც **თბილისის აწ უკვე არამონოლითური მესვეურები გვიცხადებენ**, ამ 83 მილიონიდან **36 მილიონი დასუფთავების სამსახურის ბიუჯეტს დაემატება**. ეს დამატება კი იმისთვის გახდა აუცილებელი, რომ **ამ წლის პირველი ივნისიდან, ის, რაც „ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ თითქოს სამუდამოდ ერთმანეთს გადააფსკვნა, „ოცნებამ“ დააშორა** (ელექტროენერგია და ნაგავი მაქვს მხედველობაში).

ჰოდა, რაკი დააშორა, **აწი შუქი არც ნაგავს დაყრის და თითო სულზე დასუფთავების გადასახადი 2,5-ლარიანად განისაზღვრება** (იმისდა მიუხედავად, **რამდენი არათუ ნაგავი დაგცვივდებათ, არამედ, თვით ელექტროენერგიაც კი დაგანათებთ).**

**10 მილიონი** ლარი შიდა გზების დაგებამოასფალტებას მოხმარდება, **ავარიული სახლების გამაგრება-შეყვნებას – ამაზე ერთი მილიონით ნაკლები**, სასწრაფო დახმარება **მილიონ 200 ათასით გაძლიერდება**, ხოლო უფასო სასადილოები ამაზე ოდნავ მეტით – **მილიონ 700 ათასით.**

თუ გავითვალისწინებთ, რომ **ნაგავს აქტიური როლი უჭირავს ჩვენს ცხოვრებაში** (ჯერ ერთი, იმიტომ რომ უსაშველოდ ზევრს გვახდევინებდნენ დასუფთავებაში და, მეორეც, როგორც ამ დამატებიდანაც ჩანს, არანაკლებ შთამბეჭდავი ბიუჯეტიც აქვს), **ჩნდება რიტორიკული კითხვა:** თუკი ადამის მოდგმა, **ზოგადად, ტალახისგან მოიზილა, ჩვენს შესაქმნელად შემოქმედმა რამე სხვა მინარევი ხომ არ გამოიყენა?!**

# გაჭირვების ტალკვესი

## ანუ „როცა ბელადია და თან აღარაა“

„დამარცხებულ ბელადს არც მკლავში უდგას სიძაბუნის გემო და არც მუხლებში. კეტის მოქნევაც შეუძლია და ნადირის დევნაც. მაგრამ, მაინც ადის დიდი დაძინების ქარაფზე. რატომ ადის, არავინ კითხულობს.

...იმიტომ რომ, დამარცხებული ბელადი მაინც ბელადია, მაგრამ, რაკი დამარცხდა, ბელადი აღარაა. ხოლო, როცა ბელადია და თან აღარაა, ეტყობა, რაღაც ირღვევა, რის დარღვევაც არ შეიძლება. ამიტომ ადის...“

ჯემალ ქარჩხაძე

რატომღაც, **26 მაისის საზეიმო ღონისძიებების საორგანიზაციო სამუშაოებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ხელმძღვანელობს,** მაგრამ, **იმ მარტივი მიზეზით, რომ დამოუკიდებლობის დღემდე შორია** (თუმცა, არც ისე შორი, როგორც ნამდვილ დამოუკიდებლობამდე), **გასამართ ღონისძიებათა ზუსტი ნუსხა უცნობია.**

ერთი **ის ვიცით, რომ სამხედრო აღლუმი არ ჩატარდება** (რასაც, პირადად მე, არ დაგიმალავთ, მივესალმები). **ჯერჯერობით მხოლოდ თბილისის მერიის შესაბამისმა სამსახურმა გაგვიმხილა, რომ ტრადიციულ ღონისძიებებს გამართავს** (რატომღაც, **რუსთაველზე, გლდანსა და ვარკეთილში**. ვითომ, სტრატეგიულ პუნქტებს ითვისებენ?!).

ამას გარდა, არც ის დაგვიმალეს, რომ **ქვეყნის პრეზიდენტი** (ზედაც, **მთავარსარდალი) 26 მაისის ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებს როგორც რიგითი მოქალაქე** (ეს ამბავი საგარეო საქმეთა მინისტრმა შეგვატყობინა).

თავის მხრივ, პრეზიდენტის მხრიდან რიგებიდან გავრცელდა ინფორმაცია, რომ **პირველი პირი 26 მაისს ავღანეთში აღნიშნავს**. ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ ბ-ნი **სააკაშვილი 2013 წელსაც ავღანეთში შეხვდა** და, ზედაც, დავამატებთ, რომ აწ უკვე ხელმისაწვდომი, მანამდე კი გასაიდუმლოებული ინფორმაციით, **მან და მისმა თანმხლებმა თანამოაზრეებმა გზად დუბაის ძვირად ღირებულ სასტუმროში გაატარეს დრო** (რაც საქართველოს ბიუჯეტს, ანუ, გადასახადის გადამხდელებს **240 000 ლარი დაუჯდა**), ბუნებრივად **იბადება კითხვა: 26 მაისის მარშრუტი თბილისი-ჰელმანდის პროვინციაა თუ**, ჩვეულებისამებრ: **თბილისი-დუბაი-ჰელმანდი?!**

თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, **ავღანეთის მისია რომ არ ყოფილიყო, ჩვენს მთავარსარდალს უნდა გამოეგონა, როგორც გაჭირვების ტალკვესი!**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან



ზარი ფასიანია

**ნინო ბურჯანაძე იმ ქართველი პოლიტიკოსების რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც არც პოლიტიკურ გამოცდილებას უჩივის და არც ინფორმაციის ნაკლებობას ქართული პოლიტიკის სამზარეულოს შესახებ. სწორედ მისგან შევიტყობთ, როგორ აფასებს „ნაცმოძრაობისა“ და „ოცნების“ კოჰაბიტაციას და იმ მიზეზებს, რამაც ვარდების რევოლუციის ფონზე რეფორმატორებად შერაცხილი პოლიტიკური ძალა საზოგადოებისგან თითქმის შეუქცევადად გარიყა.**

# ჯობია თუ არა ამერიკის შტატობა რუსეთის გუბერნიობას და როდის შენიშნა ნინო ბურჯანაძემ ყოფილ თანამოაზრეებში მანიაკალური ნიშნები



**სამწუხაროდ, დღეს ვერ ვხედავ გამბედავ ვერც საშინაო და ვერც საგარეო პოლიტიკას**

**– თქვენ ბევრი რამ იცით, რაც საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის უცნობია, როდის აპირებთ ან თუ აპირებთ, გააცნოთ საზოგადოებას ეს აქამდე დაფარული ინფორმაცია?**

– ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ მუდმივად წარსულზე არ უნდა იფიქრო და ილაპარაკო, მაგრამ რეალურად არ გამოიკვლიო სინამდვილეში რა მოხდა და რატომ მივიღეთ ესა თუ ის შედეგი, უბრალოდ არაპრაგმატულია და ასეთ ვითარებაში ქვეყანა ნორმალური გზით ვერ განვითარდება. დღეს მმართველი ელიტა ორ ნაწილად იყოფა და მრჩება შთაბეჭდილება, რომ ორივე კომფორტულად გრძნობს თავს ხელისუფლებაში, რაც ძალიან შემაშფოთებელია. არ მინდა, ვიფიქრო, რომ „ქართულ ოცნებას“ მოეწონა „ნაციონალური მოძრაობისნაირი“ ოპოზიცია, რომელსაც ხალხში არ აქვს ავტორიტეტი და მხარდაჭერა და რომლის ნათქვამი, სხვათა შორის, ზოგჯერ სამართლიანი კრიტიკაც კი, ადამიანებში და მათ შორის, ჩემში, იწვევს გაღიზიანებას, იმიტომ რომ ყველა ჩვენგანი მივიჩნევთ, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ არ აქვს უფლება, გააკრიტიკოს არათუ „ქართული ოცნება“, საერთოდ ვინმე დედამიწაზე. თუ ეს დიდხანს გაგრძელდა, დიდი შანსია იმისა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ გაიმეოროს „ნაციონალური მოძრაობის“ ცალკეული შეცდომები. ავიღოთ, თუნდაც, სამართლიანობის აღდგენის პროცესი: მე მაინტერესებს, რას ფიქრობს „ქართული ოცნება“ – იმ უამრავ ადამიანს, რომლებსაც თავის დროზე უკანონოდ წაერთვა ქონება, არ უნდა დაუბრუნდეს?! ის ჯარიმები, რომლებიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გადაახდევინა პოლიტიკურ პარტიებს, მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ დაუბრუნდა. ჩვენს პარტიას კონტროლის პალატის მიერ დაკისრებული ჯარიმები არ დაგვბრუნებია, ისევე, როგორც სხვა პარტიებს. არც 26 მაისის გამოძიება მისულა ბოლომდე, და არც პოლიტიკური დევნის ფაქტები გამოაშკარავებულა. მეტსაც გეტყვით, არც ერთი პოლიტპატიმრისთვის არ მოუხსნიათ ნასამართლობა და ვერც ერთი ადამიანი, რომელიც სავსებით სამართლიანად აღიარა საქართველოს პარლამენტმა პოლიტიკურ პატიმრებად, ვერ იწყებს მუშაობას, იმ მარტივი მიზეზით, რომ ამდენი თვის განმავლობაში ვერ მოხერხდა მათთვის ნასამართლობის მოხსნა.

**– მათ მიმართეს შესაბამის სტრუქტურებს ამ მოთხოვნით?**

– რა თქმა უნდა. ვერ იქნება კოჰაბიტაცია ჯანმრთელი პროცესი საქართველოსნაირ ქვეყანაში. ძალიან უხერხულია, თუ გადავწყვიტეთ, რომ ყველა წარმოვაჩინოთ მიხეილ სააკაშვილის მსხვერპლად. იმ ადამიანებს, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს მუშაობდნენ, ნუ გამოვიყვანთ დებილებად: იმ ხალხის დიდი ნაწილი მსხვერპლი არ ყოფილა, მათ კარგად იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ. თუ ეს დაუსჯელობის სინდრომი გაგრძელდა, ეს კიდევ მეტად გაათავხედებს „ნაციონალურ მოძრაობას“. თქვენ ატყობთ, ალბათ, როგორი ცვლილებაა მათ გამონათქვამებში, ქცევის სტილში, რაც დაინახეს, რომ ლამის სამშვიდობოს არიან გასულები. დღეს პოლიტიკურ დღის წესრიგს ქმნის „ნაციონალური მოძრაობა“ და ამ დღის წესრიგს მიჰყვება შემდეგ მთავრობა. პირდაპირ გეტყვით, არ ვარ კრიტიკულად განწყობილი დათო უსუფაშვილის მიმართ, მაგრამ, ვფიქრობ, არა მარტო ჩემთვის, არამედ, საზოგადოებისთვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო მისი განცხადება, რომ საქართველოს დემოკრატიის მომავალი დამოკიდებულია „ნაციონალური მოძრაობის“ არსებობასა და გადარჩენაზე. ვისი გადარჩენა არის ქართული დემოკრატიის გადარჩენა, იმ პოლიტიკური ძალის, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ საქართველოში დემოკრატიის ნიშან-წყალი არ ყოფილიყო და ადამიანებს სუნთქვისაც კი შეშინებოდათ?! იცით, რა არის ქართული დემოკრატიის გარანტია? „ნაციონალური მოძრაობის“ სამართლიანად გასამართლება. ყველაფერი სხვა, მათ შორის, „ნაციონალური მოძრაობის“ გადარჩენა, არის ქართული დემოკრატიის დასამარება.

**– თუმცა ამ კოჰაბიტაციას დღეს „ქართული ოცნებისგან“ ითხოვს დასავლეთი. „ნაციონალური მოძრაობა“ 9 წელს იყო ხელისუფლებაში, თქვენ გსმენიათ დასავლეთის მსგავსი მოთხოვნა მათდამი?**

**ის, რომ მე და თქვენ დარწმუნებით შეგვიძლია, ვთქვათ, რომ „ქართული ოცნება“ არ იქნება ისეთი, როგორიც იყო „ნაციონალური მოძრაობა“, კარგია, მაგრამ აბსოლუტურად არასაკმარისი ქვეყნის განვითარებისთვის**

– მე არ მახსოვს დასავლეთის ადეკვატური რეაქცია არც 2009 წლის მაისის მოვლენებზე, არც 2011 წლის აპრილისა და მაისის მოვლენებზე.

**– 2007 წლის ნოემბერზე?**

– მაშინ მეტ-ნაკლებად ადეკვატური იყო რეაქცია დასავლეთის მხრიდან, მაგრამ მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა გაიგო ფიარ და ლობისტური კომპანიების ფასი და ასეულობით მილიონი დახარჯა იმაში, რომ ქვეყნის ფასადი შეეცვალა, ოპოზიციამ ველარ მოახერხა ამ კედლის გარღვევა; მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა რუსეთის თემა გამოიყენა პოლიტიკური სპეკულაციის თემად და საკუთარი თავი წარმოაჩინა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლად, ყველაფერს, რასაც აკეთებდა, აფორმებდა რუსეთთან ბრძოლის ფასადით. ამის შემდეგ ჩვენ ველარ შევძელით დასავლეთისთვის ხმის მიწვდენა, რას ჰგავს ვითარება, როდესაც დასავლეთი ხმას არ იღებს 26 მაისის გამოძიებაზე, ხმას არ იღებს, რომ პარლამენტმა პოლიტპატიმრად აღიარა 200-მდე ადამიანი და ამ დროს გადაგვაყოლეს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების დაკითხვაზე გამოძახებას, სადაც ადამიანებს, სხვათა შორის, აღარ აწამებენ და უნდა დავუფასოთ დღევანდელ ხელისუფლებას, რომ დაკითხვაზე აღარ ემუქრებიან ცოლისა და შვილის გაუპატიურებით, სახლისა და ბიზნესის წართმევით...

**– ეს მთელი წინა წლების განმავლობაშიც იკითხებოდა და ახლა უკვე თქვა კიდეც პრეზიდენტმა, რომ, თუ საქართველო აღარ იქნება დაპირისპირების საგანი რუსეთსა და დასავლეთს შორის, ის დაკარგავს ფუნქციას. თქვენ თუ იცოდით, რომ მას საქართველოს მისიის ასეთი ხედვა ჰქონდა და დასავლეთის მხარდაჭერასაც ამის სანაცვლოდ ხომ არ იღებდა და იღებს „ნაციონალური მოძრაობა“?**

– ბევრი სისულელე მომისმენია სააკაშვილისგან, მაგრამ, თუ ასე გულწრფელად გაახმოვანა ის, რაც მიუღებელია ქვეყნისთვის და რა პოლიტიკაც ჰქონდა ბოლო ხანებში, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მან პოლიტიკური ყნოსვა აბსოლუტურად დაკარგა და აღარ იცის, რა უნდა თქვას და რა – არა. სამწუხაროდ, მისი ამოცანა იყო, ქვეყანა გადაექცია დაპირისპირების პოლიგონად დასავლეთსა და რუსეთს შორის. სააკაშვილმა ეს გამოიყენა დასავლეთში საკუთარი და პარტიის იმიჯის შესანარჩუნებლად და ოპოზიციის დისკრედიტაციისთვის, რაც ნაწილობრივ გამოუვიდა კიდეც. სხვათა შორის, ის, რომ დასავლეთის ზოგიერთი წარმომადგენელი შეგნებულად ვერ ხედავს ეგრეთ წოდებულ არადასავლურ ოპოზიციას, ცუდია ქვეყნისთვისაც, ქვეყანაში დასავლეთის იმიჯისთვის და ნამდვილად არ უწყობს ხელს ზოგადად პროცესების გაჯანსაღებას. ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია „ქართული ოცნების“ განცხადებები, რომ ისინი არიან პროდასავლურები. მე არ ვთვლი, რომ ჩვენს ხელისუფლებაში მყოფი ძალა უნდა ამბობდეს, რომ ის პროამერიკული, პროდასავლური, პრორუსული ან პროავსტრალიურია. ვფიქრობ, ქვეყანაში უნდა იყოს ძალა, რომლის უპირველესი ამოსავალია საქართველოს პოზიცია, საქართველოს მოსახლეობის პოზიცია, საქართველოს სახელმწიფოს პოზიცია და არა ის, თუ რას გვკარნახობს დასავლეთი. ცუდია, თუ ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელიც სხვების კარნახით მოქმედებს.

**– პროდასავლური კურსი მე მგონია, რომ ნიშნავს თავისუფალ მედიას, სასამართლოს, ადამიანის უფლებებს. თქვენ დიდხანს იყავით ხელისუფლებაში, ანუ, როდესაც დასავლეთი გვეუბნება, რომ თქვენი კურსი უნდა იყოს დასავლურიო, ეს გულისხმობს არა იმას, რაც მე ჩამოვთვალე, არამედ დასავლეთის დირექტივების მორჩილებას?**

– როდესაც ლაპარაკია პროდასავლურობაზე, თუ აქ იგულისხმება, როგორც თქვენ თქვით, მედიის თავისუფლება, ადამიანის უფლებები, თავისუფალი სასამართლო და ასე შემდეგ, ეს, რა თქმა უნდა, კითხვის ნიშანს არ იწვევს. მაგრამ დასავლეთს არც არასდროს უთქვამს ჩვენთვის, თქვენ უნდა იყოთ პროდასავლურებიო, ამ განცხადებებით ჩვენი პოლიტიკოსები ცდილობენ, დასავლეთის თვალში ქულები ჩაიწერონ და, როგორც წესი, ყოველ შემთხვევაში, ასე იყო წინა ხელისუფლების დროს, ეს პოლიტიკოსები რეალურ დასავლურ ფასეულობებს ვერ და არ ახორციელებენ ქვეყანაში. მე ვერ მივიღებ დასავლ-

ურ ფასეულობად კოჰაბიტაციას დამნაშავეებთან. დასავლეთს კარგად უნდა აუხსნა, რომ დღეს ისინი ჩვენ გვთხოვენ კოჰაბიტაციას დამნაშავე რეჟიმთან.

**– მაგრამ აქ არის ერთი ნიუანსი: დასავლეთისთვის ძალიან კომფორტულია ისეთ ხელისუფლებასთან ურთიერთობა, როგორიც იყო წინა ხელისუფლება, ვგულისხმობ იმას, რომ ნებისმიერ მოლაპარაკებასა თუ შეთანხმებაში, უპირველესად, გათვალისწინებული იყო ჩვენი პარტნიორების ინტერესები და მხოლოდ ამის შემდეგ – ჩვენი. ისინი კარგავენ ამ კომფორტს. შეიძლება, ეს იწვევდეს მათ გაღიზიანებას?**

– ნაწილობრივ, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მთლიანად დასავლეთისთვის ეს მისაღები იყო, რადგან იგივე გერმანია ყოველთვის აკრიტიკებდა ჩვენს წინა ხელისუფლებას სასამართლოებში არსებული პრობლემების, დემოკრატიის ხარისხის გამო, თუმცა დასავლეთში არსებობდა ძალები, რომელთათვისაც სააკაშვილი და მისი ხელისუფლება იყო კომფორტული. მე მახსოვს, ძალიან მაღალი რანგის ამერიკელ პოლიტიკოსთან მომიწია შეკამათება, რადგან მითხრა, თქვენ შეიძლება, არ მოგწონთ, როდესაც თქვენი პრეზიდენტი პუტინს ლანძღავს და რუსეთს ემუქრება, მაგრამ დასავლეთში ეს ძალიან ბევრს მოსწონსო. რაზეც ჩემი აბსოლუტურად ადეკვატური პასუხი იყო, რომ ჩვენ სააკაშვილის მიერ პუტინის ლანძღვა და გულზე მჯიღის ცემა დაგვიჯდა ტერიტორიების 20 პროცენტად და თუ თქვენ ეს მოგწონთ, თქვენ იყავით კონფრონტაციულ რეჟიმში რუსეთთან-მეთქი. ამის შემდეგ იმ სახელმწიფოს საელჩოს დამოკიდებულება ჩემ მიმართ რადიკალურად შეიცვალა.

**– უარყოფითად?**

– დიახ, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ჩემი პოზიცია ძალიან სწორი იყო. არ მგონია, რომ ჩვენი ხელისუფლება ასე შეშინებული უნდა ასავსავებდეს ხელებს, არავითარ შემთხვევაში არ ვიმუშავებთ რუსეთთან ინტენსიურადო, რადგან ამ შეშინებულ რიტორიკაში სახელმწიფო ინტერესი გვეკარგება.

**– ჩვენ რომ შეშინებულები ვართ, ამას ჩვენი ქვეყნის ფაქტობრივი რუკაც მოწმობს.**

– შეშინებული ადამიანი ვერასდროს ვერაფერს მიაღწევს. შიში სხვა რამაა და სიფრთხილე და გონივრულობა – სხვა. როდესაც გეშინია, არ დაგბრალდეს პრორუსულობა, პროამერიკულობა ან შენი სახელმწიფო ინტერესის გატარება, ძალიან გაგიჭირდება სახელმწიფო ინტერესების რეალურად გატარება. დიახ, ჩვენ უნდა ვუთხრათ ყველას და მეგობრები არ შეგვეწინააღმდეგებიან ამაში, რომ დღეს საქართველოსთვის უმთავრესი პრიორიტეტია რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება.

**– ყოველ შემთხვევაში, განცხადებების დონეზე ისინი არ არიან წინააღმდეგნი?**

– ნამდვილად არ არიან. დღეს, სამწუხაროდ, ვერ ვხედავ გამბედავ ვერც საშინაო და ვერც საგარეო პოლიტიკას. საგარეო პოლიტიკაში გვეშინია, ვინმემ არ გაგვაკრიტიკოს, საშინაო პოლიტიკაში გვეშინია, „ნაციონალურ მოძრაობას“ ვინმემ არ აწყენინოს, ღმერთი არ გაგვიწყრეს და „ნაციონალური მოძრაობისადმი“ კრიტიკული განცხადება არ გაკეთდეს, რადგან, როგორც კი გაკეთდება, მეორე დღეს ვუსმენთ ბოდიშების მოხდისა და ახსნა-განმარტებებების სერიებს, ასე არ გვითქვამსო. სამწუხაროდ, ასე ჩვენ ვერ მივაღწევთ იმ შედეგს, რის მიღწევაც გვინდა. მე ამას ვამბობ, როგორც ადამიანი, რომელმაც ძალიან კარგად ვიცი პოლიტიკა.

**– გეთანხმებით, რომ ხელისუფლების ორიენტაცია უნდა იყოს პროქართული, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ჩვენს ეკონომიკურ მდგომარეობას და პოლიტიკურ წონას, რომელიმე მხარესთან მიკედლება, სანამ გავძლიერდებით, რეალობით ნაკარნახები აუცილებლობა ხომ არ არის?**

– ვერ გაძლიერდები, თუ იქნები რუსეთის გუბერნია ან ამერიკის შტატი და პრინციპული განსხვავება ამ ორ როლს შორის არ არის. უნდა შეძლო, პატივისცემით მოეკიდო სხვა სახელმწიფოების კანონიერ ინტერესებს, მაგრამ, ასევე, უნდა დაიცვა შენი საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესები.

**– ოღონდ უნდა იცოდე, რა არის შენი სახელმწიფო ინტერესი.**

– ჩამჭრელი შენიშვნა იყო. რა თქმა უნდა, უნდა იცოდე, რა არის სახელმწიფო ინტერესები.

**– ჩვენ პირველ ოქტომბრამდეც გვქონდა ინფორმაცია, უბრალოდ ადამიანები ახლა უფრო უშიშრად ყვებიან თავიანთ საზარელ ისტორიებს. როგორც აღმოჩნდა, ჩვენ უამრავი მანიაკის გარემოცვაში ვცხოვრობდით და, ალბათ, ვცხოვრობთ კიდეც. შეიძლება, მათ ვიცნობთ, ვესალმებით, ისინი ჩვენს შვილებს ულიმიან. თქვენ ამ ადამიანებს უშუალოდ იცნობდით, ისინი თქვენი თანაგუნდელები იყვნენ. როდის დეგრადირდნენ თუ სულ ასეთები იყვნენ?**

– მეც დამისვამს ჩემი თავისთვის ეს შეკითხვა... თავიდანვე იყო რაღაცეები, რაც არ მოგვწონდა და კითხვის ნიშნებს აჩენდა, თუმცა უნდა ვთქვათ, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ გაცილებით დიდ წარმატებებს მიაღწია წინა ხელისუფლებამ, ვიდრე დღევანდელმა.

**– მგონი, ზუსტად მახსოვს, გორში ბაზარი მეპატრონემ პირველ ექვს თვეში გადასცა სახელმწიფოს საჩუქრად.**

– პირველ ექვს თვეში ეს არ ყოფილა, შემდეგ დაიწყო.

**– მაგრამ პირველ ექვს თვეში ნამდვილად იყო საკონსტიტუციო ცვლილებები, რითაც განუზომლად გაიზარდა პრეზიდენტის უფლებამოსილება?**

– პირველ ექვს თვეში გამოჩნდა ის საშიშროებები, რაზეც საზოგადოებამ ადეკვატური რეაგირება არ მოახდინა. იგივე საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებსაც მე კატეგორიულად ვეწინააღმდეგებოდი და იმის ნაცვლად, რომ საზოგადოებას, ჟურნალისტებსა და პოლიტიკურ პარტიებს ჩემთვის დაეჭირათ მხარი, ჩემი კრიტიკა დაიწყეს, ბურჯანაძე საკუთარ ძალაუფლებას ვერ ელევაო. მეც დამისვამს ჩემთვის ეს კითხვა: როდის მოხდა ეს გარდატეხა, როდის გადაიხარა სასწორის პინა ნეგატიურისკენ?! ძალიან ძნელია ჩემთვის ამ მომენტის დასახელება, ალბათ, თანდათანობით მოხდა მას შემდეგ, რაც ძალაუფლების მქონე ადამიანებმა დაინახეს თავიანთი დაუსჯელობა; დაინახეს, რომ მათ ყველაფრის უფლება მისცა საზოგადოების დიდმა ნაწილმა.

**– საიდან ამდენი სისასტიკე?**

– ეს უკვე მათი ოჯახებიდან, მათი ფსიქოტიპიდან მოდის. ჩვენ ძალიან ბევრ რამეზე გავჩუმდით, ალბათ, მეც. იცით, რატომ ვარ მე დღეს ასეთი კრიტიკული ამ ხელისუფლებისადმი? იმიტომ რომ არ მინდა, არასწორად წაიყვანოს საქმე. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ეს ხელისუფლება დაუშვებს იმ სისასტიკესა და ბოროტებას, რაც ჩაიდინა „ნაციონალურმა მოძრაობამ“...

**– ისევე შორს, როგორც მაშინ, როდესაც „ნაციონალური მოძრაობა“ მოვიდა ხელისუფლებაში?**

– მაშინ მე „ნაციონალურ მოძრაობაში“ გარკვეულ საფრთხეს ვხედავდი, მაგრამ ვერასდროს წარმოვიდგენდი იმას, რაც მოხდა. თეორიულადაც კი არ მინდა იმის დაშვება, რომ „ქართული ოცნება“ ასეთ სიბოროტეს ჩაიდენს, მაგრამ ხომ არ შეიძლება, იმით ვიყოთ კმაყოფილი, რომ „ქართული ოცნება“ უკეთესია, ვიდრე „ნაციონალური მოძრაობა“ და ცოცხებს აღარ გამოიყენებს?!

**– სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, აქამდეც დავიდა ეს არჩევანი.**

– ის, რომ მე და თქვენ დარწმუნებით შეგვიძლია, ვთქვათ, რომ „ქართული ოცნება“ არ იქნება ისეთი, როგორიც იყო „ნაციონალური მოძრაობა“, კარგია, მაგრამ აბსოლუტურად არასაკმარისი ქვეყნის ნორმალური განვითარებისთვის. ყველა დანარჩენი მიმართულებით „ქართული ოცნება“ ჯერჯერობით ძალიან მოიკოჭლებს, ქვეყანას კი ამის ფუფუნება არ აქვს.

**ნინო ხაჩიძე**


# ყურადღება!

**„აკადემია ლიბერთი-პროფი“**
**სასწავლებელი, რომელიც გჭირდებათ თქვენ!**
**ჩვენი დევიზია: თუ იცი – საქმე თვითონ გეძებს!**
**ჩვენ გაძლევთ უნიკალურ შანსს, ერთდროულად მიიღოთ, როგორც საშუალო განათლების ატესტატი, ისე პრესტიჟული და შემოსავლიანი პროფესიის, სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი. ვიღებთ 9, 10, 11 და 12-კლასდამთავრებულებსაც (კოლეჯის პროგრამებზე). გარდა ამისა, შესაძლებელია სწავლა ექსტერნად და შესაბამისი ატესტატის მიღება. მიიღებიან რუსულენოვანი მოქალაქეებიც.**

მისამართი: ზაზიაშვილის ქუჩა №1 (სავ. ცენტრ. „ქარვასლასთან“) მე-4 სართული. ტელეფონის ნომრები: 295-20-16; 599 55-02-95; 790 50-60-98; 574 05-06-12.



## სპეციალური შემოთავაზება მხოლოდ თბილისელების მკითხველთათვის

### INOLASER კლინიკისაგან

* სახის პროფესიონალური, ღრმა წმენდა გერმანული ელიტარული ბრენდის JANSSEN-ის 13-ეტაპიანი საათნახევრიანი პროცედურა – **35 ლარად.**
* ფრანგული Clavisse Paris 999 სინჯის ოქროს, ბრილიანტის, მარგალიტის ნიღაბი – **25 ლარი;**
* ფოტო-ლაზერული ეპილაცია ზედა ტუჩი – **10 ლარი;**
* ღრმა ბიკინი – **60 ლარი;**
* ბაკები (ორივე) – **29 ლარი;**
* იღლია ორივე – **29 ლარი.**
* გათავისუფლდით პიგმენტური ლაქების, ჭორფლის, წვრილი ნაოჭებისგან – მიკროდერმაბრაზიისა და ენზიმური პილინგის პირველივე პროცედურა გახდის თქვენს კანს მიმზიდველს – **39 ლარი.**

***მოგემსახურებიან პროფესიონალი ექიმი-ესთეტიკოსები მუშაობის 20 წლის სტაჟით – ნინო მშვენიერაძე და ირინე ბახტაძე***

**მისამართი: ქუთაისის ქუჩა №10 (ვახუშტი ბაგრატიონის ხიდთან)**
**ტელეფონები: 551-402-555, 577-95-09-01**

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" კიდევ ერთი კვლევა 2012 წელს პოლიტიკური პარტიების ფინანსებს ეხება. ზოგადი მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება: 2012 წელს (აგვისტო-სექტემბრის გამოკლებით) საარჩევნო კოალიცია „ქართულ ოცნებაში" შემავალმა ექვსმა პარტიამ, საერთო ჯამში, 4 მილიონ 607 ათასამდე ლარის შემოსავალი მიიღო და იმავე პერიოდში – 6 მილიონ 200 ათასი ლარი დახარჯა; „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" 13 მილიონ 434 ათასი ლარი მიიღო და მხოლოდ 3 მილიონ 500 ათასი ლარი დახარჯა; ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას – 961-ათასლარიანი შემოსავალი ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ 750 000 ლარი აითვისა; საქართველოს ლეიბორისტულმა პარტიამ კი, სულ რაღაც, 337 ათასი ლარი მიიღო, ხარჯებს კი 250 ათასი ლარი მოახმარა. რაც შეეხება სრულ პერიოდს: საერთო ჯამში, 2012 წლის განმავლობაში „ნაციონალურმა მოძრაობამ" 22 მილიონი ლარი აითვისა, ხოლო კოალიცია „ქართულმა ოცნებამ" – მხოლოდ 12 მილიონი. უფრო დაწვრილებით საქართველოს პოლიტიკური პარტიების ფინანსების შესახებ ინფორმაციას „საერთაშორისო გამჭვირვალობა – „საქართველოს" საარჩევნო პროექტების ხელმძღვანელი ლევან ნატროშვილი გაგვაცნობს.**

# რატომ არ ასრულებს საპარლამენტო არჩევნების შემდეგ აუდიტის სამსახური თავის ფუნქციებს და რატომ იქცა საქართველოში პოლიტიკა მომგებიან და სარფიან ბიზნესად

**– ჩვენი განვითარების დონის მქონე ქვეყნისთვის რამდენად ადეკვატურია ის თანხა, რასაც საქართველოს პარტიები თავიანთი პარტიული ცხოვრებისთვის ხარჯავენ: გაცილებით ფუფუნებით ცხოვრობენ თუ მათი პოლიტცხოვრების დონე მოსახლეობის ცხოვრების დონის შესაფერისია?**

– საინტერესო კითხვაა, თუმცა მოქალაქეთა ცხოვრებასა და შემოსავლებთან პარტიების ფინანსების შედარება გამიჭირდება, მაგრამ საკმაოდ დიდ თანხებზეა საუბარი, ჩვენი რეალობიდან გამომდინარე. მაგალითად, წინასაარჩევნო პერიოდის ჩათვლით, 2012 წლის განმავლობაში „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" 22 მილიონი ლარის ხარჯი გასწია „ქართულ ოცნებაში" შემავალმა 6-მა პარტიამ კი, დაახლოებით, 12 მილიონი ლარის. მართალია, ჩვენი კანონმდებლობით, დაწესებულია გარკვეული ზღვარი, დაახლოებით, 40 მილიონი ლარი და, თუ ამ ზღვარს შევადარებთ, გამოდის, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ" დაწესებულის თითქმის ნახევარი აითვისა, „ქართულმა ოცნებამ" – მეოთხედი. ამ კუთხით თუ შევაფასებთ, დიდ თანხებზე არ არის საუბარი, თუმცა, რეალურად, ჩვენი ქვეყნისთვის ათეულობით მილიონი ლარი საკმაოდ დიდი თანხაა. მეორე მნიშვნელოვანი კითხვაა, საჭიროა თუ არა ამ ოდენობის თანხების ხარჯვა პარტიული საქმიანობისთვის, მაგრამ, თუ პარტიები საჭიროდ მიიჩნევენ, რომ უნდა დახარჯონ ამდენი თანხა, ეს მათი გადასაწყვეტია.

**– ცნობილია, რომ ფულის დაბანდებამ უფრო მეტი ფული უნდა მოგიტანოს. რა მოტივით დებენ ასე დიდ თანხას პოლიტიკური პარტიები თავიანთ პარტიულ საქმიანობაში, იმედი აქვთ, რომ უფრო მეტს მიიღებენ მომავალში? ეს ერთგვარი კაპიტალდაბანდებაა?**

– ალბათ, ეს იქნება ერთ-ერთი მოტივაცია, იმიტომ რომ, როდესაც პარტია მოდის ხელისუფლებაში, თუ წინა ხელისუფლების მაგალითით ვიმსჯელებთ, მისი წევრები საკმაოდ ბევრ ბიზნესში, თუ ყველგან არა, იყვნენ ჩართულნი ამა თუ იმ ფორმით და, რეალურად, საკმაოდ დიდ თანხებს იღებენ სანაცვლოდ არჩევნების შემდეგ. ანუ მომგებიანი „ბიზნესია" პოლიტიკა.



**ყველა წინა არჩევნების დროს ძალიან დიდი იყო პარტიების ფინანსებს შორის სხვაობა: 14-15-ჯერ მეტ თანხას ხარჯავდა „ნაციონალური მოძრაობა", ვიდრე ერთად აღებული ყველა დანარჩენი პარტია**

**– ჩინოვნიკთა და პოლიტიკოსთა საფინანსო დეკლარაციებიც ნათლად ასახავს პოლიტიკის მომგებიანობას, ნოდარ დუმბაძის არ იყოს, ჩვენი თავმჯდომარე ცალ-ცალი კალოშით ჩამოვიდა, ახლა კი რეზინის ჩექმებით დადისო.**

– თუმცა საფინანსო დეკლარაცია სრულად არ ასახავს მათ შემოსავლებს.

**– საქმეც ესაა, რასაც ასახავს, ისიც ნათლად აჩვენებს გამდიდრების ტენდენციას.**

– გარდა ამისა, ამას წინათ გამოქვეყნდა პრეზიდენტ სააკაშვილის ფარული ხარჯები და, თუ ამასაც დავამატებთ ზემომოყვანილ ციფრებს, სახელმწიფოს ხარჯით ბევრი რამის გაკეთებას ახერხებენ ჩვენთან ხელისუფალნი. ასე რომ, რა თქმა უნდა, მომგებიანი საქმიანობაა პოლიტიკა და ხელისუფლებაში მოსვლა.

**– ვიცით, რომ პოლიტიკური პარტიები ფინანსდებიან ბიუჯეტიდანაც, გარდა ამისა, დაფინანსების რა წყაროები გამოიკვეთა?**

– პარტიებს შემოსავლების რამდენიმე ძირითადი წყარო აქვთ: საბიუჯეტო დაფინანსება, შემოწირულობები ფიზიკური პირებისგან, საწევრო შენატანები და სხვა საქმიანობა, რომელიც კანონით არ არის აკრძალული. მსხვილი პარტიების შემთხვევაში შემოსავლებში ძალიან დიდი წილი უჭირავს შემოწირულობებს. მაგალითად, „ნაციონალური მოძრაობის" შემოსავალი წინა საარჩევნო პერიოდში 13 მილიონი ლარი იყო, საიდანაც 11 მილიონი შემოწირულობა გახლდათ. კიდევ სხვა საკითხია, როგორ სწირავენ ადამიანები ამ თანხებს პარტიას: ნებაყოფლობით თუ პირიქით. რეალურად, პოლიტიკური პარტია ხარჯავს მოქალაქეების ფულს, ამ ფულით მოდიან ხელისუფლებაში და კიდევ დამატებით იღებენ შემოსავალს.

**– როგორც ჩანს, პოლიტიკა ძალიან სარფიანი არჩევანია. როგორც წესი, მმართველ პარტიას ჰყავს ჩვენთან ყველაზე მეტი შემომწირველი?**

– 2012 წლის მონაცემებით, ყველაზე მეტი შემომწირველი ჰყავდა მმართველ პარტიას, ანუ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას", დაახლოებით, ათას ადამიანამდე. „ქართულ ოცნებას" 400-მდე ადამიანმა შესწირა თანხა.

**– „ქართული ოცნების" დაფინანსების წყაროები როგორია?**

– კოალიციაში ექვსი პარტიაა გაერთიანებული, რამდენიმეს აქვს საბიუჯეტო დაფინანსება, მაგრამ აქაც უმეტესად შემოწირულობაა შემოსავლის მთავარი წყარო, თუმცა, თუ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" შემოსავლებსა და შემოწირულობებს შევადარებთ, „ქართული ოცნების" შემთხვევაში გაცილებით ნაკლებია როგორც შემომწირველების, ისე შეწირული თანხის ოდენობა.

**– ამ კვლევამ თუ გააჩინა ეჭვი, რომ, გარდა დეკლარირებული შემოსავლებისა, პარტიებმა კიდევ დახარჯეს რაღაც თანხა, რაც ვერ მოხვდა ოფიციალურ დოკუმენტაციაში?**

– ეს ლეგიტიმური კითხვაა, განსაკუთრებით თუ რამდენიმე ტენდენციას გავითვალისწინებთ. მაგალითად, „ქართულ ოცნებას" 2012 წელს ჰქონდა 7-მილიონიანი შემოსავალი, მაგრამ გასწია 12 მილიონის ხარჯი, 5-6 მილიონამდე ხარჯი ვალდებულების აღების ხარჯზე გასწია.

**– ანუ „პოსლეზე"?**

– დიახ და ეს სერიოზული პრობლემაა.

**– არის კანონდარღვევა?**

– კანონდარღვევა არ არის, პრობლემა ის არის, როდის გადაიხდიან ამ თანხას.

**– თუ ასეა, რატომ არ ჩივის არავინ?**

– ეს არის კერძო შრომითი ურთიერთობები, თუ მე ვიმუშავე პარტიისთვის და ხელფასი არ გადამიხადა, შემიძლია, მივმართო სასამართლოს. შესაძლოა, ნაწილ-ნაწილ ისტუმრებენ, მაგრამ ჯერჯერობით ისევ აქვთ დარჩენილი საკმაოდ დიდი დავალიანება. რაც შეეხება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ფინანსებს: თუ ჩვენ დეკლარირებულ ხარჯს – 22 მილიონს დავამატებთ იმას, რასაც სახელმწიფო რესურსს ვუწოდებთ, ეს თანხა საკმაოდ დიდი გამოვა. გაგახსენებთ „თბილსერვისის" საქმეს, როდესაც 700 ადამიანი აქტიურად იყო დასაქმებული მერიის სტრუქტურებში, პარტიულ საქმიანობას ეწეოდნენ, მაგრამ ხელფასს სახელმწიფო უხდიდა მათ. ჯერჯერობით საქმე ძიებაშია, მაგრამ, თუ დამტკიცდა, ესეც პარტიული თანხის მნიშვნელოვანი დაზოგვაა. ამას გარდა, იყო სამარშრუტო ტაქსების თემა: სექტემბერში „ნაციონალური მოძრაობის" დიდ აქციების მოწყობაში გამოიყენეს სამარშრუტო ტაქსები და უკვე დადასტურებულია, რომ თავდაცვის სამინისტროს, ანუ სახელმწიფოს საწვავი გამოიყენეს. ესეც პარტიული თანხის დიდი დაზოგვაა, მაგრამ ყველაზე დიდი დანაზოგი მაინც ეგრეთ წოდებულ სოციალურ რეკლამებზე მოდის. ეს რეკლამები საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, 2012 წლის შუა თვეებიდან გადიოდა სატელევიზიო ეთერებში და თავისი შინაარსით იყო არა სოციალური, არამედ პოლიტიკური რეკლამა. სახელმწიფო ფულს იხდიდა ვიდეორგოლების დამზადებაში, მაგრამ სატელევიზიო ეთერებში განთავსება უფასოდ ხდებოდა, რადგან თითქოს სოციალური რეკლამა იყო. აგვისტოში, როდესაც წინასაარჩევნო რეკლამები დაიწყო, ტელევიზიით სოციალური რეკლამები აღარ გადიოდა, მაგრამ შინაარსით „ნაციონალური მოძრაობის" რეკლამები მანამდე გასული სოციალური რეკლამების იდენტური იყო. ანუ ამასაც თუ გავითვალისწინებთ, გამოდის, რომ სერიოზული თანხა დაზოგა „ნაციონალურმა მოძრაობამ" – ექვსი თვის განმავლობაში სახელმწიფოს ხარჯზე აკეთებდა რეკლამას და ეს არ არის ასახული პარტიის ფინანსებში. ასე რომ, ასეულ მილიონ ლარზე შეიძლებოდა, ასულიყო „ნაციონალური მოძრაობის" ხარჯი.

**– ამჟამადაც გადის ტელევიზიებით ახალი ხელისუფლბის ორი სოციალური რეკლამა. აკმაყოფილებს სოციალური რეკლამის მოთხოვნებს?**

– ეს ორი ახალი რეკლამა თავისი შინაარსით სოციალური რეკლამაა.

**– ეფექტიანია ფულის სოციალურ რეკლამაში დახარჯვა? ისევ იმ სოციალურ პროექტს რომ მოხმარდეს ის თანხა, რაც რეკლამის დამზადებაში იხარჯება?**

– სოციალური რეკლამა საჭიროა, რადგან სოციალური რეკლამის დანიშნულებაა მოსახლეობის-

# ქართულ-ავსტრიული კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორია – ევროპული სტანდარტის ლაბორატორია თბილისში

*ქართულ-ავსტრიულ კლინიკურ-დიაგნოსტიკურ ლაბორატორიას არსებობის სამწლიანი ისტორია აქვს. ლაბორატორიის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ლაბორატორიული მედიცინის ასოციაციის ხელმძღვანელი – **თინათინ ბუკია** ქართული სამედიცინო საზოგადოებისთვის ცნობილი და წარმატებული ქალბატონია. მისი პროფესიული კარიერა დაიწყო თბილისის აკადემიკოს კ. ერისთავის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტში; შემდეგ მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის კლინიკურ-ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კათედრაზე, იყო ამ კათედრის ხელმძღვანელი. 2006 წლიდან არჩეულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ლაბორატორიული მედიცინის მიმართულების სრულ პროფესორად; იმავე წელს დაინიშნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ლაბორატორიული საქმის დეპარტამენტის ხელმძღვანელად; 2008 წლიდან პარალელურად მუშაობს შპს „ავერსის კლინიკის," 2011 წლიდან კი – თსსუ გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის ლაბორატორიულ სამსახურში. ქალბატონი თინათინი, დღიდან დაარსებისა, ხელმძღვანელობს ლაბორატორიული მედიცინის სარეზიდენტო პროგრამის შედგენასა და განახლებას. იგი, ასევე, გახლავთ ამავე სპეციალობის – ყოველწლიურად განახლებადი სასერტიფიკაციო ტესტების ერთ-ერთი ავტორი. თინათინ ბუკიას ხელმძღვანელობით დაცულია 6 საკანდიდატო დისერტაცია, გამოცემული აქვს 86 სამეცნიერო ნაშრომი.*

**თინათინ ბუკია**: ჯერ კიდევ სტუდენტობისას გამიჩნდა ლაბორატორიაში მუშაობის სურვილი. ამიტომ, სამკურნალო ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, დავიწყე მუშაობა ექიმ-ლაბორანტად. ჩემმა ამ გადაწყვეტილებამ ბევრი გააკვირვა, მაგრამ, დღეს ვხედავთ, რომ ლაბორატორიულ მედიცინას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს დაავადებათა დიაგნოსტიკაში. პროფესიულ კარიერაში ძალიან გამიმართლა – თავიდანვე ბევრი რამ განსაზღვრა პროფესიონალების საოცარ გუნდში ყოფნამ და იმან, რომ ჩემი საქმიანობა მიყვარდა და დღემდე ძალიან მიყვარს. ვფიქრობ, ეს ყველა საქმეში წარმატების განმსაზღვრელი უმთავრესი ფაქტორია.



**– დღეს თბილისში ძალიან ცნობილ ლაბორატორიას ხელმძღვანელობთ. რას გვეტყვით ლაბორატორიის მუშაობის პროფილზე?**

– ლაბორატორია 2010 წელს დაფუძნდა. თავიდანვე დავისახეთ მიზნად, ლაბორატორია ექსკლუზიური, თანამედროვე, ევროპული სტანდარტების შესატყვისი, განსაკუთრებული, თითოეული პაციენტის მიმართ ინდივიდუალური დამოკიდებულებით გამორჩეული ყოფილიყო, რასაც მივაღწიეთ კიდეც. ჩვენთან ყველა ანალიზი მაღალ დონეზე კეთდება, ჩვენი გამოკვლევების სიზუსტეზე კონტროლს ავსტრიაში – ვენაში ახორციელებენ. გარდა ამისა, ჩვენთან მოსულ ყველა პაციენტს ეძლევა ამომწურავი და კომპეტენტური ინფორმაცია და რჩევა მათთვის საინტერესო საკითხზე. ხშირია შემთხვევები, როცა ჩვენი რეკომენდაცია უამრავი პაციენტისთვის მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ხდება. ჩვენს ლაბორატორიაში ყველა ტიპის ანალიზი კეთდება: ჰემატოლოგიური, ბიოქიმიური, ზოგადკლინიკური, იმუნოლოგიური, მაგრამ, პაციენტებს შორის ჭარბობენ უშვილობის პრობლემის გამოსაკვლევად მოსული როგორც ქალბატონები, ასევე მამაკაცები, რადგან, ჩვენთან სპერმოგრამის გამოკვლევა მაღალ დონეზე ხდება არა მხოლოდ მიკროსკოპულად, არამედ თანამედროვე ანალიზატორით, რაც უშვილობის მიზეზისა და მისი აღმოფხვის პრობლემის გადაწყვეტისას ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ ბევრი მაღალი კომპეტენციის ექიმი-რეპროდუქტოლოგი წარმატებით თანამშრომლობს ჩვენთან.

**– თქვენი ლაბორატორია ჩვენთვის ცნობილია, როგორც მომავალი თაობის დიდი სამჭედლო.**

– რადგან ლაბორატორია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო ბაზაა, შესაბამისად, ჩვენთან სასწავლო კურსს გადიან სტუდენტებიც. ჩვენი გუნდი ყველაფერს აკეთებს მომავალი თაობისთვის მაღალი კვალიფიკაციის სასწავლო კურსის შესათავაზებლად. გარდა ამისა, ჩვენი ლაბორატორია საუკეთესო ბაზაა რეზიდენტებისთვის ექიმ-ლაბორანტის კვალიფიკაციის მისაღებად. მომავალ თაობასთან მუშაობა ძალიან საპასუხისმგებლო და საპატიო საქმეა, რასაც დიდი სიამოვნებით ვუძღვები მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში.

***ქართულ-ავსტრიული კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის მისამართია: თბილისი, შარტავას ქუჩა №16.***

***დეტალური ინფორმაციისთვის დარეკეთ ტელეფონზე: 237-61-50.***

**თამუნა ნიჟარაძე**

---

თვის ინფორმაციის მიწოდება, რაც საქველმოქმედო მიზნებს ემსახურება. კანონით, სოციალური რეკლამა არ შეიძლება, იყოს კომერციული, პოლიტიკური რეკლამა, არ შეიძლება, შეიცავდეს სახელმწიფოს მიერ რამე გაწეული მომსახურების რეკლამას. თუ ახალ სოციალურ რეკლამებს გადავხედავთ, აქ არ არის ასეთი პათოსი. ეს არის ინფორმაცია იმ პროგრამის შესახებ, რასაც ახორციელებს სახელმწიფო და ეს კარგია, რადგან ადამიანმა უნდა იცოდეს, როგორ გამოიყენოს ესა თუ ის სახელმწიფო მომსახურება. ახალ სოციალურ რეკლამებში არ ჩანს არც პარტიის ლოგო, არ ჩანან არც თანამდებობის პირები. ანუ პოლიტიკური ნიშანი არ ჩანს და სუფთა სახით სოციალური რეკლამაა, რასაც ჩვენ მივესალმებით, იმიტომ რომ სოციალური რეკლამა, მართლაც, კარგი რამაა მოქალაქეებისთვის ინფორმაციის მისაღებად. მთავარია, არ ირღვევა კანონი სოციალური რეკლამის შესახებ.

**– რას გვიჩვენებს თქვენი კვლევა, პარტიულ ფინანსებს რა წილი უჭირავს გამარჯვებაში?**

– როგორც ამ ბოლო არჩევნებით გამოჩნდა, ფინანსები არ არის გადამწყვეტი. 22 მილიონი ლარის ხარჯი გასწია „ნაციონალურმა მოძრაობამ", მაგრამ მაინც „ქართულმა ოცნებამ" მოიგო. მაგალითად, წინა არჩევნების დროს ძალიან დიდი იყო პარტიების ფინანსებს შორის სხვაობა: 14-15-ჯერ მეტ თანხას ხარჯავდა „ნაციონალური მოძრაობა", ვიდრე ერთად აღებული ყველა დანარჩენი პარტია. 2012 წლის არჩევნებზე ამხელა სხვაობა აღარ არის და, რეალურად, გამოჩნდა, რომ ფინანსებს გადამწყვეტი როლი არ ეკისრება. ამ ფინანსურმა სხვაობამ, „ნაციონალურმა მოძრაობამ" ორჯერ მეტი დახარჯა, ვიდრე „ოცნებამ", პლუს სახელისუფლო რესურსი, ვერ განაპირობა ყოფილი მმართველი გუნდის გამარჯვება, მაგრამ, რაც მიიღო, ის ხმები სწორედ ამ თანხის ხარჯვის შედეგად მიიღო. ფინანსები, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკისთვის, მაგრამ, როგორც ვნახეთ, მხოლოდ ფინანსები არ შველის, თუ საზოგადოებაში უკმაყოფილების მუხტი არსებობს. თუ უკმაყოფილების მუხტი რაღაც დონემდეა მისული, რაც გინდა დიდი თანხა დახარჯო, გაგიჭირდება ხელისუფლების შენარჩუნება.

**– გარდა აცდენებისა გასავალ-შემოსავალს შორის, კიდევ რა დარღვევები გამოვლინდა?**

– სხვა დარღვევებიც არის, მათ შორის, მცირე ტექნიკური და უფრო სერიოზულიც, თუმცა ჩვენ ისინი კითხვის ნიშნებით დავტოვეთ, რადგან ჩვენი პრეროგატივა არ არის შემოწმება. ეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფუნქცია და პრეროგატივაა, მათ აქვთ ამ ფაქტების გადამოწმების საშუალება. თუმცა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ეს ჯერჯერობით არ გაუკეთებია. რაც შეეხება პარტიასთან დაკავშირებულ პირებს, მოგეხსენებათ, 2012 წლის წინასაარჩევნო პერიოდში ეს ცნება არსებობდა. შემდეგ დაიწყო „ეს შენ გეხება" კამპანია და მივაღწიეთ იმას, რომ ყველა ადამიანი, ვისაც შეხება ჰქონდა პოლიტიკურ პარტიასთან, არ გაიგივებულიყო მათთან, ვინც უშუალოდ ხარჯავდა ფულს ვინმეს სასარგებლოდ. ამდენად, პოლიტიკურ პარტიასთან დაკავშირებულ ორგანიზაციად ორი ორგანიზაცია დასახელდა: საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება" და გიგა ნასარიძის „საქართველო არ იყიდება", რომელიც, ძირითადად, სარეკლამო რგოლებს ათავსებდა სატელევიზიო სივრცეში. კანონით, ამ ორ ორგანიზაციასაც უნდა წარედგინა დეკლარაციები, მაგრამ მათი დეკლარაციები დღემდე არ არის გამოქვეყნებული. სავარაუდოდ, არც მათ წარუდგენიათ და არც აუდიტის სამსახურს მოუთხოვია. შესაბამისად, არ ვიცით, რაში დახარჯეს თანხები, რაც საინტერესოა. „საქართველო არ იყიდება" ორგანიზაციას მითითებული აქვს შემომწირველები და, დაახლოებით, 2 მილიონ ლარზეა საუბარი. სავარაუდოდ, ეს თანხა კლიპებში დახარჯეს.

## „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" 2012 წელს, აგვისტო-სექტემბრის გამოკლებით: 13 მილიონ 434 ათასი ლარი მიიღო და მხოლოდ 3 მილიონ 500 ათასი ლარი დახარჯა

**– თუ თვალი არ მატყუებს, მათ მიერ დამზადებული კლიპები 2 მილიონი არ უნდა დამჯდარიყო.**

– ალბათ, თან, პარტიას: „ნაციონალურ მოძრაობას" აჩუქეს ის კლიპები. ის, რომ მათ არ აქვთ წარდგენილი დეკლარაციები, კანონის პირდაპირი დარღვევაა. უკვე მოგახსენეთ სამარშრუტო ტაქსებისა და „თბილსერვისის" შესახებ და, წესით, აუდიტის სამსახურს უნდა ჰქონოდა რეაგირება ამ ფაქტებზე. არადა, წინასაარჩევნო პერიოდში ისეთ უმნიშვნელო ფაქტებს უკირკიტებდა სახელმწიფო აუდიტის სამსახური, რომ გასაკვირია, როგორ გამორჩათ ასეთი პრობლემები. ამას გარდა, საინტერესოა შემომწირველების თემაც: ბევრი შემომწირველი სოციალურად დაუცველთა ბაზიდან იყო, მაგრამ არც ამით დაინტერესებულა სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

**– სამაგიეროდ, საკმაოდ მაღალ ხელფასებს იღებენ და ეჭვი მაქვს, პრემიებსაც.**

– თუმცა მათი აქტიურობა ნულამდეა დასული. სრულიად უფუნქციოდ არიან და, ალბათ, რაღაც უნდა გაკეთდეს: ან სხვა სტრუქტურად გარდაიქმნას, იმიტომ რომ მათი ასეთი პასიურობა საკმაოდ უცნაურია.

**ნინო ხაჩიძე**



**ჩვენი შეშფოთების კულმინაცია იყო, როდესაც აღმოვაჩინეთ, რომ მცხეთისა და თბილისის ტერიტორიები გამოუყვეს ჩინურ კომპანიას, რომ მათ ააშენონ ჩინური ქალაქი და ჩამოასახლონ ჩინეთის 126 000 მოქალაქე**

**რიგ ობიექტურ და უფრო მეტ სუბიექტურ მიზეზთა გამო, ჩვენს ქვეყანაში მყოფი თუ მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეების ზუსტი ოდენობა უცნობია, თუმცა მხოლოდ თბილისის ქუჩების შეუიარაღებელი თვალით დათვალიერებაც კი საკმარისია, დაადგინო, რომ მათი რაოდენობა არცთუ მცირეა. მოარული ხმებით, ჩვენს ქვეყანაში მრავლად იმყოფებიან აფრიკის, ჩინეთის, ინდოეთისა თუ სხვადასხვა არაბული სახელმწიფოს წარმომადგენლები. ჯერჯერობით საბოლოოდ ისიც არ გარკვეულა, გაუქმდა თუ ისევ ძალაშია ეგრეთ წოდებულ ჩინურ ქალაქში 126 000 ჩინელის ჩამოსახლება. ბუნებრივია, მიუხედავად ეთნიკური კუთვნილებისა, ადამიანების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, თუმცა, თუ ჩვენს საკუთარ დემოგრაფიულ მდგომარეობას გავითვალისწინებთ და იმასაც დავამატებთ, რომ საქართველოს მილიონი ან უფრო მეტი მოქალაქე (მათგან უმეტესობა არალეგალურად) მთელ დედამიწასაა მოდებული სარჩოს შოვნის იმედად, პრობლემა მართლაც საფუძვლიანია, რაზეც „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია გაგვიზიარებს თავის მოსაზრებას.**

# როგორ გაედინება საქართველოდან საქართველოს მოსახლეობა და როგორ იკავებენ მის ადგილს უცხო, ძირითადად, ჩამორჩენილი ქვეყნის მოქალაქეები

**– როგორ შეიძლება, გადაწყდეს უცხო ქვეყნის მოქალაქეების მასობრივად შემოდინების პრობლემა ისე, რომ ცივილიზებულობაც შევინარჩუნოთ და არც საკუთარი და არც სხვისი უფლებები არ შევლახოთ?**

– ჩვენი პოზიცია საკმაოდ გასაგებია ეროვნული თვალსაზრისითაც და სრულ შესაბამისობაშია თანამედროვე მიდგომებთან და საერთაშორისო სამართალთან. ჩვენ არ გვაქვს ფობიური დამოკიდებულება არც ერთი ეთნოსისადმი. პრობლემად მიგვაჩნია ის, რომ ქვეყნიდან გაედინებიან ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები, ძირითადად, ევროპაში, რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაოს საძებნელად და იქ რჩებიან კიდეც საცხოვრებლად, ჩვენს ქვეყანაში კი შემოედინებიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, ძირითადად, აფრიკიდან, ჩინეთიდან, ინდოეთიდან და თურქეთიდან. ეს იწვევს დისბალანსს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების ოდენობას შორის. მეორე მხრივ, ჩვენ არ ვართ მდიდარი ქვეყანა ძლიერი ეკონომიკით და, ამდენად, ჩვენზე ღარიბი აფრიკის ქვეყნებიდან, თუნდაც, ჩინეთიდან და ინდოეთიდან შემოსული მოქალაქეები იკავებენ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების ადგილს შრომით ბაზარზე. შესაბამისად, ჩინეთის, ინდოეთისა თუ თურქეთის მოქალაქე სოციალურად ავიწროებს ისედაც სოციალურ სიდუხჭირეში მყოფ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს. ჩვენ კანონი გვავალდებულებს, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს, შეერთებული შტატები იქნება ეს თუ გერმანია, დავიცვათ ჩვენი ეკონომიკური საზღვარი, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების შრომითი ბაზარი და შემდგომ ვიფიქროთ სხვა ქვეყნის მოქალაქეებზე.

**– აქვე მოვიხმობ სტატისტიკას: საქართველოში თითოეულ მოქალაქეზე მოდის მხოლოდ 115 115-მეტრზე მიწა, მეტი არ გვაქვს.**

– გეთანხმებით, და მიწის პრობლემა კიდევ სხვა საკითხია. მე მინდა, სრულად აღვწერო ის პრობლემა, რაც მოჰყვება უცხო ქვეყნის მოქალაქეების მასობრივ შემოსვლას და გასაგები გავხადო ნებისმიერი შეხედულების მქონე ადამიანისთვის, თუ რა გვაშფოთებს.

გარდა სოციალური და შრომითი პრობლემებისა, რაზეც მოგახსენეთ, პოლიტიკურ პრობლემასაც ვხედავ, რადგან უცხო ქვეყნის მოქალაქების ასეთი მასობრივი შემოდინება პოლიტიკური გავლენის საშუალებას აძლევს უცხო სახელმწიფოს. იმიტომ რომ ეს ადამიანები აქ რჩებიან და, ამასთანავე, არ წყვეტენ ურთიერთობას თავიანთ სამშობლოსთან. ანუ გამოდის, რომ ჩინეთისა თუ თურქეთის სახელმწიფოებს შეუძლიათ, ჩაერიონ ჩვენს პოლიტიკურ საქმეებშიც: შემოდინების მხრივ, პირველ ადგილზე არის ჩინეთი და თურქეთი, მათ შემდეგ კი – სხვა ქვეყნები და ძალიან გააქტიურდა ინდოეთი. გარდა ამ პოლიტიკური და სოციალური პრობლემებისა, მოდი, ისიც ვთქვათ, რომ ეს ქვეყნები, განსაკუთრებით, აფრიკული, ეკონომიკურად ძალიან ჩამორჩენილი ქვეყნებია: იქ ძალიან მაღალია ინფექციურ დაავადებათა რიცხვი და, ასევე, კრიმინალი. აფრიკის ქვეყნებში არსებობს არასტრუქტურირებული კრიმინალი, მაგრამ ჩინური კრიმინალური სამყარო მთელ მსოფლიოშია ცნობილი, როგორც ორგანიზებული დანაშაულებრივი იმპერია, ძალიან სტრუქტურირებული და სასტიკი. ამ კრიმინალურ დაჯგუფებებთან ბრძოლა უჭირს და ყოველთვის წარმატებული ვერ არის ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამისი სამსახურებიც კი.

**– „ჰოლივუდის“ ფილმებიდანაც კი ვიცით ჩინური მაფიის შესახებ.**

– ფილმებიდანაც და რეალობიდანაც. ჩინეთში ძალიან მაღალი დონის კრიმინალი და კორუფციაა. ამიტომ ჩვენს სპეცსამსახურებსა თუ ჯანდაცვის სამსახურებს უჭირთ შემოდინებული ნეგატივის, არა მხოლოდ კრიმინალის, არამედ ინფექციური დაავადებების, კონტროლი: სხვადასხვა ტიპის გრიპით დაწყებული და შიდსითა და C ჰეპატიტით დამთავრებული. ეს პროცესი სრულიად უკონტროლოა, რაც პირდაპირ უქმნის საფრთხეს ჩვენს მოქალაქეებს.

მე არ მინდა, ვაწყენინო რომელიმე სახელმწიფოს, მაგრამ ინდური საზოგადოების დამოკიდებულება სხვადასხვა საკითხისადმი პრინციპულად მიუღებელია თანამედროვე და, მათ შორის, ჩვენი საზოგადოებისთვის. ჩინეთი და, განსაკუთრებით, ინდოეთი გამოირჩევა ქალების მიმართ ძალადობით. ინდოეთში დღეს ქალისადმი არსებული დამოკიდებულება ჩამორჩენილია თვით შუა საუკუნეებისთვისაც კი. მასობრივია გაუპატიურების შემთხვევები და, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური სტატისტიკით, ეს დანაშაული იქ პირველ ადგილზეა, სპეციალისტების აზრით, ეს მონაცემი რეალურობის მხოლოდ 15-20 პროცენტს ასახავს. უნდა ვთქვა, რომ პრინციპულად მიუღებელია ინდოეთის ხელისუფლების დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი. ასეთი ტიპის დანაშაული ყველგან ხდება, ჩვენთანაც, მაგრამ იქ, ერთი მხრივ, არის მასობრივი და, მეორე მხრივ, პოლიციაც კი ამ დანაშაულის დაფარვაშია ჩაბმული. ახლახან ინდოეთში ორი და – 10 და 11 წლის, გააუპატიურეს, აწამეს, შემდეგ ჭაში ჩააგდეს და პოლიციამ დამალა ეს დანაშაული.

**– ერთიც მგლისკენო, რაც ჩვენ ძალადობის კადრები ვნახეთ ჩვენივე ციხეებში გადაღებული და იქ გამეფებულ ძალადობაზე მოვისმინეთ და ვისმენთ ამბებს, ვინმე გაგვაკვირვებს გაუპატიურებით?**

– მაგრამ როგორი იყო ჩვენი საზოგადოების რეაქცია?! ამან პოლიტიკურ შედეგები გამოიღო და ახლა ჩვენი საზოგადოება ძალიან სამართლიანად ითხოვს სამართალს. აი, ეს არის განსხვავება, ამიტომ, ვფიქრობ, რომ ასეთი აზროვნების ხალხის შემოდინება სახიფათოა. აქ რომ მსგავსი დანაშაული ჩაიდინოს ვინმემ, ვერანაირი პოლიცია და ჯარი ვერ გააჩერებს ხალხს და შეიძლება, უდანაშაულო ინდოელებიც შეეწირონ ამას. ანუ ასეთი პრობლემები არსებობს. ვიმეორებ, ეს არ არის ინდოელების ეთნიკური პრობლემა, მაგრამ აშკარაა, რომ არის ინდური საზოგადოების პრობლემა. იცით, რომ ჩვენი შეშფოთების კულმინაცია იყო, როდესაც აღმოვაჩინეთ, რომ მცხეთისა და თბილისის ტერიტორიები გამოუყვეს ჩინურ კომპანიას, მათ უნდა ააშენონ ჩინური ქალაქი და ჩამოასახლონ ჩინეთის 126 000 მოქალაქე, რომლებმაც უნდა დაიკავონ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების ადგილი შრომით ბაზარზე, ჩვენი ახალგაზრდების ადგილი ბიზნესში და ასე შემდეგ.

ჩვენ რომ ინვესტორებთან ბრძოლა დავიწყოთ, ეს არ იქნება სწორი. იმიტომ რომ ეს ნეგატიურ შედეგს მოუტანს ქვეყანას.

**– თუმცა ჩვენს სახელმწიფოს შეეძლო, ინვესტორები დაევალდებულებინა, რომ უპირველესად და მხოლოდ დაესაქმებინა ადგილობრივები?**

– ახლოს მიდიხართ იმ დებულებასთან, რაც ჩვენ საკანონმდებლო დონეზე შევიმუშავეთ. ერთი მხრივ, ჩვენ გვჭირდება ინვესტორები, მაგრამ, მეორე მხრივ, ვერ დავუშვებთ ქვეყანაში ვერც კრიმინალს, ვერც ინფექციური დაავადებების უკონტროლობას და ვერც უცხო ქვეყნის მოქალაქეების უკონტროლო მიგრაციას. ინვესტორს, ბუნებრივია, უნდა ჰქონდეს საშუალება, ჩამოვიდეს და იცხოვროს შეუზღუდავი ვადით, მაგრამ უნდა გავამკაცროთ სავიზო რეჟიმი და საიმიგრაციო კანონმდებლობა. თუმცა ისეც არ უნდა გამოგვივიდეს, რომ ჩინეთთან და ინდოეთთან ვამკაცრებთ, მაგრამ ვარბილებთ რუსეთთან, ევროპასთან თუ ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ, მიუხედავად საიმიგრაციო კანონის გამკაცრებისა, უვიზოდ შემოსვლისა და ცხოვრების უფლება მიეცეს ინვესტორებს და, შესაბამისად, მიგრაციის უფლება მიებას ჩამოსვლის მიზანს. თუ ადამიანი ჩამოდის ტურისტად, განსაზღვრული ვადა უნდა დაწესდეს; თუკი ადამიანი შემოდის საქმიანი მიზნებით, მას უნდა ჰქონდეს აქ ჩამოსვლის, მუშაობისა და განუსაზღვრელი ვადით დარჩენის საშუალება. მაგრამ უნდა გაკონტროლდეს, რომ მართლაც ამ მიზნების მისაღწევადაა ჩამოსული. ცარიელი ჯამით და დედაბუდიანად სოციალურად დაუცველი ათასობით ადამიანის ჩამოსვლას ვერ დავუშვებთ. მაშინ, როდესაც ჩვენი მოქალაქე – 2 მილიონ 100 ათასზე მეტი ადამიანი სილატაკის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, ერთი მილიონი გასულია ქვეყნიდან, ჩვენ ვერ დავუშვებთ...

**– რომ ჩვენზე გაჭირვებულები დაგვემატონ?**

– დიახ და უფრო იაფად იმუშაონ. ასეთ კონტროლს აწესებს ნებისმიერი სახელმწიფო. ძალიან

**(გაგრძელება 72-ე გვერდზე)**

ისტორიკოსი მანანა ხომერიკი წლების განმავლობაში იკვლევს ნიკო ფიროსმანის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებს. მისი თქმით, ნიკალა დაიბადა 1865 წელს, სოფელ შულავერში, ხოლო გარდაიცვალა 1918 წლის 4 მაისს, მიხეილის საავადმყოფოში, ტუბერკულოზით. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ნიკალა აღდგომის წინა დღეს გარდაიცვალა, რადგან იმ წელს აღდგომა ახალი სტილით 5 მაისს იყო. წელს სრულდება მისი გარდაცვალების 95 წელი და აღდგომაც ზუსტად 5 მაისს არის.



# რა კავშირი აქვს ნიკო ფიროსმანის გარდაცვალების დღეს წლევანდელი აღდგომის თარიღთან და სინამდვილეში რა გახდა მისი სიკვდილის მიზეზი

**დღეს დარწმუნებით შემიძლია მტკიცება, რომ არქივში დაცულ მიხეილის საავადმყოფოს სარეგისტრაციო წიგნში ფიროსმანის გარდაცვალების ჩანაწერს მივაკვლიე**

## ნიკალას დაბადების თარიღი და ადგილი

**მანანა ხომერიკი**: ამ საკითხების კვლევის დროს, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება მივაქციე ნიკალას დის – ფეფეს ნაამბობს. 1922 წელს მისგან ორი მოგონება ჩაწერეს შალვა დადიანმა და ნინა თარიშვილმა. ფეფე ერთ ჩანაწერში ამბობს, რომ ნიკალაზე 2-3 წლით ვარ უფროსიო, მეორეში კი ასაკობრივ სხვაობას 4 წლამდე ზრდის. პირველი მოგონების თანახმად, ფეფეს იმერელ სიძეს (დის ქმარს), ობლები დედასთან ერთად წაუყვანია თბილისში. იმ დროს ფეფე 9 წლის ყოფილა, ნიკო კი – შვიდის. მეორე მოგონების მიხედვით კი, სიძეს (ალექსის) მხოლოდ 8 წლის ნიკო წაუყვანია თბილისში და ქალანთაროვებისთვის მიუბარებია. ცხადია, რომ აღწერილი მოვლენები ფეფეს ზუსტად არ ახსოვს; არც უფროსი, გარდაცვლილი დის სახელი იცის. უტყუარია მხოლოდ მშობლების სახელები – ასლან ფიროსმანაშვილი და თეკლა ტოკლიკიშვილი; ასევე, ის ფაქტი, რომ ფეფე ნიკალაზე უფროსი იყო. ვინაიდან მხატვრის დაბადების ჩანაწერი არ მოგვეპოვება, დიდ მნიშვნელობას იძენს ფეფეს დაბადების თარიღი. მამია ჩორგოლაშვილმა 1979 წელს დაადგინა, რომ ფეფუცა, იგივე ნატალია, დაბადებული იყო 1863 წელს. ცხადია, რომ ნიკალა თავის უფროს დაზე ადრე ვერ დაიბადებოდა. ამიტომ, თუ ადრე მხატვრის დაბადების თარიღად 1862 წელი იყო მიჩნეული, ნელი კობიაშვილმა სამართლიანად ივარაუდა, რომ ნიკალა 1866 წელს უნდა ყოფილიყო დაბადებული. არსებობს ფიროსმანაშვილების ოჯახის სხვა წევრების როგორც საეკლესიო ჩანაწერები, ასევე, კამერალური აღწერაც. ყველაზე ძველი დოკუმენტი, რომელშიც მხატვრის წინაპრები არიან დაფიქსირებულები, 1817 წლის კამერალური აღწერაა. თუმცა, მე სხვა დოკუმენტებსაც მივაკვლიე. სხვა მკვლევრებისა და ჩემ მიერ მიკვლეული დოკუმენტების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მხატვრის მამას, ასლან ნიკოლოზის (იგივე კიკოს) ძეს ორი ცოლი ჰყავდა. პირველთან – მართა გოგიას ქალთან, მას სამი ქალიშვილი ჰყავდა. ხოლო მეორე მეუღლესთან, რომელიც მართას გარდაცვალების (1839 წელი) შემდეგ შეირთო, ოთხი შვილი ჰყავდა: ივანე (დაბადებული 1847 წელს), ელისაბედი (დაბადებული 1857 წელს), ნატალია, იგივე ფეფე (დაბადებული 1863 წელს) და ნიკოლოზი, რომლის დაბადების ჩანაწერი დღემდე არ არის მიკვლეული. ეს ყველა ჩანაწერი კი გაკეთებულია, სოფელ მირზაანის საეკლესიო წიგნებში. ამავე წიგნების მიხედვით, ცნობილია, რომ 1860 წლიდან 1872 წლამდე მირზაანში 4 ნიკო ფიროსმანაშვილია დაბადებული, მაგრამ, მათ შორის არც ერთი არ არის ასლანისა და თეკლას შვილი. ნიკალას ოჯახში შეკრებილი ცნობების თანახმად, ასლანი მირზაანიდან შულავერში გადასულა, ახვერდ ქალანთაროვთან მეზვრედ დაუწყია მუშაობა და ოჯახიც თან წაუყვანია. ეს კი შეიძლება მომხდარიყო არაუადრეს 1863 წლისა (როდესაც ასლანსა და თეკლას მირზაანში ქალიშვილი შეეძინათ) და არაუგვიანეს 1870 წლისა, როდესაც ასლანი შულავერში გარდაიცვალა. 1864 წლიდან 1870 წლამდე ფიროსმანაშვილები შულავერში ცხოვრობდნენ და სწორედ იქ შეეძინათ ნიკალა. ასლანი მაშინ დაახლოებით 60 წლის იქნებოდა, ხოლო თეკლა – გაცილებით ახალგაზრდა. შულავერში გარდაიცვალა ნიკალას უფროსი ძმა, რომელიც, ქალანთაროვების ბუნდოვანი მოგონებების თანახმად, გარდაცვალების დროს 15 წლის იყო. როგორც ჩემ მიერ მიკვლეული ჩანაწერიდან ჩანს, ივანე ფიროსმანაშვილი 1847 წელს იყო დაბადებული. თუ ის 15-16 წლის ასაკში შულავერში გარდაიცვალა, ეს კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ ნიკალას დაბადების დროისთვის, ანუ, დაახლოებით 1865 წლისთვის, მათი ოჯახი შულავერში ცხოვრობდა. ასლანის გარდაცვალების შემდეგ ავად გამხდარა და შულავერში გარდაცვლილა მისი მეუღლე – თეკლა. 1873 წლის კამერალური აღწერიდან ჩანს, რომ ცოლ-ქმარი ცოცხალი აღარ იყო. ავადმყოფ თეკლას ქალანთაროვები უვლიდნენ. მომაკვდავმა სწორედ მათ ჩააბარა საკუთარი შვილი: „თქვენ გაბარებთ ჩემს შვილს, ნიკალას და უპატრონეთ“. ახვერდ და ეფროსინე ქალანთაროვების ქალიშვილმა – ანამ მომავალი მხატვარი შულავერიდან თბილისში წამოიყვანა და თავის ოჯახში გაზარდა. ჩვენ არ გვაქვს ნიკალას დაბადების ჩანაწერები, მისი მშობლებისა და ძმის გარდაცვალების ჩანაწერებიც არავის უნახავს. ისინი ერთი და იმავე ეკლესიის სამეტრიკო წიგნებში უნდა ყოფილიყო შეტანილი. ჩვენს საისტორიო არქივში კი შულავერის საეკლესიო წიგნები არ არის. როგორც შევიტყვე, ისინი თავის დროზე სომხეთისთვის გადაუციათ, სომხეთის ცენტრალურ არქივში კი მხოლოდ შულავერის სომხური ეკლესიის სამეტრიკო წიგნები დამხვდა. შემდეგ მოვიძიე 1890-იანი და 1900-იანი წლებით დათარიღებული მასალები, რომლებიც ცხადყოფს, რომ მეცხრამეტე საუკუნეში შულავერში მართლმადიდებლური ეკლესია აღარ არსებობდა და 1801 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, შულავერის მელიქს, ქალანთაროვს, ქართველ მეფეთა ციხესიმაგრე და ფერისცვალების ეკლესია დაუნგრევია. მათ ადგილზე იმავე ქვებით აუგია თავისთვის სახლი და სხვა შენობები. 1897 წლის დოკუმენტში ნათქვამია, რომ შულავერში ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც მართლმადიდებლები სიკვდილის წინ მოკლებულნი იყვნენ ზიარების შესაძლებლობას. როგორც ჩანს, იგივე ბედი ეწიათ ფიროსმანის მშობლებსაც. ნიკალას მოსანათლავად, შესაძლოა, მღვდელი სხვა სოფლიდან მოეყვანათ, მაგალითად, ოფრეთიდან. ოფრეთის ეკლესიის სამეტრიკო წიგნიდან კი მხოლოდ 1865 წლის წიგნია დაკარგული. შულავერში კი ეკლესიის არარსებობის პირობებში, არც სამეტრიკო წიგნი იარსებებდა. აი, რატომ არ გვაქვს მხატვრის დაბადებისა და ნათლობის ჩანაწერები. როგორც გაირკვა, ეს ქალანთაროვების „დამსახურებაა“.

## ნიკალას გარდაცვალების თარიღი, საფლავის ადგილი

არქივში მოკვლეულმა დოკუმენტებმა საშუალება მომცა, დამედგინა ფიროსმანის გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებზეც დღემდე აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. პირველი ვერსიის თანახმად, ნიკალა მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა და კუკიის სასაფლაოზეა დასაფლავებული; მეორე ვერსია, რომლის თანახმადაც მხატვარი არამიანცის საავადმყოფოში გარდაიცვალა და შესაბამისად, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დაკრძალეს, ვასო ჩაჩანიძის მოგონებებს ეყრდნობა. ვასო ჩაჩანიძე იხსენებდა, რომ 1918 წელს, როდესაც თბილისში „ისპანკის“ ეპიდემია მძვინვარებდა, ერთ დღეს ის პეტრე-პავლეს სასაფლაოზე იყო. ამ დროს საავადმყოფოში მიცვალებულები მოასვენეს. ერთ-ერთი თითქოს ნიკალა ყოფილა, საღებავებით დასვრილი ტანსაცმლით. ვასომ მოიყვანა მღვდელი სამადალაშვილი, რომელმაც ჩაატარა წირვა და საფლავი აკურთხა. მას შემდეგ ძმები ვასო და დავით ჩაჩანიძეები ამ კონკრეტულ საფლავზე მიუთითებდნენ, მაგრამ, ყველას როდი სჯეროდა ეს. 2006 წელს ამ ვერსიამ დამაჯერებლობა შეიძინა. ერთ-ერთი ჟურნალისტის თქმით, თითქოსდა არქივში ინახება პეტრე-პავლეს ეკლესიის მღვდლის, ალექსი სამადალაშვილის მიერ შედგენილი გარდაცვლილთა სია, სადაც წერია: „უცნობი ნიკოლოზი, 1919 წელი“. ამ ჩანაწერის საფუძველზე დაასკვნეს, რომ იგულისხმება ფიროსმანი და რომ ის პეტრე-პავლეს სასაფლაოზეა დაკრძალული. ამ ვარაუდის საფუძველზე, საფლავის გათხრაც კი დააპირეს. ჩვენ ამ აზრს ვერ გავიზიარებთ. თან, აქ არის უზუსტობა: ჩაჩანიძეები ნიკალას გარდაცვალების თარიღად 1918 წელს ასახელებენ, ეს დოკუმენტი კი 1919 წელს არის შედგენილი. მხატვარი 1919 წლის გაზაფხულზე კი არ გარდაიცვალა, არამედ, 1918 წელს. რაც მთავარია, საარქივო დოკუმენტში მითითებულია, რომ ეს ვინმე ნიკოლოზი ნავთლუღის სასაფლაოზე დაუკრძალავთ. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე მისი ძვლების ძებნა უაზრობა იქნება. ცხადია, რომ ეს უცნობი ნიკოლოზი ფიროსმანი არ არის. ჟურნალისტის მიერ აღმოჩენილი დოკუმენტი ეწინააღმდეგება თავად ჩაჩანიძეების ვერსიას. დღეს ფიროსმანზე დაიწერა მხატვრულ-დოკუმენტური პროზაული ნაწარმოები, სადაც წერია: „მომდევნო, 14 მარტს, დილით ტფილისის ლაზარეთში დაუდგენელი დიაგნოზით გარდაიცვალა უცნობი, სახელად ნიკოლოზი, ის ოთხი ფიცრისგან შეკრულ ღარიბულ კუბოში ჩაასვენეს“. ანუ, იმავე დღეს დამარხეს, რადგან, უპატრონო მიცვალებულებს

(გაგრძელება 72-ე გვერდზე)

ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

# რა მარკის ავტომობილი შეიძინა 850 ათას დოლარად მაჰარაჯას შვილიშვილმა და რა კავშირი აქვს ესპანეთის მეფის „მერსედესს“ ადოლფ ჰიტლერთან

*მიუხედავად იმისა, რომ მონარქიული მმართველობა მსოფლიოს რადენიმე სახელმწიფოშია შემორჩენილი, ტერმინი – სამეფო ეკიპაჟი, დღემდე აქტუალურია. თუმცა, ცხენები და „კარეტები“ დიდი ხანია, ჩაანაცვლა ოთხბორბლიანმა ავტომობილებმა, რომელთა შორისაც უნიკალური ეგზემპლარებიც მოიძებნება. „ფორბსმა“ შეისწავლა, თუ რომელი ავტომობილებით გადაადგილდებიან მონარქიული ოჯახები და საინტერესო ტოპ-რეიტინგი შეადგინა.*

**იორდანიის მეფე აბდალა მეორე – „მერსედეს-ბენც 300SL“**

იორდანიის სამეფო ოჯახი გადაადგილებისთვის რეტრო-ავტომობილს „მერსედეს-ბენც 300SL-ს“ გამოიყენებს. ეს არის ომის შემდგომი პირველი სპორტული ავტომობილი, რომელიც 1954 წელს გაიტანა გერმანულმა ავტოგიგანტმა ნიუ-იორკის ავტოსალონის ჩვენებაზე. ამ ავტომობილის მფლობელები სხვადასხვა დროს იყვნენ სოფი ლორენი, პაბლო პიკასო, ელვის პრესლი... იორდანიის მეფე ჰუსეინ პირველი არ ჩამორჩა დასავლელ ვარსკვლავებს და ეს ავტომობილი შეიძინა, რომლითაც ამჟერად მისი მემკვიდრე აბდალა მეორე სარგებლობს.

**დანიის დედოფალი მარგრეტე – „როლს-როის Silver Wraith,“ 1958 წლის გამოშვება**

40-წლიანი „სტაჟის“ მქონე მონარქი, დანიის დედოფალი, მარგრეტე 50-მდე ავტომობილის მფლობელია. თუმცა, მისი ავტოფარეხის ფლაგმანი ავტომობილია რარიტეტული „როლს-როის Silver Wraith.“ ის სულ 25 ეგზემპლარი იყო გამოშვებული. ავტომობილი მარგრეტეს მამამ, მეფე ფრედერიკ მეცხრემ შეიძინა და ოფიციალური სტუმრების მიღებისას გამოიყენებდა. იგივე დანიშნულება აკისრია ავტომობილს დღესაც. დიდი გაბარიტების მიუხედავად, ის საკმაოდ სწრაფი ავტომობილია, რადგან 4,8-ლიტრიანი ძრავითაა აღჭურვილი და შეუძლია, 190 კილომეტრ-საათი სიჩქარე განავითაროს. დანიური კანონის თანახმად, დედოფლის ავტომობილს სერიული ნომრის ნაცვლად, სამეფო გვირგვინი ამშვენებს.

**ესპანეთის მეფე ხუან-კარლოს პირველი – „მერსედეს-ბენც G4“, 1939 წლის გამოშვება**

ესპანეთის მეფე ავტომობილების დიდი მოყვარულია და თავადაც სიამოვნებით მართავს საჭეს. ზუსტად რამდენი ავტომობილია რეგისტრირებული სამეფო ავტოფარეხში უცნობია, თუმცა მათი უმეტესობა რომ რარიტეტულია, ეს საიდუმლო არ გახლავთ. მათ შორის აღსანიშნავია 1939 წლის გამოშვება „მერსედეს-ბენც G4“, რომლის რესტავრაცია მონარქის თხოვნით რამდენიმე ხნის წინ მოხდა. ეს ავტომობილი ნაცისტური გერმანიის ლიდერებისთვის დამზადდა და მისი სერიული წარმოება არ მომხდარა. მსგავსი ავტომობილი ამჟამად სულ სამი ცალია დარჩენილი. ხუან-კარლოსის „მერსედესი“ წარსულში გენერალ ფრანკოს ეკუთვნოდა, რომელიც მან პირადად ადოლფ ჰიტლერისგან მიიღო საჩუქრად.

**ყატარის ემირი ჰამად ბინ ჰალიფა ალ-ტანი – „პაგანი ზონდა უნო“**

აღმოსავლელი მონარქები სპორტული ავტომობილების სიყვარულით გამოირჩევიან და არც



ყატარის ემირია გამონაკლისი. ის რამდენიმე ათეული ავტომობილის მფლობელია. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია იტალიური ავტომწარმოებლის „პაგანი აუტომობილის“ მიერ გამოშვებულ ერთადერთ, ექსკლუზიურ ეგზემპლარს – „პაგანი ზონდა უნოს“. ეს სუპერავტომობილი, აღჭურვილია 7,3-ლიტრიანი ძრავით და შეუძლია, 300 კილომეტრ-საათი სიჩქარე რამდენიმე წამში განავითაროს. ამ ავტომობილით მგზავრობა უყვარს ემირის შვილს, პრინც ტამიმ ალ-ტანის.

**საუდის არაბეთის მეფე აბდალა იბნ აბდელ აზიზი – „BMW M5 E60“**

საუდის არაბეთის 89 წლის მონარქის ავტომობილი „BMW M5 E60“ პლანეტის ერთ-ერთი უსწრაფესი სპორტული მანქანაა. 367 კილომეტრ-საათ სიჩქარეს ავტომობილი 4,2 წამში ავითარებს. ტიუნინგზე პასუხისმგებელი გერმანული კომპანია ავტოატელიე „ლუმა“ გახლდათ, რომელიც უკანასკნელი 20 წელია ელიტური ავტომობილების ტიუნინგით არის დაკავებული.

**მონაკოს მთავარი ალბერ მეორე – „ლექსუსი LS 600h L“**

მონაკოს მთავარი დიდ ყურადღებას აქცევს გარემოს სისუფთავეს და ამიტომაც მისი ავტომობილი ეკოლოგიურად სუფთა საწვავზე მუშაობს. საკუთარ ქორწილზე ალბერ მეორე სწორედ „ლექსუსი LS 600h L“ ჰიბრიდული ავტომობილით მივიდა, რომელიც მთლიანად ელექტროძრავაზე მუშაობს. ავტომობილი სპეციალური დაკვეთით, ექსკლუზიურად მონაკოს მთავრისთვის დამზადდა და შეღებვის დროსაც კი, სპეციალური, ეკოლოგიურად სუფთა საღებავი იყო გამოყენებული. ამ მარკის ავტომობილი ერთადერთი არ გახლავთ მონაკოელი დიდგვაროვნის ავტოფარეხში. სამეფო ოჯახი მთლიანად ამ იაპონელი ავტომწარმოებლის მომხმარებელია.

**რადჟპუტას მაჰარაჯას შვილიშვილი, მანდატასინ ჟადეი – „როლს-როის სტარ ოფ ინდია“, 1934 წლის გამოშვება**

2 წლის წინ რარიტეტული ავტომობილი „როლს-როის სტარ ოფ ინდია“ 850 ათას დოლარად გაიყიდა, არადა ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ თანხა რამდენიმე მილიონი დოლარი იქნებოდა. ავტომობილის მფლობელი გახდა მანდატასინ ჟადეი, მაჰარაჯას შვილიშვილი, რომლისთვისაც შეიქმნა ეს მოდელი 1934 წელს. ავტომობილი ინდოეთის ნაციონალურ ფერებში გახლდათ შეღებილი და ამიტომაც ეწოდა „სტარ ოფ ინდია,“ ანუ ინდოეთის ვარსკვლავი.

**შვედეთის მეფე კარლ მეთექვსმეტე გუსტავი – „ვოლვო C30“**

შვედეთის მეფე კარლ გუსტავი მოკრძალებული „ვოლვოთი“ გადაადგილდება, თუმცა ამ მარკის ავტომობილი არ გახლავთ ერთადერთი მის ავტოფარეხში. ამჟამად მეფე ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილებით გადაადგილდება. თუმცა, მანამდე მას ნახავდით „ფორდ მუსტანგის“, „პორშეს,“ „ფერარის“ საჭესთან. აღსანიშნავია, რომ შვედეთის მეფე არ სარგებლობს პრივილეგიებით და სტოკჰოლმში გადაადგილების დროს, ისევე, როგორც სხვები, დგას საცობებში და ემორჩილება საგზაო წესებს. შვედეთში მონარქის გამო ქუჩების გადაკეტვა არ ხდება.

**იაპონიის იმპერატორი აკიჰიტო – „ტოიოტა Century Royal“**

2006 წელს იაპონიის იმპერატორმა აკიჰიტომ და მისმა მეუღლემ მიტიკომ გადაწყვიტეს, „ნისანი“ „ტოიოტაზე“ გაეცვალათ. საიმპერატორო „ლიმუზინი“ ექსკლუზიური მოდელია, ის აღჭურვილია 5-ლიტრიანი ძრავით და ძლიერი ჯავშნით. ავტომობილის შიდა ინტერიერიც იაპონურ ნაციონალურ



მოტივებზეა მოწყობილი, ბრინჯის ქაღალდისა და იაპონური შირმ სედზის სტილში. იმპერატორის ავტომობილი ერთადერთია მთელ იაპონიაში, რომელსაც სანომრე ნიშნები არ გააჩნია.

**დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელიზაბეთ მეორე – „ბენტლი Arnage Red Label“**

დედოფლის ტახტზე ასვლიდან 50-ე წლისთავზე კომპანია „ბენტლიმ“ სამეფო ოჯახს საჩუქარი გაუკეთა და ექსკლუზიური მოდელის „ლიმუზინი“ აჩუქა. სამეფო „ლიმუზინის“ აწყობა ორი წელს მიმდინარეობდა. ის აღჭურვილია 6,75-ლიტრიანი ძრავით და ავითარებს 210 კილომეტრ-საათ სიჩქარეს. ძრავა აირზე მუშაობს და ეს ნაკლებად აბინძურებს გარემოს. პირველად ამ ავტომობილით სამეფო ოჯახმა, ელიზაბეთ მეორის და ედინბურგის პრინც ფილიპის თამადობით 2002 წლის 4 ივლისს იმგზავრა.

**უშანგი რუხაძე**

**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“**
**შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში**
„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

# სად დახარჯა პოკერში მოგებული თანხა მილიარდერმა კარლ იკანმა და რატომ ცდილობს ის „იაჰუს" და „მოტოროლას" გაყიდვას



პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, მილიარდერები ნაკლებ დროს უთმობენ ინტერნეტს. ამ დასკვნამდე მივიდა ჟურნალი „ფორბსი". 2012 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, მსოფლიოში მცხოვრები 1226 მილიარდერიდან, მხოლოდ 13 უთმობს თავისუფალი დროის გარკვეულ ნაწილს საკუთარ ვებ-დღიურს, ბლოგს. იმ ცამეტთაგან ყველაზე ასაკოვანი ბლოგერი 77 წლის კარლ იკანია – ამერიკელი ფინანსისტი და როგორც მას ბიზნესსამყაროში უწოდებენ, ინვესტორ-აქტივისტი. „ფორბსის" 2013 წლის მილიარდერთა რეიტინგში ის 20 მილიარდი ამერიკული დოლარით 26-ე პოზიციაზე იმყოფება. მისი ვებ-დღიური ყველაზე საინტერესოდ მიიჩნევა იმავე „ფორბსის" გამოკითხვით.

კარლ სელიან იკანი 1936 წელს დაიბადა ბრუკლინში, ებრაელების ოჯახში. ის იყო ერთადერთი შვილი მაიკლ და ბელა იკანების ოჯახში. მამამისი, მაიკლი ლონგ-აილენდზე მდებარე სინაგოგაში კანტორად მუშაობდა და ოპერის მომღერლობაზე ოცნებობდა. კარლი იხსენებდა, რომ მამა ათეისტი იყო, მაგრამ იმის გამო, რომ ოჯახს რჩენა სჭირდებოდა, მზად იყო, ნებისმიერ ადგილას ემუშავა. სიცოცხლის ბოლო წლებში, მაიკლი სკოლაში, უშტატო მასწავლებლის თანამდებობაზე მუშაობდა. რაც შეეხება ბელა იკანს, ისიც სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად. თავის მშობლებს კარლი უცნაურ ადამიანებად მიიჩნევდა, ნათესავებიდან კი მის აღფრთოვანებას ბიძა, ელიოტ შნოლი იწვევდა. დედის ძმა – იელის უნივერსიტეტის მაგისტრანტი სამეწარმეო საქმიანობით იყო დაკავებული. 45 წლის ასაკში ელიოტი სოლიდურ ქონებას ფლობდა და პალმ-ბიჩში, ფეშენებელურ სახლში ცხოვრობდა.

სკოლაში სწავლის პერიოდში კარლი კრივით იყო გატაცებული და ფეთქებადი ხასიათით გამოირჩეოდა. მისი მეორე გატაცება ბანქო, პოკერის თამაში იყო. ფარ-როკავეის სკოლის დამთავრების შემდეგ, კარლი ლიდო-ბიჩის პლაჟზე მსახურობდა მაშველად, სადაც შეამჩნია, თუ როგორ თამაშობდნენ დამსვენებლები პოკერს ფულზე. კარლი მიხვდა, რომ მას გაცილებით მეტი ესმოდა პოკერში, ვიდრე სხვებს და ფულზე თამაში დაიწყო. იმ ზაფხულს კარლმა ორ ათასამდე დოლარი მოიგო და მოგებული თანხით პრინსტონის უნივერსიტეტში სწავლის გადასახადის ნახევარი დაფარა. 1957 წელს, პრინსტონის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, კარლმა დედის მოთხოვნით ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლაში ჩააბარა. მაგრამ ორი წლის შემდეგ, სწავლაზე გული აუცრუვდა და ექვსი თვით ამერიკულ ჯარში წავიდა. ჯარში მსახურებისას კარლი ხშირად ატარებდა პოკერის ტურნირებს და 1961 წელს, სავალდებულო სამსახურის დასრულების შემდეგ, პოკერში მოგებული 4 ათასი დოლარით მან უოლ-სტრიტს მიაკითხა, სადაც ბიძის დახმარებით ფირმა „დრეიფუს ენდ კომპანიში" ბროკერად დაიწყო მუშაობა.

1968 წელს იკანმა საკუთარი ბიზნესის წამოწყება გადაწყვიტა და ბიძისგან ნასესხები 400 ათასი დოლარით ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე სავაჭრო ადგილი შეიძინა და საკუთარი კომპანია „იკან ენდ კომპანი" დააფუძნა. ათი წლის შემდეგ, 1978 წელს იკანმა პირველი მსხვილი ოპერაცია ჩაატარა და თავისი ქონება მილიონი დოლარის ნიშნულს გაუტოლა. ჯერ კიდევ 1977 წელს, კარლმა კერძო კომპანია „ტეპენის" აქციები შეიძინა ნახევარ ფასად. გაკოტრების პირას მყოფი „ტეპენი" სამზარეულო ინვენტარის მწარმოებელი საოჯახო ფირმა იყო. იკანმა შეიძინა აქციების საკვანძო პაკეტი და პოტენციური მყიდველის ძებნას შეუდგა. საბოლოოდ, „ტეპენი" შვედური საყოფაცხოვრებო ტექნიკის კონცერნმა „ელექტროლუქსმა" შეიძინა სამმაგ ფასად და ამით ამერიკის შეერთებულ შტატებში თავისი პროდუქციის რეალიზების საშუალება მიეცა. იკანმა კი რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი ჩაიდო ჯიბეში. აღსანიშნავია, რომ „ტეპენის" ფაქტობრივმა მფლობელმა, დიკ ტეპენმა მადლობა გადაუხადა იკანს, იმის გამო, რომ მან გაითვალისწინა აქციონერების ინტერესი და არ შეცვალა კომპანიის პროფილი.

ამ გარიგების შემდეგ, ექსპერტებმა კარლ იკანი, წარმატებულ კორპორატიულ რეიდერად აღიარეს. „ტეპენის" გაყიდვის შემდეგ მას ჰქონდა ნავთობკომპანიების – „ტექსაკოს", „ფილიპს პეტროლეუმის"; ავიაკომპანია „ტრანს უორლდ ეირლაინსის"; მედიაკომპანია „ვიაკომის"; ფინანსური კომპანია „ვესტერნ იუნიონისა" და ბიოფარმაცევტული კომპანია „აიმკლონის" აქციების შეძენის მცდელობა, რაც მხოლოდ გამოცდილ ბროკერებსა და რეიდერებს შეუძლიათ.

კარლ იკანის ბოლო წლების გარიგებებიდან აღსანიშნავია „იაჰუს" აქციების შეძენა. 2008 წლის ზაფხულში მან თავისი აქციების რაოდენობა ხუთ პროცენტამდე გაზარდა, თან ცდილობდა, სხვა აქციონერებთან ერთად კომპანიის მენეჯმენტი გაეთავისუფლებინა და თავისი ხალხი მოეყვანა „იაჰუს" სათავეში, მაგრამ არ გამოუვიდა. გარდა ამისა, იკანი ცდილობდა „იაჰუს" მენეჯმენტი დაერწმუნებინა, რომ კომპანია „მაიკროსოფტისთვის" მიეყიდათ. თუმცა, ამ საქმიდანაც არაფერი გამოვიდა. დღევანდელი მონაცემებით, იკანი „იაჰუს" აქციათა საერთო რაოდენობის 3 პროცენტს ფლობს, თანხობრივად კი აქციების ფასი 1,5 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს. იკანი ასევე ფლობს ტელეფონების მწარმოებელი კომპანია „მოტოროლას" აქციების ხუთ პროცენტს და უნდა ითქვას, რომ ის ერთადერთი აქციონერია, რომელიც ცდილობს მთლიანი კომპანია მობილურების მწარმოებელ სხვა რომელიმე კომპანიას მიჰყიდოს. ასევე, ცნობილია, რომ კარლ იკანი „ჰერბალაიფის" აქციათა გარკვეულ პროცენტსაც ფლობს და კომპანია „დელის" აქციონერიც გახლავთ. იკანი „დელის" მენეჯმენტთანაც დაპირისპირებულია – მიაჩნია, რომ კომპანიის პრივატიზაცია კარგს არაფერს მოიტანს და იმ შემთხვევაში, თუ „დელი" საფონდო ბირჟიდან მოიხსნება და საჯარო კომპანიის სახელს დაკარგავს, ეს მხოლოდ უარყოფით გავლენას იქონიებს კომპანიის მომავალზე.

რაც შეეხება კარლ იკანის პირად ცხოვრებას. მისი პირველი მეუღლე იყო ჩეხი ბალერინა ლიბა ტრეიბალი, რომელთანაც მას ორი შვილი, ქალ-ვაჟი – მიშელი და ბრეტი ჰყავს. ტრეიბალს იკანი 1993 წელს გაცილდა, მაგრამ განქორწინების პროცესი მხოლოდ 1999 წელს დასრულდა. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ყოფილი მეუღლეები არ იყვნენ შეთანხმებულები, განქორწინების შემთხვევაში, რამდენ მილიონ დოლარს დაუთმობდა კარლი ცოლს. საბოლოოდ, ყოფილ ბალერინას 5 მილიონი დოლარი ერგო წილად. ამჟამად იკანი თავის ყოფილ ასისტენტზე, გეილ გოლდენზეა დაქორწინებული. თავისუფალ დროს კი მას შვილთან, ბრეტთან უყვარს ჭადრაკის თამაში. თუმცა, თამაში მხოლოდ იმ შემთხვევაში შედგება, თუ ბრეტი წინასწარ დათანხმდება წაგებაზე – ყველაზე მეტად კარლ იკანს წაგება არ უყვარს.

***p.s. კომპანიის კონტროლისთვის მენეჯმენტთან ბრძოლას იკანი პოკერს ადარებს, რადგან ორივე აზარტულია. ექსპერტების ვერსიით, იკანს მხოლოდ ორი რამ უყვარს – „ფულის კეთება და იმავდროულად, მენეჯმენტის დამცირება".***

**უშანგი რუხაძე**

---

**ქეთევან შენგელია-ნიკურაძის გახსენება**



ჩვენო საყვარელო, დიდბუნებოვანო, მოსიყვარულე დედა, 2 მაისი შენი საყვარელი დღე იყო. ძალიან გვენატრები! ბედნიერი ქალი იყავი – სამი შვილი, ექვსი შვილიშვილი და ოთხი შვილთაშვილი დატოვე, რომლებსაც მეხუთე – პატარა ალექსანდრე მიემატა.

სამყაროს კანონს ვერავინ შეცვლის, ერთხელ დაბადებული ერთხელ კვდება. მთავარია, როგორ გაივლი ამ გზას. შენ ის ღირსეულად გაიარე. მშვიდად განისვენე ზეციურ სასუფეველში!

**შვილები: ფისო, ალეკო, თამაზი ოჯახებით**

**„ქართული ოცნება – თავისუფალი დემოკრატების“ წევრი გედევან ფოფხაძე ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი ჯერ კიდევ ინტელექტკლუბიდან – „რა? სად? როდის?“ გახდა, თუმცა, გედი, როგორც მას მეგობრები უწოდებენ, პოლიტიკურ საქმიანობაში ჯერ კიდევ პარლამენტარობამდე იყო ჩართული. დაოჯახებას არ ჩქარობს. ამბობს, რომ ოპოზიციაში ყოფნა მისთვის ბევრად უფრო დიდი კომფორტი იყო, ვიდრე პარლამენტარობის მძიმე ტვირთი. ჟურნალისტების მიმართ საკმაოდ კეთილგანწყობილია, დასძინა – კარგად ვიცი მათი მნიშვნელობა და ფასიო; თუმცა, მომეჩვენა, რომ პოლიტიკოსის ამპლუისთვის ინტელექტუალთა გუნდის კაპიტანი ცოტა მორიდებულია.**

# ალიკვეცება თუ არა ბერად გედევან ფოფხაძე და რა კომპრომისებზე მიდის ის „ქართული ოცნების“ ხათრით

**გედევან ფოფხაძე**: პირად ცხოვრებაზე ნაკლებად ვლაპარაკობ ***(იცინის)*** – არ მიყვარს.

**– როგორ გგონიათ, თანამედროვე პოლიტიკაში ინტელექტუალების დეფიციტი ხომ არ არის?**

– მე მგონი, პოლიტიკაში ვინც არიან, საჯარო პირები არიან და, ის აუცილებელი და ელემენტარული განათლება, რაც უნდა ჰქონდეთ, აქვთ; ყოველ შემთხვევაში, მე მათთან კომუნიკაციის დროს ეს პრობლემა არ მაქვს. ვაფასებ ამ მხრივ ჩემი მოწინააღმდეგეების შესაძლებლობებს. განსხვავებული აზრები იმას არ ნიშნავს, რომ ეს ვერ დაინახო. ბოლოს და ბოლოს, მე და პალიკო კუბლაშვილი „რა, სად, როდისში“ ერთ გუნდში ვთამაშობდით, მეგობრები ვართ. მე და პალიკოს რაღაც საკითხებზე გვქონდა მძაფრი წინააღმდეგობები, მაგრამ, ნორმალური ურთიერთობა გვაქვს. ჩვენ მოწინააღმდეგე ბანაკებში უნებურად აღმოვჩნდით. ვარდების რევოლუციის შემდეგ, მე ბორჯომის გამგებელი ვიყავი, როცა ნინო ბურჯანაძემ შემომითვალა – დაწერე განცხადება და შენი ნებით წადიო. ამის შემდეგ მე წავედი ბეთანიის მონასტერში, მეუფე სერაფიმეს კურთხევით, ერთი თვე ვიყავი იქ და, შეიძლება, იქიდან არც დავბრუნებულიყავი – აღარ მინდოდა ერში ცხოვრება. აქედან ძალიან დაბოლმილი და გაბრაზებული წავედი.



**სკოლაში რომ მივიდოდი, ამბობდნენ: „ვა, გედი აქ არის?“ – ესე იგი, დღეს გაკვეთილები გვიცდებაო**

**– დეპრესიისკენ მიდრეკილი ხართ, როგორც ჩანს.**

– არ ვიცი, ალბათ. ისეთ თემაზე ვსაუბრობთ – ვარდების რევოლუციაზე, რაც ჩემთვის სახალისო გასახსენებელი ნამდვილად არ არის. ბორჯომის გამგებელი ექვსი თვის განმავლობაში ვიყავი. მაშინ ახალდაბასთან „კმარას“ აქტივისტებთან მომიხდა შეხლა-შემოხლა, გიგა ბოკერიაც იყო იქ. ფიზიკურ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი. ამის შემდეგ მშვიდი ცხოვრება საერთოდ არ მქონია. რევოლუციის მერე ჩავთვალე, რომ საერო ცხოვრებაში ჩემთვის საინტერესო აღარაფერი ხდებოდა. ძალიან ცუდად ვიყავი. მონასტერში ამ საკითხებზე ხშირად ვფიქრობდი... ბეთანიაში ჩემთან ამოვიდნენ პალიკო კუბლაშვილი და ჩემი რამდენიმე მეგობარი; მითხრეს, თუ პოლიტიკის გამო აპირებ აქ დარჩენას, მაგას ნუ იზამ, დაბრუნდი და ჩვენ ყველანაირად გვერდში დაგიდგებითო. ნაციონალებში შესვლა ნამდვილად არ შემოუთავაზებია ***(იცინის).*** გაზეთ „ბორჯომის ხმას“ ვუშვებდი და ასე ვუპირისპირდებოდი ხელისუფლებას. ადგილობრივ არჩევნებში მივიღე მონაწილეობა და გავხდი საკრებულოს წევრი. ლევან გაჩეჩილაძის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი ვიყავი და ბორჯომი ლევანმა მოიგო. მოკლედ, ბევრი ვიშრომე ***(იცინის).***

**– ტაძართან მანამდე ახლოს იყავით?**

– არა, მაგრამ, ყოველთვის ვცდილობდი, ჩვენი ეპარქიის ხელმძღვანელთან კარგი ურთიერთობა მქონოდა. მიმაჩნია, რომ სასულიერო ხელისუფლება საეროზე აღმატებულია... პოლიტიკოსმა კურთხევა უნდა მიიღოს მეუფისგან. მონასტერში შევძელი, ჩემს გაბრაზებას, წყენას, ვნებებს მოვრეოდი. თუმცა, ახლაც ვფიქრობ, რომ, შეიძლება, აღვიკვეცო, როცა მეუფის კურთხევა მექნება.

**– თქვენთვის, როგორც სხვა პარლამენტარებისთვის, ალბათ, ქუთაისში სიარული დიდი დისკომფორტია.**

– ვერ ვიტყოდი ***(იცინის).*** ვისაც ოჯახი აქვს, ალბათ, იმისთვის უფრო რთულია. მე აქ ვიქნები, ბორჯომში თუ ქუთაისში, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. დილით მოვდივარ, ღამით ვბრუნდები და მაშინვე ვიძინებ, სახლში არავინ მელოდება ***(იცინის).***

**– მარტო ცხოვრება მოსაწყენი არ არის?**

– არა მგონია, პირიქით. ყოველ შემთხვევაში, მე მშვენივრად შევეჩვიე.

**– ემოციური ადამიანი არ ჩანხართ მეგრელ-გურული პოლიტიკოსებისგან განსხვავებით.**

– რატომ გგონიათ, რომ ბორჯომელები არ არიან ემოციურები? საერთოდ, თამაშისას დინჯ კაპიტნად ვითვლებოდი, თუმცა, ემოციური გადაწყვეტილებებიც ხშირად მიმიღია. პარლამენტშიც, როცა საჭიროა, საკმაოდ ემოციური ვარ. აქციებზეც ასეთი ვიყავი, როცა მეგაფონით გამოვდიოდი. როცა ვბრაზდები, მუშტებს ვაბრახუნებ ხოლმე, ან კედელს რაიმე ნივთს ვესვრი, ძირითადად ისეთს, რაც ნაკლებად მჭირდება ***(იცინის).***

**– გედევან ფოფხაძის ბავშვობა როგორი იყო?**

– მე ვსწავლობდი ბორჯომში და მეცხრე კლასიდან აქტიურად ჩავერთე ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. ალბათ, პოლიტიკოსობაზეც მიფიქრია მაგ ასაკიდან. არ შევედით კომკავშირში და შევქმენით არაფორმალების ჯგუფი. ვიფიცებოდით, ვატარებდით მიტინგებს. სკოლაში რომ მივიდოდი, ამბობდნენ: ვა, გედი აქ არის? ესე იგი, დღეს გაკვეთილები გვიცდებაო ***(იცინის).*** სკოლის კომუნისტური გერბი ჯერ წითლად გადავღებე, მერე – ლურჯად ***(იცინის).*** თბილისშიც ჩამოვდიოდით და ვმონაწილეობდით საპროტესტო დემონსტრაციებში. მასწავლებლების თავის ტკივილი ვიყავით, სისხლს ვუშრობდით ***(იცინის).*** მამაჩემი ნერვიულობდა ხოლმე, დედაჩემი – თანამიგრძნობდა. ასე რომ, მშობლების დაბარებას არ ჰქონდა აზრი. იმათაც იცოდნენ, რომ ჩემს გადაწყვეტილებაში ვერ ჩაერეოდნენ. არაფორმალების ლიდერი ვიყავი, მოკლედ. სტუდენტობის დროს პოლიტიკურად აქტიური აღარ ვყოფილვარ, უბრალოდ, ჩემი ძმა იყო „მრეწველებში“, მერე ის ბორჯომის მერი გახდა, მე – საკრებულოს წევრი. ჩემი ძმა ხშირად მეუბნებოდა: დაანებე, რა, თავი ამ ოპოზიციონერობას, აღარ შემიძლია. რა გინდა, რას მერჩიო, რადგან, ხშირად იბარებდნენ ხოლმე დაკითხვებზე, ხან რას იგონებდნენ, ხან – რას, რაც, ძირითადად, ჩემს გააქტიურებასთან იყო დაკავშირებული ***(იცინის).***

**– რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც პარლამენტარი გახდით?**

– სიმართლე გითხრათ, ოპოზიციონერობა მერჩივნა, არ ვიყავი ფსიქოლოგიურად ამისთვის მზად და გუნდშიც არ გვეგონა, რომ ასეთი უმრავლესობით მოვიდოდით. ჩემთვის უფრო მარტივი და ნორმალურია სხვისი კრიტიკა – ლავირების უფრო ნაკლები შანსი გაქვს: ხანდახან უნდა გაჩუმდე იმაზე, რაც არასწორად მიგაჩნია. გუნდის პრინციპებიდან გამომდინარე, ხშირად მიწევს გაჩუმება და კომპრომისზე წასვლა. ჩემთვის ეს რთულია, თუმცა ისეთი ნონ-კონფორმისტი არ ვარ, რომ ავმდგარიყავი და გოთი გავმხდარიყავი ***(იცინის).*** პარლამენტარი რომ გავხდი, ამან დეპრესიაში ჩამაგდო და ამის გამოხატულებაა ის, რომ წვერს ვატარებ.

**– პალიკო კუბლაშვილის გარდა ვისთან მეგობრობდით ნაციონალებში?**

– ნიკა გვარამიასთან... რა ვიცი, ბევრთან, იმიტომ, რომ ჩემი თანაკურსელები იყვნენ. უბრალოდ, თუ ადრე სულ ერთად ვიყავით, ახლა იშვიათად ვეკონტაქტებით ერთმანეთს. ჩვენთან პოლიტიკას ტაბუ ადევს. რომ ავყვეთ ამ თემას, შეიძლება, ერთმანეთი დავკარგოთ. ჩვენ ჩვენს მეგობრობას ძალიან ვუფრთხილდებით. მე, პალიკო, ნიკა და კახა კუკავა ერთად ვთამაშობდით ინტელექტკლუბში. კარგი სტუდენტები ვიყავით, უბნიდან უბანში არ დავდიოდით საჩხუბრად და გარჩევებზე. თუ ვინმეს კონსპექტი უნდოდა, იცოდნენ, რომ ჩემთან უნდა მოსულიყვნენ ***(იცინის).*** სულ ერთად ვიყავით, ჩემთან, სახლში ვიკრიბებოდით ხოლმე, რუსთაველზე.

**– საზოგადოებაში ხშირად ქირქილებენ: ცხოვრებაში „ნაციონალები“ და „ოცნებელები“ მშვენივრად „კოჰაბიტირებენო“.**

– არ ვიცი, რას გულისხმობთ. ნორმალური, სალმიანი ურთიერთობა გვაქვს. თუ ვინმეს სამოქალაქო ომის დაწყება უნდა, ვერ გეტყვით. მე თუ ადამიანს არ ვაგინებ დერეფანში, არ ნიშნავს, რომ განსხვავებული პოზიციები არ გვაქვს. უბრალოდ, მუშტი-კრივამდე არ მისულა საქმე.

**ჩვენთან პოლიტიკას ტაბუ ადევს. რომ ავყვეთ ამ თემას, შეიძლება, ერთმანეთი დავკარგოთ. ჩვენ ჩვენს მეგობრობას ძალიან ვუფრთხილდებით**

**– თქვენი მარტოხელა ცხოვრების გამო დედათქვენი პროტესტს არ გამოთქვამს.**

– მაინცდამაინც არა. თან, ჩემმა ძმამ ახლახან შეირთო ცოლი, უფრო იმაზეა გადართული და ჩემთვის არ სცალია. ჩემს იმიჯზე ძირითადად მე თვითონ ვზრუნავ, ხანდახან დედაჩემსაც უწევს მოვლა ***(იცინის).*** დაოჯახება არ მეჩქარება მაინცდამაინც – ბედის ამბავია.

**– ამბობენ, ინტელექტუალი მამაკაცები სნობები არიანო.**

– სნობიზმს ვერ ვიტან, ჩემთვის ძალიან დიდი სათნოებაა თავმდაბლობა. ძალიან იშვიათად, რომ თვითკმაყოფილება დამეუფლოს, თუ მაინცდამაინც, როცა ბაქრაძისთვის დამისწრია პასუხი ***(იცინის).*** სამედიცინო თვალსაზრისით, არაადეკვატური არ ვარ, თუმცა, ხანდახან ყველაა არაადეკვატური. ძალიან მწყდება გული, რომ „რა, სად, როდისში“ თამაშს ველარ ვახერხებ.

**ქეთი დიდებულიძე**

**ქართული ტელეარხები, ბოლო დროს, საკმაოდ დაიტვირთა მუსიკალური შოუებით. უამრავი ახალი და ნიჭიერი სახე გამოჩნდა. წლების წინ, მომღერალი ქეთი ორჯონიკიძე მაყურებელმა, სწორედ „ვარსკვლავების აკადემიიდან“ გაიცნო და შეიყვარა. ის თავისი განსხვავებული იმიჯით, ხმის ტემბრითა და შესრულების მანერით, სხვა მონაწილეებისგან ნამდვილად გამორჩეული და რეიტინგული იყო. დღეს, ტელეკომპანია „მაესტროს“ და „მაგთის“ ერთობლივ მუსიკალურ პროექტში – „მაქთიფანი“, ქეთი, სოსო თოლორაიასთან ერთად, წამყვანად მოგვევლინა. როგორც თავად ამბობს, ეს მისთვის ახალი ამპლუაა, სადაც თავს საკმაოდ კომფორტულად გრძნობს.**

# რით ავსებენ ერთმანეთს სოსო თოლორაია და ქეთი ორჯონიკიძე და როგორ გახდნენ ისინი თანაწამყვანები



მე ვენდობი საკუთარ გულისთქმას და ოცნების ახდენისთვის ყველაფერს ვაკეთებ

**ქეთი ორჯონიკიძე**: ტელეკომპანია „მაესტრომ“ ახალი პროექტი დაიწყო, სადაც აქტიურად ვარ ჩართული. მოკლედ, მუსიკალურ რეალითი შოუ „მაქთიფანში“ წამყვანი ვარ. ადრე სცენაზე, მიკროფონით ხელში, მხოლოდ ვმღეროდი, ახლა კი წამყვანის როლი შევითავსე და მგონი, კარგადაც. თავიდან, ცოტა ვინერვიულე, თუმცა, ჩემმა გამოცდილმა თანაწამყვანმა სოსო თოლორაიამ, ძალიან შემიწყო ხელი, დამეხმარა და ეს ნერვიულობა ადვილად დავძლიე. ხომ იცით, გვერდით ვინ გიდგას, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს – ისე, კარგად ვერ იმღერებ და ვერც სოფელს ააშენებ *(იცინის)*. მგონი, კარგი წყვილი ვართ, შეხმატკბილებული და ერთმანეთს ვავსებთ. ამ რეალითი შოუში, ახალგაზრდა მუსიკოსები ერთმანეთს ეჯიბრებიან – დიდ გამოცდილებას იღებენ და უფრო იხვეწებიან. გამოცდილი და კომპეტენტური ჟიური კი მათ აფასებს. ეს არის მუსიკალური რეალითი შოუ, სადაც თვრამეტი

## კონკურსში მონაწილეობის მიღება, ერთ-ერთი ყველაზე კარგი მოგონებაა ჩემს ცხოვრებაში

კონკურსანტია, აქედან ათი პირველ კონცერტზე წარდგება, დანარჩენი რვა კი, რეზერვია, საიდანაც ნელ-ნელა შეივსება ჯგუფი. მონაწილეები თორმეტი კვირის განმავლობაში ცხოვრობენ მათთვის სპეციალურად განკუთვნილ სახლში, წინასწარ განსაზღვრული წესების მიხედვით. უტარდებათ აერობიკის, ვოკალის, ცეკვისა და სხვადასხვა გაკვეთილი. მაესტროს ეთერში ყოველდღიურად გადის სერიები კონკურსანტების ერთობლივი ცხოვრებისა და სწავლების შესახებ. კვირის ბოლოს იმართება შემაჯამებელი ლაივ-კონცერტი. პროექტის მიზანია, კონკურსის დასრულების შემდეგ, მონაწილეებისგან შეიქმნას მუსიკალური ჯგუფი, რომელიც ჩაწერს ალბომს და გაემგზავრება ტურნეში. მოკლედ, გამარჯვებულს საკმაოდ კარგი პრიზი ერგება – შექმნის საკუთარ ბენდს. ეს დიდი ფუფუნება და ოცნებაა ყველა მუსიკოსისთვის, მით უმეტეს, დამწყებისთვის. წარმოიდგინეთ, მონაწილეები რა მონდომებულები არიან, თავს არ ზოგავენ და ყველაფერს აკეთებენ, უკეთესი კუთხით წარმოაჩინონ საკუთარი მონაცემები. არაჩვეულებრივი შანსი მიეცათ და ამად ბრძოლა ნამდვილად ღირს. ეს რეალური შოუ, მათ ასევე აძლევს საშუალებას, წინ წაიწიონ შემოქმედებითი კუთხით. აბსოლუტურად განსხვავებული პროექტია. მე მომწონს.

**– თავად თუ მიიღებდი მონაწილეობას ამ კონკურსში?**

– სიამოვნებით. ძალიან მაგარი პროექტია, ყველა ნიუანსით. სხვათა შორის, მეც კონკურსიდან გამიცნო ხალხმა და ეს დრო, ერთ-ერთი ყველაზე კარგი მოგონებაა ჩემს ცხოვრებაში. მართალია, პროექტში შემთხვევით, მეგობრის წყალობით მოვხვდი, მაგრამ მომეცა შანსი, მაყურებელს გაეცნო ქეთი ორჯონიკიძე, მიეღო ის ისეთი, როგორიცაა და შეეყვარებინა მისი შემოქმედება. რომ იტყვიან, მოკლე დროში, გავხდი ცნობილი. ეს დიდი ბედნიერებაა. დღეს, ბედნიერი ვარ, რომ ასეთი პროექტიდან ავიღე გეზი. კონკურსმა ბევრი რამ მასწავლა და საკუთარი თავი მაპოვნინა. ეს ის სფეროა, რომელშიც მოღვაწეობა მსიამოვნებს. მოკლედ, კონკურსმა, ჩემი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალა, წარმატებისკენ გამიკვლია გზა – ხალხმა გამიცნო, საზოგადოებისთვის ცნობილი გავხდი და ბედნიერი ვარ, რომ ის რთული გზა გავიარე. გამოგიტყდებით, თავიდან არანაირი მიზანი არ მქონია, პირველ ოთხ ტურში იმიტომ გამოვედი, რომ ყველას მოწონებოდა ჩემი ნამღერი და ღირსეულად დამეტოვებინა პროექტი. მერე აზარტში შევედი და მივხვდი, გამარჯვებისთვის ბრძოლა უფრო და უფრო მინდოდა *(იცინის)*.

**– განსხვავებული იმიჯი გაქვს, რომელიც ხშირად საზოგადოების განხილვის საგანია. შენ არ რეაგირებ და ყოველთვის პოზიტიურ განწყობაზე ხარ, არასდროს იმჩნევ დარდს. ეს შენი სტილია თუ უბრალოდ, ძლიერი პიროვნება ხარ?**

– მიყვარს თავისუფალი ცხოვრების სტილი, განსხვავებული იმიჯი და ვერ ვეტევი სტანდარტულ ჩარჩოებში. რა ვქნა, ასეთი ვარ *(იცინის)*. რაც არ უნდა მოხდეს, ყოველთვის ვცდილობ, შევინარჩუნო ოპტიმისტური განწყობა. მიყვარს უშუალო ადამიანები და ვცდილობ, მეც ასეთი ვიყო. კონკურსში რომ ვმღეროდი, ძალიან „რთული“ იმიჯი მქონდა. ვფიქრობდი, ხალხი ამას არ „მაპატიებს“ და ნეგატიურად განეწყობა-მეთქი *(იცინის)*. მაგრამ, შევცდი. ისეთი სიყვარული და სითბო ვიგრძენი, ვერც კი წარმოიდგენთ. ქუჩაში მაჩერებდნენ, მესიყვარულებოდნენ, მეფერებოდნენ... ხალხი ყოველთვის გრძნობს შენს მათდამი განწყობას და თუ სცენიდან მათთვის იხარჯები, ისინი ამას სიყვარულით გიფასებენ. ხოლო, რა გაცვია და რა ფერის თმა გაქვს, ეს უკვე მეორეხარისხოვანია მათთვის. რა ვიცი, ჩემს შემთხვევაში ასე მოხდა *(იცინის)*. ბევრმა, პროექტის შემდეგ, ისიც მითხრა, შენი იმიჯის გამო არ მოგვწონდი, მაგრამ ახლა გვიყვარხარო. ეს ჩემთვის დიდი სტიმული იყო, რომ უფრო მეტი მემუშავა და უკეთესად მემღერა.

**– თუმცა, შენს ცხოვრებაში დადგა პერიოდი, როცა არსად ჩანდი და იმასაც ამბობდნენ, ქეთი უცხოეთში გადავიდა საცხოვრებლადო.**

– მართალია, როცა პროექტი დასრულდა, ლონდონში წავედი სასწავლებლად. არადა, მაშინდელი კონკურსის მონაწილეებზე იმ პერიოდში საკმაო მოთხოვნა იყო – ბევრ კონცერტზე იწვევდნენ. ამით, კიდევ უფრო გაიცნო ხალხმა და შეიყვარა ისინი. მიუხედავად ამისა, საქართველოში რომ დავბრუნდი, მივხვდი, ხალხს ისევ ვახსოვდი და ისევ ისეთ სითბოს ვგრძნობდი. ეტყობა, ჩემს ნამღერთან ერთად, ჩემი იმიჯითაც დავამახსოვრე თავი *(იცინის)*.

**– ქეთი, ამბობენ, ნიჭთან ერთად იღბალიც უნდა დაგყვეს და მაშინ ცხოვრებაში წარმატებას ადვილად მიაღწევო. შენ რას იტყვი?**

– მე იღბლიანი ვარ, თუმცა ცოტა ზარმაცი *(იცინის)*. ვიცი, სიზარმაცე ცუდია, უკან გხევს ცხოვრებაში, მაგრამ რა ვქნა?! ფაქტია, ამას ვებრძვი *(იცინის)*. სიმართლე თუ გინდათ, ყველაფერს დიდი შრომის ფასად ვაღწევ. თუ არ ვიშრომე, ისე იღბალიც არ მწყალობს *(იცინის)*.

**– და, ბოლოს, რას ურჩევ რეალითი შოუს მონაწილეებს?**

– მე ვენდობი საკუთარ გულისთქმას და ოცნების ახდენისთვის ყველაფერს ვაკეთებ. ამასვე ვურჩევ ყველას. რეალითი შოუ „მაგთიფანის“ მონაწილეებს კი ვეტყვი, რომ მთავარია მონდომება, ბევრი შრომა, თავდადება და ყველაფერი გამოგივა. თუ გულით ოცნებობ რამეზე, სიზარმაცეს დაძლევ, ბევრს იმუშავებ, იქნები ალალი და გულღია, ეს ოცნება ნამდვილად აგიხდება. მინდა, რეალითი შოუ „მაგთიფანის“ ყველა მონაწილეს წარმატებები ვუსურვო.

**ნონა დათეშიძე**

## თამუნა ახობაძეს!

**ჩვენო საყვარელო თამუნა, გილოცავთ მეორე შვილის – პატარა ანუკის დაბადებას, ჯანმრთელი და ბედნიერი გაგიზარდოს ღმერთმა. იხარე შენს შვილებთან და ოჯახთან ერთად.**



**ჟურნალ „თბილისელების“ რედაქცია**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
ანატოლ ფრანსი

კითხვა: **გთხოვთ, განმიმარტოთ, რა ფუნქცია გააჩნია ზოგადად გუბერნატორს და ვინ ნიშნავს დღეს, მოქმედი კანონის შესაბამისად, გუბერნატორებს?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლობას საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში უზრუნველყოფს სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი. სახელმწიფო რწმუნებულს, გუბერნატორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობა, ხოლო სახელმწიფო რწმუნებულის, გუბერნატორის უფლებამოსილებანი განისაზღვრება ცალკე კანონით.

კითხვა: **გთხოვთ, განმიმარტოთ, რა აუცილებელ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილე-**



**ბდეს ადამიანი, მოსამართლედ რომ დაინიშნოს და რამდენია მოსამართლეთა თანამდებობაზე ყოფნის ზღვრული ვადა?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს შესაბამისი უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება. მოსამართლე თანამდებობაზე გაწესდება უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. მოსამართლის უვადოდ განწესებამდე, კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, მოსამართლის განწესება განსაზღვრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 3 წლისა. მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განსაზღვრულია კონსტიტუციით და ორგანული კანონით.

კითხვა: **გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორია გაფიცვის სამართლებრივი განმარტება და რა პროცედურები უძღვის წინ პირის გაფიცვის უფლების წარმოშობას?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ გაფიცვა არის დავის შემთხვევაში, დასაქმებულის დროებითი, ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად, ან ნაწილობრივ შესრულებაზე. გაფიცვაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პირებს. გაფიცვის უფლების გამოყენებამდე, დასაქმებულები ვალდებული არიან მოაწყონ გამაფრთხილებელი გაფიცვა. გამაფრთხილებელი გაფიცვის დაწყებამდე, გაფიცულმა მხარემ დამსაქმებელს არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე, წერილობით უნდა შეატყობინოს დავის საგნისა და წარმოშობის საფუძვლის, აგრეთვე გაფიცვის დროის, ადგილისა და ხასიათის შესახებ. გამაფრთხილებელი გაფიცვის შემდეგ მხარეები ვალდებული არიან, შრომის კოდექსით დადგენილი წესით კვლავ მიიღონ მონაწილეობა შემათანხმებელ პროცედურებში. გაფიცვის უფლება წარმოიშობა მხოლოდ გამაფრთხილებელი გაფიცვის შემდეგ, არანაკლებ 24 საათის და არა უმეტეს, 14 კალენდარული დღის განმავლობაში. გაფიცვის პერიოდში მხარეები ვალდებული არიან, განაგრძონ შემათანხმებელი პროცედურები. გაფიცვა არ შეიძლება გაგრძელდეს 90 კალენდარულ დღეზე მეტ ხანს. გაფიცვის დროს დამსაქმებელი არ არის ვალდებული, მისცეს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება. ამასთანავე, გაფიცვა არ წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველს.

კითხვა: **მაინტერესებს, რას ნიშნავს ლოკაუტი და ვის აქვს ლოკაუტის გამოყენების უფლება?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ ლოკაუტი არის დავის შემთხვევაში, დამსაქმებლის დროებითი, ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად, ან ნაწილობრივ შესრულებაზე. შესაბამისად, მისი გამოყენების უფლება აქვს დამსაქმებელს.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, რა პროცედურების დაცვით გამოიყენება ლოკაუტის უფლება?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ ისევე როგორც გაფიცვის მხარე, ლოკაუტის უფლების გამოყენებამდე დამსაქმებელიც ვალდებულია, მოაწყოს გამაფრთხილებელი ლოკაუტი. გამაფრთხილებელი ლოკაუტის დაწყებამდე, მხარემ არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე, წერილობით უნდა შეატყობინოს დასაქმებულს დავის საგნისა და წარმოშობის საფუძვლის, აგრეთვე ლოკაუტის დროის, ადგილისა და ხასიათის შესახებ. გამაფრთხილებელი ლოკაუტის შემდეგ მხარეები ვალდებული არიან, კანონით დადგენილი წესით, კვლავ მიიღონ მონაწილეობა შემათანხმებელ პროცედურებში. ლოკაუტის უფლება წარმოიშობა მხოლოდ გამაფრთხილებელი ლოკაუტის შემდეგ, არანაკლებ 24 საათის და არა უმეტეს 14 კალენდარული დღის განმავლობაში. ლოკაუტის პერიოდში მხარეები ვალდებული არიან, განაგრძონ შემათანხმებელი პროცედურები. ლოკაუტი არ შეიძლება, გაგრძელდეს 90 კალენდარულ დღეზე მეტხანს. ასევე ლოკაუტის დროს არ არის დამსაქმებელი ვალდებული, მისცეს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება და ლოკაუტიც, გაფიცვის მსგავსად, არ არის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი.

კითხვა: **გთხოვთ, განმიმარტოთ, რა შემთხვევებში შეიძლება, ჩაითვალოს შრომითი ხელშეკრულებით დაკავშირებული მხარიდან კანონით მინიჭებული გაფიცვის, ან ლოკაუტის უფლების გამოყენება უკანონოდ და ვის შეუძლია, უკანონოდ ცნოს გაფიცვა ან ლოკაუტი?**

პასუხი: განგიმარტავთ, უპირველესად, აღსანიშნავია, რომ დაუშვებელია, უშუალოდ სამუშაო პროცესის დროს, გაფიცვის უფლების გამოყენება იმ დასაქმებულთა მიერ, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან, ან ტექნოლოგიური ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია, ამ საქმიანობის შეჩერება. სხვა შემთხვევებში, გაფიცვა ან ლოკაუტი უკანონოდ ჩაითვლება, თუ ერთ-ერთმა მხარემ თავი აარიდა შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობას და ისე მოაწყო გაფიცვა ან ლოკაუტი. უკანონოდ ჩაითვლება ასევე, იმ დასაქმებულთა გაფიცვა, რომლებიც შრომითი ხელშეკრულების მოშლის შესახებ ინფორმირებული იყვნენ დავის წარმოშობამდე. თუ გაფიცვის უფლება წარმოიშვა ვადიანი შრომითი ხელშეკრულების დასრულებამდე, გაფიცვა ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, ასევე უკანონოდ ჩაითვლება. რაც შეეხება უკანონოდ ცნობას, აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, რომელიც დაუყოვნებლივ ეცნობება მხარეებს. სასამართლო გადაწყვეტილება გაფიცვის ან ლოკაუტის უკანონოდ ცნობის შესახებ სრულდება დაუყოვნებლივ.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, რამდენია კანონით დადგენილი შვებულების ვადა წლის განმავლობაში და შეიძლება თუ არა შვებულების ვადის ცალ-ცალკე გამოყენება?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს წელიწადში ანაზღაურებადი შვებულებით არანაკლებ 24 სამუშაო დღით და ანაზღაურების გარეშე შვებულებით – არანაკლებ წელიწადში 15 კალენდარული დღით. ასევე, შრომითი ხელშეკრულებით, შეიძლება განისაზღვროს განსხვავებული ვადები და პირობები, რომლებიც არ უნდა აუარესებდეს დასაქმებულის მდგომარეობას. რაც შეეხება შვებულების ვადის ცალ-ცალკე გამოყენებას, მხარეთა შეთანხმებით, ასევე შეიძლება შვებულების ნაწილ-ნაწილ გამოყენებაც.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ გადაწყდება იმ დასაქმებული მუშების საკითხი, რომლებიც მართალია არ მონაწილეობდნენ თანამშრომელთა გაფიცვაში, მაგრამ სამუშაოსაც ვერ აგრძელებენ გაფიცვის გამო?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ დასაქმებულები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ გაფიცვაში, მაგრამ გაფიცვის გამო ვერ ასრულებდნენ თავიანთ სამუშაოს, დამსაქმებელმა შეიძლება გადაიყვანოს სხვა სამუშაოზე, ან აუნაზღაუროს შეჩერებული სამუშაო დროის პერიოდი სამუშაოს საათობრივი განაკვეთის მიხედვით.

# ინტიმური საუბრები

## ერთი სიყვარულის ისტორია

ყოველთვის ვკითხულობ თქვენს რუბრიკას, რომელშიც თითქმის ყველა ავტორი (იშვიათი გამონაკლისის გარდა) წერს თავისი გაცრუებული სიყვარულის, ღალატის, ორგულობის შესახებ. მე მინდა გიამბოთ ჩემი 80 წლის ბებოს საოცრად რომანტიკული ისტორია. შეიძლება, ეწყინოს კიდეც, მის შესახებ რომ გწერთ, მაგრამ იმედია, მაპატიებს.

სკოლის მოსწავლე რომ იყო, ბებოს ეზოში ცხოვრობდა ერთი სტუდენტი ბიჭი, რომელიც ბებიაჩემს სულ პატარა ასაკიდან შეუყვარდა. ის 15 წლით უფროსი იყო და ლამაზ, განებივრებულ გოგონას, როგორიც პატარა ბავშვს, ისე უყურებდა. ცხადია, ვერც კი ხვდებოდა, რა ცეცხლი ტრიალებდა მის გულში. უბრალოდ, მოსწონდა, როგორც ლამაზი ბავშვი და ყოველთვის, შინ დაბრუნებისას, მისთვის პატარა საჩუქარი მოჰქონდა: ხან კანფეტი, ხან ბუშტი, ხან თოჯინა. ბებიამ სკოლა რომ დაამთავრა, ის ბიჭი (პირობითად ირაკლის დავარქმევ) უკვე კაცი იყო და რუსეთში წავიდა სამუშაოდ, მერე კი იქ დარჩა და რამდენიმე წელი აღარ ჩამოსულა. მისი ორი პატარა ოთახი დაკეტილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ირაკლიმ არაფერი იცოდა ბებოს სიყვარულის შესახებ და არც თვითონ უგრძნობინებია ოდესმე რაიმე მსგავსი, ბებიაჩემს მთელი ამ წლების განმავლობაში ერთი პატარა ფლირტიც კი არავისთან ჰქონია, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ლამაზი გოგო იყო და მომწონებელიც ბევრი ჰყავდა და ხელის მთხოვნელიც. თუ ვინმე ძალიან გაუწყალებდა გულს, ეუბნებოდა, შეყვარებული მყავსო. ერთ დღეს კი დედამისს უპოვია ყუთში სათუთად ჩალაგებული ყველა ის საჩუქარი, რაც კი ირაკლის ბავშვობაში უჩუქებია მისთვის, მიმხვდარა, ვინც უყვარდა მის შვილს და უთქვამს: იმას ტყუილად ელოდები და ტყუილად იტანჯავ თავს. ის შენზე ბევრად უფროსია; ალბათ, უკვე ცოლშვილიც ჰყავს. რამე გრძნობა რომ ჰქონოდა შენ მიმართ, მიგახვედრებდა და მაინცდამაინც ცხრა მთას იქით არ წავიდოდა. ის აქ ჩამომსვლელი აღარ არისო. იმაზე ბებოს უთქვამს: ჩემს სიყვარულს იგრძნობს და დაბრუნდებაო.

ერთ დღეს (მაშინ ბებო უკვე უნივერსიტეტს ამთავრებდა) მეზობლებმა თქვეს, ამ დღეებში ირაკლი ჩამოდისო. იმ ღამით ბებიაჩემმა ძველი გასაღებების უზარმაზარი ასხმულადან ერთ-ერთი მოარგო ირაკლის ოთახის კარს, შევიდა და დედამისის მალულად იქაურობა დააწკრიალა. იმ დღეს კი, როცა ირაკლი უნდა ჩამოსულიყო, რამდენიმე საათით ადრე, გემრიელი სადილი მოამზადა (რაც, მისი აზრით, ირაკლის მონატრებული უნდა ჰქონოდა), მაგიდა გაუწყო, კარი ისევ ჩაკეტა და თვითონ მეგობართან წავიდა. ცხადია, ირაკლი გაოცებული დარჩა იმით, რაც თავის ოთახში დახვდა და დიდხანს ეძებდა „ზღაპრულ ფერიას“, რომელსაც ასე უზრუნია მისთვის, მაგრამ, მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ მიაგნო, ისიც შემთხვევით. მათი ისტორია მართლაც ლამაზი ზღაპარივით დამთავრდა, უფრო სწორად – გაგრძელდა. ისინი დაქორწინდნენ და საოცრად უყვარდათ ერთმანეთი. ბაბუა სიცოცხლის ბოლომდე აღმერთებდა ბებოს და აღფრთოვანებული იყო მისით.

ბაბუა რომ გარდაიცვალა, ბებო 76 წლის იყო, ბაბუა – 91-ის, მაგრამ, ისე განიცადა, კინაღამ თან გაჰყვა. ბაბუამ სიკვდილის წინ მითხრა, ღმერთს ვყვარებივარ, ბებიაშენი რომ შემახვედრა ცხოვრებაშიო. ბებოც სულ ამ სიტყვებს მეუბნება ხოლმე და დღემდე ცოცხალივით უყვარს ქმარი.

**ირმა, 26 წლის.**

## როგორ დავკარგე ნამდვილი სიყვარული

თქვენი ჟურნალის წინა ნომერში წავიკითხე 15 წლის გოგონას წერილი, რომელშიც წერდა, რომ უყვარდა ბავშვებში არაპოპულარულ თანაკლასელ ბიჭს და, მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც ჰქონდა მის მიმართ გრძნობა, რადგან ბევრ ღირსებას ხედავდა მასში, მაინც თავს არიდებდა იმის შიშით, რომ ბავშვებს ისიც არ აეთვალწუნებინათ. ამ წერილის წაკითხვისთანავე გადავწყვიტე, მეც მომეწერა თქვენთვის წერილი, უფრო სწორად კი, ამ წერილით 15 წლის მაკას მინდა მივმართო. მე მას არაფერს ვურჩევ, არც ჭკუას ვასწავლი, უბრალოდ, ჩემს ამბავს მოვუყვები.

თითქმის ასეთივე ისტორია გადამხდა მეც ახალგაზრდობაში. მაშინ მეც მაკას ხნის ვიყავი და შევუყვარდი ბიჭს, რომელსაც მთელი უბნის ბიჭები ამრეზით უყურებდნენ. ამ შემთხვევაშიც დაახლოებით იგივე მიზეზი იყო: ოთო არასდროს იდგა ბირჟაზე, სწავლობდა კარგად, არაჩვეულებრივად ხატავდა და, რაც მთავარია, უვლიდა მოხუც ბებოს და უმცროს ძმას. ოთოს დედა გარდაცვლილი ჰყავდა, მამა კი ცალკე ცხოვრობდა მეორე ცოლ-შვილთან ერთად. მართალია, შვილებს ხანდახან აკითხავდა და, ალბათ, მატერიალურადაც ეხმარებოდა, მაგრამ ბიჭები ძირითადად მარტონი იყვნენ მოხუც ბებიასთან.

ოჯახების „კასტებად“ დაყოფა სიმდიდრისა და თანამდებობების მიხედვით მაშინაც იყო და, თავისი „მონაცემებიდან“ გამომდინარე, ოთო პოპულარული ბიჭი ნამდვილად არ იყო, მით უმეტეს, რომ არ უყვარდა ქუჩაში უსაქმოდ დგომა და ძველბიჭობა (მაშინ ვინც შეძლებული ოჯახიდან არ იყო, ამ გზით ცდილობდა ავტორიტეტის მოპოვებას და, სხვათა შორის, მათი უმრავლესობა ამას ახერხებდა კიდეც).

მოკლედ, ოთოს ვუყვარდი და არც ცდილობდა თავისი გრძნობის დამალვას. ჩვენ პარალელურ კლასებში ვსწავლობდით და ხშირად ერთად გვიწევდა სკოლაში სიარული, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მსიამოვნებდა მასთან საუბარიც (ძალიან ნაკითხი ბიჭი იყო) და ელემენტარული ურთიერთობა, მას შემდეგ, რაც ერთხელ უბნის უსაქმურებმა ერთად დაგვინახეს სკოლიდან მომავლები და ოთოს დაცინვა დაუწყეს – ნახე, ბიჭო, რომეო მოდისო, ამან კი პასუხი არ გასცა, მე ეს ვითაკილე და ვუთხარი, ჩემთვის ხმის გაცემაც აღარ გაბედო-მეთქი. მას მერე დიდხანს ცდილობდა ჩემთან შერიგებას, ბოდიშიც მომიხადა, მაგრამ მე სამუდამოდ ჩამოვიშორე. ოთომაც დამანება თავი და სულ მარტო დადიოდა. ერთი-ორი თვის შემდეგ კი ვიგრძენი, როგორ მაკლდა მასთან ურთიერთობა, მაგრამ, სიამაყეს ვერ ვძლიე და, მიუხედვაად იმისა, რომ ვიცოდი, ისევ ვუყვარდი, მაინც არ დაველაპარაკე, არ გადავდგი შერიგებისკენ პირველი ნაბიჯი და ასე სამუდამოდ დავშორდით. დედაჩემს ჩვენი დაშორება ძალიან უხაროდა, რადგან, სულ იმას ჩამჩიჩინებდა, რაში გჭირდება ეგ უპატრონო ბიჭი, მაგან ოჯახს როგორ უნდა მოუაროს, თვითონაც შიმშილით უხმება კუჭიო.

ერთი წლის შემდეგ ოთოს ბებია გარდაეცვალა, მამამისმა ბინა გაყიდა და შვილები თავისთან წაიყვანა. მას მერე ისე გავიდა თხუთმეტი წელი, ოთოზე არაფერი გამიგია. გარდა იმისა, რომ ნიჭიერ ახალგაზრდა მხატვრად იყო აღიარებული და ძირითადად უცხოეთში მოღვაწეობდა. მე სულ ვფიქრობდი მასზე და ვნანობდი ჩემს საქციელს, მით უმეტეს, რომ პირადი ცხოვრება ვერ ავაწყვე – ქმარს გავშორდი და მარტო ვზრდიდი ორ შვილს.

ერთ დღეს კი მეგობარმა მითხრა, ოთოა ჩამოსული და თბილისში აწყობს გამოფენასო. რა თქმა უნდა, წავედი – ძალიან მაინტერესებდა, მართლა ასეთი ნიჭიერი მხატვარი თუ იყო, როგორც მასზე ლაპარაკობდნენ. სიმართლე გითხრათ, გულის სიღრმეში, ალბათ, მინდოდა კიდეც მისი ნახვა, მაგრამ, იმდენად მრცხვენოდა მისთვის თვალებში შეხედვა, გადაწყვეტილი მქონდა, მაქსიმალურად ამერიდებინა თავი მასთან შეხვედრისთვის. თუმცა, ეს შეხვედრა მაინც შედგა და ეს იყო შოკი: გამხდარი შავი ბიჭის ნაცვლად, ჩემ წინ იდგა სიმპათიური, წარმოსადეგი მამაკაცი, რომელიც სევდიანად მიღიმოდა. მაგრამ, მთავარი შოკი დარბაზში დამემართა: გამოფენის ერთი კედელი თითქმის ჩემი პორტრეტებით იყო სავსე. ყველა უაღრესად ნიჭიერად შესრულებული ტილო იყო, მაგრამ ერთმა განსაკუთრებით მომხიბლა – ყვავილებით სავსე მინდორში ვიდექი ქარისგან თმააწეწილი და ვიცინოდი. დიდხანს ვიდექი ამ ნახატის წინ, მერე კი ჩუმად წამოვედი სახლში.

მეორე დღეს ვიღაც ბიჭმა ტილოში გახვეული რაღაც მოიტანა ჩემს სახლში და მითხრა, თქვენთან გამომატანესო. რომ გავხსენი ჩემი სურათი იყო – მინდორში რომ ვიდექი. პატარა კონვერტში პაწაწინა ფურცელი იდო, რომელზეც ერთადერთი სიტყვა ეწერა: „სახსოვრად“...

მას მერე ოთო აღარ მინახავს. როცა თბილისში აწყობს გამოფენას, არ მივდივარ – რად მინდა, ტყუილად გული გავიხეთქო. ისიც არ მეხმიანება, რადგან, იმ ქვეყანაში, სადაც დასახლდა, ცოლ-შვილი ჰყავს.

ასე დავკარგე პირველი, ყველაზე გულწრფელი და დიდი სიყვარული ჩემი სისულელის გამო, რაშიც, სხვათა შორის, დედაჩემმაც ითამაშა დიდი როლი. მართალია, ახლა ძალიან ნანობს, მაგრამ, რაღა დროსია.

**თინა, 41 წლის.**







**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

**ნინო და თაკო გაჩეჩილაძეები მაყურებელმა და მსმენელმა უკვე დიდი ხანია შეიყვარა. მათ შესახებ ყოველთვის ყველაფერი აინტერესებთ და დიდი ცნობისმოყვარეობით ადევნებენ თვალს როგორც მათ პირად ცხოვრებას, ასევე შემოქმედებით სიახლეებს. ჩვენი რესპონდენტებისგან შეიტყობთ, თუ როგორ ცხოვრობენ, როგორია მათი დედმამიშვილური ურთიერთობა და მომავლის გეგმები.**

# რატომ წამოვიდა ნინო გაჩეჩილაძე სერიალიდან დროულად და რა ასწავლა თაკო გაჩეჩილაძეს პირველმა ქორწინებამ

**– ხშირად დედმამიშვილები პატარა ასაკში არცთუ ისე შეხმატკბილებულად ცხოვრობენ და შიგადაშიგ ჩხუბიც „შემოერევათ." თქვენს შემთხვევაში როგორ იყო?**

**ნინო**: ბავშვობაში, რა თქმა უნდა, რაღაც სისულელეებზე ჩვენც ვჩხუბობდით, ახლა კი ასეთი რამ საერთოდ აღარ ხდება ჩვენ შორის. რა გვაქვს გასაყოფი, რაზე უნდა ვიჩხუბოთ? შეიძლება, ვიკამათოთ რაღაც საკითხებზე რაც, საბოლოო ჯამში, გარკვეულ კონსენსუსამდე მიდის. ასე რომ, ბავშვობის შემდეგ ჩვენ შორის არანაირი უთანხმოება არ მომხდარა.

**– რომელი უფრო დამჯერი შვილი ხართ?**

**თაკო**: ამბობენ, რომ მე. ნინო ბავშვობაში ძალიან ჯიუტი და გიჟი იყო, ყველაფერს ანგრევდა, გიჟობდა და სულ მაიმუნობდა. მე ძალიან მოკრძალებული და დამჯერი ბავშვი ვყოფილვარ. დედაჩემი მეუბნება ხოლმე, შენნაირ შვილიშვილს დიდი სიამოვნებით გავზრდიდიო.

**– თქვენ შორის სამი წელია სხვაობა, რაც, ასაკის მატებასთან ერთად, როგორც წესი, აღარ იგრძნობა ხოლმე.**

**ნინო**: რაც წლები გვემატება, ჩვენი ასაკი თითქოს გათანაბრდა. რა თქმა უნდა, სამი წელი რაღაცას ნიშნავს, მაგრამ, თაკოს, გარკვეულწილად, უფრო მეტი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს – ოჯახი ჰქონდა და იცის, რას ნიშნავს ეს პასუხისმგებლობა. მე არც ოჯახი მქონია და დიდად გამოცდილებაც არ მაქვს ამ საკითხში. ამიტომ, თაკო ხშირად მაძლევს ისეთ რჩევას, რომლის გათვალისწინება ნამდვილად ღირს, რადგან, რა შეცდომებიც თვითონ დაუშვა, არ უნდა, რომ მეც იგივე გავიმეორო. ამიტომ, ვცდილობ, გავითვალისწინო, თუმცა, საბოლოო ჯამში, გადაწყვეტილებას მაინც მე ვიღებ.

**– თაკო, უფროსი დის რჩევებს ითვალისწინებ?**

**თაკო**: ნინოს რჩევებს, რა თქმა უნდა, ვისმენ და ვითვალისწინებ. ზოგადად, იცი, როგორი ადამიანი ვარ? ძალიან ახლო მეგობრებსა და ოჯახის წევრებს ვეკითხები რჩევას, მაგრამ, გადაწყვეტილებას მაინც თვითონ ვიღებ. შეიძლება, კარგი სულაც არ არის, მაგრამ, არ არსებობს, სხვის ჭკუაზე ვიარო. ასეთი ჯიუტი ხასიათი მაქვს.

**ნინო**: თაკო ძალიან ჯიუტია, შეიძლება, საერთოდ არავის არ დაუჯეროს, მაგრამ, როცა რაღაცას ვეუბნებით მე და დედა, ეს ყველაფერი მის ცნობიერებაში მაინც ილექება. ასე რომ, შეიძლება, არ გვიჯერებს, მაგრამ, ბოლოს მაინც მიდის იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ მართლები ვიყავით. მოკლედ, ცდილობს, დაგვიჯეროს, მაგრამ, ხან გამოსდის, ხან – არა.

**– მაყურებელი დებ გაჩეჩილეძეებს კარგად გიცნობთ და ბევრი გულშემატკივარიც გყავთ. თაკო, ნინო რომ შენი მსმენელია, ამაში დარწმუნებული ვარ, მაგრამ, შენ თუ იყავი „ჩემი ცოლის დაქალების" მაყურებელი?**

**თაკო**: საკმაოდ მკაცრი შემფასებელი ვიყავი ნინოსთვის, მაგრამ, უფრო მეტად მაინტერესებდა, მაყურებელი როგორ მიიღებდა. ნინო ძალიან ნიჭიერი და აქტიური მსახიობი რომ იყო თეატრში, ეს ნინოს მეგობრებმა და ოჯახის წევრებმა ვიცოდით, მაგრამ, ვინც თეატრის მაყურებელი არ არის, არ იცოდნენ. ძალიან გამიხარდა, რომ ამ სერიალით მაყურებლის უმეტესობამ გაიცნო ის. იმის გარდა, რომ ხალხმა ძალიან შეიყვარა და მიიღო კატოს პერსონაჟი, ძალიან მიხაროდა, რომ ნინო მათთვის გივის შვილი ან თაკოს და კი არ იყო, ან, უბრალოდ, ლამაზი გოგონა, არამედ, ყველა მეუბნებოდა, რომ ძალიან ნიჭიერი და კარგი მსახიობიაო. რა თქმა უნდა, ამით მთელი ოჯახი ძალიან ამაყები ვართ. მართლა არ შეიძლებოდა, ასეთი ლამაზი და ნიჭიერი გოგო დაკარგულიყო.



**თაკო: „ძალიან მიხაროდა, რომ ნინო მაყურებლისთვის გივის შვილი ან თაკოს და კი არ იყო, ან, უბრალოდ, ლამაზი გოგონა, არამედ, ყველა მეუბნებოდა, ძალიან ნიჭიერი და კარგი მსახიობიაო"**

**– როგორც ვიცი, ნინოც მღერის. დუეტის ჩაწერა არ გიცდიათ?**

**თაკო**: ბავშვობაში ვმღეროდით, გუნდში ერთად დავდიოდით. ნინო ბევრ ქართველ მომღერალზე კარგად მღერის, ძალიან კარგი სმენა და ნორმალური ხმა აქვს. სიმღერა რომ გადაწყვიტოს, ძალიან კარგი მომღერალი იქნება, მაგრამ, არ უნდა, ამის სურვილი არ აქვს. სახლში თავისთვის მღერის.

**– ნინო, რამდენიმე თვეა, ცალკე გადახვედი საცხოვრებლად. არ გაგიჭირდა ოჯახის გარეშე ყოფნა?**

**ნინო**: ჩემს მშობლებთან ყოველდღე დავდივარ, ამიტომ მათთან განშორების შეგრძნება საერთოდ არ მაქვს. ჩვენი აუცილებელი პირობა სწორედ ის არის, რომ მშობლები ყოველდღე მოვინახულო.

**თაკო**: ნინოსთან ხშირად დავდივარ და ვრჩები კიდეც. აი, დედაჩემს პირველად ძალიან გაუჭირდა ნინოს ცალკე გადასვლა და გული უჩუყდებოდა. ამბობდა, მარტო რომ არის, სულ მგონია, მოწყენილიაო.

**– რით ჰგავხართ ერთმანეთს?**

**თაკო**: ამბობენ, რომ ერთმანეთს არ ვგავართ, მაგრამ, ვინც ახლოს გვიცნობს, აუცილებლად საპირისპიროს იტყვის. თუმცა, ნინო ზედმეტად წესრიგის მოყვარულია, მე კი უფრო თავისუფალი ადამიანი ვარ და საკუთარი წესებით ვცხოვრობ.

**– ნინო, ამჟამად რით ხარ დაკავებული, გარდა თეატრისა?**

– კინოში მაქვს ძალიან საინტერესო შემოთავაზება. გეგმის მიხედვით, გადაღებები ზაფხულის ბოლოს უნდა დაიწყოს, თუმცა, ყველაფერი ისევ და ისევ ფინანსებთან არის დაკავშირებული. იმდენად სერიოზული და გრანდიოზული პროექტია, მგონი, რეჟისორს დაფინანსებაზე უარი არ უნდა უთხრან. რა ფილმზეა საუბარი, ჯერჯერობით ვერ გავამხელ. იმდენად საჭირო ფილმი იქნება საქართველოსთვის, რომ, წესით, დაფინანსებაზე უარი არავინ არ უნდა თქვას.

**– პირად ცხოვრებაში რაიმე სიახლე ხომ არ გაქვთ?**

**ნინო**: სამწუხაროდ, ჯერჯერობით არა, ისევ ისეთი მშვიდი სიტუაციაა. რა თქმა უნდა, თაყვანისმცემლები ყოველდღე მწერენ „ფეისბუქზე", მეკონტაქტებიან, კომპლიმენტებით მავსებენ და ამ ყველაფრისთვის ძალიან დიდი მადლობელი ვარ. თუმცა, მაინც მგონია, რომ პირადული საკითხები ზევით წყდება და, რაც არ უნდა დიდი ძალისხმევა გამოიჩინო, შეიძლება, ამ ძალისხმევამ არანაირი შედეგი არ გამოიღოს, რადგან, ყველაზე საინტერესო რაღაცეები მაინც სპონტანურად ხდება. სპონტანური შემთხვევები კი, ჩემი აზრით, ზემოთ არის დაგეგმილი – მე ამის მჯერა. როცა რაღაც სერიოზული იქნება, რა თქმა უნდა, არ დაგიმალავთ და გეტყვით.

**თაკო**: ხალხს როგორც არ უნდა გაუკვირდეს, ჩემს პირად ცხოვრებაშიც მართლა არაფერი ხდება. ისეთ ადამიანად ჩამოვყალიბდი, მივხვდი, რომ ნერვიულობის ფასად არაფერი არ ღირს ოჯახის გარდა. ყოველთვის ვამბობ, რომ, რადგან დღეს ოჯახი არ მაქვს, ესე იგი ამისთვის ჯერ მზად არ ვარ. ზევიდან „სიგნალი" აუცილებლად იქნება, რასაც, არ მინდა, რომ გავუსწრო. ერთხელ გავუსწარი და შეცდომა დავუშვი. მინდა, იმასთან შევქმნა ოჯახი, ვინც ნამდვილად იქნება ჩემი ღირსი და მივხვდები, რომ ეს ის არის, ვისაც ამდენ ხანს ველოდი. ამიტომაც არ ვჩქარობ.

**– რომელი უფრო პრეტენზიული ხართ?**

**თაკო**: ორივე ძალიან პრეტენზიულები ვართ, მაგრამ, პირადში – ნინო უფრო. მას სჯერა რომ არსებობს პრინცი, რომელიც აუცილებლად მოვა. მე კი, ჩემი გათხოვებისა და მერე გაშორებიდან გამომდინარე, მივხვდი, რომ ასე არ არის და მიწაზე დავეშვი. იდეალური მამაკაცები რომ არ არსებობენ მივხვდი და, შევეგუე, რომ ყველა ერთნაირია. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენ თვითონ არ ვართ იდეალურები.

**ნინო**: თაკო ადრე საერთოდ არ იყო პრეტენზიული, მაგრამ, მგონი, უკვე ჩემზე პრეტენზიული გახდა. მისთვის მამაკაცის ვიზუალურ მხარეს

**ნინო: ბევრს უკვირს, რომ გათხოვილი არ ვარ და არც შეყვარებული მყავს. ეს მარტო ჩვენს ძალისხმევაზე არ არის დამოკიდებული, ყველაფერი ღმერთმა უნდა ინებოს**

აღარ აქვს მნიშვნელობა. თავისი პირველი ქორწინებიდან გამომდინარე, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მამაკაცის ვიზუალური მხარე და გარეგნობა არაფერს ნიშნავს. მისთვის ეს საკითხი ყველაზე ბოლო ადგილზეა. მთავარია, მამაკაცი შემდგარი და დამოუკიდებელი ადამიანი იყოს. თუ იქნება გავლენიანი, ხომ კარგი. ძლიერი პიროვნება უნდა იყოს. საბოლოო ჯამში, მეც იმ დასკვნამდე მივედი, რომ არ არის სავალდებულო, მამაკაცი ალენ დელონი იყოს, თეთრ ცხენზე ან თეთრ „ფერარიზე" ამხედრებული პრინცი, მთავარია, იყოს

(გაგრძელება 34-ე გვერდზე)

# პირველი Samsung Galaxy S4 – „შენი ცხოვრების კომპანიონი“ – უკვე საქართველოშია!

პირველი Samsung Galaxy S4 უკვე საქართველოშია და საბურთალოს ქუჩაზე მდებარე „ალტას“ შოურუმში განთავსდა. ტექნოლოგიურ სამყაროში წლის უმნიშვნელოვანეს მოვლენას Samsung-ის სმარტფონს Galaxy S4-ს დაცვის თანხლებით აეროპორტში დახვდნენ და 30-მანქანიანი საგანგებო კორტეჟით, დროშების ფრიალითა და „პეტარდების“ იასამნისფერი კვალით მიაცილეს „ალტას" საბურთალოს მაღაზიაში, სადაც ხალხი მას დილიდან ელოდებოდა. სახალისო და მასობრივი გათამაშების შემდეგ პირველი Galaxy S4-ის მფლობელი სტუდენტი რუსუდან ტყემალაძე გახდა.



– 24 აპრილიდან დაიწყება წინასწარი შეკვეთების კამპანია, რომლის ფარგლებშიც მომხმარებლებს შეეძლებათ, გააკეთონ წინასწარი შეკვეთები Samsung Galaxy S4-ზე ექსკლუზიურად „ალტას“ მაღაზიაში და 29 აპრილს, ოფიციალურ გაყიდვებამდე 10 დღით ადრე, მიიღონ სმარტფონი „სამსუნგის“ ინოვაციურ აქსესუართან ერთად. სმარტფონის ღირებულება 1 499 ლარი იქნება; ამ თანხის სრულად დაფარვის შემთხვევაში, მომხმარებელი სახლში მიტანის უფასო სერვისით ისარგებლებს, – აცხადებს „ალტას“ დირექტორი ირაკლი კაკაბაძე.











Galaxy S4 მისი წინამორბედი მოდელის –Galaxy S3-ის ყველა ღირსებით არის აღჭურვილი, მაგრამ, ამავდროულად, იმდენი ტექნოლოგიური ინოვაცია აქვს დამატებული, რომ მას არა მხოლოდ წინამორბედზე, არამედ, ბაზარზე არსებულ ყველა სხვა სმარტფონზე ერთი თავით მაღლა აყენებს. Galaxy S3-მა თავის მხრივ უდიდეს წარმატებას მიაღწია და მსოფლიო მასშტაბით 40 მილიონზე მეტი ოდენობით გაიყიდა.

ახალი მოდელის Galaxy S4-ის მეშვეობით 5-დუიმიან ეკრანზე ინტერნეტგვერდების გადაფურცვლა შეხების გარეშე, მზერითაა შესაძლებელი. სმარტფონს აქვს დახვეწილი დიზაინი, დიდი ეკრანი და გამძლე ელემენტი, წინამორბედზე უფრო თხელია (7,9 მილიმეტრი) და მსუბუქი (130 გრამი). ამ ეტაპზე გაიყიდება მხოლოდ ორი ფერი: შავი და თეთრი.

სმარტფონს გააჩნია მსოფლიოში პირველი Full HD რეზოლუციის Super AMOLED ეკრანი, რომელიც საუკეთესო ხარისხის გამოსახულებას უზრუნველყოფს. მის 5-დუიმიან ეკრანს გააჩნია 441 პიქსელ/დუიმიანი ჩვენების PPI ხარისხი. ორივე მხარეს განლაგებულ კამერებს აქვს ერთდროულად გადაღების ფუნქცია. ძირითადი კამერა იღებს 13 მეგაპიქსელს, ხოლო ფრონტალური კამერა – 2 მეგაპიქსელამდე გაფართოებით. სმარტფონი იღებს ერთდროულად ფოტოსა და ვიდეოს. გადაღების 8 სხვადასხვა რეჟიმის საშუალებით შესაძლებელია ორი კამერის მიერ გადაღებული სურათების ერთში გაერთიანება, ორმაგი კამერა კი საშუალებას იძლევა, ვიდეოზარის განხორციელებისას დაენახვოთ მოსაუბრეს და, ამავდროულად, აჩვენოთ ის გარემო, სადაც იმყოფებით.









ნამდვილად რევოლუციურია ტექნოლოგია, რომელიც იძლევა საშუალებას, მართო სმარტფონი ეკრანზე შეხების გარეშე. მაგალითად, თუ მომხმარებელი მოწყვეტს მზერას და მას აღარ უყურებს, ვიდეო თავისით პაუზდება. სმარტფონი აანალიზებს მაჯისა და მზერის მოძრაობას, რის შედეგადაც თავად ფურცლავს ელექტრონულ წერილებს ან ინტერნეტ-გვერდებს.





Galaxy S4-ს Samsung-ის ინჟინრებმა სურათიდან არასასურველი ობიექტების ან ადამიანების წაშლის, ანიმაციური ფაილებისა და სერიული გამოსახულებების ფუნქციებიც რეალობად აქციეს.

Galaxy S4-ის მფლობელს, სურვილისამებრ, შეუძლია, სმარტფონის საშუალებით აკონტროლოს თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობაც: დისპლეიზე მუდმივად ჰქონდეს წნევისა და სისხლში შაქრის დონის შესახებ ინფორმაცია, ასევე, გამოიყენოს ბარომეტრი და თერმომეტრი.





Galaxy S4 აპრილის ბოლოსთვის 155 ქვეყანაში გაიყიდება, საქართველოში კი უკვე 24 აპრილიდან იქნება ხელმისაწვდომი. Galaxy S4-ის სლოგანია – „შენი ცხოვრების კომპანიონი“.

# რაში გამოიხატება ქალის მიერ მამაკაცის „გამოჭერა“ და ხდება, თუ არა ამას მამაკაცი

**ქალი იბადება იმისთვის, რომ ჰქონდეს ოჯახი, ჰყავდეს მეუღლე და შვილები. ეს სურვილები ქალში ბუნებამ „ჩაამონტაჟა“. ამიტომ, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ქალების უმრავლესობას, ეგრეთ წოდებულ თავისუფალ ურთიერთობას, ქორწინებაში ყოფნა ურჩევნია. მამაკაცს აფრთხობს ქალის ეს თვისება. ის მიდრეკილია პოლიგამიისკენ. უჭირს ჩარჩოებში ყოფნა და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე სრულად აღება. აშინებს ეს პასუხისმგებლობაც. ყველაფერი ეს კი განაპირობებს, რომ ხდება ურთიერთობაში გაურკვევლობა... დაძაბულობა და გაუგებრობა... კონფლიქტიც კი. ქალი ან უკან იხევს და მორჩილად ელის მამაკაცის გადაწყვეტილებას, ან ურთიერთობა მთავრდება, ან ქალი მიდის „ვაბანკზე“ და ინიციატივას საკუთარ თავზე იღებს.**



*ია (32 წლის):* როგორ მეგონა, რომ ყველაფერი კარგად გავთვალე, თითქოს ყველა ნიუანსი გავითვალისწინე და „ჰეფი ენდი“ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც არაფერი გამომივიდა. ვარ იმედგაცრუებული და გულნატკენი...

**– თქვენ ასე სიყვარულზე ლაპარაკობთ?**

– დიახ. სიყვარულს სჭირდება ფიქრი და ანგარიში, სწორედაც. არ არის ისე მარტივად საქმე, როგორც წიგნებში წერენ და ფილმებში იღებენ. „შიშველი“ გრძნობა დამღუპველია, მით უმეტეს, ქალისთვის, რომელიც სრულიად დაუცველია. საზოგადოებრივი აზრი, მამაკაცი თავად და მთელი მისი სამეგობრო-სანათესაო მის წინააღმდეგ – ქალის წინააღმდეგ არის მიმართული. ამიტომ, უნდა იბრძოლო, გააფთრებული ბრძოლით უნდა მოიპოვო შენი წილი ბედნიერება.

**– ანუ, ქალმა უნდა იბრძოლოს ბედნიერებისთვის?**

– თუკი ბედნიერება გათხოვებაშია, რატომაც არა?! ადამიანი ხომ ბედნიერებისთვის იბადება. მით უმეტეს, სიყვარულისთვის ყოველთვის იბრძოდნენ.

**– გააჩნია, რა მეთოდებით.**

– ამბობენ, ომსა და სიყვარულში ყველა მეთოდი გამართლებულიაო. საკუთარ ღირსებას არ უნდა გადააბიჯო, თორემ ქალისთვის პატარ-პატარა ხრიკების გამოყენება ნორმალურია და დასაშვები. ოცდაათი წლის ვიყავი, ვახო რომ გავიცანი. თავიდან ურთიერთობის გაღრმავებაზე არ ვფიქრობდი. ორი წლით იყო ჩემზე უმცროსი და რაღაც კომპლექსივით მქონდა. უფრო სწორად – შიში. ვფიქრობდი, ჩემზე უმცროს მამაკაცთან სერიოზული ურთიერთობა არ გამომივა-მეთქი. სტერეოტიპები მაინც თავისას შვრება. მერე საკუთარ თავს ვუთხარი – არაჩვეულებრივად გამოიყურები. ვერავინ ხვდება შენს ჭეშმარიტ ასაკს. წარმატებული ხარ და დამოუკიდებელი, გვერდით გაკლია საყვარელი მამაკაცი. თავი კი არ უნდა შეიკავო, უნდა აილო ის, რასაც ბედი გაძლევს-მეთქი. ბოლო დროს მამაკაცთან სტაბილური ურთიერთობის მოთხოვნილებას ვგრძნობდი. ეტყობა, ქალი მაინც მიდრეკილია ოჯახის შექმნისკენ. ვერ ვხვდები, ამაში რა არის ცუდი, ან დასაძრახი. მამაკაცები ამას, რატომღაც, ნაკლად გვითვლიან. ხშირად გამიგონია, როგორი ირონიით ამბობენ – ყველა ქალი გათხოვებისთვის იკლავს თავს. ოღონდ საქორწინო კაბა ჩააცვი და ყველაფერზე თანახმააო.

**– იქნება, მართლაც ასეა. იქნებ გათხოვების ხიბლი ისეთი ძლიერია, რომ ამის გავლენით, ქალი ხშირად ულის მამაკაცს ირჩევს პარტნიორად?**

– ვერ გეტყვით. საკმაოდ რთული შეკითხვაა. დაგეთანხმებით, რომ ქალი ხშირად ბრმად ენდობა გულის კარნახს. ქალი ხომ უფროა მიდრეკილი თავგანწირვისკენ. სიყვარულისთვის მსხვერპლის გაღება ქალს გაცილებით დაუფიქრებლად შეუძლია. მე ერთი წარმატებული სიყვარული მქონდა ჩემს პრაქტიკაში. მართალია, არც ისეთი ძლიერი, მაგრამ მამაკაცის მენტალობაზე გარკვეული წარმოდგენა შემექმნა. თავს იკლავდა ვითომ, ისე ვუყვარდი, მაგრამ, როგორც კი სიტყვა ქორწინებასა და ოჯახზე დავძარი, მაშინვე გაქრა. თავისი საქციელი როგორმე რომ გაემართლებინა, რაღაც ესემესი მომწერა – ოჯახის შექმნისთვის ჯერ მზად არ ვარ და არ მინდა, იმედი გაგიცრუოო. ანუ, ამ შემთხვევაშიც კი, შენ კარგად ყოფნაზე ვზრუნავო. რა სასაცილოები არიან კაცები და როგორი სამარცხვინოები.

**– ანუ, მამაკაცი – თითქმის ყველა – ქორწინებას გაურბის?**

– ასეა, ძალიან გაგიჟებული უნდა იყოს სიყვარულით, რომ ქორწინების ინიციატორი გახდეს. ამ შემთხვევაშიც კი, ნებისმიერ მომენტში, შეიძლება, გადაიფიქროს. ოჯახს ადვილად ქმნიან ოცი-ოცდაერთ წლამდე ასაკის მამაკაცები. მაგრამ, მათი ეს ნაბიჯი იმდენად გაუაზრებელი და უპასუხისმგებლოა, რომ რისკს შეიცავს. სამწუხაროდ, კაცი ის არსებაა, რომელმაც ზუსტად არასოდეს იცის, რა უნდა. მით უფრო, პირად ურთიერთობაში.

**– მამაკაცები საპირისპიროს ამტკიცებენ.**

– რომ ქალებმა არ ვიცით, რა გვინდა? – როგორ გეკადრებათ. ჩვენ ზუსტად ვიცით, რა გვინდა. კაცებს ჭკუა რომ ჰქონდეთ, მიხვდებოდნენ, ოჯახი უპირველესად მათთვის არის კომფორტი და სასიკეთო. მაგრამ, გამოკიდებულები არიან უაზრო თავისუფლების ხიბლს და აღმა-დაღმა დაბოდიალობენ. ბოლოს მაინც ყველას მომვლელი და ცხელი წვნიანი უნდა. იმაზე არ ფიქრობენ, რომ ეს ყველაფერი უნდა დაიმსახურო. ჩემი შეყვარებული და მე შესანიშნავად ვუგებდით ერთმანეთს, თითქმის უსიტყვოდ. პროფესიაც თითქმის ერთნაირი გვაქვს, ჰობი, შეხედულებები... ამიტომ, დარწმუნებული ვიყავი, რომ მასაც ისევე უნდოდა ოჯახი, როგორც მე. მთელ თავისუფალ დროს ერთად ვატარებდით. ცხოვრებასაც ერთი ჭრილიდან ვუყურებდით...

**კაცები ირონიით ამბობენ – ყველა ქალი გათხოვებისთვის იკლავს თავს, ოღონდ საქორწინო კაბა ჩაიცვას და ყველაფერზე თანახმააო**

**– საუბრობდით საერთო მომავალზე?**

– ზოგადად – კი, კონკრეტულად – არა! იმიტომ კი არა, რომ მისი დაფრთხობისა და გაქცევის მეშინოდა. უბრალოდ, ვფიქრობდი, ისედაც ხომ ყველაფერი გარკვეულია-მეთქი. ქორწინება უკვე ძალიან მინდოდა. ვინც ფიქრობს, რომ ეს ცუდია, დამძრახოს. ვაღიარებ, ქორწილზე ვოცნებობდი და გულახდილად გეუბნებით, დარწმუნებული ვარ, რომელი ქალიც ქორწილზე არ ოცნებობს, ის დებილია ან იტყუება.

**– მამაკაცებს არ მოსწონთ ის, რომ ქალი დაქორწინების გეგმებს მათ გარეშე, დამოუკიდებლად აწყობს და კაცს „პოსტფაქტუმ“ აყენებს ამის წინაშე.**

– ეგ მათი – კაცების სუბიექტური აზრია. რას ნიშნავს „პოსტ-ფაქტუმ“? – როცა სულ ამ ადამიანთან ხარ, როცა მის ავსა და კარგს იზიარებ, როცა ზრუნავ იმაზე, რომ კომფორტი შეუქმნა – რას ნიშნავს ეს ყველაფერი?! კიდევ ლაპარაკი სჭირდება ურთიერთობის გარკვევა-დაკონკრეტებას? მე ვკითხე, რა აზრის იყო ოჯახის შექმნაზე, როცა ურთიერთობას ის იყო ვიწყებდით და დადებითი პასუხი მივიღე. ეს უკვე მერე დაიწყო: „რა გვეჩქარება“, „რა გვეჩქარებაო“ ძახილი და ლამის გამაგიჟა. სულელურ კითხვებს მისვამდა: დარწმუნებული ხარ, რომ ერთმანეთს შევეფერებით? იქნებ ახლა გვეჩვენება, რომ კარგად ვუგებთ ერთმანეთს, მერე კი ორივე ვინანებთ... ექვსი თვის განმავლობაში სრული ჰარმონია გვქონდა და რაღა ქორწინების მერე დავჭამდით ერთმანეთს?

**– ერთ ჭერქვეშ ცხოვრება მაინც სხვაა. შეიძლება, გიჟდებოდე ადამიანზე, ისე გიყვარდეს, მაგრამ მასთან ერთად ვერ იცხოვრო...**

– მაგრამ, ჯერ უნდა იცხოვრო მასთან ერთად, რომ ამას მიხვდე, ხომ მართალია? ნებისმიერ შემთხვევაში, ქორწინება გამართლებაზეა. ადამიანს მხოლოდ ოჯახში გაიცნობ სრულად და ბოლომდე. ცეცხლი არ აანთო და გაიყინო იმის შიშით, რომ ვაიმე, ხელი დამეწვებაო – იდიოტიზმია. მიმაჩნია, რომ ქალმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, ურთიერთობის ლოგიკურ დასასრულამდე მისაყვანად, თუკი ხვდება, რომ ეს ურთიერთობა ამად ღირს.

**– ამას როგორ უნდა მიხვდე?**

– მიხვდები. არაფერია ამაში განსაკუთრებული. ჩემი ქმარი დღეს ამბობს, რომ მე შანტაჟით ვაიძულე, ცოლად შევერთე და თუკი მიღალატებს, სინდისი სუფთა ექნება. მსგავსი სისულელე გსმენიათ? მაგრამ, ასეთია მამაკაცის ლოგიკა.

**– შანტაჟი რას ნიშნავს?**

– გეტყვით. არგუმენტი ასეთი აქვს – მე ქორწინებისთვის მომწიფებული არ ვიყავი. შენ მაიძულე და გადამადგმევინე ნაბიჯი, რომელიც ბოლომდე არ მინდოდა. არჩევნის წინაშე დამაყენე და გამოვიდა, რომ ჩემზე ინადირეო. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. რა

# როგორ იპოვეს სამამულო ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგული ჯარისკაცების ცხედრები და ვის ეძებენ რუსეთიდან საქართველოში

**ჟურნალისტის შენიშვნა**: ჩემი კოლეგა ადამიანების პოვნასა და ერთმანეთთან დაკავშირებაში, 56 წლის ტატიანა მიშინა, განაგრძობს თავის საქმიანობას. მან არაერთი ოჯახი და ადამიანი გააბედნიერა, მაგრამ, მის სამძებრო საიტზე ყველაზე აქტუალურ თემად მაინც სამამულო ომის დროს დაკარგულ ჯარისკაცთა ბედი რჩება. ქალბატონი ტატიანა ამ მიმართულებით საკმაოდ ნაყოფიერად მოღვაწეობს და საქართველოშიც ეძებს ნაპოვნ ჯარისკაცთა ოჯახებს. მან დახმარებისთვის მე მომმართა. ყველას, ვისაც კი აინტერესებს რაიმე ინფორმაცია სამამულო ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიჩნეულ ჯარისკაცთა შესახებ, შეუძლია, მიმართოს ტატიანა მიშინას სამძებრო საიტის poisksvoih.ru-ს სპეციალურ განაყოფს საქართველოდან გაწვეულთა შესახებ. ერთად დავადგინოთ სიმართლე და გავარკვიოთ ჩვენი ფესვების ისტორია. ამჟამად კი საქართველოში იძებნებიან შემდეგ ჯარისკაცთა ნათესავები: 1) 1943 წელს საქართველოდან გაწვეული ლეონ სუმბატის ძე სირუნიანი (დაბადების წელი 1911). სხვა ინფორმაცია ჯარისკაცის შესახებ გაურკვეველია. ცნობილია მხოლოდ ინფორმაცია ნათესავების გრაფიდან – არპენიკ ბაბოვის ასული სირუნიანი – საქართველო; 2) ინფორმაცია ტყვედ ჩავარდნილის შესახებ: სახელი მიქაილი, გვარი მებუკე (ან მებუკა), მამის სახელი – გოცა (ან კოცა), დაბადების თარიღი – 05.01.1910 წელი, საქართველო. ტყვედ ჩავარდნის ადგილი – გროზნოვო. დაკრძალულია ალექსისდორფში; 3) ვიაჩესლავ გრიგორის ძე კოროლიოვი (მცხოვრები ახალციხეში, ლენინის ქუჩა №2, ბინა 19).



**ინტერვიუ ტატიანა ევგენის ასულ მიშინასთან:**

**– ვიცი, რომ ამჟამად სწორედ ქართველი ჯარისკაცების ნათესავებს ეძებთ.**

– ჩემს საიტზე არც ისე დიდი ხნის წინ მოვიდა შემდეგი შინაარსის წერილი: „2008 წელს უკრაინაში აღმოჩენილ იქნა კიროვოგრადის გათავისუფლების დროს, 1944 წელს დაღუპული ჯარისკაცის ნეშტი. უცნობი ჯარისკაცის მედლების წყალობით დადგინდა, რომ ნაპოვნი ჯარისკაცი ყოფილა გვარდიის ეფრეიტორი, 1922 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ აგორში დაბადებული ვალერიან ნიკოლოზის ძე აბუთიძე. 2009 წელს ნაპოვნი ჯარისკაცის ნეშტი პატივით გადმოასვენეს საქართველოში. მე მაინტერესებს ჯარისკაცის შემდგომი ბედი, მისი ნათესავების და, ასევე, თანასოფლელების რეაქცია ვალერიანის პოვნასთან დაკავშირებით.

**– ვიცი, რომ თქვენ დაადგინეთ უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიჩნეული ერთ-ერთი ქართველი ჯარისკაცის ვინაობა. გვიამბეთ ამ ისტორიის შესახებ.**

– ჩემს სამძებრო საიტზე – poisksvoih.ru – არის ახალი თემა, კერძოდ, ჩემი დამხმარე ტატიანა პერვუხინა ამჟამად დაკავებულია „ობდ“ მემორიალის გაშიფვრით. ჩვენ ვცდილობთ, დავადგინოთ ყველა იმ ჯარისკაცის ვინაობა, რომელთა სახელის ან გვარის გრაფაში წერია: „გაურკვეველია“ ან „უცნობია“. ვიპოვეთ ერთ-ერთი ჯარისკაცის დოკუმენტი, რომელშიც ეწერა: „სახელი – შალვა; გვარი – უცნობია; მამის სახელი – ვალერიანის ძე; დაბადების თარიღი – 1912 წელი; გაწვევის ადგილი და თარიღი – 1941 წლის 30 ივნისი, საქართველოს სსრ, ქალაქი თბილისი, ბერიას სახელობის რაიონი. ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად 1942 წელს“. მე და ტატიანამ ყურადღებით შევისწავლეთ ეს დოკუმენტი, ასევე, გავეცანით სხვა დოკუმენტსაც (უგზო-უკვლოდ მიჩნეულთა შესახებ ინფორმაციას) და გავარკვიეთ, რომ ნაპოვნი ჯარისკაცის სახელი ნამდვილად არის შალვა, გვარად ის მებუკეა და სერჟანტის წოდება ჰქონია. ასევე, გაირკვა მისი დაბადების ადგილი – ქალაქი წულუკიძე, და რომ ის იმყოფებოდა ტყვეობაში ქერჩში და სწორედ ტყვეობაში დაღუპულა კიდეც. რამდენიმე საბუთის შედარების საფუძველზე გაირკვა, რომ ჯარისკაცი დაკრძალულია სიედლცეში (პოლონეთი), მისი დაღუპვის ზუსტი თარიღი კი არის 1942 წლის 13 ნოემბერი. ჯარისკაცის ნათესავების გრაფაში გარკვევით ეწერა დედის გვარი – კაკაბაძე. ამ მონაცემების საფუძველზე, საქმეში ჩავრთეთ ჩვენი ქართველი ექსპერტები – მაია და მანანა, რომლებიც დაგვეხმარნენ შალვა მებუკეს ნათესავების პოვნაში და შედეგად მივიღე შემდეგი წერილი: „ძვირფასო ტატიანა, გწერთ საქართველოდან. ჩვენ შეგვატყობინეს, რომ ნაპოვნია შალვა ვალერიანის ძე მებუკეს ცხედარი. შალვა ჩვენი ბაბუის (დედის მხრიდან) ღვიძლი ძმაა, ანუ, ის ჩვენ ბაბუად გვეკუთვნის და ვერ აგიწერთ, როგორ გვიხარია მისი ბედის გარკვევა... პატივისცემით – მარინა და ნანა“. მოვუწოდებ ყველას, ვისაც კი სამამულო ომმა უგზო-უკვლოდ დააკარგვინა წინაპარი, დაგვიკავშირდეს საიტის საშუალებით და, თუკი ჩვენ მიერ ნაპოვნ საბუთებში აღმოჩნდება მისი სახელი და გვარი, ჩვენ შევძლებთ, ერთად დავადგინოთ სიმართლე დაკარგულ ჯარისკაცთა შესახებ.

***თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიის შესახებ ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 233-42-24; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

---

სჭირდა მოსანადირებელი, ჩვეულებრივი მამაკაცია, რომელზეც მუდმივად უნდა იზრუნო. ოჯახი, თავისი საყოფაცხოვრებო პრობლემებით, მთლიანად მე მაწევს. არაფერზე ვაწუხებ. მართალია, მუშაობს და ფული მოაქვს სახლში, მაგრამ არც მე ვარ გულხელდაკრეფილი, მასზე მეტი ხელფასი მაქვს. პრობლემა ისაა, რომ მისი მამაკაცური „მე“ შეილახა იმით, რომ დავასწარი და ის გაკეთდა, რაც პირველმა მე ვთქვი. თურმე, უნდა ვმჯდარიყავი, დაუსრულებლად მეცადა, როდის გაუბრწყინდებოდა გონება და ჩემს გაბედნიერებას ინებებდა. ამას რა ჰქვია? რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იტყვის პირველი და ვინ იაქტიურებს, თუკი ორივეს გასახარი საქმე გაკეთდება. ჭია ღრღნის, თურმე, ბიჭს. გამაოგნებელი რამეა.

## ქალი უფრო მიდრეკილი თავგანწირვისთვის. მსხვერპლის გაღება სიყვარულისთვის ქალს უფრო შეუძლია

**– როგორ დააშანტაჟეთ, მოკვლით დაემუქრეთ?**

– არა. რა სისულელეა. ვუთხარი, რატომ უნდა გაწელო დრო, როცა ოცდაათს გადააბიჯე, ერთად თავს კარგად ვგრძნობთ, ერთნაირი შეხედულებები გვაქვს, ორივე ფეხზე მყარად ვდგავართ, ბოლოს და ბოლოს, გვიხარია ერთმანეთის დანახვა. თუ ასე არ არის, მაშინ, რატომ ხარ ჩემთან? წადი და ნუღარ მოხვალ-მეთქი. ესე იგი, გათხოვება ისე გინდა, რომ ჩემი დაკარვისაც კი არ გეშინიაო.

**– ხომ არ უთხარით, რომ ბავშვს ელოდებოდით? ქალები ცრუ ფეხმძიმობას ხშირად მიმართავენ კაცების „გამოსაჭერად“.**

– არა. ასეთი ტყუილის თქმა დიდ სისულელედ მიმაჩნია. მე ვუთხარი, რომ ველარასდროს მნახავდა, ვერც ცოცხალს და ვერც მკვდარს. უცებ, ძალიან შეშინებულმა მკითხა, თავის მოკვლას ხომ არ აპირებო.

**– თქვენ უთხარით, კიო?**

– არა, არა, უბრალოდ, გავჩუმდი და ტირილი დავიწყე. ძალიან არ მეტირებოდა, მაგრამ გამომივიდა. ეს არის ჩემი დანაშაული? რატომ? მე მართლა ძალიან მინდოდა, მისი ცოლი გავმხდარიყავი. ჩვენს საზოგადოებას მაინც აქვს კლიშეები. მაინც ვერ ხარ შენს „ტყავში“, როცა კაცთან ურთიერთობას ოფიციალური ელფერი არ დაჰკრავს.

**– ანუ, მაინც საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით გააკეთეთ ყველაფერი, რომ გათხოვილიყავით?**

– კი. ცოტა ესეც იყო, მაგრამ სიყვარულს ნუ გამორიცხავთ. მე ჩემს საყვარელ მამაკაცთან ყველგან ყოფნა მინდოდა. აშკარად და დაუფარავად. რა არის ამაში ცუდი, გამაგებინოს ვინმემ. ვმწარდები, როცა ჩემი ქმარი მეუბნება, ისე აღარ მიყვარხარ, როგორც დაქორწინებამდე, იმიტომ, რომ შენში ზოგჯერ მოძალადეს ვხედავო. ის ხომ მოსწონს, ეს მოძალადე თვალებში რომ შესციცინებს, ანებივრებს და ზედ ჰყვება. რა უნდათ ამ მამაკაცებს, ვერ გამიგია.

**დალი მიქელაძე**

---

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ექვსი წლის წინ ისე მიყვარდა ერთი მამაკაცი, მეგონა, მის გარეშე მოვკვდებოდი. ცოლად გავყევი და სამი წელი დავფრინავდი. მერე კი ნელ-ნელა რაღაც დაგვემართა და დღეს უკვე საკმაოდ გაგვირთულდა ურთიერთობა. ვიჩხუბებთ – გავშორდებით... მერე შევრიგდებით; ვიჩხუბებთ, ისევ გავშორდებით, მერე შევრიგდებით... და ასეა უკვე ორი წელია. ბავშვიც გვყავს. ეტყობა, მიყვარს კიდეც. მოკლედ, წავა, მოვა – ვაპატიებ ყველაფერს. მერე კი ისევ თავიდან იწყება. ვეკითხები საკუთარ თავს: მინდა კი მასთან ცხოვრება?!**

**გამოხმაურება:** თქვენი და თქვენი მეუღლის მთავარი პრობლემა რაღაც ეტაპზე საჭირო ენის გამონახვის სირთულეა. ერთმანეთი გაღიზიანებთ იმიტომ, რომ რაღაცას ბოლომდე ვერ ამბობთ. აიღეთ ხელში ინიციატივა და დაიწყეთ საუბარი ქმართან. პრეტენზიები კი არ წამოაყენოთ, პრობლემის განხილვას შეუდექით. გათავისუფლდით იმ ნეგატივისგან, რომლეიც ორი წლის განმავლობაში დაგიგროვდათ. გულწრფელად ილაპარაკეთ იმაზე, რაც გაწუხებთ. თუ თქვენ შორის სიყვარული ჯერ კიდევ არის, გამოსავალს მონახავთ.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**ეკა კვალიაშვილის, 20 წლის ქალიშვილი, ნუკა გვალია რომელიც, ასევე, მომღერალია, ორიგინალური სტილით, მრავალფეროვანი იმიჯითა და თბილი ბუნებით გამოირჩევა. ის ახლახან გამოჩნდა ფართო აუდიტორიის წინაშე და, თავისი ნიჭისა და შესაძლებლობების წყალობით, უკვე თაყვანისმცემლებიც გაიჩინა. როგორც თავად ამბობს, დედას პრინციპულობით, მიზანდასახულობითა და ნიჭით დაემსგავსა. თუმცა, დამოუკიდებელი ხასიათით არავის ჰგავს და, სხვების დახმარების გარეშე, თავად ცდილობს სახელის დამკვიდრებას შოუ-ბიზნესის სფეროში.**

# რაში აიყოლია ოჯახის წევრები ნუკა გვალიამ და როგორ აპირებს ის მსოფლიოში ცნობილი ადამიანის სტატუსის მოპოვებას

**ნუკა გვალია**: მეოთხე თაობა ვარ წინაპრების, ვინც მღერის. პირველია დიდი ბებია – მარო თარხნიშვილი, შემდეგ მარიკა კვალიაშვილი – უნიჭიერესი კომპოზიტორი, მერე დედა – ეკა კვალიაშვილი და ახლა მე გამოვჩნდი. თვითკრიტიკული ვარ და საკუთარ თავს ჯერ ვერ ვუწოდებ მომღერალს. მე ახლა ვდგამ ნაბიჯებს დიდი სცენისკენ და, მინდა, მსოფლიოში ცნობილი მომღერალი გავხდე. ეს არც ამბიციაა და არც პრინციპი, ეს ჩემი მიზანი და სურვილია, რომელსაც, იმედია, ავიხდენ. ვიცი, ამ გზაზე ბევრი დაბრკოლება მელის წინ და, ამ დაბრკოლებებს რომ გადავლახავ, მერე ვიტყვი, შემდგარი და წარმატებული მომღერალი ვარ-მეთქი. ბევრი ამბობს, შორიდან საკმაოდ ცივი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებო, თუმცა, ეს ასე არ არის და, რომ გამიცნობენ, მერე მეუბნებიან, რა კარგი გოგო ყოფილხარ, ჩვენ როგორი ცივი გვეგონე, ასეთი ვერ წარმოგვიდგინეო *(იცინის).*

**– ესე იგი, შენი გარეგნობა ატყუებს ყველას?**

– ასე გამოდის. ეტყობა, მკაცრი გამომეტყველება მაქვს და, ფიქრობენ, რომ რაღაც თავში მაქვს ავარდნილი და დიდი წარმოდგენა მაქვს საკუთარ თავზე. ვინც მიცნობს, იცის, როგორი თბილი და უბრალო ადამიანი ვარ. სულ მხიარულ განწყობაზე ვარ და მიყვარს მეგობრებთან ურთიერთობა. ზოგადად, განწყობის ადამიანი ვარ. მაგალითად, ხანდახან არის პერიოდი, როცა რაღაც მაწუხებს, მაგრამ, ამას სხვას არავითარ შემთხვევაში არ ვაჩვენებ. ამ დროს საკუთარ თავში ვიკეტები და ვცდილობ, მარტომ დავძლიო ეს შემოტევა. საკუთარ თავთან „ბრძოლებს" ყოველთვის ვიგებ – ამაში ძლიერი ვარ და დეპრესიულ შემოტევებს თავს არ დავაჩაგვრინებ. თუმცა, უფრო ემოციური ადამიანი ვარ, ვიდრე დეპრესიული. თუ ემოცია შემომაწვა, მაგალითად, ვინმემ მაწყენინა, აი, მაშინ „ვიკეტები" და ეს „ჩაკეტვა" სულ რაღაც თხუთმეტი წუთი გრძელდება.



მკაცრი გამომეტყველება მაქვს და ფიქრობენ, რომ რაღაც თავში მაქვს ავარდნილი

**– როგორც მივხვდი, საკმაოდ მიზანდასახული და პრინციპული ყოფილხარ.**

– რასაც ჩავიფიქრებ, სანამ ბოლომდე არ მივიყვან, მანამდე ვიბრძვი. პრინციპული და შეუპოვარი ადამიანი ვარ, ამავდროულად – პუნქტუალური. ყოველთვის მიჭირს ადრე ადგომა, მაგრამ, თუ ვიცი, რომ საქმე მაქვს და ადრე უნდა ავდგე, ეს არ მეზარება.

**– საკმაოდ განსხვავებული და არაორდინარული ტიპაჟი ხარ. ხშირად იცვლი იმიჯს?**

– მიყვარს ხშირად იმიჯის ცვლა. მწყინდება გარეგნობაში ერთფეროვნება. თმა ხან მოკლედ მაქვს, ხან გრძლად, ხან გასწორებული, ხან დახვეული, ხან წითელ, ხან ყვითელ, ხან ლურჯ, ხან ბორდოსფრად და, ხანაც, შავად შეღებილი. ბოლოს ყავისფერ მოკლე ვარცხნილობას ვატარებდი. ერთ დღესაც, აღმოვაჩინე, რომ მომბეზრდა და სულ ახლახან გადავიღებე ბორდოსფრად. ამ ბოლო დროს დავფიქრდი და აღმოვაჩინე, რომ მხოლოდ მწვანედ არ მქონია თმა შეღებილი და, ვიფიქრე, თუ მომიხდა, რატომაც არა, ეტყობა, ამის დროც მალე მოვა-მეთქი *(იცინის).* სხვათა შორის, იმიჯის ცვლაში და თმის შეჭრა-შეღებვებშიც დედას დავემსგავსე *(იცინის).*

**– შეგამჩნიე, სხეულზე რამდენიმე ადგილას სვირინგი გაქვს. ესეც შენი იმიჯის ნაწილია?**

– კი, ტატუ ძალიან მომწონს და ხელებზე და წელზე გავიკეთე. ახლა მინდა, ზურგი მოვიხატო. პირსინგიც მაქვს ჭიპზე და ესეც ძალიან მომწონს.

**– ოჯახის წევრები არ გიშლიან ტატუს და პირსინგის გაკეთებას?**

– საკმაოდ დამოუკიდებელი ადამიანი ვარ. ტატუში და პირსინგში ცუდი რა არის? მომწონდა და გავიკეთე. ოჯახი არაფერში მზღუდავს. ოჯახის წევრებს საკმაოდ მეგობრული დამოკიდებულება გვაქვს. სხვათა შორის, ესენიც ავიყოლიე *(იცინის).* ერთ დღეს ეკამ დამირეკა და მითხრა, ისე მომეწონა შენი ტატუ, მეც

**დაბრკოლებებს რომ გადავლახავ, მერე ვიტყვი, შემდგარი და წარმატებული მომღერალი ვარ-მეთქი**

მინდა გავიკეთოო. თან გავოცდი და თან გამიხარდა. ვუთხარი, ახლავე წავიდეთ-მეთქი, მაგრამ, რა ვიცი, ჯერ თავს იკავებს. ჩემმა ქმარმაც დაიხატა მკლავზე ტატუ. რაც შეეხება ჭიპის გახვრეტას, უკვე ერთი წელია, გავიკეთე პირსინგი და ძალიან მომწონს. დედა არასდროს არაფერს მიკრძალავდა, არც ქმარი შემხვდა ისეთი, რომ რამეში შემზღუდოს. ახლა კი მინდა, ზურგზე ეგრეთ წოდებული, ინდიელების დადებითი ნიშანი გავიკეთო და ბუმბულები ამოვისვირინგო. მეხუმრებიან, ფრთებიღა გაკლიაო *(იცინის).*

**– ძალიან საინტერესო ტატუ გაქვს ხელზე. რა გაწერია?**

– ეს ნიშნავს: „ყოველი დღე ჩემი ცხოვრებისა, არის ჩემი ისტორია". ასეც არის, ჩემი ყოველი დღე, წუთი და წამი, არის ჩემი ცხოვრების ისტორია.

**– რამდენი წელია, რაც გათხოვილი ხარ და სად გაიცანი შენი მომავალი მეუღლე?**

– მე და ჩემმა მეუღლემ, ნიკუშა კობახიძემ, ერთმანეთი ინტერნეტის საშუალებით გავიცანით რვა წლის წინ. ჯერ ვმეგობრობდით, მერე, ეს მეგობრობა დიდ სიყვარულში გადაიზარდა და, ერთი წელია, რაც ცოლ-ქმარი ვართ. ის 21 წლისაა, მე კი – 20-ის. ყველაფერში მყვება და მოსწონს ჩემი მრავალფეროვნება. ურთიერთობებში სიახლე აუცილებელია, რომ ადამიანებს ერთმანეთი არ მოჰბეზრდეთ. ჩემი ქმარი ძალიან მანებივრებს და ხშირად მიწყობს სიურპრიზებს. მან მიბიძგა იმისკენ, რომ სასიმღერო კარიერისთვის მებრძოლა. ის, რომ ოჯახი და კარიერა ერთმანეთს უშლის ხელს, აბსურდია. თუ მოინდომე და საყვარელმა ადამიანებმაც შეგიწყვეს ხელი, ყველაფერს შეძლებ და დაძლევ – ამაში ეჭვი არ მეპარება.

**– ნუკა, სასიმღერო კარიერას ახლა იწყებ. ეკა კვალიაშვილის შვილობა ამაში ხელს არ შეგიშლის თუ – პირიქით?**

– ყველაფერს ჩემი სურვილით ვაკეთებ ცხოვრებაში და სიმღერაშიც ჩემით ვიკვალავ გზას, სხვების, თუნდაც დედის დახმარების გარეშე. ვფიქრობ, ნიჭი არ იკარგება და, ის, რომ მე ცნობილი მომღერლის შვილი ვარ, ეს ჩემთვის დაბრკოლებას არ უნდა წარმოადგენდეს. მინდა, ჩემით მივაღწიო ყველაფერს და გავხდე წარმატებული. სხვათა შორის, დედას ძალიან მამსგავსებენ. ვფიქრობ, განსაკუთრებით პირდაპირობაში ვგავარ.

**– ამის გამო პრობლემები არ გექმნება?**

– არასოდეს! ჩხუბით არ ვწყვეტ საკითხს, შემიძლია, რბილი საუბრით პირდაპირ ვუთხრა ადამიანს ის, რასაც მასზე ვფიქრობ, რაც მაქვს მისთვის სათქმელი და ამით დაძაბულობა და კონფლიქტი ავიცილო თავიდან. თან, სიტყვის ადამიანი ვარ და, თუ ვინმეს რამეს შევპირდები, აუცილებლად შევასრულებ. სხვათა შორის, კარგად ვხატავ, მაგრამ, სიმღერაა ამ ეტაპზე ჩემი მთავარი მიზანი. მინდა, ცნობილი მომღერალი გავხდე და მსოფლიომ გაიგოს ჩემი ხმა. ცოტა ზარმაცი კი ვარ და ძილზე ვგიჟდები, მაგრამ, ამასაც დავძლევ, სხვა რა გზა მაქვს *(იცინის).*

**ნონა დათეშიძე**

# რომელ შენობებს ჰქონდა საკუთარი ელექტროსადგურები მეოცე საუკუნის დასაწყისის თბილისში და რა როლი მიუძღვით ქალაქის ელექტრიფიკაციაში ძმებ სიმენსებს

თბილისის ქუჩების განათება ღამის საათებში 1850-იან წლებში დაიწყო. განათება ჯერ სანთლებით, შემდგომ კი ნავთისა და გაზის ფანრების საშუალებით ხორციელდებოდა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს კი, თბილისის ქუჩები პირველმა თბოელექტროსადგურმა გაანათა. მას შემდეგ ყოველწლიურად თბილისის ქუჩების გასანათებელი წყარო იზრდება და თვალშისაცემია ტექნიკური პროგრესი, რომელიც განათების სისტემამ განიცადა – „სინათლის ქალაქად" წოდებულ თბილისს, ქუჩის განათების საინტერესო ისტორია აქვს.




ქუჩის განათების ბოძები სასტუმრო „სევერნიე ნომერასთან" სასახლის ქუჩაზე (1890-იანი წლები)

სახლებისა და ქუჩის განათება თბილისის მთავრობისთვის სერიოზული პრობლემა იყო მეცხ-



ელგაყვანილობის ბოძები გოლოვინის გამზირზე, მთავარმართებლის რეზიდენციასთან (1900-იანი წლები)

რამეტე საუკუნის შუა პერიოდამდე. სალამოს მოახლოებისთანავე ქალაქური ცხოვრება კვდებოდა, ყველა კარი ირაზებოდა და მხოლოდ ყარაულები რჩებოდნენ ქუჩებში, რომლებიც მთვარის შუქისა და საკუთარი სანთლის ან ნავთის ფანრების იმედზე იყვნენ. იმ დროის თბილისში ამბობდნენ კიდეც „არ ენდო ქუჩის ფანარს, ენდე ვარსკვლავებს ცაზე". მას შემდეგ, რაც თბილისს რუსეთის იმპერიის ტახტის მემკვიდრე ესტუმრა, ქალაქის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ქუჩების განათებაზე ეზრუნა. 1850 წლის 30 სექტემბრით დათარიღებული გაზეთი – „კავკაზი" წერდა: ტახტის მემკვიდრე ქართველი დიდგვაროვნების მიერ ორგანიზებულ მეჯლისს დაესწრო, ერთ-ერთ ბაღში, რომელიც ათასნაირი ფერის ფანრით იყო განათებული, ასევე ბრწყინვალედ იყო განათებული თავად დარბაზიცო. გაზეთის თანახმად, იმ დღეს თბილისი არნახულად განათებული ქალაქი გახლდათ, ილუმინაციები ქალაქის ყველა კუთხეში იყო, მათ შორის – სომხის ბაზარი და ზუბალაშვილების ქარვასლა ორიგინალურად ყოფილა განათებული.

განათებასთან დაკავშირებული სიტუაცია შედარებით გამოსწორდა მას შემდეგ, რაც აირზე მომუშავე ფანრების მონტაჟი დაიწყო. გაზის განათება ნავთის ან სპირიტ-სკიპიდარის ორთქლზე მუშაობდა და მათი უმეტესობა თბილისში მიხეილ ვორონცოვის მთავარმართებლობის დროს შემოიღეს. 1851 წელს, ვორონცოვის განკარგულებით, სტავროპოლიდან, სადაც იწარმოებოდა განათების ტექნიკა, შემოიტანეს 12 ფანარი და 50 ფუთი „სპირტის აირი". ეს გაზი სპეციალური ფურგონებით გადაჰქონდათ და ამგვარად ავსებდნენ უკვე დამონტაჟებული ფანრების რეზერვუარებს. 1853 წელს თბილისი რამდენიმე ასეული ასეთი ფანრით ნათდებოდა, თუმცა ქუჩებს მხოლოდ მაშინ ანათებდნენ, თუ-კი მთვარის შუქი საკმარისი არ იყო და ისიც – სექტემბრიდან მაისის ჩათვლით. ზაფხულში თბილისი ჩაბნელებული იყო ღამითაც. დღესასწაულებზე, ქუჩის განათებასთან ერთად, ანთებდნენ ჩირაღდნებსა და ფისით სავსე კასრებს.




გოლოვინის (რუსთაველის) გამზირი, 1910-იანი წლები

1860 წლისთვის თბილისის ქუჩის განათების ფანრების უმეტესობა თუჯის ბოძებზე იყო დამაგრებული, ხის ბოძების ნაცვლად, ხოლო განათებისთვის გამოიყენებოდა ნავთობი. იმ დროისთვის თბილისში უკვე ფუნქციონირებდა ამიერკავკასიაში მეფანრეებისა და მეჩირაღდნეების პირველი არტელი, სადაც 15-მდე ადამიანი იყო გაწევრიანებული. მეფანრეებს საკუთარი ორგანიზაცია ჰქონდათ გახსნილი. ისტორიას შემორჩა რამდენიმე მათგანის სახელი: იოსიფ ვიპერტი, ნიკოლო კარლი და ანდრეი ნაუმოვი. ქალაქის მთავრობის გადაწყვეტილებით, ფანრები, რომლებიც გაზზე მუშაობდა, სასახლისა და პუშკინის ქუჩებზე და სომხის ბაზარში იყო დამონტაჟებული. საუკეთესო ქუჩის განათება კი იმ დროის თბილისში, ცენტრალურ ქუჩაზე – გოლოვინის, ამჟამინდელ რუსთაველის გამზირზე იყო.



ვალტერ სიმენსი

1884 წლის 20 ნოემბერს თბილისის საკრებულოს სხდომაზე, ქუჩების გასანათებლად გაზისა და ნავთობის ელექტროენერგიით ჩანაცვლების წინადადება, საზოგადო მოღვაწემ და პუბლიცისტმა, ნიკო ნიკოლაძემ დააყენა. ნიკოლაძის თქმით, ელექტროგანათება პარიზსა და ბერლინში ფეხს იკიდებდა და დრო იყო თბილისშიც დაეწყოთ ზრუნვა ახალ ტექნოლოგიებზე. მეცხრამეტე საუკუნის 80-იან წლებში თბილისში ელექტროენერგიამ შემოაბიჯა და თავდაპირველად, ადმინისტრაციულ და საზოგადოებრივ შენობებში, ხოლო მეოცე საუკუნის დასაწყისში, თითქმის ყველა მცხოვრების ოჯახში დამკვიდრდა. მათ შორის, მთლიანად შეიცვალა ქუჩის განათების სისტემა.

პირველი დენი ელექტროსადგურიდან თბილისმა 1887 წელს მიიღო, როდესაც ქართული დრამატული თეატრის გასანათებლად თბური ძრავების დაყენება დაიწყეს. ამ საქმის ინიციატორი და სულისჩამდგმელი, ნიკო ნიკოლაძესთან ერთად, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ილია ჭავჭავაძე იყო. ასევე, განათდა რამდენიმე ადმინისტრაციული შენობა, მათ შორის სათავადაზნაურო ბანკი. 1895 წლის მაისში ამუშავდა მეორე ელექტროსადგური ძმები თამამშევების ქარვასლაში, ხოლო 1896 წელს – ახალ სახაზინო თეატრში გოლოვინის პროსპექტზე. მეოცე საუკუნის დასაწყისში თბილისის მსხვილ შენობებს საკუთარი ელექტროსადგურები ჰქონდა: არტისტული საზოგადოება (ახლანდელი რუსთაველის თეატრი), მელიქ-აზარიანცის საცხოვრებელი სახლი ოლღას ქუჩაზე, არამიანცის საავადმყოფო, ვეტცელის სასტუმრო მიხაილოვის (აღმაშენებლის) გამზირზე და სხვა. იმავე პერიოდში ამუშავდა პირველი საქალაქო ელექტროსადგური, რომლის მთავარი ინჟინერი რამენდინ ლეიზეროვიჩი გახლდათ.




გოლივინის გამზირი ზამთარში (1900-იანი წლები)

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

**5 მაისს მართლმადიდებელი ქრისტიანები კიდევ ერთხელ ვიზეიმებთ მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, რომელსაც წინ ვნების შვიდეული უძღვის. მთელი კვირის განმავლობაში ეკლესიაში სხვადასხვა სახის მსახურება აღესრულება, რომელში მონაწილეობაც ყველა მართლმადიდებლისთვის მნიშვნელოვანია. ამ საკითხის შესახებ გვესაუბრება, ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი მამა გიორგი (თევდორაშვილი).**

# რას შეგვახსენებს დიდ ხუთშაბათს ეკლესიაში წაკითხული 12 სახარება და ანთებული სანთლები და რატომ დაწესდა ამ დღეს ზიარება



**მღვდელმთავარმა კაიაფამ თქვა: ჯობია, ერთი ადამიანი წარწყმდეს, ვიდრე მრავალი ცდუნდესო. ეს სიტყვები მას სულიწმიდის მადლმა ათქმევინა და ეს იყო უფლის ნება**

– კაცობრიობის საღმრთო ისტორიის მოამბე საეკლესიო ხელოვნებას არ შეიძლება, გვერდი აევლო ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენისთვის, როგორიც მაცხოვრის აღდგომაა. მათე მახარებელი მოგვითხრობს: „და აჰა, ძვრა იყო დიდი, რამეთუ ანგელოზი უფლისა გარდამოჰხდა ზეცით, მოვიდა და გარდააგორვა ლოდი იგი კარისა მისი საფლავისა და დასჯდა მას ზედა“. მაგრამ, აღმოსავლეთ საქრისტიანოს, სამართლმადიდებლოსა და სახელდობრ, საქართველოს ძველი ოსტატები ამ ამბავს არასდროს გამოგვისახავდნენ. მათ აირჩიეს სხვა, რომელსაც წმიდა მათეც ყვება და ოდნავ სხვაგვარად – წმიდა ლუკა მახარებელიც: „რომელი განსთენდებოდა ერთ შაბათად, მოვიდა მარიამ მაგდალინელი და სხვა იგი მარიამი, ხილვად საფლავისა მის. მიუგო ანგელოსმან მან და რქუა დედათა მათ: ნუ გეშინინ თქვენ, ვიცი, რამეთუ იესუს ნაზარეველსა ჯუარცმულსა ეძიებთ. არ არს აქა, რამეთუ დადგა, ვითარცა სთქუა. მოვედით და იხილეთ ადგილი, სადა დაიდვა უფალი. ეკლესიათა და სამღვდელთმსახურო წიგნების მომხატველნი, ხატთა დამწერნი მქანდაკებელნი თუ მქარგველნი საფლავის გადმობრუნებულ ქვაზე მჯდომარე ანგელოზს გამოსახავდნენ, რომლისკენაც მიემართებოდნენ წმიდა დედანი ნელსაცხებლიანი ჭურჭლით ხელში. ორივე მარიამისადმი ანგელოზის გაწვდილი ხელი გვიხატავს მის მიერ ქრისტეს აღდგომის ხარებას. არსებობს კიდევ მეორე ხატი, რომელსაც ქართულად „ჯოჯოხეთის წარმოტყვენა“ ჰქვია. ეს გამოსახულება ეგრეთ წოდებულ ნიკოდიმეს წიგნს მისდევს, რომელიც კანონიკურად არ არის აღიარებული, მაგრამ ეკლესიისგან აკრძალული არ ყოფილა. ნიკოდიმე მოგვითხრობს, თუ როგორ შთახდა მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე ქვესკნელად, დალეწა კლიტენი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი, შებორკა ბოროტი ძალები და აღმოიყვანა მანამდე გარდაცვლილები. შესაბამისად, გამოიხატებოდა მაცხოვარი, რომელსაც ერთ ხელში უჭირავს ჯვარი, მეორეთი კი ამოჰყავს ადამი. როგორც წესი, ასევე გამოსახულია ევა, წინასწარმეტყველნი – დავითი და სოლომონი, ზოგჯერ – იოანე ნათლისმცემელი და გათოკილი სატანა.

– **როგორც ცნობილია, მაცხოვარმა ჯერ კიდევ დედამიწაზე ყოფნისას იწინასწარმეტყველა საკუთარი სიკვდილი და მესამე დღეს მკვდრეთით აღდგომა. მთელი ვნების შვიდეულის თითოეულ დღესაც განსაკუთრებული დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს, რის გახსენებაც ჩვენთვის, მართლმადიდებლებისთვის, ვინც ვაპირებთ მსახურებებზე დასწრებას, არ იქნებოდა ურიგო.**

– ბზობის მომდევნო დღეს, დიდ ორშაბათს მაცხოვარი გამოდის მოწაფეებთან ერთად და ბეთანიაში ბრუნდება. მას გზაზე ხვდება უნაყოფო ლეღვის ხე, რომელზეც მაცხოვარი ვერ იპოვის ლეღვის ნაყოფს და შერისხავს, დასწყევლის: „ნუღარასდროს გამოგეღოს ნაყოფი უკუნისამდე“ და მეყსეულად გახმება ლეღვის ხე. ლეღვის ხეში ის ადამიანები იგულისხმებიან, მთელი ცხოვრების განმავლობაში კეთილი ნაყოფი რომ არ გამოუღიათ და მხოლოდ გარეგნულად იცავდნენ სჯულს და ამ შემთხვევაში ებრაელები „მოსეს კანონს“, რაც არც დღეს არის ჩვენთვის უცხო. წმიდა ქალაქ იერუსალიმში იესომ, ისევე, როგორც წინა დღეს, ტაძრიდან გამოყარა ვაჭრები: „ჩემი სახლი სამლოცველი სახლად იწოდება ყველა ხალხისთვის, თქვენ კი ავაზაკთა ბუნაგად აქციეთ“. დღეს როდესაც ეს მოვლენა განვითარდა, ეწოდება დიდი ორშაბათი. ასე რომ, ამ დღეს ორი მნიშვნელოვანი მოვლენა აღესრულა. ასევე მნიშვნელოვანია დიდი სამშაბათი თავისი შინაარსით. ამ დღეს იესო ქრისტე იერუსალიმის ტაძარში მოძღვრავდა ხალხს, შეაგონებდა მღვდელმთავრებს, მწიგნობრებსა და ფარისევლებს. ცდილობდა, გაეღვიძებინა მათი სინდისი და მოეხმო სინანულისკენ, ოღონდ ამ ყველაფერს იგავების მოყოლით აკეთებდა. ერთ იგავში იესო ამხელდა ფარისევლებს, რომლებიც ღვთისმოსაობას იჩემებდნენ და საქმით არც სინანულს ამჟღავნებდნენ და არც უფლის ნებას ასრულებდნენ. როდესაც ფარისევლებმა და მწიგნობრებმა საკუთარი თავის მრავალგზის მხილება ისმინეს, დაიწყეს ბჭობა, როგორ დაეჭირათ მაცხოვარი სიტყვაში, რათა ის რომაელთა მმართველების ხელში ჩაეგდოთ. ამიტომაც მიუგზავნეს მოწაფეები შეკითხვით: უნდა ეძლიათ ხარკი რომაელებისთვის თუ არა. იმედი ჰქონდათ, რომ იესო უარყოფით პასუხს გასცემდა და შემდეგ დაასმენდნენ. ხოლო, თუ ის ხარკის მიცემაზე დასთანხმდებოდა, მაშინ მას საკუთარი ხალხი უარყოფდა. უფლის პასუხი კი ამგვარი იყო: „მიეცით კეისრისა კეისარს და ღვთისა – ღმერთს“. ამ პასუხმა განაიარაღა ფარისევლები. ამის შემდეგ მან ამხილა სადუკევლები, რომლებიც მკვდრეთით აღდგომას ეწინააღმდეგებოდნენ და ისევ საგონებელში ჩააგდო ფარისევლები, რომლებმაც ვერ უპასუხეს მის კითხვას: „რას ფიქრობენ ისინი იესო ქრისტეზე: ვისი ძეა იგი? ფარისევლებს უკვე აღარაფერი დარჩათ საპასუხო, იესომ მთელი ხალხის წინაშე ამხილა ისინი და დიდი განსაცდელი უწინასწარმეტყველა. როდესაც მაცხოვარი და მისი მოწაფეები ტაძრის შემოგარენში იმყოფებოდნენ, იესომ ამცნო მათ, რომ მოვიდოდა დრო და ამ ტაძრიდან (საუბარია სოლომონის ტაძარზე), ქვა ქვაზე არ დარჩებოდა. თან, აუწყა იმ ნიშნების შესახებ, რაც იერუსალიმის დანგრევის მომასწავებელი გახდებოდა. ეს წინასწარმეტყველება ახდა ქრისტეს აღდგომის 35-ე წლისთავზე – რომაელმა მღვდელმთავარმა ტიტუსმა მიწასთან გაასწორა პალესტინა, ხოლო ებრაელები მთელი დედამიწის ზურგზე მიმოფანტა. დიდ სამშაბათს მაცხოვარმა იესო ქრისტემ წარმოუსახა მოწაფეებს თავისი უკანასკნელი საშინელი სამსჯავრო, სადაც ადამიანები განისჯებიან იმის მიხედვით, როგორ ასრულებენ უფლის მცნებებს, და რა დაასრულა საუბარი, ამცნო მოწაფეებს: „თქვენ იცით, დადგება პასექი (ებრაელთა უდიდესი დღესასწაული) და ძე კაცისა მიეცემა ჯვარზე საწამებლად“. ფარისევლებმა, მიხვდნენ რა, რომ მაცხოვარმა ისინი კიდევ ერთხელ ამხილა, საბოლოოდ განიზრახეს, შეეპყროთ ის და სიცოცხლეს გამოესალმებინათ. ისინი პასექამდე ორი დღით ადრე, შეიკრიბნენ უხუცესებთან და მწიგნობრებთან ერთად მღვდელმთავარ კაიაფასთან და მოითათბირეს, რომ მზაკვრულად შეეპყრათ მაცხოვარი ჩვენი, იესო ქრისტე. მღვდელმთავარმა კაიაფამ კი თქვა, ჯობია, ერთი ადამიანი წარწყმდეს, ვიდრე მრავალი ცდუნდესო. ეს სიტყვები მას სულიწმიდის მადლმა ათქმევინა და ეს იყო უფლის ნება.

იუდა ისკარიოტელი ოთხშაბათს, ანუ შემდეგში უკვე დიდ ოთხშაბათს, წავიდა მღვდელმთავრებთან და ჰკითხა: „რას მომცემთ, რომ გადმოგცეთ იგი?“ მოუწოდეს 30 ვერცხლი და მას აქეთ ის ეძებდა მომენტს, რათა გაეცა უფალი. ოცდაათი ვერცხლი მაშინ იყო მწყემსის წლიური ჯამაგირი, ან უბრალო მონის სიცოცხლის საგზური. იუდა ისკარიოტელის გამცემლობის ნიშნად, ოთხშაბათს, პარასკევთან ერთად, როდესაც ჯვარს აცვეს მაცხოვარი, დაწესდა მარხვა. ხუთშაბათ დღეს, დაწესდა ევქარისტია, ანუ სამადლობელო, უსისხლო მსხვერპლი ზიარების სახით და დღესამომდე და მეორედ მოსვლის ჟამამდე, ეკლესია აღასრულებს ევქარისტიას და მორწმუნეები ეზიარებიან. ამ დღეს იუდაში შევიდა სატანა, რადგან იუდა ულირსად, არასწორად ეზიარა, შესცოდა და არ გამოიყენა შანსი, რომელიც მას მაცხოვარმა მისცა. ამ დღეს დაბანა მაცხოვარმა თავის მოწაფეებს ფეხები, რითაც მათში თავმდაბლობისა და მოყვასის სიყვარულის გრძნობას ნერგავდა. საღამოს მაცხოვარი მოწაფეებთან ერთად გეთსამანიის ბაღში მიდის და ლოცულობს. ამ დროს ეკლესიაში ყოველთვის იკითხება 12 სახარება და მორწმუნეები სანთლებით ხელში ისმენენ წმიდა სახარებას, რაც შეგვახსენებს მაცხოვრის ლოცვას გეთსამანიის ბაღში. დიდი პარასკევი – ეს არის მაცხოვრის ჯვარცმის დღე: ჯვარი, გოლგოთაზე ასვლა, ტირილი, გოდება, შეხსენება იმისა, როგორ ზრუნავს უფალი ჩვენზე, რომელმაც დაამარცხა ეშმაკი, ყოველივე ამას დაემორჩილა, იტვირთა ჯვარი, დაიმდაბლა თავი, ავიდა გოლგოთაზე და ჩვენი ცხონებისთვის გაეკრა ჯვარზე, ორ ავაზაკს შორის. ქრისტეს წამების დროს მზე დაბნელდა, მიწა იძრა, ტაძრის კრეტსაბმელი ორად გაიყო, საფლავები გაიხსნა და ბევრი მიცვალებული აღდგა. პარასკევ საღამოს, პილატეს ნებართვით, იესოს ფარულმა მოწაფემ, იოსებ არიმათიელმა და ნიკოდიმოსმა იესოს სხეული ჯვრიდან გარდამოხსნენ, სცხეს კეთილსურნელოვანი ნელსაცხებელი, შეახვიეს წმიდა ტილოში და დაასვენეს ახალ საფლავში. სამარხის კარს დიდი ლოდი მიადგეს. „დიდ შაბათს“ კი, როდესაც ქრისტეს წმიდა სხეული საფლავში განისვენებდა, მისი სული ჩავიდა ჯოჯოხეთში, ამცნო გარდაცვლილ სულებს თავისი გამარჯვება ეშმაკსა და სიკვდილზე. აღმოიყვანა იქიდან მართალთა სულები, რომლებიც რწმენით მოელოდნენ მის მოვლინებას. უკვე რამდენიმე საუკუნეა, დიდ შაბათს იერუსალიმის მაცხოვრის აღდგომის ტაძრში მადლმოსილი ცეცხლი გადმოდის, რომელმაც, მოციქულთა და წმიდა მამათა მოწმობით, ჯერ კიდევ აღდგომისას განაბრწყინა მაცხოვრის საფლავი. წმიდა გრიგოლ ნოსელი წერს: „პეტრე ხედავდა არა მარტო ხორციელი თვალით, არამედ მოციქულებრივი გონებითაც – მაცხოვრის საფლავი აევსო ნათელს, და თუმცა ღამე იყო, ორგვარი ხედვით ჭვრეტდა შინაგანს – გრძნობიერად და სულიერად. დიდი შაბათის შემდეგ, პირველივე დღეს ქრისტეს საფლავთან დიდი მიწისძვრა მოხდა, უფლის ანგელოზმა გადააგორა ლოდი საფლავიდან. მენელსაცხებლე დედებს დახვდათ გადაგორებული ლოდი და მასზე მჯდომი ანგელოზი, რომელმაც აუწყა მათ მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომა: „რად ეძებთ ცოცხალს მკვდრებს შორის?“

**ნათია უტიაშვილი**

# ღვთისმშობლის ხატის სასწაულები

## „მე აქ ვარ, სადაც მეჩვიდმეტე კანონია“

ქალი მზარეულად მუშაობდა „კაგებეს“ (საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი) რაიონული განყოფილების სასადილოში. სამსახურში კითხულობდა სახარებას, ფსალმუნებს. ხანდახან ეკლესიაშიც დადიოდა და ლოცულობდა თავისი ავადმყოფი შვილისთვის. მისი შვილი უკურნებელი სენით იყო ავად – მას განუვითარებელი ტვინი ჰქონდა და მხოლოდ რამდენიმე სიტყვის თქმა შეეძლო. იგი მოკვდა. დედამ ეკლესიაში აუგო წესი. შვილის პანაშვიდზე მასთან ბევრი მორწმუნე მივიდა. აი, რა მოუთხრო ქალმა მათ მოგვიანებით:

„მე ვერიდებოდი უფალს ჩემი შვილის სულის შეწყალებისთვის და არ ვიცოდი, შეისმინა თუ არა ჩემი ლოცვა. მინდოდა, გამეგო, სად იყო ჩემი ვაჟი სიკვდილის შემდეგ. და აი, ერთხელ იგი სიზმარში გამომეცხადა და მითხრა:

– დედიკო, მე აქ ვარ, სადაც მეჩვიდმეტე კანონია.

მე მივხვდი, სადაც იყო იგი. ფსალმუნის მეჩვიდმეტე კანონს მაშინ კითხულობენ, როცა ლოცულობენ მიცვალებულის სულის განსვენებისთვის“.

## „ეს ის ქალია, რომელმაც თქვენ გადაგარჩინათ. თაყვანი ეცით და ადიდეთ იგი!“

იდგა 1943 წლის სექტემბერი. იტალიელები, რომლებიც საბერძნეთში შევიდნენ, უკან იხევენ. ბეოტიის ერთ-ერთი პატარა დაბის – არქიმენოსის მცხოვრებნი მივიდნენ ქალაქ ლიკადიის სადგურზე და მოსთხოვეს იტალიელებს, ჩაებარებინათ იარაღი, თან დაემუქრნენ, რომ, თუ არ ჩაბარდებოდნენ, პარტიზანებთან მოუწევდათ შებრძოლება. იტალიელებმა უარი განაცხადეს და გერმანელებს აცნობეს ამ ულტიმატუმის შესახებ. გერმანელებმა გადაწყვიტეს, გადაეწვათ „გათავხედებული“ დაბა, მისი მკვიდრნი კი დაეხოცათ.

10 სექტემბრის საღამოს არქიმენოსში დამსჯელთა პოლკი შევიდა და ტყვედ აიყვანა 500 კაცი. გერმანელთა ნაწილი დასახლებაში დარჩა, დანარჩენები კი გაემართნენ დიონისისკენ, სადაც თავს აფარებდნენ პარტიზანები. სოფელ არქიმენოსის მახლობლად მდებარეობს ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, რომელიც აშენებულია 874 წელს და უძველესია ბეოტიაში.

შუაღამე იყო. გერმანელების კოლონას ტაძრიდან ხუთასიოდე მეტრი თუ აშორებდა, რომ უეცრად ერთ-ერთი წინ მიმავალი ტანკი გაჩერდა. გერმანელებმა თავის წინ დაინახეს დიდებული იერის მქონე ქალი, მაღლა აწეული ხელით, რომელიც გზას ულობავდა მათ. მეორე ტანკს უნდოდა, პირველისთვის შემოევლო და წინ წასულიყო, მაგრამ, ორმოში ჩავარდა, მესამეს კი ძრავა გაუჩერდა.

11 სექტემბერს, დილით, გერმანელთა მეთაურმა ჰოფმანმა მოსახლეობას ტრაქტორი მოსთხოვა ტანკების ამოსაყვანად. ტრაქტორმა ისე იოლად გადაათრია მძიმე საბრძოლო მანქანა, თითქოს ასანთის ცარიელი კოლოფი ყოფილიყო.

„სასწაული! სასწაული!“ – აღმოხდა ჰოფმანს და სთხოვა ადგილობრივ მკვიდრთ, ტაძარში წაეყვანათ. იკონოტასში დასვენებულ ხატში გერმანელმა ოფიცერმა შეიცნო სწორედ ის ქალი, რომელმაც გზა გადაუღობა ტანკებს და დაბის მკვიდრთ უთხრა:

„ეს ის ქალია, რომელმაც თქვენ გადაგარჩინათ. თაყვანი ეცით და ადიდეთ იგი!“

არქიმენოსი გადარჩა. ჰოფმანმა ბრძანება გასცა, გაეთავისუფლებინათ 500 სიკვდილმისჯილი ტყვე და აღუთქვა დაბის მკვიდრთ, რომ ომის დამთავრებამდე დასახლებას ცუდი არაფერი შეემთხვეოდა.

მზე ჩავიდა, არქიმენოსს ლულადაშვებული ტანკებით ტოვებდნენ გერმანელი ჯარისკაცები, რომლებიც ქალაქის რჩეულმა მხედართმთავარმა დაამარცხა.

მას შემდეგ ეს დღე – 10 სექტემბერი – ბეოტიაში დიდი ზეიმით აღინიშნება. ჰოფმანი სიცოცხლის ბოლომდე ყოველწლიურად ჩადიოდა ამ დღესასწაულზე, რათა თაყვანი ეცა ღვთისმშობლის ხატისთვის. მან ტაძარს შესწირა უზარმაზარი სანთელი და თანხა, რომელიც საჭირო იყო ამ სასწაულის ამსახველი ხატის დასაწერად.

**„ბოლო ჟამის სასწაულები“**

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: ცნობილია, რომ ძალიან ბევრი ჟურნალ-გაზეთი გამოდის წმიდანთა გამოსახულებით. ასევე, ვნახეთ საბავშვო რვეულებიც, რომელთა ყდებზეც წმიდანების სურათებია დაბეჭდილი. რამდენად სწორია ეს?**

**პასუხი:** საბავშვო რვეულებზე წმიდანთა გამოსახვა სასურველი არ არის. წმიდანთა გამოსახულებებს პატივითა და კრძალვით უნდა მოვეპყრათ, პატარებს კი ამის გაცნობიერება უჭირთ. ისინი ხშირად თამაშობენ რვეულებით, ხატავენ ზედ, ხაზავენ და აჭუჭყიანებენ. რაც შეეხება პრესას, ის უფროსებისთვის არის განკუთვნილი და, საპატრიარქოს კურთხევით, გამომცემლობები გვაფრთხილებენ, რომ ხატებს მოვეპყრათ პატივით.

**კითხვა: შედის თუ არა თორმეტ დიდ საუფლო დღესასწაულში აღდგომაც?**



**პასუხი:** თორმეტი საუფლო დღესასწაული მთელი წლის განმავლობაში იზეიმება და უფალსა და ღვთისმშობელს უკავშირდება. მათ შორის ზოგი მოძრავია, ზოგი კი უძრავი. რაც შეეხება აღდგომას, რადგან ის დღესასწაულთა შორის დღესასწაულია, თორმეტ საუფლო დღესასწაულში არ შედის, ცალკე დგას და თავისი ბრწყინვალებით აგვირგვინებს ყველა დღესასწაულს.

**კითხვა: როგორი სიხშირით უნდა ეზიარებოდეს საერო პირი და რამდენჯერ ზიარებაა აუცილებელი წლის განმავლობაში?**

**პასუხი:** ყველა წმიდა მამა ერთხმად აღიარებს, რომ მორწმუნე ქრისტიანი დიდი ხნით არ უნდა მოაკლდეს წმიდა ზიარების მაცხონებელ მადლს. განსაკუთრებით არ უნდა დააყოვნოთ ზიარება მარხვის პერიოდში და, რაც მთავარია, ყოველივეს უნდა იქმოდეთ თქვენი სულიერი მომზადების შესაბამისად, მოძღვრის კურთხევის მიხედვით.

**კითხვა: ვართ ერთი ოჯახის შვილების – და-ძმის ნათლიები. გთხოვთ, განგვიმარტოთ, შეგვიძლია თუ არა ერთმანეთზე დაქორწინება?**

**პასუხი:** თუ ერთი და იმავე ბავშვის ნათლიები არ ხართ, მაშინ სრული უფლება გაქვთ, ერთმანეთზე იქორწინოთ, რადგან, სულიერ ნათესავებად არ ჩაითვლებით.

# მამათა შეგონებანი

**იოსებ ისიხასტი:** ენა უნდა დაშვრეს და ზღოს მთელი თავისი უქმეტყველებისა და დაცემისთვის. ეს იმიტომ, რომ იშვას ჩვევა, რაც შრომისა და ღვაწლის გარეშე ვერ მოხდება. უნდა გამოვიჩინოთ სიმდაბლე, რათა მადლი გვეწვიოს; შემდეგ იხსნება გზა – ლოცვა სუნთქვას უერთდება, ხოლო გამოღვიძებული გონება მას თვალყურს ადევნებს. დროთა განმავლობაში ვნებები უძლურდება, გულის სიტყვები მშვიდდება და გული ცხრება.

**იოსებ ათონელი:** თვიდან ის რამდენჯერმე ამბობს ლოცვას და აკეთებს ერთ ჩასუნთქვას. შემდეგ, როცა გონება გულში დგომას მიეჩვევა, ყოველი ჩასუნთქვისას წარმოითქმის ერთი ლოცვა: „უფალო იესო ქრისტე“ – ჩასუნთქვა, „შემიწყალე მე“ – ამოსუნთქვა. ასე გრძელდება მანამ, სანამ მადლი არ მოგეფინება და არ დაიწყებს მოქმედებას სულში; ამის შემდეგ კი უკვე იწყება ჭვრეტა.

**წმიდა სილუანი:** ადამიანო, ისწავლე ქრისტესმიერი მორჩილება და უფალი მოგცემს შენი ლოცვის სიტკბოების განცდას. თუ გინდა სუფთად ილოცო, იყავი მორჩილი, თავშეკავებული, სუფთად თქვი აღსარება და შეგიყვარებს შენ ლოცვა. იყავი გამგონე, მადლიანი, კეთილი სინდისით დაემორჩილე ხელისუფლებას და იყავი კმაყოფილი ყველასი, აი, მაშინ შენი გონება გასუფთავდება ამაო ზრახვებისგან. გახსოვდეს, რომ გხედავს უფალი და იყავი შიშში, რომ არ აწყენინო რაიმეთი ძმას; არ განიკითხო იგი, არ დაადარდიანო, თუნდაც, შეხედვით და სულიწმიდა შეგიყვარებს შენ, ყველაფერში დაგეხმარება.

**არქიმანდრიტი რაფაელი:** ღმერთი გვაძლევს არა მარტო თავისას, რაც თავისთავად აღემატება ადამიანის გონებას, არამედ თავის თავს, იგი ადამიანს ღმერთად ხდის მადლში. ამ ძღვენის წინაშე ყველა ადამიანური საქმე არ შეიძლება უსასრულოდ მცირე არ იყოს. უფალმა მოწყალების საქმისთვის მიგება განუზომლად მეტით აღგვიქვა, მაგრამ აქ ადამიანს აძლევს იმას, რასაც ვერაფერს შევადარებ, რასაც ანალოგი არა აქვს, იმას, რაც ყველა ადამიანურ ცნებას აღემატება. აძლევს საკუთარ თავს. რა დამსახურებებზე შეიძლება იყოს აქ ლაპარაკი? როგორ შეიძლება, ღმერთი „გამოიმუშაო“, როგორ შეიძლება, ჯილდოდ ღმერთი მიიღო? აქ არის საიდუმლო ღვთაების მისტიკური სიყვარულისა ადამიანის სულისადმი. დანარჩენი კი მხოლოდ იმისთვისაა საჭირო, რომ სიყვარულის ხმობა გაგონილ იქნეს.

**პაისი მთაწმინდელი:** ყოველივე სულიერში აუცილებელია კრძალულება და გული, ყველაფერი, რაც მოკრძალებით კეთდება, კურთხეულია. განსაკუთრებით იმისთვის, რომ რომელიმე წმიდანის მსახურება დაწერო, უნდა გიყვარდეს ეს წმიდანი, მისდამი კრძალვას უნდა გრძნობდე, მაშინ ეს მსახურება გულიდან შეიქმნება და კრძალულების არომატს დააფრქვევს. ხოლო, თუ საღვთო გულმოდგინების მდგომარეობას, საღვთო უგუნურების მდგომარეობას მივაღწევთ, მაშინ ტროპარები თავად გადმოიღვრება ჩვენი არსებიდან.

# რომელი ჩოგბურთელები ითვლებიან რაფაელ ნადალისა და როჯერ ფედერერის პოტენციურ შემცვლელებად

*როჯერ ფედერერი, ნოვაკ ჯოკოვიჩი, რაფაელ ნადალი, ვიქტორია აზარენკო, მარია შარაპოვა, დები უილიამსები და სხვანი თანამედროვე ჩოგბურთის აღიარებული ვარსკვლავები არიან, რომელთაც ყურადღება არ აკლიათ ჟურნალისტების მხრიდან კორტებსა თუ კორტების გარეთ. მათ შესახებ ბევრს წერენ, მათ ცხოვრებას აშუქებენ და ისინი საზოგადოებისთვის მუდამ აქტუალური სპორტსმენები არიან ჩოგბურთის სამყაროდან, თუმცა, ჩოგბურთის სამყარო მხოლოდ ვარსკვლავებისგან არ შედგება – არიან ისეთებიც, რომელთა შესახებ საზოგადოებამ აუცილებლად უნდა იცოდეს, რადგან ჩოგბურთის მომავალი მათზეა დამოკიდებული და, დღეს თუ ხვალ, უკვე ნახსენებ ვარსკვლავებს ისინი ჩაანაცვლებენ ჩოგბურთის ტოპ-რეიტინგების პირველი საფეხურებიდან. გთავაზობთ პლანეტის ყველაზე იმედისმომცემი ჩოგბურთელების ტოპ-ათეულს.*

### ეჟი იანოვიჩი – პოლონეთი

22 წლის პოლონელს მსოფლიო რეიტინგში ოცდამეოთხე პოზიცია უკავია და ჯერჯერობით ეს მისი რეკორდია, თუმცა, იანოვიჩი უკვე ითვლება ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავად. 203 სანტიმეტრი სიმაღლის იანოვიჩს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ჩაწოდება აქვს თანამედროვე ჩოგბურთში – მისი ჩაწოდებული ბურთი 200 კილომეტრ-საათი სიჩქარით მიფრინავს, ხოლო პირადი რეკორდი 242 კილომეტრ-საათს შეადგენს. გასული წლის ოქტომბერში იანოვიჩმა პირველი განაცხადი გააკეთა ვარსკვლავურ სტატუსზე, როდესაც პარიზული „მასტერსის" ფინალში გავიდა, მანამდე კი მასზე გაცილებით ძლიერი მეტოქეები ჩამოიშორა ენდი მარეისა და მარინ ჩილიჩის თამადობით. 2013 წლის პირველი დიდი ტურნირიდან – ავსტრალიის ღია პირველობიდან, იანოვიჩი მესამე წრეში გამოვარდა.



### მილოშ რაონიჩი – კანადა

კანადელმა გიგანტმა მილოშ რაონიჩმა, რომლის სიმაღლე 196 სანტიმეტრია, უმაღლეს პოზიციას მსოფლიო რეიტინგში 2012 წლის ნოემბერში მიაღწია, როდესაც მეცამეტე ადგილზე აღზევდა და, როგორც ჩანს არცთუ შორს არის ის დღე, როცა რაონიჩი პირველ ათეულში შეაბიჯებს. იგი ნებისმიერი ტიპის საფარზე სახიფათო მეტოქეა, მისი ფორჰენდის ძალა კი უკვე გამოსცადეს საკუთარ თავზე ტომაშ ბერდიჰმა და ენდი მარეიმ. ცნობისთვის, კანადელი რაონიჩი წარმოშობით ჩერნოგორიიდან არის და მისი ბავშვობის კერპი ლეგენდარული ამერიკელი პიტ სამპრასი იყო.



### კეი ნისიკორი – იაპონია

23 წლის იაპონელი ამჟამად აზიის საუკეთესო ჩოგბურთელია, რომელსაც მსოფლიო რეიტინგში მეთხუთმეტე პოზიცია უკავია – ყველაზე მაღალი პოზიცია იაპონელების ისტორიაში. გასულ წელს ნისიკორიმ ჟო-ვილფრიდ ცონგა და დავიდ ფერერი დაამარცხა და ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალში გავიდა. წლევანდელი წელი ნისიკორისთვის ნაკლებად წარმატებულად დაიწყო, თუმცა, თუ ის მოახერხებს ჩვეული ფორმის დაბრუნებას, საშიშ მეტოქედ იქცევა ნებისმიერი ჩოგბურთელისთვის.



### ბერნარდ ტომიჩი – ავსტრალია

ორი წლის წინ, მაშინ ჯერ კიდევ 19 წლის ავსტრალიელმა ბერნარდ ტომიჩმა, უიმბლდონის მეოთხედფინალში გასვლა მოახერხა და სპეციალისტების მიერ უმალ დასახელდა პლანეტის ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშედ. შედეგის მიუხედავად, უკანასკნელ პერიოდში ტომიჩი ნაკლებად ამართლებს პროგნოზებს და თავის წარმოჩენას მხოლოდ სკანდალურ ქრონიკებში ახერხებს. ამჟამად იგი 45-ეა რეიტინგში, თუმცა, თუ მის ახალგაზრდულ ასაკსა და ნიჭს გავითვალისწინებთ, არ უნდა გაგვიკვირდეს მისი აღზევება რეიტინგში.

### გრიგორ დიმიტროვი – ბულგარეთი

გრიგორ დიმიტროვი რუსი მარია შარაპოვას ახალი ბოიფრენდია, მაგრამ, ამასთან ერთად ის იმედისმომცემი ჩოგბურთელიც არის, რომლის კერპიც როჯერ ფედერერია. 21 წლის ბულგარელი ბრწყინვალედ მოძრაობს კორტზე, თუმცა, სპეციალისტები მას ფიზიკურ მომზადებას უწუნებენ, რის გამოც, როგორც ჩანს, დიმიტროვი ჯერაც ვერ გასცდა „დიდი სლემის" ტურნირების მეორე წრეს. ამჟამად დიმიტროვი მსოფლიო რეიტინგში 34-ე პოზიციაზეა და თუკი ის მოუმატებს ვარჯიშს, ყველა მონაცემი აქვს, რომ საკუთარ კერპს დაემსგავსოს და რეიტინგის სათავეში მოექცეს.

### ლორა რობსონი – დიდი ბრიტანეთი

19 წლის ბრიტანელმა ლორა რობსონმა თავის ასაკში იმის ნახევარსაც ვერ მიაღწია, რასაც მარტინა ჰინგისმა ან მარია შარაპოვამ და ჯერაც მსოფლიო რეიტინგის 53-ე ჩოგანია. გასულ წელს რობსონმა ამერიკის შეერთებული შტატების ღია პირველობაზე ლეგენდარული ბელგიელი კიმ კლისტერსი დაამარცხა და ეს მარცხი ბელგიელის კარიერაში უკანასკნელი გამოდგა; გარდა ამისა, რობსონმა ვერცხლის მედალი მოიპოვა ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე შერეულ წყვილთა თანრიგში. ლორა ამჟამად ნომერ პირველი ქალი-ჩოგანია ბრიტანეთში და მასზე დიდ იმედებს ამყარებენ „დიდი სლემის" მომავალ ტურნირებზე.



### ეკატერინა მაკაროვა – რუსეთი

ძნელია, 24 წლის რუს ჩოგბურთელს იმედისმომცემი უწოდო, რადგან, ჩოგბურთისთვის სოლიდურ ასაკშია, თუმცა, სტაბილური თამაშის ჩვენება მაკაროვამ მხოლოდ ახლა დაიწყო. ის ყოველთვის ითვლებოდა ძლიერ მოთამაშედ წყვილთა თანრიგში, თუმცა, მას შემდეგ, რაც მან შარშანდელ ავსტრალიის ღია პირველობაზე სერენა უილიამსის დამარცხება მოახერხა, მასზე, როგორც ძლიერ ჩოგბურთელზე ალაპარაკდნენ. მაკაროვას კერპები ჩოგბურთში როჯერ ფედერერი და თანამემამულე ანასტასია მისკინა არიან.

### პოლონა ჰერცოგი – სლოვენია

22 წლის სლოვენიელი ჩოგბურთელი პოლონა ჰერცოგი ქალთა მსოფლიო რეიტინგის 56-ე პოზიციაზეა და მისი მიზანი წელსვე მსოფლიოს ათეულში შესვლაა. პოლონას კერპი ბელგიელი ჟიუსტინ ენენი იყო. წყვილთა თანრიგში პოლონას მნიშვნელოვანი გამარჯვებები აქვს – იგი როლან-გაროსისა და უიმბლდონის ჩემპიონია. პოლონა მშობლიურ მარიბორში ცხოვრობს და ვარჯიშობს.

### სლოან სტივენსი – ამერიკის შეერთებული შტატები

20 წლის ამერიკელი სლოან სტევენსი ახალი სახეა მსოფლიო ჩოგბურთში, თუმცა მას უკვე უწინასწარმეტყველებენ დები უილიამსების მომავალს. ახალგაზრდა ქალ ჩოგბურთელებს შორის სლოანს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ჩაწოდება აქვს – 120 მილი საათში. ჯერჯერობით სლოანს არცთუ კარგი შედეგი აქვს „დიდი სლემის" ტურნირებზე, თუმცა, ჯერ კიდევ ყველაფერი წინ არის. 25-ე ადგილი მსოფლიო რეიტინგში, რომელსაც იგი ამჟამად იკავებს, მისთვის დროებითი მოვლენაა და ის აუცილებლად დაიკავებს კუთვნილ ადგილს ქალ ჩოგბურთელთა ტოპ-ათეულში.



### ჰიზერ უოტსონი – დიდი ბრიტანეთი

ჩოგბურთის პარალელურად, ჰიზერ უოტსონი ბალეტითა და ბადმინტონით იყო დაკავებული, თუმცა, საბოლოოდ კორტი ამჯობინა და დღეს, ლორა რობსონთან ერთად, დიდი ბრიტანეთში იმედისმომცემ სპორტსმენად ითვლება. 20 წლის უოტსონი ოცნებობს, გამარჯვება იზეიმოს უიმბლდონზე, თავის ყველაზე საყვარელ ტურნირზე. ჰიზერ უოტსონი ამჟამად რეიტინგის საუკეთესო 50-ეულში ბოლო პოზიციაზეა და წლის ბოლომდე ოცეულში შესვლის რეალური კანდიდატია.

## ელ-შაარავის კლუბური გერლფრენდი



„მილანის" ექსცენტრიკული ფორვარდი სტეფან ელ-შაარავი, მეტსახელად „ფარაონი," კლუბური ცხოვრების მოყვარული აღმოჩნდა და მიუხედავად იმისა, რომ გუნდის ხელმძღვანელობა ამტკიცებდა, მნიშვნელოვანი მატჩების წინა ღამით „ფარაონი" ადრე იძინებსო, სოციალურ ქსელში გავრცელებული ფოტოებით, ცნობილი გახდა, რომ ელ-შაარავი ღამეებს ერთ-ერთ მილანურ კლუბში ატარებდა, სადაც მისი გერლფრენდი – ესტერ ჯიორდანო ფიარმენჯერად მუშაობს. ამავე დროს, იტალიური პრესა ირწმუნება, რომ კლუბური ცხოვრებისადმი სიყვარულის მიუხედავად, ელ-შაარავი საკმაოდ სერიოზულია და მარიო ბალოტელივით თავქარიანი არ გახლავთ.

## რაშიდ უოლესის მეორედ დასრულებული კარიერა



„ნიუ-იორკს ნიქსის" ვარსკვლავმა რაშიდ უოლესმა გადაწყვიტა კარიერა დაასრულოს. როგორც ჩანს, კალათბურთელმა მას შემდეგ, რაც ფეხი მოიტეხა, სრულად მომჯობინება ვერ მოახერხა და მეორედ გადაწყვიტა კარიერის დასრულება. პირველად სპორტიდან წასვლა უოლესს 2010 წელს უნდოდა, თუმცა გადაიფიქრა. ამჟამინდელი გადაწყვეტილება კი, სავარაუდოდ, საბოლოო იქნება. უოლესი ფეთქებადი ხასიათითაა ცნობილი, რომელსაც NBA-ს რეკორდი ეკუთვნის ტექნიკური ჯარიმების რაოდენობით – სულ 304 კარიერის განმავლობაში. მისი დებიუტი ნაციონალურ ლიგაში 1995 წელს შედგა. 2004 წელს კი, საჩემპიონო ტიტული მოიპოვა „დეტროიტთან" ერთად.

## რომის პაპი – კოლექციონერი

რომის პაპი – ფრანცისკი ფეხბურთის დიდი ქომაგი და არგენტინული „სან-ლორენცოს" ყველაზე ცნობილი გულშემატკივარია. პონტიფიკოსი, ასევე, საფეხბურთო მაისურების კოლექციონერიც ყოფილა და რამდენიმე ხნის წინ, მას „ბარსელონას" ვარსკვლავის, ლიონელ მესის ავტოგრაფიანი მაისური გადასცეს საჩუქრად. მანამდე კი ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა მარიანო რაჰოიმ უსახსოვრა რომის პაპს ესპანეთის ნაკრების მაისური ფეხბურთელთა ავტოგრაფებით. ცნობილია, რომ აგვისტოში პაპის საყვარელი კლუბი ამხანაგურ მატჩებს გამართავს რომში – „რომასთან" და „ლაციოსთან".

## ნეიმარის კომიქსები



ბრაზილიის ნაკრების ახალი თაობის ვარსკვლავი – ნეიმარი საბავშვო კომიქსების გმირი გახდა. „სანტოსის" თავდამსხმელი პელეს, რონალდოსა და რონალდინიოს შემდეგ, მეოთხე ფეხბურთელია, რომლის შესახებაც კომიქსების სერია გამოიცემა. კომიქსების ავტორი, კარიკატურისტი მაურისიო დე სოუზაა. ნახატებში ნეიმარს თავისი საფირმო ვარცხნილობა შენარჩუნებული აქვს. კომიქსების პირველი სერია სახელწოდებით „ნიჭიერი ბიჭი" ბრაზილიაში გაყიდვაში სულ მალე გამოვა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეს კომიქსი ისევე წარმატებული იქნება, როგორც რონალდოს ან პელეს კომიქსებია.

## სერენას ახალი ფოტოსესია

სერენა უილიამსმა მაიამის პლაჟზე ახალ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. ჩოგბურთელმა ფოტოობიექტივის წინ შავთეთრ საცურაო კოსტიუმში იპოზიორა და როგორც ჩანს, ხაზი თავისი სხეულის სისავსეს გაუსვა. უილიამსს უკვე გამოუჩნდნენ კრიტიკოსები, რომელთა თქმით, მსგავსი საცურაო კოსტიუმის ჩაცმა პირველ ჩოგანს არ მოუხდა და დროა უილიამსმა თავი შეიკავოს მსგავსი ფოტოსესიებისგან. ცნობისთვის, რამდენიმე ხნის წინ 31 წლის სპორტსმენმა ჟურნალისტებთან აღიარა, რომ ასაკის მატებას განიცდის და სიბერის ეშინია.

## შეიკის კონკურენტი



„რეალისა" და პორტუგალიის ნაკრების ვარსკვლავს, კრიშტიანუ რონალდუს არაერთი ცნობილი ლამაზმანი ეტრფის და რუსი სუპერმოდელის, ირინა შეიკის ადგილზე ყოფნას ოცნებობს. ბრიტანელმა ჟურნალისტებმა გაარკვიეს, რომ მოდელი რაიან საგდენი ძალიან ახლოსაა მიზანთან, – მისი სასიყვარულო კავშირი რონალდუსთან დადასტურდა. ჯერჯერობით პაპარაცებს რონალდუ და საგდენი ერთად არ დაუფიქსირებიათ, თუმცა ეს მხოლოდ დროის ამბავია. ცნობილია, რომ ფეხბურთელს ხშირი მიმოწერა აქვს მოდელთან, სანამ ის სხვადასხვა პროექტით მსოფლიოს ამა თუ იმ ქვეყანაში იმყოფება.

## განქორწინება 12 მილიონზე

ურუგვაის ნაკრებისა და იტალიური „ნაპოლის" ვარსკვლავი – ედინსონ კავანი შესაძლოა, გაკოტრდეს. საქმე ისაა, რომ ფეხბურთელი განქორწინების პროცესშია და თუკი სასამართლო მარია სოლედადოს მოთხოვნას დააკმაყოფილებს, კავანის 12 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს ექსმეუღლისთვის. კავანის სახელთან დაკავშირებული სკანდალი დიდი ხანია, გახმაურდა იტალიურ პრესაში, ჯერ იყო და ფეხბურთელი ვიღაც 22 წლის ლამაზმანთან ერთად დააფიქსირეს კლუბში, რასაც მარია სოლედადოს სარჩელი მოჰყვა განქორწინებაზე. მოკლედ, ნეაპოლში დიდი ამბები დატრიალდა და შესაძლოა, კავანიმ გუნდის გამოცვლაზეც კი იფიქროს.

## ტოტი წასვლას არ ჩქარობს



2006 წლის მსოფლიო ჩემპიონი და იტალიური „რომას" ლიდერი, 36 წლის ფრანჩესკო ტოტი დიდი ფეხბურთიდან წასვლას არ ჩქარობს და აცხადებს, რომ სანამ ლეგენდარული სილვიო პიოლას რეკორდს არ მოხსნის, ბუცებს ლურსმანზე არ დაკიდებს. ამ მომენტისთვის ტოტის ანგარიშზე 227 გოლია, სილვიო პიოლა 274 გოლით ლიდერობს იტალიის ყველა დროის ბომბარდირთა შორის. ფეხბურთელი 2016 წლამდე, ანუ 40 წლის ასაკამდე, აპირებს თამაშს და 300-გოლიანი ნიშნულის მიღწევას ეცდება. იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე სეზონში ტოტიმ 12 გოლის გატანა მოახერხა, მოსალოდნელია, პიოლას რეკორდს საფრთხე შეექმნას.

გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ



## იმუნიტეტის გაძლიერებასა და ინფექციებთან ბრძოლაში მცენარეული ნაყენები დაგეხმარებათ

აქტიურ ცხოვრებაში რომ არ შეგეშალოთ ხელი და თქვენმა ორგანიზმმაც შეუფერხებლად იმუშაოს, ის დროდადრო უნდა გაათავისუფლოთ წლობით დაგროვილი მავნე ნივთიერებებისგან. ამ საქმეში კი მცენარეული ნაყენები დაგეხმარებათ.

სისხლძარღვების კედლებს ასუფთავებს და ამაგრებს ჟოლოს ფოთლები, წითელი სამყურა, ბაბუაწვერას ძირები, მოცხარის ფოთლები, ოროვანდი, პიტნა, ვერხვის ფესვები, ნიახური, ბარისპირა, ნიორი და სხვა მცენარეები.

თანაბარი რაოდენობით აურიეთ ერთმანეთში არყის ხის, ჟოლოს, ბაბუაწვერასა და მოცხარის ფოთლები, დაამატეთ ცოტა შვიტა და ბარისპირა. 1 სადილის კოვზ ნარევს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, დადგით წყლის აბაზანაზე დაახლოებით ნახევარი საათით. შემდეგ გადმოდგით და ერთი საათი გააჩერეთ თავდახურულ ჭურჭელში. სვით მეოთხედი ჭიქა, დღეში 3-ჯერ, ჭამის შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში.

2 სადილის კოვზ ბაბუაწვერას დაქუცმაცებულ ფესვს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და გააჩერეთ დაახლოებით ერთი საათით. დალიეთ 1 სადილის კოვზი, დღეში 4-ჯერ, ჭამამდე.

სისხლი უზრუნველყოფს ორგანიზმის თითოეულ ორგანოს იმ ენერგიით, რომელზეც ჩვენი ჯანმრთელობაა დამოკიდებული. ტოქსინებისგან სისხლის განწმენდაც ამიტომ არის აუცილებელი, რაშიც თავშავა, მარწყვის ფოთლები, ჭინჭარი, ოროვანდი, აბზინდა, შვიტა, კრაზანა, მრავალძარღვა, ფარსმანდუკი და კულმუხო დაგეხმარებათ.

1 ჩაის კოვზ ჭინჭრის გამხმარ ფოთლებს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, ერთი საათით გააჩერეთ თავდახურულ ჭურჭელში და შემდეგ გაფილტრეთ. მიიღეთ მესამედი ჩაის ჭიქა, დღეში 3-ჯერ, ორი კვირის განმავლობაში.

ძლიერი იმუნური სისტემა რომ გქონდეთ და ინფექციური დაავადებებისგან დაიცვათ თავი, 50 გრამი კულმუხოს გამხმარ ფესვს და დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, ადუღეთ დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში. შემდეგ გადაწურეთ, დაუმატეთ ნახევარი ჩაის ჭიქა ხილის ნატურალური წვენი და 50 გრამი თაფლი. მიიღეთ მესამედი ჩაის ჭიქა, ჭამის შემდეგ.

გახეხეთ 500 გრამი ნიორი და აურიეთ 10 ცალ ლიმონის ახალგამოწურულ წვენში. ყოველდღიურად მიიღეთ მესამედ ჩაის ჭიქა გადადუღებულ წყალში გახსნილი 1 ჩაის კოვზი ნარევი. ასე გაიუმჯობესებთ თქვენი ორგანიზმის საერთო მდგომარეობას და ინფექციური დაავადებებისგანაც დაიცავთ თავს.

გაფრთხილებთ, რომ მცენარეები მხოლოდ სააფთიაქო ქსელში უნდა შეიძინოთ და აუცილებლად გაითვალისწინოთ, ზედმიწევნით დაიცვათ მათი მომზადებისა და შენახვა-მიღების წესები.

## ასისთავა კუჭ-ნაწლავის აშლილობისა და ანემიის დროს შეუცვლელია

კუჭ-ნაწლავის ქრონიკული აშლილობისას გამოიყენეთ შემდეგნაირად მომზადებული ნაყენი: 2-2 ან 3-3 სადილის კოვზი კრაზანა და ასისთავა წამოადუღეთ ერთ ლიტრ წყალში. სვით მთელი დღის განმავლობაში. ეს ნაყენი არის კუჭის წვენის მაღალი მჟავიანობის ნატურალური გამანეიტრალებელი, ასევე, მადის მომგვრელი და ნაღვლის გამომყოფი საშუალება.

არსებობს კიდევ ერთი უებარი რეცეპტი: 1 სადილის კოვზ ასისთავას დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ ნახევარი საათით თავდახურული, შემდეგ გადაწურეთ და მიიღეთ 1 სადილის კოვზი, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. მკურნალობის ერთი კურსისთვის დაგჭირდებათ 50 გრამი ასისთავა.

ასისთავა, ასევე, გამოიყენება კუჭის სიმძიმის, კუჭის წყლულისა და ანემიის დროს; ღვიძლის დაავადებისას, ნაღვლის არასაკმარისი სეკრეციის, დიაბეტისა და კანზე გამონაყარის სამკურნალოდ.

ასისთავა, ძნელად შესახორცებელი ჭრილობების დროს, გარედან მოსაბანად უებარი წამალ-ნაყენია. ამისთვის, ერთი ან ორი ჩაის კოვზი დაქუცმაცებული გამხმარი ასისთავა, რომელიც აფთიაქებში უკვე ხელმისაწვდომია, ჩაყარეთ ორ ჭიქა ადუღებულ წყალში და გააჩერეთ 1 საათი.

გაითვალისწინეთ, რომ ასისთავასგან დამზადებული ყველა სამკურნალო საშუალება უნდა მიიღოთ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

## ნევროზი ადვილად იკურნება

ნევროზი ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებაა, რომელიც ძირითადი ნერვული პროცესების, კერძოდ აღგზნებისა და შეკავების მოშლით არის გამოწვეული. ნევროზის ძირითადი მიზეზი ფსიქიკური ტრავმებია.

ნევროზი არის ნერვული სისტემის პათოლოგიური რეაქცია ტრავმულ სიტუაციაზე, რაც ნერვული სისტემის ინდივიდუალური თვისებებით განისაზღვრება. გონებრივი ან ფიზიკური გადატვირთვის შემდეგ განვითარებულმა ნერვული სისტემის ზედმეტმა დაძაბულობამ, შეიძლება, გამოიწვიოს ნევრასთენია. ზოგ შემთხვევაში ნევროზი იწვევს მომატებულ აღგზნებას, გაღიზიანებას, თავის ტკივილს, ზოგჯერ, პირიქით – სისუსტეს, ძილისადმი მიდრეკილებას, გამოფიტვას.

ნევროზს ძირითადად მკურნალობენ დამამშვიდებელი საშუალებებით. აუცილებელია, ასევე, აღიკვეთოს ფსიქოტრავმული სიტუაციები.

ნევროზის დროს ძალიან კარგია მცენარეული ნაკრებები:

* 20 გრამი გვირილის ყვავილი, 20 გრამი კულმუხოს ძირები, 20 გრამი ბარამბო;
* 20 გრამი ლავანდა, 20 გრამი ბარამბო, 20 გრამი იორდასალამის ფესვი;
* 15 გრამი პიტნა, 125 გრამი შავბალახა, 15 გრამი კატაბალახას ძირები, 20 გრამი გვირილის ყვავილი, 20 გრამი ასკილის ნაყოფი, 15 გრამი თავშავა.

ნაყენი მოამზადეთ შემდეგნაირად: 1 სადილის კოვზ თითოეულ ნაკრებს დაასხით 250 მილილიტრი მდუღარე წყალი და ერთი საათით გააჩერეთ თავდახურულ ჭურჭელში. შემდეგ გადაწურეთ და თბილი მიიღეთ 1/3 ჩაის ჭიქა, 3-ჯერ დღეში.

მკურნალობის ხანგრძლივობა დაახლოებით 2-3 თვეა.

## როგორ ავიცილოთ თავიდან სახსრებში მარილების დაგროვება

ადამიანის ორგანიზმის ქსოვილებში უხსნადი მარილების დაგროვება საკმაოდ ხშირი მოვლენაა. ასე ხდება სახსართა დისტროფიული, ანუ გადაგვარებითი დაავადების – ართროზის დროს. ეს დაავადება გავრცელებულია ხანშიშესულებში, მაგრამ, ხშირად გვხვდება მოწიფულობის ასაკშიც.

ართროზი უმეტესად უვითარდებათ მათ, ვისაც ათეროსკლეროზი და შაქრიანი დიაბეტი აქვს.  მის განვითარებას ხელს უწყობს ტრავმა, ამა თუ იმ სახსრის გადატვირთვა, უმოძრაო ცხოვრება, ზედმეტი ჭამა და სიმსუქნე. ავადმყოფური მოვლენები მძიმდება სიცივის, ნესტის პირობებში. გარკვეული როლი აკისრია მემკვიდრეობით ფაქტორსაც.

ართროზის დროს ქსოვილებში ლაგდება კალციუმისა და ფოსფორის მარილები, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს ძვლოვანი წანაზარდები სახსრების არეში, სასახსრე პარკში, იოგებში, მყესებში, იშვიათად კი – კუნთებშიც. ახლად წარმოშობილი ძვლოვანი წანაზარდები აწვება ირგვლივ მყოფ რბილ ქსოვილებს და იწვევს ტკივილსა და სახსართა მოქმედების შეზღუდვას. განსაკუთრებით შემაწუხებელი და მტკივნეულია ნერვულ ღეროებზე ზეწოლის მოვლენები. ხშირად ერთდროულად ვითარდება შესაბამისი სახსრების ანთებითი ცვლილებებიც.

დაავადების გამოვლინების სურათი იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი სახსარია დაზიანებული და რა სიმძიმისაა ცვლილება. ხშირად მარილის დაგროვებასა და ძვლოვან წანაზარდებს რენტგენოლოგიური გამოკვლევისას ნახულობენ, თუმცა ადამიანს არაფერი აწუხებს. თუ ცვლილებები ხერხემალშია, ეგრეთ წოდებული სპონდილოართროზის ან ოსტეოქონდროზის დროს, ადამიანს აწუხებს სხვადასხვა ინტენსივობის ტკივილი კისრის, ზურგის, გულმკერდის, წელის არეში. შესაძლოა, ამ დროს თავის ტკივილიც იგრძნოთ.

სახსრების ირგვლივ გაჩენილი წანაზარდები და ქსოვილთა ცვლილებები იწვევს სათანადო არის – მუხლის, კოჭის, ბარძაყის, მხრის,

იდაყვის, თითებისა და ასე შემდეგ, ტკივილს. შორსწასულ შემთხვევებში, ხდება სახსრების დეფორმაცია, დამახინჯება, მოძრაობის შეზღუდვა. მძიმე შედეგია სახსართა დარღვევა და კიდურის დამოკლება, რაც მოჰყვება ბარძაყის სახსრის დაზიანების მძიმე ფორმას. განსაკუთრებით ცუდად გრძნობენ თავს ადამიანები ცივ და ნესტიან ამინდში. მათ ტკივილი უძლიერდებათ მუშაობის, სიარულის, დაღლილობის დროს.

ამ დაავადების განვითარების თავიდან ასაცილებლად დიდი მნიშვნელობა აქვს მოძრაობითი აქტივობის შენარჩუნებას. ადამიანმა სისტემატურად უნდა ივარჯიშოს ისე, რომ ყველა სახსარი მოძრაობდეს.

იმ შემთხვევაში, როცა მკვეთრადაა გამოხატული ამა თუ იმ არეში ართროზთან დაკავშირებული მოვლენები, მაგალითად, რადიკულიტი, სახსართა დაზიანება, ფიზიკური ვარჯიში უნდა წარიმართოს სამკურნალო სპეციალისტის რჩევით.

ადამიანი, რომელსაც გამოაჩნდა ართროზის პირველი ნიშნები, ბევრს უნდა მოძრაობდეს, დადიოდეს ფეხით. მოძრაობა არა მარტო აუმჯობესებს სახსრების მდგომარეობას, არამედ დადებით გავლენას ახდენს ზოგადად ნივთიერებათა ცვლაზე და აბრკოლებს დაავადების შემდგომ დამძიმებას; კვება კი ჩვეულებრივი უნდა იყოს – საჭირო არ არის რაიმე განსაკუთრებული დიეტა. მხოლოდ იმათთვის, ვისაც აქვს ნივთიერებათა ცვლის დარღვევა სიმსუქნის სახით, უნდა შეიზღუდოს საკვები, კერძოდ, პურეული, ტკბილეული, ცხიმი.

არ არის სწორი, თითქოს მლაშე საჭმელი აძლიერებს ქსოვილებში მარილების დაგროვებას. სუფრის მარილი ქლორნატრიუმია, ხოლო ქსოვილებში სულ სხვა ნივთიერებები – კალციუმი და ფოსფორი ლაგდება და მათ ერთმანეთთან არავითარი კავშირი არ აქვს.

### მკურნალი კამა

კამას ოდითგანვე უამრავი დაავადების წინააღმდეგ სამკურნალოდ იყენებდნენ.

კუჭ-ნაწლავის ტონუსის დაქვეითებისას, ერთ სუფრის კოვზ დანაყილ კამის თესლს დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და დააყენეთ ნახევარი საათის განმავლობაში. მიიღეთ ნახევარი ჩაის ჭიქა თბილი ნაყენი, ჭამამდე, დაახლოებით თხუთმეტი წუთით ადრე.

ქრონიკული კოლიტის დროს, ერთი სუფრის კოვზი კამის თესლი ჩაყარეთ ორ ჭიქა მდუღარე წყალში და მოურიეთ კარგად. გააჩერეთ ნახევარი საათით. დალიეთ ნახევარი ჭიქა სამჯერ დღეში, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

ნაწლავთა გაუვალობის, ყაბზობისა და ნერვული გადაღლის დროს, დალიეთ ერთი სუფრის კოვზი კამის თესლისა და ერთი ჭიქა რძის ნაზავი. ოღონდ რძე და კამა ათი წუთით უნდა ადუღოთ ნელ ცეცხლზე.

სისხლნაკლებობის დროს აიღეთ ერთი სუფრის კოვზი კამის თესლი ან თავად კამა, დაასხით ერთი ჭიქა რძე, ადუღეთ ათი წუთი. წვენი მიირთვით დღეში სამჯერ.

ღამით, შარდის შეუკავებლობის დროს, აიღეთ ერთი სუფრის კოვზი კამის თესლი, დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და გააჩერეთ ოთხი საათი თავდახურულ ჭურჭელში. ნახარში დალიეთ ვახშმის შემდეგ.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: როგორ ხდება სისხლძარღვებში თრომბის არსებობის დადგენა? შეიძლება თუ არა, რომ თრომბის კოლტი თვალისთვის შესამჩნევი იყოს და ხელით ისინჯებოდეს, მაგალითად, ტერფზე, კოჭთან?**

**პასუხი**: დაავადებას, რომლის დროსაც სისხლძარღვებში ჩნდება თრომბი, თრომბოფლებიტი (ვენის კედლის ანთება) ეწოდება. ის ვენების ვარიკოზული გაგანიერების ხშირი გართულებაა. ავადმყოფი უჩივის დაზიანებული კიდურის ტკივილს, რომელიც ძლიერდება მოძრაობისა და ფიზიკური დატვირთვისას. ვენა შეწითლებულია, ისინჯება მკვრივი, სიმისებრი მტკივნეული წარმონაქმნი, მტკივნეული კვანძები, რომლებიც ირგვლივ მდებარე ქსოვილებისგან მკვეთრად არის გამოკვეთილი. შესაძლოა, სხეულის ტემპერატურამ 37-38 გრადუსამდე მოიმატოს. ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა არცთუ შესამჩნევად უარესდება.

იშვიათად მოსალოდნელია თრომბის ჩირქოვანი გალღობა და სეპტიკური მდგომარეობა. პროცესი ყველაზე ხშირად კოჭის ვენაში ლოკალიზდება. კვლევისთვის ყველაზე ხშირად დოპლეროგრაფიას მიმართავენ.

**კითხვა: შეიძლება თუ არა ნაღვლის ბუშტის ანთების დროს ნაყინის ჭამა?**

**პასუხი**: ნაღვლის ბუშტის დაავადებების დროს ნაყინი უნდა ამოიღოთ რაციონიდან, რადგან ცივი საკვები, ნაყინი, ცივი სასმელი ხშირად ხდება ნაღვლის ჭვალის მაპროვოცირებელი.

**კითხვა: გამრუდებული ძგიდის გასწორება ფრონტიტის მდგომარეობას აადვილებს?**

**პასუხი**: ძგიდის გამრუდებით გამოწვეული სუნთქვის გაძნელების გამო პაციენტს ყველაზე ხშირად უვითარდება ცხვირის დანამატი ღრუების ანთებითი დაავადებები: სინუსიტი, ჰაიმორიტი, ეთმოიდიტი და ფრონტიტი. ამიტომ, გამრუდებული ძგიდის დროული და კვალიფიციური მკურნალობა აუცილებელია.

**კითხვა: საიდან აღწევს ჰერპესი ორგანიზმში?**

**პასუხი**: ინფექციის წყაროს წარმოადგენს ავადმყოფი ან ვირუსმატარებელი ადამიანი, ხოლო ინფექციის გადაცემა ხდება სქესობრივი, კონტაქტური, ჰაერწვეთოვანი და ტრანსფუზიული (სისხლის გადასხმა) გზით. ნაყოფის ინფიცირება ხდება ორსულობის დროს ტრანსპლაცენტური ან მშობიარობის დროს ტრანსცერვიკალური გზით. ვირუსი ორგანიზმში შეიჭრება კანიდან და ლორწოვანი გარსებიდან.

**კითხვა: ამ ბოლო დროს ძალიან მოვიმატე წონაში. ვაპირებ ანალიზების გაკეთებას. რა ანალიზები უნდა ჩავიტარო ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონის გარდა?**

**პასუხი**: მსუქან პირებს, ფარისებრ-მასტიმულირებელი ჰორმონის გარდა, როგორც წესი, ვურჩევთ სისხლში გლუკოზისა და ლიპიდების შემცველობის განსაზღვრას.

**კითხვა: თირკმელებში მაქვს დიდი რაოდენობით მარილები, შარდი კი – მუქი ყვითელი. თუ შეიძლება, რომ ეს მარილების ბრალი იყოს? რით ვუშველო მარილებს?**

**პასუხი**: დიდი რაოდენობით მარილები, შესაძლოა შარდის გამუქების მიზეზი იყოს.

შარდში მარილების აღმოჩენა არ არის არავითარი დაავადების სიმპტომი და, შესაბამისად, არც მკურნალობაა საჭირო, უბრალოდ, მიიღეთ სითხე სათანადო რაოდენობით, განსაკუთრებით – დღის მეორე ნახევარში.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**



# როდის დაუპირისპირდნენ საბოლოოდ ერთმანეთს თამაზ ნადარეიშვილი და აფხაზი სეპარატისტები

„უმნიშვნელოა აფხაზეთის გარეშე არსებული სტაბილური საქართველოს ფასი; არც ისეთი აფხაზეთი გვინდა, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობას რომ შეიწირავს... აფხაზეთში ჩვენ გარეშე ჩავლილი ყოველი წელი, საქართველოსგან ფაქტობრივად ჩამოცილებული აფხაზეთის იურიდიულ გაფორმებას უწყობს ხელს...” – ეს იმ კაცის სიტყვებია, რომელიც თავისი ქვეყნის სიყვარულს შეეწირა, რომელიც მტერმა და მისმა მაცდურმა შეთავაზებებმა ერთხელაც ვერ გატეხა, ერთხელაც ვერ შეაცდინა, ერთხელაც ვერ დააჩოქა. ამ სიყვარულმა შეიწირა ბევრი ჩვენი თანამებრძოლი, მათ შორისაა ძალიან მართალი კაცი – ჟიული შარტავაც. ძნელია ყველაფერი ერთად გადმოსცე, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენმა მომავალმა თაობებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ სიმართლე აფხაზეთზე. სწორედ ამ მიზნით შევარჩიეთ აფხაზ დიდგვაროვანთა შთამომავლის, თამაზ ნადარეიშვილის ცხოვრების დღიურები.

„1989 წლის მაისს, როცა გაგრის სტადიონზე ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავად შეკრებილ ქართველობას სეპარატისტებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, რათა შეურაცხყოფით დაეკნინებინათ იქ მყოფთა ეროვნული ღირსება, თანამოძმეებმა ხმა მიაწვდინეს და თანადგომა სთხოვეს მაშინ გაგრის ქალაქკომის მეორე მდივანს, საკმაოდ ახალგაზრდა თამაზ ნადარეიშვილს, რომელსაც უკვე მოხვეჭილი ჰქონდა სახელი, როგორც ექსტრემისტულად განწყობილი აფხაზი თანამდებობის პირებისადმი დაუმორჩილებელ კაცს. თამაზ ნადარეიშვილმა არ დააღალატა მისი მოიმედე ხალხი, მით უმეტეს, რომ საქმე საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს შეეხებოდა. ამიტომ, არც დაფიქრებულა, სწრაფად აღმოჩნდა დაპირისპირებულთა შუაგულში და გულწრფელად სცადა, მათი ქმედების უღირსობაში დაერწმუნებინა ღონისძიების ჩასაშლელად იქ მისული აფხაზები. რაღაც მომენტში მიზანსაც მიაღწია – სიტყვის შებრუნება არავის უცდია და, მაშინ, როცა მშვიდობიანად უნდა დაშლილიყვნენ კიდეც, მავანმა ვერ აიტანა ქართული აზრისა და შეგონების გამარჯვება და გაგრაში პირველი შეტაკების პროვოცირება მოხდა. საკმაოდ მძიმედ ტრავმირებული თამაზ ნადარეიშვილი მცირე ხნით საავადმყოფოში მოათავსეს. გაგრაში მცხოვრებმა მისმა უახლოესმა აფხაზმა ნათესავებმა მტკივნეულად განიცადეს მომხდარი. იგუმანეს, რომ დაპირისპირება ქართველებსა და აფხაზებს შორის ბუნებრივად კი არ მომხდარია, გარედან იყო ხელოვნურად თავსმოხვეული და ამდენად, საშიშიც. მაშინ ბატონ თამაზს მათი შიში არ გაუზიარებია, რადგან, ვერ წარმოედგინა თუ დაპირისპირება, გაუცხოება და სიძულვილი ისეთ მასშტაბებს შეიძენდა, რომ გუშინდელ მეგობრებს სამუდამოდ მტრებად გადაჰკიდებდა...



ქალიშვილთან, ანისთან ერთად (ბაჩო ახალაის მეუღლე)



მეუღლესთან, ლელა ყურაშვილთან ერთად



თამაზ ნადარეიშვილი მამასთან ერთად

...საბოლოო დაპირისპირება სეპარატისტებსა და თამაზ ნადარეიშვილს შორის მაშინ გამოიკვეთა, როცა ვლადისლავ არძინბამ, უკვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარის პირველ მოადგილეს, შეახსენა აფხაზური წარმომავლობა, ერთი შეხედვით გული გადაუშალა და მაცდური დაპირებების სანაცვლოდ საქართველოს ღალატი შესთავაზა... იმავე დღეს მიიღო შესაფერისი პასუხი სეპარატისტთა თავკაცმა. აფხაზთა და ქართველთა მრავალსაუკუნოვანი, ისტორიული ერთობის გასახლეჩად მომართულს, ხანდახან გათვლები ღალატობდა. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ინტერესთა წინააღმდეგ ნადარეიშვილის გადაბირების მცდელობისას მან აშკარად შეცდომა დაუშვა...



თამაზ ნადარეიშვილი უფროს შვილიშვილთან

..1992 წლის დეკემბერსა და 1993 წლის იანვარში, საქართველოს ხელისუფლებაში მომხდარი სამხედრო გადატრიალების შედეგად, ქვეყანაში დაძაბული ვითარება შეიქმნა... რკინიგზებისა და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების დასაცავად, არძინბასთან წინასწარ შეთანხმებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაადგილდა შინაგანი ჯარის სამასკაციანი შემადგენლობა... წინასწარ მომზადებული საინფორმაციო-პროპაგანდისტული მანქანის მეშვეობით მთელ მსოფლიოში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს აფხაზეთში საქართველოს ჯარი შევიდა აფხაზების წინააღმდეგ საომრად. ასე დაიწყო ომი აფხაზეთში.



...1993 წლის ივლისის პირველი რიცხვებიდან ქართული მხარე გმირულად იგერიებდა მტრის შემოტევას, რამაც აიძულა რუსეთი, თითქოს და აფხაზეთში მშვიდობის სანაცვლოდ, სისტემატური მოლაპარაკებები ეწარმოებინა საომარი მოქმედებების შეწყვეტის, განიარაღებისა და აფხაზეთიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების გაყვანის მოთხოვნით...სამწუხაროდ, ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ იფიქრა, რომ ნადარეიშვილს შურისძიება ალაპარაკებდა. ქვეყნის პრეზიდენტი დაარწმუნეს კიდეც, რომ, თუკი სეპარატისტებთან შეურიგებელი ნადარეიშვილი აღარ იქნებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების მეთაური, მოლაპარაკებით გახდებოდა შესაძლებელი ორივე მხარისთვის მისაღები შეთანხმების მიღწევა. 16 ივლისს, გულის მორიგი შეტევის გამო, თამაზ ნადარეიშვილი თბილისის საავადმყოფოში მხოლოდ 2-3 დღით, აუცილებელ პროცედურებზე იყო ჩამოსული, 18 ივლისს კი ტელეეკრანიდან შეიტყო, რომ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით და, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, გათავისუფლებულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავჯდომარეობიდან, მის ადგილზე კი დანიშნულია ჭეშმარიტად პატრიოტი და გამოცდილი პიროვნება – ჟიული შარტავა. ჩვენი საზოგადოების ერთმა ნაწილმა ირწმუნა, რომ ის, რაც ვერ შეძლო აფხაზ სეპარატისტთა ბარბაროსული ქმედებით გაღიზიანებულმა თამაზ ნადარეიშვილმა, შეძლებდა უსაზღვროდ მიმტევებელი ჟიული შარტავა და აფხაზეთში საბოლოოდ მშვიდობა დამყარდებოდა... ამ ცვლილების მიუხედავად, ბატონ თამაზს აშკარად ეეჭვებოდა სასურველი შედეგის და, იმავე დღეს, თბილისიდან სატელეფონო საუბრისას, სთხოვა სოხუმში მყოფ ხელისუფლების წარმომადგენლებს და თვითონ ჟიული შარტავასაც, რომ არ ერწმუნათ სეპარატისტთა და რუსთა დაპირებების და ხელი არ მოეწერათ განიარაღების შეთანხმებისთვის. მას ეს მოსაზრება მაშინ პანიკად ჩაუთვალეს, მაგრამ, როცა ზუსტად ის შედეგი დადგა, რასაც ბატონი თამაზი ვარაუდობდა, მისი უცდომელი პროგნოზი ძალიან ცოტამ თუ გაიხსენა.“



### წინაპართა კვალდაკვალ

თამაზ ნადარეიშვილი დაიბადა ქალაქ გაგრაში, 1954 წლის 19 ივლისს, ვლადიმერ

ნადარეიშვილისა და ალექსანდრა შენგელაიას ოჯახში. 7 წლის თამაზს მამა (გაგრის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი) ავიაკატასტროფაში დაეღუპა და ის უმცროს ძმასთან, მერაბთან ერთად ობლად დარჩენილი, დედამ და ბებიამ _ ალექსანდრა შენგელაიამ და მერი შარვაშიძემ აღზარდეს. მერი შარვაშიძე სამხედრო მოსამსახურის _ კონსტანტინე ლაკერბაიას ქვრივი იყო. კონსტანტინე ლაკერბაიამ 1918 წელს თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ამის მიზეზი კი გახდა შემდეგი ფაქტი: შავი ზღვის აფხაზეთის აკვატორიაში შემოსული წითლების გემის მეზღვაურებისთვის წინააღმდეგობის გაწევის დროს, ბოლშევიკებმა ტყვედ აიყვანეს მისი თანამებრძოლი, ნათესავი და უახლოესი მეგობარი, რომელიც, მის თვალწინ, გემის გახურებულ საცეცხლურში ჩააგდეს. ამ შემზარავი ფაქტით შეძრწუნებულმა კონსტანტინე ლაკერბაიამ თავი მოიკლა. აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პერიოდში მერი შარვაშიძე, მისი მცირეწლოვანი ვაჟი – გიორგი ლაკერბაია, დედა _ ტერეზია ჩიჩუა, და _ ვერა შარვაშიძე და მისი ოჯახის დანარჩენი წევრები თავდაპირველად თურქეთში გადავიდნენ საცხოვრებლად, შემდგომ _ საფრანგეთში. მაგრამ, ივანე შარვაშიძის ქალიშვილებმა დიდხანს ვერ გაძლეს უცხოეთში და, როცა ირწმუნეს, რომ სამშობლოში მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა, ოჯახებითურთ ორივე დაბრუნდა საქართველოში, განსხვავებით მათი ბიძაშვილისგან _ მერი პროკოფის ასული შარვაშიძისგან, რომელმაც მთელი სიცოცხლე საფრანგეთში, ემიგრაციაში გაატარა და იქვე, პარიზში გარდაიცვალა. ადრე დაქვრივებულ მერი შარვაშიძეს, რომელიც მომხიბვლელი გარეგნობის, ზნე-ჩვეულებისა და შინაგანი კულტურის წყალობით უამრავ მამაკაცს ჩაუვარდა გულში, მაგრამ, ის ცოლად გაჰყვა გაგრის მკვიდრს, თავადაზნაურთა თვალსაჩინო წარმომადგენელს, ვარლამ შენგელაიას, რომელიც გაგრის მშენებლობისა და კეთილმოწყობის ინიციატორის, ქველმოქმედებით ცნობილი პიროვნების, ანდრია შენგელაიას ერთადერთი ვაჟი იყო. მეფის არმიის კავალერისტ ვარლამ შენგელაიასა და მერი ივანეს ასულ შარვაშიძეს შეეძინათ ქალიშვილი – ალექსანდრა შენგელაია (თამაზ ნადარეიშვილის დედა)... ალექსანდრა შენგელაიამ თავისი ცხოვრება გაგრის მკვიდრს, კარგად ცნობილ პიროვნებას, ვლადიმერ ნადარეიშვილს დაუკავშირა, მაგრამ, მათი ოჯახური ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა – ადრე დაქვრივებული ობლად დარჩენილი შვილების აღზრდას სწორედ დედის _ მერი შარვაშიძის დახმარებით შეუდგა... ალექსნდრა შენგელაიამ წლების განმავლობაში იმუშავა გაგრის პირველ საშუალო სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად და შეძლებულ დიდგვაროვანთა შთამომავალი, პედაგოგის მოკრძალებული ხელფასით ზრდიდა ობლებს, წინაპართაგან შემორჩენილ რელიკვიებს კი, როგორც ყველაზე ძვირფას განძს, სათუთად ინახავდა. ეს იყო ოქროსა და ვერცხლის ნივთები – საგვარეულო მემკვიდრეობა, აგრეთვე, რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზის დედის – დედოფალ მარია ფიოდოროვნას ნაჩუქარი ბროლისა და ვერცხლის ნივთები სამეფო გვირგვინის გამოსახულებით და ასე შემდეგ. მერი შარვაშიძის მიერ შემონახული, მრავალ ქარტეხილგამოვლილი ყველა ეს განძი, გაგრის აღებისას, 1992 წლის ოქტომბერში, პირწმინდად დაიტაცეს სეპარატისტთა „ბოევიკებმა". წარსულთან კავშირის სიმბოლოდ კი ალექსანდრა შენგელაიასა და მის შვილებს მერი შარვაშიძის ალბომიღა შემორჩათ, რომელიც აფხაზმა ნათესავებმა გადაარჩინეს დაწვას და გაგრის დაცემის შემდეგ გამოუგზავნეს ნადარეიშვილების ოჯახს".





ნადარეიშვილი და მიხეილ სააკაშვილი



თამაზ ნადარეიშვილი (1993 წელი, სოხუმი)

**მასალა მომზადდა დალი ჯოჯუას წიგნის – „წინაპართა კვალდაკვალ" მიხედვით**

**ეკა პატარაია**

(23-ე გვერდიდან)

# რომელ შენობებს ჰქონდა საკუთარი ელექტროსადგურები მეოცე საუკუნის დასაწყისის თბილისში და რა როლი მიუძღვით ქალაქის ელექტრიფიკაციაში ძმებ სიმენსებს

ელექტროსადენებისა და ელექტრომოწყობილობების მთავარი მიმწოდებელი ორი კომპანია იყო იმ დროის თბილისში: „სიმენსი და ჰალსკე" და „შუკერტი და კომპანია". კომპანია „სიმენსის" ფილიალი მთელ რუსეთის იმპერიაში პირველი თბილისში, 1860 წელს, გაიხსნა, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ძმები – ვალტერ და ოტო სიმენსები. ვალტერ სიმენსი პრუსიის კონსული გახლდათ ამიერკავკასიაში. ის და ოტო კომპანია „სიმენსის" დამფუძნებლის, ვერნერ ფონ სიმენსის უმცროსი ძმები იყვნენ. ორივე ძმა სიცოცხლის ბოლომდე თბილისში ცხოვრობდა. 1868 წელს ვალტერ სიმენსი თბილისში ტრაგიკულად დაიღუპა – საზეიმო ვახშამზე მიმავალს ცხენმა სასიკვდილო ტრავმა მიაყენა. ოტო სიმენსი კი, 1871 წელს ქოლერისგან გარდაიცვალა. ცნობისთვის, ოტო სიმენსმა პირველმა დააგო ასფალტის საფარი თბილისის ქუჩებში. ორივე ძმა ვერის ძველ სასაფლაოზე იყო დაკრძალული, სადაც ამჟამად ვერის ბაღი და ჭადრაკის სასახლეა. ძმების საფლავები სხვა სასაფლაოზე გადაუტანიათ და ამჟამად დაკარგულად ითვლება. ვალტერ სიმენსი ამჟამინდელ ლადო ასათიანის ქუჩაზე ცხოვრობდა. მის საცხოვრებელ სახლს მემორიაული დაფა ამშვენებს.

1911 წლისთვის თბილისში ათასამდე ქუჩის განათების ფანარი ფუნქციონირებდა, მათ შორის – 54 ელექტრონათურა. წლიურად ქალაქის განათება ბიუჯეტს 12 ათასი რუბლი უჯდებოდა. გასაბჭოების, განსაკუთრებით კი, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, თბილისის ქუჩების განათებამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა.



სანაპირო საბჭოთა პერიოდში ქუჩის განათების ახალი ლამპიონებით



განათებული ნარიყალა საბჭოთა დროს

**უშანგი რუხაძე**



**პარაფსიქოლოგები ამბობენ, სიკვდილის კოდი იმ ადამიანებშია ჩადებული, ვისი დაბადებაც არ უნდოდათ, მაგრამ სასწაულით მოევლინენ ქვეყანასო. ასევე, ადამიანებსა და ცხოველებს შორის ტელეპათიურად ხდება აზრთა გაცვლა და ამის ხარჯზე – კონტაქტი. ქართველი პარაფსიქოლოგი, ქალბატონი ნანა, ამ კონკრეტული საკითხებით უკვე, დაახლოებით ოცდახუთი წელია, დაინტერესებულია და უცხოეთში ყოფნის დროს, არაერთი ცნობილი ეზოთერიკოს-მკვლევრისა თუ პარაფსიქოლოგისგან აქვს მიღებული მსგავს საკითხზე ინფორმაცია.**

# როდის იწყებს ადამიანში ჩადებული სიკვდილის კოდი დროზე ადრე ამუშავებას და რა მოქმედებს უარყოფითად ჯერარდაბადებული ბავშვის ფსიქიკაზე

**– ცოტა უცნაურია, რომ ჯერარდაბადებული ბავშვის ფსიქიკაზე დედის ფიქრი მოქმედებს. და მაინც, ეს კოდი რომ არ ამოქმედდეს და შეჩერდეს, რაიმე მეთოდი არსებობს?**

– ეს კოდი ადამიანის ბედზე აისახება და მისი შეჩერება ძალიან რთულია, პრაქტიკულად, შეუძლებელიც კი. ასეთ ადამიანებს გამუდმებით ეცარებათ ხელი, არ უმართლებთ ბედში, მუდმივად წინაღობები და ბარიერები ხვდებათ ცხოვრებაში. ასევე, ამ ტიპის ადამიანები, ანუ მუცლად ყოფნის დროს სიკვდილის კოდით „დაავადებულნი“, მუდმივად დამფრთხალი და დაბნეულები არიან.

**– გარდა უიღბლობისა და ცხოვრებისეული წინაღობებისა, სხვა ნიშნები არ ახასიათებთ?**

– რასაკვირველია, ახასიათებთ. მაგალითად, უყვართ გარდაცვლილებზე ხშირად საუბარი, მუქი ფერის სამოსის ტარება, კედლებზე მიცვალებული ახლობლების სურათების ჩამოკიდება. სასაფლაოზე, ახლობლის საფლავთან მისულნი კი შვებას გრძნობენ და იქაური გარემო ამშვიდებთ. სხვათა შორის, არ უყვართ წუწუნი მატერიალურზე, თუმცა ბედზე ხშირად ჩივიან, რაც სიკვდილის კოდის ამუშავებასა და გააქტიურებას უწყობს ხელს. მოკლედ, თუ ადამიანი საკუთარ თავს თავად არ დაეხმარა, რომ იმ პროგრამის ჩართვას შეუშალოს ხელი, რომლისკენაც მიდრეკილია, ისე არაფერი გამოვა და ამაში სხვა ვერავინ დაეხმარება.

> **მუცლადყოფნის სიკვდილის კოდი იმ ადამიანებშია ჩადებული, ვისი დაბადებაც არ უნდოდათ, მაგრამ სასწაულით მოევლინა ქვეყანას**

**– ქალბატონო ნანა, გამოდის, რომ ადამიანებსა და ცხოველებს შორის უსიტყვო გაგება და განცდა ხდება, ხოლო მუცლადყოფნის დროს კი – დედის ფიქრით ბავშვის მომავალი ბედის დაპროგრამება?**

– გარკვეულ სიტუაციაში ადამიანს შესწევს უნარი, რომ ცხოველის ტვინში წარმოქმნილი „ხედვითი” სახეები აღიქვას. როგორც ჩანს, ასეთი უსიტყვო ურთიერთობისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა – ოთხფეხა ტელეპათზე რაღაც მოვლენის ძლიერი ზემოქმედება. რაც უფრო ნათელია ბრძანებები ადამიანის გონებაში, მით უფრო სარწმუნოა, რომ მათ აღიქვამს ცხოველის ტვინი. ჩემი გიორგის და მისი ძაღლის ურთიერთობისთვის რომ გეყურებინათ, ამას თავად მიხვდებოდით. სწორედ, ამ ურთიერთობის შემდეგ დავიწყე ამ საკითხში ჩაღრმავება და მივხვდი, რომ ისინი ტელეპათიურად, უსიტყვოდ უგებდნენ ერთმანეთს. მაგალითად, ადამიანი ვიდრე შესცოდავდა და სამოთხიდან განიდევნებოდა, ჰარმონიაში ცხოვრობდა ცხოველებთან ერთად; იესო ქრისტე უდაბნოში, ორმოცი დღე მხეცებთან ერთად ცხოვრობდა; ეგვიპტეში ლომებთან ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდა წმიდა ანტონს, რუსეთში კი – დათვებთან წმინდა სერგეი რადონეჟელს.

**– ამბობენ, განსაკუთრებული ტელეპათიური უნარი ინდოელ იოგებს აქვთ და ისინი ცხოველების გამოხედვაში კითხულობენ – მათ ფიქრებს და საუბარიც კი შეუძლიათ ოთხფეხა მეგობრებთანო.**

– დიახ, ინდოელ იოგებს მართლაც განსაკუთრებით კარგად ესმით ცხოველთა ენა და მათთან საუბრობენ კიდეც. ზოგადად, ყველა, ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში, საუბარია ურთიერთობაზე, ანუ ინფორმაციის ორმხრივ გაცვლაზე. ამისთვის საჭიროა, ურთიერთობის ისეთი საშუალება, რომელიც გასაგებია როგორც ადამიანების, ასევე ცხოველებისთვის. ზღაპრებში, ლეგენდებში, გადმოცემებში ცნობილია ერთიანი ენის შესახებ, მაგრამ თუ ამაში ვიგულისხმებთ ნიშნების სისტემას, სულერთია როგორს – ბგერითს თუ მხედველობითს, მაშინ გარდაუვალი ანატომიური შეზღუდულობის გამო, ცხოველს ის ვერ ექნება საკმარისად განვითარებული და ვერ შეძლებს ცნობების გადმოცემას გარე სამყაროში მომხდარის შესახებ. მაგრამ, ამისთვის შესანიშნავია „თანამოსაუბრეთა” მიერ ერთმანეთისთვის გაგზავნილი „ხედვითი” სახეები. ადამიანსა და ცხოველს შორის „სურათების” ასეთ უსიტყვო ურთიერთგაცვლას თავისუფლად შეგვიძლია, ვუწოდოთ „ლაპარაკი”, როგორც ეს ზღაპრებსა და ლეგენდებში ხდება. თუმცა, შესაძლოა, იმ უცნობმა ავტორებმა არც იცოდნენ აღნიშნული რთული პროცესის მექანიზმის შესახებ და მხოლოდ თვალნათელ შედეგს აღწერდნენ. როცა ადამიანი და ცხოველი ერთმანეთს რაღაცას აცნობებენ, ანუ „ლაპარაკობენ”, სინამდვილეში მათ შორის მყარდება ტელეპათიური ურთიერთობა. ეზოთერიკოსთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ არსებობს კავშირის „ფიზიკური არხი”. ეს არის ეგრეთ წოდებული განივი ელექტრომაგნიტური ტალღები. მოცემული ჰიპოთეზის მიხედვით, სწორედ ეს ტალღები, რომელიც უზარმაზარ სივრცეზე ვრცელდება და ნებისმიერ საგანში აღწევს, შესაძლებელს ხდის, ტელეპათიას, შორს ხედვას, ავადმყოფის შორიდან მკურნალობას და მთელ რიგ სხვა ექსტრასენსულ მოვლენას. ასე რომ, ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, სამყაროს აღქმის „არხების,” ანუ გრძნობების ხუთი ორგანოს გარდა, ადამიანებსა და ცხოველებს აქვთ კიდევ ერთი, ბიოინფორმაციული „არხი”, რომელსაც ელექტრომაგნიტური ტალღები ემსახურება.

**ნანა**: ძნელია, ვინმეს აუხსნა ის, რისიც არ სჯერა. ამ დროს კამათს აზრი არ აქვს, რადგან ყველა ადამიანი თავისი შეხედულებისამებრ ფიქრობს. თავადაც ასე ვიყავი, მაგრამ ერთმა ფაქტმა იმდენად შემიცვალა ფსიქოლოგია, გადავწყვიტე, ეზოთერულ საკითხებში ძირფესვიანად გავრკვეულიყავი. ადრეულ ასაკში დავოჯახდი და შვილი გავაჩინე თუ არა, მალევე გავშორდი ქმარს. ჩემს გიორგისთან ერთად, ცალკე ვცხოვრობდი. არადა, ორსულად რომ დავრჩი, სულ იმას ვამბობდი, ახლა შვილი რად მინდა, აბორტს გავიკეთებ-მეთქი. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, სტუდენტი და ვერ ვხვდებოდი, ამით რა ზიანს ვაყენებდი საკუთარ სხეულში ჩასახულ სისხლსა და ხორცს. დედობის ღირსი მაინც გამხადა განგებამ და მერე აღარც კი გამხსენებია, რომ შვილის დაბადება არ მინდოდა. ყველა, შეძლებისდაგვარად, მეხმარებოდა. არც მე ვიჯექი გულხელდაკრეფილი და შემოსავალს ნამდვილად არ ვუჩიოდი. სამწუხაროდ, გიორგის დაბადების ტრავმა ჰქონდა და გულის არეში ტკივილები გამუდმებით აწუხებდა. სულ მთხოვდა – დედი, კატა ან ძაღლი მიყიდე, მოვუვლი, ვასეირნებ და არ შეგაწუხებსო, მაგრამ, მე ცივ უარზე ვიყავი. ყველა მეუბნებოდა, უყიდე რა მოხდაო, მაგრამ ვფიქრობდი, სადაც ბავშვია, იქ ცხოველს რა უნდა-მეთქი. მოკლედ, ერთ დღეს ბავშვს შეტევა მისცა და რეანიმაციაში მოვხვდით. დავიფიცე, ოღონდ ეს გადარჩეს და აუცილებლად ვუყიდი ძაღლს-მეთქი. რომ გამოჯანმრთელდა, ასეც მოვიქეცი. გიორგი ჭკუაზე აღარ იყო სიხარულით – ეთამაშებოდა, უვლიდა, ასეირნებდა. ერთ დღესაც, სასეირნოდ ჩაიყვანა ეზოში. დაახლოებით, ხუთ-ათ წუთში კარზე ძაღლის ფხაჭუნი მომესმა. გამოვვარდი სამზარეულოდან და კარი გავაღე. უნდა გენახათ, რა დღეში იყო – მომვარდა, კბილებით დამებღაუჭა კალთაზე და გარეთ მექაჩებოდა. მივყევი. ეზოში რომ გავედი, რას ვხედავ! ბავშვი მიწაზე უგონოდ წევს. თურმე, გულის შეტევა მოსვლია. სამწუხაროდ, ბევრი ეცადეს, მაგრამ მისი გადარჩენა ექიმებმა ვერ მოახერხეს. მერე ახლობლებმა მიამბეს, ბავშვი რომ საავადმყოფოში იწვა, უნდა გენახა, რა დღეში ჩავარდა ძაღლი, იკლებდა ეზოს ყმუილით, ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდაო. გიორგის დასაფლავებიდან. სულ რაღაც ერთ კვირაში კი, მკვდარი ნახეს მის საფლავთან ახლოს. ამხელა შესავალი იმიტომ გავაკეთე, რომ ახლა აგიხსნათ, რატომ დავიჯერე ადამიანში ჩადებული სიკვდილის კოდის დროზე ადრე ამუშავების შესაძლებლობა და საერთოდ, რატომ დავინტერესდი ამ საკითხით. ერთი სიტყვით, როდესაც ქალი ორსულდება და დაიწყებს აბორტზე ფიქრს, ანუ შვილის გაჩენა არ უნდა და მისი მუცლად ყოფნის დროს სიკვდილზე ფიქრობს, იმ ბავშვში სიკვდილის კოდი ყალიბდება. თუმცა, ეს შესაძლოა, ყველაზე არ ვრცელდებოდეს. მაგრამ, მერწმუნეთ, უმეტეს შემთხვევაში, ეს ასეა. როცა ორსული საათობით ზის და ფიქრობს – მოიშოროს თუ არა ნაყოფი, ეს ძალიან მოქმედებს ჯერარდაბადებული ბავშვის ფსიქიკაზე. ის ხომ ყველაფერს გრძნობს და განიცდის.

**ნონა დათეშიძე**

## მარტივი ჭეშმარიტებები

ინგლისელები ამბობენ – სისულელეა დაღვრილი რძის გამო ტირილიო და ისინი აბსოლუტურად მართლები არიან. განა ღირს, ინერვიულო და იდარდო იმაზე, რასაც უკვე აღარაფერი ეშველება?! მით უმეტეს, არ ღირს ნერვიულობა იმაზე, რასაც ეშველება და რაც გამოსწორდება. რაც მოხდა – მოხდა და ამას უნდა შეეგუო. მით უფრო, როცა აღარაფრის გამოსწორება არ ძალგიძს. გონიერი ადამიანი ეცდება, მშვიდად მიიღოს რეალობა ისეთი, როგორიც ის არის, მაგრამ, ემოციებს რა ვუყოთ? იქნებ, ერთი მარტივი ჭეშმარიტების გაცნობიერება-გათავისებამ გვიშველოს: „ბედნიერება ბნელ ოთახშიც მოგძებნის და გიპოვის, ბუხრის უკანაც რომ დაიმალო, თუკი შენ ის დაიმსახურეო," – უთქვამს ბრძენ ხალხს და ესეც სიმართლეა. შეიძლება, ძალიან დიდხანს და წვალებით მიდიოდეთ დასახულ მიზნამდე, მაგრამ, გაგიმართლებთ, თუკი ამის რწმენა არ მიგატოვებთ. ერთხელაც მოულენათა ბედნიერი თანხვედრა თქვენს ცხოვრებაშიც შეცვლის ყველაფერს უკეთესობისკენ, უბრალოდ, ამის უნდა გჯეროდეთ; ხელები არ ჩამოუშვათ, არ მოეშვათ და იმედი არ გადაიწუროთ. ერთ ადგილას ჯდომითა და ცრემლების ღვრით ბედნიერება ციდან თავისით არ დაგეცემათ. ჭეშმარიტებაა ის, რომ ბედი ეხმარება აქტიურ, შეუპოვარ, საქმიან და მიზანსწრაფულ ადამიანებს.

სცადეთ და ნახავთ, რომ თქვენც აუცილებლად გაგიმართლებთ.

## ღიმილის ძალა!

ღიმილს საოცარი ძალა აქვს. ის გაცილებით ეფექტური იარაღია, ვიდრე წარმოგვიდგენია. ღიმილით, პრაქტიკულად, ყველაფრის მიღწევა შეიძლება, თუმცა, უნდა შეეცადო, რომ ის გულწრფელი იყოს, გულითადი და ჯანსაღი. ღიმილს არანაირი კავშირი არ აქვს შავ იუმორთან და დაცინვასთან. მამაკაცებს ხშირად ჰგონიათ (არცთუ იშვიათად – ქალებსაც), რომ მათმა იუმორმა საპირისპირო სქესის წარმომადგენელი აუცილებლად უნდა აღაფრთოვანოს, არადა, ასე ნამდვილად არ არის. ღიმილის მომგვრელი და განწყობის ასამაღლებელი ნამდვილად არის კარგი მუსიკა. (მით უმეტეს, თუ ლაპარაკი არ გეხერხებათ), მხიარული ამბები თქვენი ბავშვობიდან, ასევე, კარგი ანეკდოტი. შეიძლება, საქმეში ბავშვური თამაშებიც ჩართოთ.

არაფერია სასაცილო, როცა ადამიანის გარეგნობაზე ან ჩაცმის სტილზე ლაპარაკობთ. ვერავის გააცინებთ და მოხიბლავთ წარსული სევდიანი ისტორიებით. ნუ იქნებით მწარე ენის ცინიკოსი. ამით მხოლოდ თავს შეაძულებთ იმ ადამიანს, ვისთვისაც თავის მოწონებას ცდილობთ. თუ მასთან ურთიერთობა და სიახლოვე გინდათ, უბრალოდ, ხშირად გაუღიმეთ და უყურეთ ალერსიანი თვალებით – მიზნის მისაღწევად ესეც საკმარისი იქნება.

## თანამედროვეობის პასუხად

თუ გული გატკინეს, ჩაისუნთქეთ ღრმად... ბოლოს მაინც ყველაფერი ისე იქნება, როგორც ჩვენ გვინდა. ძველები ამბობენ, რაც სურს ქალს, ის სურს ღმერთსო. მთლად ასეთი ამბიციურებიც ნუ ვიქნებით. მოდი, ეს ნათქვამი გავიგოთ ისე, რომ ყველაფერი ჩვენს ხელშია. მაინც, როგორია თანამედროვე ქალი, ის, ვინც ფეხი აუწყო დროს: მუშაობს, ზრდის შვილებს, ზრუნავს ქმარზე, სახლზე, ოჯახზე და საკუთარ თავზეც. ყველაფერს აკეთებს პიროვნული წინსვლისა და თვითრეალიზებისთვის. შვილების აზრი თანამედროვე დედაზე ასეთია: მაგარი დედა არის ის, ვინც დედაც არის და საყვარელი საქმეც აქვს. ეს ხომ შესანიშნავია?!

ცუდი სტერეოტიპია თუ სულელური მოსაზრება ის, რომ თანამედროვე ქალს გვერდით მამაკაცი არ სჭირდება. როგორ არ სჭირდება – უბრალოდ, უნდა, პარტნიორად ძლიერი და შემდგარი მამაკაცი ჰყავდეს და ეს სრულიად ბუნებრივი სურვილია. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე ცხოვრებაში კაცებსაც ძალიან უჭირთ, ზოგჯერ უფრო მეტადაც კი, ვიდრე ქალებს, ქალი მიდის დათმობაზე და პარტნიორად შედარებით სუსტ კაცს ირჩევს. ამით საკუთარ თავზე იღებს ყოველდღიურობის სრულ სიმძიმეს და ეს ყველაფერი მის ხასიათზეც ახდენს ზეგავლენას. არასოდეს მოითხოვო კაცისგან იმაზე მეტი, რისი მოცემაც მას შეუძლია. არ უნდა დაინახო მასში პოტენციური კონკურენტი, მოწინააღმდეგე ან მტერი. არ უნდა გამოხატო ბრძოლა, თუნდაც შეფარვით. ეს, უპირველესად, ქალს აზიანებს. თანამედროვეობა ქალისა და მამაკაცის ჰარმონიულ თანაარსებობას ითხოვს. რთული სიტუაციებიდან საყვარელმა საქმემ უნდა გიხსნას...

თანამედროვეობა ქალისგან მაქსიმუმს ითხოვს და ვართ კიდეც მაქსიმალისტები.

## რა მნიშვნელობა აქვს?!

უცნაურია, რომ უნისექსის ეპოქაში – დღეს, როცა არანაირი პროგრესი გასაკვირი არ არის, როცა ქალები ტოლს აღარაფერში უდებენ მამაკაცებს, მაინც ვლაპარაკობთ იმაზე, თუ რა არის ჩვენი გასაკეთებელი და რა – პარტნიორის. რადგანაც უკვე არსებობს მამაკაცების მანიკიური (და ძალიან ბევრ ქალს სწორედ მოვლილფრჩხილებიანი მამაკაცები მოსწონს) და... რადგან გვინდა, ქალური სქესი სინაზეს იჩენდეს, იყოს გულჩვილი და მგრძნობიარე, მივცეთ მას იმის უფლებაც, რომ თაგვების ეშინოდეს.

არსებობს ქალების ჰოკეი, ქალების რაგბი, ქალების ბოდიბილდინგი, ქალების ძიუდო და ბალახის ჰოკეი. მერე გვიკვირს, რატომ ვერ ხედავს კაცი ქალში სუსტ, დაუცველ არსებას.

„რა მოხდა, თუ ქალი კარადას ოდნავ გვერდზე გასწევს?!" – ფიქრობს მამაკაცი. მას ეს კარგად შეუძლია და გაისარჯოს.

სოციოლოგები ამტკიცებენ: უნისექსი ჯერ კიდევ არ არის ცხოვრების ნორმა. ჯერ კიდევ ძალიან შორს ვართ ამისგანო. ოცდამეორე საუკუნემდე სულ იქნება იმაზე დავა, რა არის კაცის საკეთებელი საქმე და რა – ქალის. ფსიქოლოგებს ეს სრულიად ნორმალურად მიაჩნიათ. მათი მოსაზრება ასეთია: რადგან ქალები და მამაკაცები ბიოლოგიურ არსებებად რჩებიან, ისინი აუცილებლად შეეცდებიან მათი სქესისთვის დამახასიათებელი შტრიხების შენარჩუნებასო.

ასეა თუ ისე, ქალი, რომელიც საკუთარ თავს ძლიერად მიიჩნევს, არ უნდა ახდენდეს ამის დემონსტრირებას, რომ მამაკაცი არ დააკომპლექსოს. ისე კი, რა მნიშვნელობა აქვს, ჭურჭელს მამაკაცი გარეცხავს, თუ ქალი?!



# რის გამო აეკრძალა ამერიკის შეერთებული შტატების საზღვრის გადაკვეთა ჩარლი ჩაპლინს და რომელი ადგილი დაიკავა მან თავისივე ორეულების კონკურსში

„მე უამრავი პრობლემა მაქვს პირად ცხოვრებაში, თუმცა ჩემმა ტუჩებმა ამის შესახებ არაფერი იციან, ისინი მუდამ იღიმიან," – ჩარლი ჩაპლინი, ლეგენდარული პიროვნება და მსოფლიო კინოს ვარსკვლავი. მიუხედავად იმისა, რომ მუნჯი კინო დიდი ხანია ისტორიას ჩაჰბარდა, ჩაპლინის მიერ შექმნილი მაწანწალა ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო კინოპერსონაჟადაა მიჩნეული. ჩაპლინის ფიგურა კი, საზოგადოებაში დღემდე ინტერესს იწვევს.

* ბევრმა არ იცის, რომ ჩარლი ჩაპლინი სიღარიბეში იზრდებოდა. მამამ მისი დაბადებიდან ცოტა ხანში მიატოვა ოჯახი, ხოლო დედა ვარიეტეს მომღერალი გახლდათ. როცა მან ხმა დაკარგა, უსამსახუროდ დარჩა, რის გამოც შვილები – ჩარლი და სიდი „ობოლთა პანსიონატში" მიაბარა. აღსანიშნავია, რომ წერა-კითხვა ჩარლი ჩაპლინმა მას შემდეგ ისწავლა, რაც პირველი როლი უკვე ნათამაშები ჰქონდა. ჩაპლინს ძალიან ეშინოდა, მისი გაუნათლებლობა არავის შეეტყო და ხმამაღლა კითხვას ერიდებოდა. როლზე მუშაობის დროს ტექსტებს მას ძმა, სიდი უკითხავდა, ხოლო ჩარლი იზეპირებდა.



* ჩარლი ჩაპლინი ოთხი დღით უფროსია ფაშისტური გერმანიის ლიდერზე, ადოლფ ჰიტლერზე.

* ჩარლი ჩაპლინის სიმაღლე 165 სანტიმეტრი იყო, ხოლო მუდმივი წონა – 60 კილოგრამი.

* ჩაპლინს ცისფერი თვალები და მუქი ფერის ხვეული თმა ჰქონდა, თუმცა 35 წლის ასაკში გაჭაღარავდა.

* მიუხედავად იმისა, რომ ჩარლი ჩაპლინი მილიონერი იყო, ის ცხოვრებას იაფფასიანი სასტუმროებში აგრძელებდა და ჩემოდანში სტუდიურ ჩეკებს ინახავდა ყოველი შემთხვევისთვის.

* ცნობილია, რომ ჩარლი ჩაპლინი სიმპათიით იყო განწყობილი კომუნისტების მიმართ და 1930-იან წლებში ფედერალურ საგამოძიებო ბიუროში სამსახური შეიქმნა, რომელიც „ჩაპლინის საქმეზე" მუშაობდა.

* ჩაპლინმა თითქმის 40 წელი იცხოვრა ამერიკის შეერთებულ შტატებში, თუმცა ამერიკის მოქალაქე არ გამხდარა. 1952 წლიდან მას აკრძალული ჰქონდა ამერიკის საზღვრის გადმოკვეთა, ხოლო ვიზის მიღების შემთხვევაში, პასუხი უნდა გაეცა საემიგრაციო კომიტეტში დასმულ კითხვებზე.

* 1917 წელს ჩარლი ჩაპლინი პლანეტის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობი გახდა. მისი კონტრაქტი სტუდია „ფერსტ ნეშნელთან" მილიონ ამერიკულ დოლარზე იყო გათვლილი.

* ჩაპლინის საყვარელი სპორტის სახეობა კრივი გახლდათ, ხოლო ცეკვა – ტანგო. ფილმში „დიდი ქალაქის ჩირაღდნები" მან რინგზე ბრძოლა „ტანგოს" შეუთავსა.

* მეორე მსოფლიო ომის დროს ჩარლი ჩაპლინი „რუსეთის დახმარების კომიტეტმა" თავის მიტინგზე მიიწვია. თავისი გამოსვლა ჩაპლინმა დაიწყო სიტყვით „ამხანაგებო" და ამერიკის მთავრობას მეორე ფრონტის გახსნისკენ მოუწოდა. ამ გამოსვლის შემდეგ, ჩაპლინს ოფიციალურად დასდეს ბრალი კომუნიზმის მხარდაჭერაში.

* „დიდი დიქტატორის" გადაღებებისას ჩაპლინს აფრთხილებდნენ, რომ პრობლემები შეექმნებოდა ფილმის გაქირავებას – ცენზურა არ დაუშვებდა ფილმის ეკრანზე გამოსვლას; მას ვერასდროს ნახავდნენ ამერიკელი და ინგლისელი მაყურებლები იმის გამო, რომ საფრთხე არ შექმნოდა ამერიკისა და გერმანიის ნეიტრალურ ურთიერთობებს. მას შემდეგ, რაც გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს, ზეწოლა ჩაპლინზე შეჩერდა. თუმცა, ფილმით უკმაყოფილო ადამიანები, ჩაპლინის სახელზე მუქარის წერილებს აგზავნიდნენ და მას ერებს შორის შუღლის გაღვივებაში სდებდნენ ბრალს.

* „დიქტატორის" კინოეკრანებზე გამოსვლის შემდეგ, ფაშისტური გერმანიის პროპაგანდამ ჩაპლინი ებრაელად გამოაცხადა და ანტიამერიკული საქმიანობის საგამოძიებო სტრუქტურამ მისი ეროვნების გარკვევა დაიწყო.

* დოკუმენტური ჩანაწერების თანახმად, ადოლფ ჰიტლერმა ფილმი „დიდი დიქტატორი" რამდენჯერმე ნახა.

* ჩარლი ჩაპლინი რამდენჯერმე იყო დაქორწინებული და უმეტეს შემთხვევაში, მისი მეუღლეები მასზე ბევრად უმცროსები იყვნენ: 16 წლის მილდრედ ჰარისზე ჩაპლინი 28 წლის ასაკში დაქორწინდა; 16 წლის ლიტა გრეიზე – 35 წლის ასაკში; 19 წლის პოლეტ გოდარზე – 44 წლის ასაკში; 18 წლის უნა ონილზე – 54 წლის ასაკში. სწორედ უნასგან ეყოლა ჩაპლინს რვა შვილი, მათ შორის ბოლო იმ დროს, როცა დიდი კომიკოსი 72 წლის იყო. სულ ჩაპლინს 12 შვილი ჰყავდა.

* ჩაპლინის ბიოგრაფის, ჯოის მიტჩელის ვერსიით, ვლადიმირ ნაბოკოვის რომანი „ლოლიტა" ჩაპლინისა და ლიტა გრეის ურთიერთობის შესახებ დაიწერა.

* ჩარლი ჩაპლინი ნიჭიერი კომპოზიტორი იყო და თავისი ფილმების უმეტესობისთვის თავად წერდა მუსიკას.

* ერთხელ ჩარლი ჩაპლინმა ინკოგნიტოდ საკუთარი ორეულის გამოსავლენ კონკურსში მიიღო მონაწილეობა და მეორე ადგილი დაიკავა.

* 1975 წელს დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელიზაბეთ მეორემ ჩარლი ჩაპლინი რაინდის ტიტულით დააჯილდოვა.

* ჩაპლინის საყვარელი კომიკოსი ბრიტანელი ბენი ჰილი იყო. როდესაც ჰილი 1991 წელს ჩაპლინის ოჯახს ესტუმრა, მას „ბენი ჰილ-შოუს" ჩანაწერების დიდი კოლექცია აჩვენეს.

* ჩარლი ჩაპლინთან განქორწინების შემდეგ, პოლეტ გოდარი ერიხ-მარია რემარკს გაჰყვა ცოლად.

* 1920-იან წლებში ჩარლი ჩაპლინს ევროპელები „შარლოს" სახელით იცნობდნენ.

* ცნობილია, რომ რევოლუციამდელ რუსეთის იმპერიაში ჩარლი ჩაპლინი ნაკლებად პოპულარული იყო, მას იაფფასიან ჯამბაზს უწოდებდნენ და მაქს ლინდერისა და ანდრე დიდის კომედიურ ფილმებს უფრო მაღლა აყენებდნენ. გასაბჭოების შემდგომ, საბჭოთა კავშირში ჩარლი ჩაპლინი გაცილებით პოპულარული გახდა და ვლადიმირ მაიაკოვსკი მას ლექსებსაც კი უძღვნიდა.

* კინემატოგრაფში მისვლამდე ჩარლი ჩაპლინი სტამბაში, გაზეთების გამყიდვლად და ექიმის თანაშეწმედ მუშაობდა.

* მერი პიკფორდთან, დუგლას ფერბენკსთან და დევიდ გრიფიტთან ერთად, ჩარლი ჩაპლინმა ერთ-ერთი უძველესი კინოკომპანია – „იუნაითედ არტისტი" 1919 წელს დააარსა.

* 1922 წლამდე ჩაპლინს არ გააჩნდა საკუთარი საცხოვრებელი, ის სასტუმროებსა და ნაქირავებ ბინებში ცხოვრობდა. 1922 წელს მან ბევერლი-ჰილზზე აიშენა სახლი, 40-ოთახიანი სასახლე, კინოთეატრითა და ორღანით.

* უკანასკნელი ფილმი ჩარლი ჩაპლინმა 1967 წელს გადაიღო, სიკვდილამდე 10 წლით ადრე – „გრაფინია ჰონკონგიდან". ფილმში მთავარ როლებს მარლონ ბრანდო და სოფი ლორენი ასრულებდნენ, ჩაპლინი კი ეპიზოდური როლით შემოიფარგლა.

* ჩარლი ჩაპლინი 1977 წლის 25 დეკემბერს გარდაიცვალა 88 წლის ასაკში.

* 1978 წელს კუბო ჩაპლინის სხეულით ბოროტმოქმედებმა გაიტაცეს და ოჯახისგან მოითხოვდნენ გამოსასყიდს. პოლიციამ დააკავა გამომძალველები და 1978 წლის 17 მაისს ჩაპლინი ხელმეორედ დაკრძალეს.

* 1981 წლის 16 აპრილს ჩარლი ჩაპლინის 92-ე დაბადების დღეზე ლონდონში, ლესტერის მოედანზე, უილიამ შექსპირის ძეგლის მახლობლად, მსახიობის ძეგლი გაიხსნა.

**უშანგი რუხაძე**

(მე-18 გვერდიდან)

# რატომ წამოვიდა ნინო გაჩეჩილაძე სერიალიდან დროულად და რა ასწავლა თაკო გაჩეჩილაძეს პირველმა ქორწინებამ

ძლიერი, გამოცდილი და შენი მფარველი ანგელოზი. მისი იმედი ყველგან და ყოველთვის უნდა გქონდეს. ასეთი ადამიანი მე და თაკომ ჯერჯერობით ვერ ვიპოვეთ. თუმცა, მჯერა, რომ, ყველა, ვინც სიყვარულს ეძებს, საბოლოო ჯამში, აუცილებლად პოულობს. ბევრს უკვირს, რომ გათხოვილი არ ვარ და არც შეყვარებული მყავს. მაგრამ, ეს მარტო ჩვენს ძალისხმევაზე არ არის დამოკიდებული, ეს ყველაფერი ღმერთმა უნდა ინებოს. როცა ურთიერთობა საწყის ეტაპზევე მთავრდება, ესე იგი, ეს ღმერთისგან არ არის და განიშნებს, რომ ის საშენო არ არის. ერთ მშვენიერ დღეს კი აუცილებლად შეგხვდება ის ადამიანი, ვისაც ეძებ და ვინც გეძებს. შეიძლება, ამის გამო ჩათვალონ, რომ პრეტენზიული ვარ, მაგრამ, სხვანაირს ვერ შევეგუები და რა ვქნა? მინდა, ისეთივე მყარი ოჯახი მქონდეს, როგორიც ჩემს მშობლებს აქვთ, სხვანაირი ვერც წარმომიდგენია. თუ ასეთი არ იქნება, მაშინ, საერთოდ ნუ იქნება.

– **ნინო, სერიალი არ მოგენატრა?**

– ვუყურებ ხოლმე შაბათ-კვირას და ვერთობი. ჩემს მეგობრებს ყოველთვის ვუგულშემატკივრებ, რადგან ისინი ჩემთვის ძალიან ძვირფასი ხალხია. რაც შეეხება კატოს, ჯერ არ მენატრება, რადგან თავი ძალიან მომაბეზრა. თუ მომენატრება, „იუთუბიზე" შევალ და ძველ სერიებს ვუყურებ. მიმაჩნია, რომ კატომ თავისი გასაკეთებელი საქმე ჩემთვის უკვე გააკეთა – ხალხის სიყვარული, პოპულარობა და გამოცდილება ნამდვილად მომცა, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს. არ მინდა, რომ სერიალის მსახიობად დავრჩე და ზუსტად ვიცი, ეს ასე არ იქნება. ძალიან დროულად წამოვედი „ჩემი ცოლის დაქალებიდან." ყველაფერს აქვს თავისი დასაწყისი და დასასრული. უსასრულოდ არ უნდა გაიწელოს და მაყურებელს თავი არ უნდა მოაბეზრო. ჩემმა წამოსვლამ კი დამანახვა, ხალხს როგორ ჰყვარებია კატო. მიუხედავად იმისა, რომ უსაქმოდ არ ვარ, ახალ შემოთავაზებებსა და პროექტებს ველოდები. სანამ ახალგაზრდა ვარ და რაღაცის გაკეთება შემიძლია, ვეცდები, მაქსიმალურად დავიხარჯო.

**მარიკა ხიდურელი**

# რატომ დაუთმო ჰიტლერმა სტალინს ბალტიის ქვეყნები

რუსეთის სახელმწიფოს ბრძოლა ბალტიისპირეთის (ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის) დაუფლებისთვის მეთექვსმეტე საუკუნიდან, კერძოდ, ივანე მრისხანის (1533-1584) მეფობის დროიდან იწყება. ეს ბრძოლა ცვალებადი წარმატებებით მიმდინარეობდა და იოსებ სტალინის ეპოქაში დასრულდა. ამ თემაზე ვისაუბრებთ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოს ვახტანგ გურულის მასალებზე დაყრდნობით.

მიუხედავად იმისა, რომ ივანე მრისხანემ ოცდახუთწლიანი ომი აწარმოა ბალტიისპირეთის დაპყრობისთვის, ევროპის სახელმწიფოებმა მოახერხეს რუსეთის უკუგდება. სამაგიეროდ, ოცდაერთწლიანი ომის (1700-1721) შემდეგ, პეტრე დიდმა შეძლო ბალტიისპირეთის დაპყრობა. დღევანდელი ლიტვა, ლატვია და ესტონეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყვნენ 1917 წლამდე. 1918 წელს ევროპის სახელმწიფოების მხარდაჭერით ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოიპოვეს, შექმნილ ვითარებაში საბჭოთა რუსეთი იძულებული გახდა, ეცნო ბალტიის ქვეყნების დამოუკიდებლობა. ცხადია, იოსებ სტალინი არასოდეს შეჰგუებია ბალტიისპირეთის დაკარგვას. ის მხოლოდ ხელსაყრელ დროს ელოდა.

ლიტვა, ლატვია და ესტონეთი საბჭოთა კავშირ-გერმანიის 1939 წლის 23 აგვისტოს ხელშეკრულებას შეეწირა. ამ ხელშეკრულების „დამატებითი საიდუმლო ოქმის" ძალით აღნიშნული იყო, რომ მოსალოდნელი ცვლილებების შემთხვევაში, ლიტვის ჩრდილოეთ საზღვარი, ამავე დროს, იქნებოდა გერმანიისა და საბჭოთა კავშირის ინტერესთა სფეროს საზღვარი. იქვე აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა კავშირი და გერმანია სცნობდნენ ლიტვის ინტერესს ვილნოს (ვილნიუსის) ოლქზე. 1939 წლის 28 სექტემბერს დაიდო საბჭოთა კავშირ-გერმანიის ხელშეკრულება მეგობრობისა და საზღვრების შესახებ, ხოლო 29 სექტემბერს, ხელმოწერილი იქნა ამ ხელშეკრულების დამატებითი საიდუმლო ოქმები. დამატებითი საიდუმლო ოქმის ძალით, ლიტვის ტერიტორია საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროდ გამოცხადდა – ლიტვის ტერიტორიის მცირე ნაწილი (სამხრეთ-დასავლეთი ლიტვა) გერმანიის გავლენის სფეროდ იქნა აღიარებული. ეს დათმობა სტალინისთვის მიუღებელი იყო (მოგვიანებით, 1941 წლის 10 იანვრის საბჭოთა კავშირ-გერმანიის კიდევ ერთი საიდუმლო ოქმის ძალით, გერმანიის გავლენის სფეროდ აღიარებული ლიტვის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, გერმანიამ საბჭოთა კავშირს დაუთმო 7,5 მილიონ დოლარად).

გერმანიასთან მოლაპარაკების პარალელურად, სტალინი მოლაპარაკებებს აწარმოებდა ბალტიის სახელმწიფოებთან. 1939 წლის 28 სექტემბერს დაიდო ურთიერთ დახმარების ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და ესტონეთს შორის, 5 ოქტომბერს – საბჭოთა კავშირსა და ლატვიას შორის, 10 ოქტომბერს – საბჭოთა კავშირსა და ლიტვას შორის.

გერმანიისგან მიტოვებული ბალტიის სახელმწიფოები იძულებული გახდნენ, საბჭოთა კავშირთან დაედოთ ისეთი კაბალური ხელშეკრულებები, რასაც ამ ქვეყნების დამოუკიდებლობა შეეწირა. სამივე ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ომის შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარეები ვალდებული იყვნენ, ერთმანეთისთვის აღმოეჩინათ სამხედრო დახმარება. კიდევ უფრო დამღუპველი იყო ხელშეკრულების ის პუნქტი, რომელიც ლიტვას, ლატვიასა და ესტონეთს ავალდებულებდა, საბჭოთა კავშირის გარდა, სამხედრო პოლიტიკური ხასიათის ხელშეკრულება არ დაედო სხვა რომელიმე ქვეყანასთან; არ დაკავშირებოდნენ ისეთ ქვეყანას, რომელიც მტრულად იქნებოდა განწყობილი საბჭოთა კავშირის მიმართ. ხსენებულმა ხელშეკრულებებმა სხვა მხრივაც შელახა ბალტიის სახელმწიფოთა ინტერესები: ბალტიისპირეთში კუნძულებზე – საარემას და ჰიუმააზზე, ქალაქებში პალდისკიში, ლიეპაიაში, ვენსპილსში განლაგდა საბჭოთა კავშირის წითელი არმიის გარნიზონები, სამხედრო-საზღვაო ბაზები და სამხედრო აეროდრომები. ეს, პრაქტიკულად, ნიშნავდა, რომ მომზადდა საფუძველი ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ოკუპაციისთვის.

სტალინი იძულებული იყო, დაეცვა გერმანიასთან დადებული ხელშეკრულება, რომელიც ვილნოს (ვილნიუსის) ოლქს ეხებოდა. ამიტომ იყო, რომ 1939 წლის 10 ოქტომბრის საბჭოთა კავშირ-ლიტვის ხელშეკრულების ძალით, ქალაქი ვილნო და ვილნოს ოლქი საბჭოთა მხარემ ლიტვას გადასცა. გადაცემისას ოლქის ტერიტორიაზე 457 ათასი კაცი ცხოვრობდა. მათ შორის 100 ათასი ლიტველი. მოსახლეობის უმრავლესობას კი შეადგენდნენ პოლონელები, ბელორუსები და ებრაელები.

1940 წელი ევროპაში ნაცისტური გერმანიის გამარჯვებებით აღინიშნა – 22 ივნისს საფრანგეთმა გერმანიის წინაშე კაპიტულაცია გამოაცხადა. გერმანია განაგრძობდა ომს ინგლისის წინააღმდეგ. გერმანიის წარმატებები ძალას მატებდა ლიტველ, ლატვიელ და ესტონელი პატრიოტების ბრძოლას მოსალოდნელი საბჭოთა საფრთხის წინააღმდეგ. ცხადია, ბალტიის ქვეყნები იმედებს გერმანიის გამარჯვებაზე ამყარებდნენ. სტალინი საბაბს ეძებდა, ბალტიისპირეთის და-



ხელშეკრულების „დამატებითი საიდუმლო ოქმის" ძალით, აღნიშნული იყო, რომ მოსალოდნელი ცვლილებების შემთხვევაში, ლიტვის ჩრდილოეთ საზღვარი, ამავე დროს, იქნებოდა გერმანიისა და საბჭოთა კავშირის ინტერესთა სფეროს საზღვარი

პყრობისთვის. 1940 წლის ივნისში საბჭოთა კავშირის მთავრობამ ლიტვიის მთავრობას ბრალი დასდო წითელი არმიის მიმართ პროვოკაციულ ქმედებებში, ასევე, ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნის მცდელობაში. სტალინი კატეგორიულად ითხოვდა ლიტვის უმნიშვნელოვანეს ცენტრებში წითელი არმიის დამატებითი ძალების განლაგებას. მას შემდეგ, რაც ცხადი გახდა, რომ გერმანია ბალტიის ქვეყნებს ვერ დაიცავდა, 1940 წლის 14 ივნისს ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა თანხმობა განაცხადეს წითელი არმიის დამატებითი კონტინგენტის შეყვანაზე. ცხადია, იოსებ სტალინის გადაწყვეტილება ბალტიის ქვეყნების ტერიტორიაზე წითელი არმიის ჯარების შეყვანის თაობაზე, შეთანხმებული იყო ადოლფ ჰიტლერთან. ასე რომ, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ბედი საბჭოთა კავშირ-გერმანიის შეთანხმებით გადაწყდა. 1940 წლის ივლისში ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის პარლამენტები, მოსკოვის მხრიდან სამხედრო მუქარის პირობებში, იძულებული გახდნენ, თავიანთ ქვეყნებში საბჭოთა წყობილება გამოეცხადებინათ და თხოვნით მიემართათ მოსკოვისთვის საბჭოთა კავშირში შესვლის თაობაზე. ასე აიძულა იოსებ სტალინმა ადოლფ ჰიტლერისგან მიტოვებული ლიტვა, ლატვია და ესტონეთი, ხელი აეღოთ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე და ევროპის სუვერენული სახელმწიფოებიდან საბჭოთა რესპუბლიკებად გადაქცეულიყვნენ. ყოველივე ამას, ომი და სისხლისღვრა, იმხანად, არ მოჰყოლია. მაგრამ, სულ მალე ბალტიის ქვეყნებში დაიწყო ფართომასშტაბიანი რეპრესიები. ათასობით პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, ინტელიგენციის წარმომადგენელი შეიპყრეს და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილას გადაასახლეს. ეროვნულ ძალთა მხოლოდ მცირე ნაწილმა მოახერხა ევროპაში გადახვეწა. პოლიტიკური ტერორი განსაკუთრებით გაძლიერდა ბალტიისპირეთში საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყების წინ.

**მოამზადა**
**ანრი შავლაძემ**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი

# იბადება თუ არა თითოეული ჩვენგანი დედამიწაზე კონკრეტული მისიით და რატომ უნდა დავემორჩილოთ კოსმოსის კანონებს

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

ყველას აინტერესებს, რას უქადის მას ცხოვრება მომავალში, ბედნიერი იქნება თუ უბედური, ფულიანი თუ უფულო, რამდენ ხანს იცოცხლებს, ვინ იქნება მისი ცხოვრების თანამგზავრი, რამდენი შვილი ეყოლება და ასე შემდეგ. ცნობისმოყვარეობა ადამიანის თვისებაა და, ამიტომ, საკუთარი მომავლის შესახებ თუნდაც სულ მცირე ინფორმაციის მოპოვებას სხვადასხვა, უმეტეს შემთხვევაში, პრიმიტიული გზით ცდილობს, მაგალითად: მკითხავთან ვიზიტით, ყავაში, წყალში ჩახედვით, ბანქოს გაშლითა და უამრავი სხვა მეთოდით, რომლებიც შორი წარსულიდან იღებს სათავეს. ბუნებაში, მით უმეტეს, ადამიანის ცხოვრებაში, შემთხვევით არაფერი ხდება. ნებისმიერი მოვლენა ასტრალში დიდი ხნით ადრე მზადდება და განსაზღვრულ დროს ხორციელდება. სწორედ ამას ვუწოდებთ ბედისწერას. ბევრი მაგალითი არსებობს იმისა, როცა პიროვნების ცხოვრება მისი ნების საწინააღმდეგოდ წარიმართა. ის, ვისაც არაფერი აკლდა და თავი უბედნიერესი ეგონა, მიუსაფარი და უბედური შეიქნა, ლატაკი კი არნახული სიმდიდრის პატრონი გახდა. ამიტომაც ამბობენ, არავინ იცის, ბედი ვის რას გვიმზადებსო.

განსაკუთრებული ფენომენური ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს ნამდვილად შეუძლია მრავალგანზომილებიან სივრცეში წარსულიდან, აწმყოდან და მომავლიდან ინფორმაციის მიღება. მომავლის შესახებ ინფორმაცია წინასწარ არსებობს და არიან ისეთებიც, ვისაც ამ ინფორმაციის წაკითხვის უნარი აქვთ. რაც შეეხება ბედის შეცვლას: სინამდვილეში, ხდება არა მისი შეცვლა, არამედ, კორექცია. ანუ, შეგვიძლია, საკუთარ ბედ-იღბალში ჩვენივე ძალისხმევით შევიტანოთ კორექტივები, ცვლილებები, რაც შემდგომ, შესაძლოა, ცხოვრების უკეთ მოწყობაში დაგვეხმაროს. ცხადია, ასეთი კორექტივის შეტანა იმას არ ნიშნავს, რომ რაც შუბლზე დაბადების მომენტში დაგეწერათ, მას ასცდებით. ჩვენი ქმედებები სამყაროში არსებულ ჩვენსავე „პერსონალურ კომპიუტერში" ინახება და გარკვეული დროის შემდეგ გვიბრუნდება. კოსმოსში გასული აზრი, შესაძლოა, იმავე დღეს ან რამდენიმე წლის შემდეგ დაგვიბრუნდეს და მას ვერავინ აღუდგება წინ. გირჩევთ, თუ საქმე არ გამოგდით, ცხოვრებაში არ გიმართლებთ, მაინც არ დანებდეთ, არასდროს ჩაიქნიოთ ხელი და თავი უბედურად არ ჩათვალოთ. შეიძლება, ასეთი შეფერხებებით ბედისწერა დიდ სიურპრიზს გიმზადებთ, გცდით და თქვენგან ელის გამოწვევას. თუ ბიზნესში არ გაქვთ ბედი, ესე იგი, სხვა სფეროში უნდა მოსინჯოთ ძალები; თუ არ გიმართლებთ პოლიტიკაში, მაშინ კურსი შეიცვალეთ. პროფესია თქვენი კარმის მიხედვით უნდა აირჩიოთ და ბედისწერა თავად მიგიყვანთ იმ პროფესიამდე, ბედიც რომ გაგიღიმებთ და კარმული თვალსაზრისითაც მოგებას მოგიტანთ. ბევრმა არ იცის, რა არის კარმა და რა დანიშნულება აქვს მის კარმულ-კოსმიურ მისიას დედამიწაზე. მისი წარმომავლობის რეალური არსი პირველად დაფიქსირდა ინდუიზმში. მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს რელიგიაში სიტყვა „კარმა“ ნიშნავს „ჩადენილს“. რეალურად, კარმა ნებისმიერი მიზანმიმართული და განზრახი ქმედებაა, რომელსაც თავისი შედეგი მოსდევს; ამასთან, აზრიც და სიტუაციაც ქმედებად ითვლება. ასტროლოგიურად, კარმას თავისი კანონი აქვს. კარმის კანონი მოქმედებს ისე, რომ თითოეული ჩვენი მოქმედება ანაბეჭდს მომავალში დატოვებს და წინ დაგვხვდება.

თითოეული ადამიანი საკუთარი მისიით მოდის დედამიწაზე და შესაბამისად, თავისი გაკვეთილი კარგად უნდა გაითავისოს და გაითვალისწინოს ის, რასაც კოსმოსი უქადის. ეს ადამიანებს თავისი მდგომარეობის უკეთ გაცნობიერებაში ეხმარება. დააკვირდით ქვემოთ მოყვანილ ტექსტს და გაიგეთ, რა არის თქვენი კარმულ-კოსმიური მისია დედამიწაზე:

***ვერძი*** – თქვენ დაიბადეთ იმ დროს, როცა ბუნება გაღვიძებას იწყებს. სწორედ ამიტომ, მოგეცემათ უზარმაზარი ენერგია. დედამიწაზე თქვენი კარმული მისიაა, გაუნაწილოთ ეს ენერგია სხვა ადამიანებს. დაეხმაროთ უმწეოებს. იყავით გულღია, კომუნიკაბელური, ქველმოქმედი და ადვილად შეძლებთ ბედნიერების მოპოვებას.

***კურო*** – მეტი კონტაქტი იქონიეთ ახლობლებთან, მეგობრებთან. ნუ იქნებით დიქტატორი. მეტი ყურადღება მიაქციეთ, რას ითხოვენ თქვენგან გარშემო მყოფები და გაითვალისწინეთ მათი რჩევები. ეს თქვენი კარმული მისიაა, რაც ბედნიერებას მოგიტანთ.

***ტყუპები*** – იბრძოლეთ თქვენი სიმართლისთვის და შემოიკრიბეთ გარშემო ერთგული ადამიანები. ამით გარშემო ჰარმონიულ გარემოს შეიქმნით და წარმატებებსაც ადვილად მიაღწევთ.

***კირჩხიბი*** – იაზროვნეთ და იმოქმედეთ ისე, როგორც საჭიროდ მიიჩნევთ და არა ისე, როგორც გირჩევენ. აწმყოში საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენა თქვენი კარმული მისიაა დედამიწაზე, რაც მომავალში თქვენ წარმატებას მოგიტანთ.

***ლომი*** – შეეცადეთ, გარემოცვა და სამყარო ისეთი მიიღოთ, როგორიც არის და არა ისეთი, როგორიც გსურთ, რომ იყოს. მაშინ ცხოვრებაც გაგიადვილდებათ და დედამიწაზე თქვენს კარმულ მისიასაც ადვილად შეასრულებთ.

***ქალწული*** – ნუ იქნებით სხვების ხელის შემყურე, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი იქონიეთ. მთავარია, არ მოადუნოთ ყურადღება. ყური უგდეთ ინტუიციას და ის მიგიყვანთ საჭირო ადგილამდე. ისწავლეთ მოთმენა – ამას გავალებთ თქვენი კარმა.

***სასწორი*** – შეხედეთ სამყაროს სხვა თვალით და აღიქვით მოვლენები ისე, როგორც არის. დედამიწაზე თქვენი კარმული მისიაა, იყოთ რეალისტი.

***მორიელი*** – გადაწყვეტილების მიღებისას, ნუ აჩქარდებით. ჩაუღრმავდით საკუთარ გრძნობებს. თქვენი კარმული მისიაა, ადეკვატურად მიჰყვეთ მოვლენებს და სწორად მოახდინოთ რეაგირება.

***მშვილდოსანი*** – მეტად უსმინეთ საკუთარ ინტუიციას. თქვენი კარმული მისიაა, ყური უგდოთ გულის კარნახს, არ დაზოგოთ საქმეში შესაძლებლობა, ენერგია და იყოთ გულისხმიერი სხვების მიმართ.

***თხის რქა*** – ნუ აჰყვებით ემოციებს. გარშემო მყოფები თქვენგან მხოლოდ სიმართლეს ელიან და ეს თქვენი კარმული მისიაა დედამიწაზე. შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვთ. იყავით ოპტიმისტი და ეს წინსვლაში დაგეხმარებათ.

***მერწყული*** – მეტი გულისყურით აკეთეთ ის საქმე, რაც ითავეთ. თქვენი მთავარი კარმული მისიაა, იყოთ დამთმობი, ჰუმანური და მეტად კომუნიკაბელური. ეს ბარიერებისა და პრობლემების დაძლევაში დაგეხმარებათ და წარმატებებს მოგიტანთ.

***თევზები*** – დედამიწაზე თქვენი კარმული მისიაა სხვებზე იზრუნოთ, დაეხმაროთ მათ და საქმეს შემოქმედებითად მიუდგეთ. დაისახეთ მიზანი და ყველა ღონე იხმარეთ მის მისაღწევად – ამ შემთხვევაში ბედი ნამდვილად გაგიღიმებთ და თქვენს კარმულ-კოსმიურ მისიასაც შეასრულებთ დედამიწაზე.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1980 წლის 15 აგვისტოს, საღამოს 10 საათზე. რა არის ჩემი კარმულ-კოსმიური მისია და რომელი პროფესია მომიტანს წარმატებებს?**

**პასუხი:** თქვენი კარმულ-კოსმიური მისიაა, იყოთ მეტად კეთილშობილი, ენერგიული, ინიციატივიანი, ლიდერი, ორგანიზებული და ჰარმონიული როგორც სასიყვარულო, ისე პარტნიორულ ურთიერთობებში. დაეყრდენით ოპტიმიზმს, ცოდნას, კომუნიკაბელურობას. გახდით მარტოხელა მებრძოლი. გამოიმუშავეთ პასუხისმგებლობის გრძნობა, დაიცავით წესრიგი. იყავით პრაქტიკული. პროფესიებიდან კი წარმატებების მომტანია: პლასტიკური ქირურგია, სტომატოლოგია, კარდიოლოგია, სახელმწიფო ზემაღალ ეშელონებში ადმინისტრაციული საქმიანობა, იურისპრუდენცია, საიუველირო საქმე ან ბიზნესი, სადალაქო საქმიანობა, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური ბიზნესი ან საქმიანობა, გასართობი ინდუსტრია.

**კითხვა: დავიბადე 1978 წლის 17 სექტემბერს, დღის 2 საათზე. მინდა უცხოეთში წასვლა. გთხოვთ, მიპასუხოთ, რომელი ქვეყნებია ჩემთვის ასტროლოგიურად მეტად მისაღები?**

**პასუხი:** უცხოეთი თქვენი კარმულ-კოსმიური მისია არ არის, მაგრამ, წარმატებების შანსი ნამდვილად გაქვთ. იქ მიღებული ცოდნა, გამოცდილება და ფინანსები სამშობლოში უნდა დააბანდოთ. ქვეყნებიდან კი კარგია: ინგლისი, დანია, ავსტრალია, შვედეთი, ყაზახეთი, ლაოსი, სინგაპური, მალაიზია, ვიეტნამი, ჩინეთის აღმოსავლეთი მხარე, გერმანიის ბავარიის მხარე, მაროკო, შვედეთის დასავლეთი მხარე, კუბა, მექსიკა, უნგრეთი; არ გირჩევთ წასვლას შემდეგ ქვეყნებში: ჰოლანდია, შოტლანდია, თურქეთი, ახალი ზელანდია, ინდოეთი. დანარჩენი ქვეყნები მეტ-ნაკლებად მისაღებია.

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17.**
**ტელ.: 272-68-68**

30 აპრილი, **სამშაბათი** 19.00 - **„ქარი მწყურია მე პირდაპირი"**. (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), ავტორი, რეჟისორი, ინსცენირების ავტორი, მხატვარი, მუსიკალური გამფორმებელი – მურმან ჯინორია. მონაწილეობენ: ერთადერთი მთავარი როლის შემსრულებელი - მურმან ჯინორია. მონოსპექტაკლი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;*

2 მაისი, **ხუთშაბათი** 19.45 - **„ფსიქოზი 4:48"** - (ბილეთის ფასი - 8 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: კიტა როყვა. მონაწილეობს: ბესო ზანგური; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.*

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8,**
**ტელ.: 295-59-66.**

1 მაისი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ჟოლო"** - (დიდი სცენა), (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, ნიკა კუჭავა;

1-2 მაისი, **ოთხშაბათი-ხუთშაბათი** 20.00 - **„სილამაზის დედოფალი"**. (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). რეჟისორი: გურამ ვაშაკიძე; პრემიერა. *ხანგრძლივობა: 2სთ.*

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2,**
**ტელ.: 298-58-21.**

30 აპრილი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. *ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;*

1 მაისი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

2 მაისი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„თაფლობის თვე"** - (ბილეთის ფასი - 6 9, 11 ლარი), რეჟისორი: მაია დობორჯგინიძე. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, სალომე ჭულუხაძე, ნათია კვაშალი; *ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ.;*

4 მაისი, **შაბათი** 19.00 - **„ღმერთო, დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები"** - (ბილეთის ფასი - 6, 12 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, დიმა მერაბიშვილი. *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი.*

## გაბრიაძის თეატრი
**შავთელის ქუჩა №13,**
**ტელ: 790 98-65-91 (მაგთი ფიქსი),**
**298-65-90**

1 მაისი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„სტალინგრადის ბრძოლა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

2, 4 მაისი, **ხუთშაბათი, შაბათი** 20.00 - **„რამონა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.*

## საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №37.**
**ტელ.: 99-63-14.**

30 აპრილი, **სამშაბათი** 19.00 - **„კრიმანჭული"** - (ბილეთის ფასი - 5.50 ლარი), რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ.*

## თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი
**დ. აღმაშენებლის გამზირი №99/1.**
**ტელ.: 295-78-74, 295-39-27.**

29-30 აპრილი, **ორშაბათი-სამშაბათი** 12.00, 15.00 - **„ალისფერი ყვავილი"**. (ბილეთის ფასი - 5, 7 ლარი), რეჟისორი: ანატოლი ლობოვი. დიდი დარბაზი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

30 აპრილი, **სამშაბათი** 19.00 - **„ირინეს ბედნიერება"**. (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. დიდი დარბაზი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.*

# კინოთეატრები

## კინოთეატრი „რუსთაველი"
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**29 აპრილი – 5 მაისი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.00 - **„ქრუდსების ოჯახი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

16.00, 18.00, 20.00 - **„ძალიან საშიში კინო 5"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

22.30 - **„ობლივიონი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00 - **„მანქანა რომელიც ყველაფერს გააქრობს"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

16.00, 18.00, 20.00, 22.15 - **„კომა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 14.30 - **„ობლივიონი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

17.00, 19.45 - **„ქრუდსების ოჯახი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

22.15 - **„ძალიან საშიში კინო 5"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00, 14.30, 17.00, 19.45 - **„შურისძიება"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

22.30 - **„მანქანა რომელიც ყველაფერს გააქრობს"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.00, 14.00, 22.30 - **„ძალიან საშიში კინო 5"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

16.00, 18.00 - **„ქრუდსების ოჯახი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.00 - **„ობლივიონი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 11,50 ლარი).

## კინოთეატრი „ამირანი"
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დიდი დარბაზი*

12.15 - **„ქრუდსების ოჯახი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

14.15, 16.15, 18.15, 20.15, 22.30 - **„ძალიან საშიში კინო 5"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

*მცირე დარბაზი*

12.00 - **„ძალიან საშიში კინო 5"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

14.30 - **„ქრუდსების ოჯახი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

17.00, 19.40 22.30 - **„ადგილი ფიჭნარს მიღმა"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 11,50 ლარი).

## კინოთეატრი „საქართველო"
**გურამიშვილის გამზ. 2/9,**
**ტელ: 230-80-80; 269-66-47.**

12.00 - **„დედამიწიდან გაქცევა"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

14.00, 16.00 - **„რომის გლადიატორები"**

18.00, 20.00 - **„ჯეკი გიგანტების გამანადგურებელი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*

22.00 - **„კომა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 4 - 8 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

## ორშაბათი 29 აპრილი

**06.30** დ/ფ "გაზაფხული დაკვირვების ქვეშ" **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.10** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** დ/ფ "ელიტური მეომრის ტექნოლოგიები" **17.00** დ/ფ "100 უდიდესი აღმოჩენა" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"სიყვარული შიშით"** **21.00** ტ/სერ **"ბორჯია"** **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** "კომენტატორი" **00.00** "საფარი" **00.30** მხ/ფ **"ჩემი დის მფარველი ანგელოზი"** (ტიტ.) (კ.დიაზი).

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"დაუვიწყარი"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** **13.00** ქ/სერ **"ეჰ, მეგობრებო"** **1** სერ. **14.40** ფულთან თამაში (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"თილისმა"** **19.05** მთავარი ფაქტორი **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** მთავარი ფაქტორი (გაგრძელება) **23.00** მხ/ფ **"ლამაზი ქალი"** (რ. გირი) **01.40** მხ/ფ **"სამუშაო"** **03.15** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ყველაზე ჭკვიანი **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ **"ერთგულების ძალა"** **22.00** "საქართველოს ვარსკვლავი" **00.00** შიშის ფაქტორი **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00** ახალი ამბები კოლაჟი **7.30** მულტფილმი **8.00, 9.00, 10.00, 1.00, 6.30** ახალი ამბები **8.10, 9.15, 10.15** მაღვიძარა **11.00, 22.20, 0.30** მაგთიფანი **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.00, 4.30** თავისუფალი დრო **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** პრესკლუბი **16.40** პრესპრესი **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.15, 2.00** თოქ-შოუ "არგუმენტები" **19.15** **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.30** "ყოველდღიური აბები" **23.00, 3.00** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.55** მხ/ფ **"ამაღლება"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30** ისტორიის დღიური **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.10** დოკ/ფ "გზა" I ნაწ. **13.05** კონცერტი - ი.ბარდანაშვილი "მწუხრის ლოცვანი" **13.30** დოკ/ფ "ვნების კვირა წმინდა მიწაზე" I ნაწ. **14.05** დოკ/ფ "სინას საგანძური" **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმრები **15.30** დოკ/ფ "წმინდა ოთხავი" მათეს სახარება I ნაწ. **16.25** "საუფლონი" ნებით შესვლა ნებისათვის" **16.50** დოკ/ფ "შორია გურჯისტანამდე" **17.15** დიდი მარხვა **18.10** დიდ ხარ შენ,უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი **19.20** დოკ/ფ "ექვთიმე"**20.40** ძილი ნებისა **21.20** სღვთისმეტყველო საუბრები **22.25** საუბრები ლიტერატურაზე **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სღვთისმსახურო წელიწადი **23.35** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება (გ. გვასალია) **00.35** განთიადის სტუმრები **01.00** დოკ/ფ "ტაო კლარჯეთი" **01.35** დოკ/ფ "სარფი მოლენა".

## სამშაბათი 30 აპრილი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.00** "მოამბე" **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** ტ/სერ **"ბორჯია"** **17.00** დ/ფ "თანამედროვე სნაიპერი" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"სიყვარული შიშით"** **21.00** ტ/სერ **"ბორჯია"** **22.00** დ/ფ "ფეხბურთის მეამბოხენი" **22.40** **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი: (პ/რ) შესვენებისას: "ვიქტორინა" **00.30** მხ/ფ **"მამაკაცები არ მიდიან"** (ტიტ.) (ჯ.ლენგი).

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"დაუვიწყარი"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** **13.00** ქ/სერ **"ეჰ, მეგობრებო"** **2** სერ. **14.40** კონცერტი: ერისიონი (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"თილისმა"** **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** ახალი საბავშვო ხმა **00.15** მხ/ფ **"დედოფალი მარგო"** (ვ.პერესი) **02.45** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ვანოს შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ. **"ერთგულების ძალა"** **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია. **23.30** სერ. **"გრიმი"** **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00** ახალი ამბები კოლაჟი **7.30** მულტფილმი **8.00** ახალი ამბები **8.10, 9.15, 10.15** მაღვიძარა **9.00, 10.00, 1.00, 6.30** ახალი ამბები **11.00, 17.00, 22.20, 0.30** მაგთიფანი **11.30, 16.40** აბები **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.00, 4.30** თავისუფალი დრო **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** პრესკლუბი **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 2.00** თოქ-შოუ "სუბ. აზრი" **19.15** **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.30** "ყოველდღიური აბები" **23.00, 3.00** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "შორია გურჯისტანამდე" **07.05** დოკ/ფ "სარფი მოლენა" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ქრისტიანული სწავლება **10.55** საუბრები ლიტერატურაზე **10.20** სღვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** დოკ/ფ "გზა" II ნაწ. **13.15** კონცერტი - ლიანა ისაკაძე **14.15** დოკ/ფ "ვნების კვირა წმინდა მიწაზე" II ნაწ. **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** ეთნოგრაფია **15.40** სღვთისმსახურო წელიწადი **16.00** დოკ/ფ "წმინდა ოთხთავი" მათეს სახარება II ნაწ. **16.55** დიდი მარხვა **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დოკ/ფ "ჩემი ქვეყანა" **19.30** დროის ჩანაწერები **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ლექსით ქებათა ქება **21.30** ჩვენი ბიბლიოთეკა **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი **23.45** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება (გ. გვასალია) **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** ერთსულოვნების სალონი **01.40** კარაბადინი.

გაგრძელება 43-ე გვერდზე



კეფენთეკი
კეტოპროფენი 30 მგ
ანთების საწინააღმდეგო
და ტკივილგამაყუჩებელი
პლასტირი
დაიკარი პლასტირი –
დაივიწყე ტკივილი!
გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.
დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 296-72-27
Brupharmexport

# ლობიოს სალათა


















**საჭირო ინგრედიენტები:** ნახევარი კილოგრამი მოხარშული წითელი ლობიო, 3 ცალი ცოცხალი პომიდორი, 50 გრამი ქინძი, 1 თავი ხახვი (მოზრდილი), 5 კბილი ნიორი, 2 სადილის კოვზი ზეთი, 2 სადილის კოვზი ძმარი, 1 ჩაის კოვზი შაქარი, 2 სადილის კოვზი სოიის სოუსი.

**მომზადების წესი:** ხახვი დაჭერით ძალიან წვრილ კუბიკებად. დაასხით ძმრისა და შაქრის მარინადი. მოხარშული ლობიო დაწურეთ თუშფალანგზე. დაჭერით პომიდორი კუბიკებად, ქინძი – ძალიან წვრილად. ნიორი დაკეპეთ. ღრმა ჭურჭელში ჩაასხით სოიის სოუსი და 2 სადილის კოვზი ზეთი, ჩაამატეთ მარინადიანი ხახვი, ნიორი და მწვანილი. აურიეთ და ცოტა ხანს გააჩერეთ. მხოლოდ ამის მერე ჩაუმატეთ პომიდორი. აურიეთ კარგად და დაუმატეთ ლობიო. ცოტა ხანს კიდევ აცალეთ, რომ არომატები კარგად გაუჯდეს. მთელი ღამით თუ იქნება მაცივარში, უკეთესია. ძალიან მოგეწონებათ. საკმაოდ წვნიანი და გემრიელი სალათაა.

# ჩაშუშული სოკო













**საჭირო ინგრედიენტები:** 300 გრამი ხის სოკო; 300 გრამი ქამა სოკო, 300 გრამი მანჭკვალა სოკო, 1 კილოგრამი კარტოფილი, 1 ქილა არაჟანი (დაახლოებით 400-450 გრამი), 1 კონა მწვანე ხახვი, 1 კონა კამა. მარილი, შავი პილპილი, ცოტა ზეთი. შეგიძლიათ, კერძი მთლიანად ქამა სოკოთიც მოამზადოთ.

**მომზადების წესი:** კარტოფილი გათალეთ და დაჭერით მრგვალ ფირფიტებად და მოაყარეთ მარილი. ტაფაზე გააცხელეთ ზეთი და ზედ კარტოფილი შებრაწეთ ყველა მხრიდან. სოკო დაჭერით, ცალკე მოშუშეთ ზეთში და უყავით ცოტა მარილი და პილპილი. ხრაკეთ დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში. როცა სოკო კარგად ჩაიშუშება, დაუმატეთ არაჟანი, წვრილად დაჭრილი მწვანე ხახვი და შუშეთ კიდევ 10 წუთი. ლანგარზე ჯერ ამოიღეთ კარტოფილი, ზემოდან მოასხით არაჟანში ჩაშუშული სოკო და მოაყარეთ წვრილად დაჭრილი კამა.





FABIO

* ისრაელის წარმოების უნივერსალური სარეცხი ფხვნილი Fabio
* გამოიყენება როგორც ხელით, ასევე, სარეცხი მანქანით რეცხვისას.
* მისი უნივერსალურობა იმაშიც გამოიხატება, რომ, რეცხავს როგორც თეთრეულს, ისე ფერად ტანსაცმელს.
* მინიმალური დანახარჯით – მაქსიმალური შედეგი: 5 კილოგრამ სარეცხზე 37-გრამიანი მოხმარება!
* 1 კილოგრამი Fabio გაძლევთ საშუალებას, იდეალურად გარეცხოთ 27-ჯერ (ანუ, 27-ჯერ გარეცხავთ 5 კილოგრამ სარეცხს, როგორც თეთრეულს, ასევე ფერად ტანისამოსს).
* არის ეკოლოგიურად სუფთა და არ იწვევს ალერგიას.

ტელეფონი: 551 441111

## გურმანთა მეგზური



# სანგრია



**საჭირო ინგრედიენტები:** 750 მილილიტრი მშრალი წითელი ღვინო, 750 მილილიტრი ფორთოხლის წვენი, 100 გრამი შაქარი, 2 ცალი მსხალი, 3 ცალი ატამი, 1 ცალი ლიმონი, 2 ცალი ვაშლი.

**მომზადების წესი:** გაფცქვენით მსხალი, ატამი და დაჭერით ოთხკუთხედებად, ლიმონი კი – ნახევარრგოლებად. გახსენით შაქარი ფორთოხლის წვენში. ამავე წვენში ჩაყარეთ ხილი, დაუმატეთ ღვინო და მოათავსეთ მაცივარში 24 საათით. მიირთვით ხილთან ერთად. შესაძლებელია ხილისა და კენკრის ვარიაციებიც.

# სალათა მსხლითა და თხილით



**საჭირო ინგრედიენტები:** 0,5 ჭიქა თხილი, კუბიკებად დაჭრილი 6-7 ნაჭერი პური, 3 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 1 ჩაის კოვზი მდოგვი, 1 სადილის კოვზი თეთრი ღვინის ძმარი, 1/4 ჩაის კოვზი მარილი, 1/8 ჩაის კოვზი შავი პილპილი, 150 გრამი სხვადასხვა სახის სალათის ფოთლები, 2 ცალი გათლილი და კუბიკებად დაჭრილი მსხალი, 50-70 გრამი ცისფერი ყველი.

**მომზადების წესი:** თხილი მოხალეთ, გააცალეთ კანი და მსხვილად დაჭერით. 1 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთში აურიეთ პურის ნაჭრები და 10-12 წუთით შედგით ღუმელში, რომ დაიბრაწოს. ძმარი, მდოგვი, მარილი და პილპილი აურიეთ და ამ ნარევში წვრილი ნაკადით ჩაასხით დარჩენილი ზეითუნის ზეთი ისე, რომ თქვეფა არ შეწყვიტოთ. სალათის ფოთლები ხელით დააქუცმაცეთ, შეურიეთ დაჭრილი მსხალი, თხილი, შებრაწული პურის ნაჭრები, წვრილად დაჭრილი ყველი და მოასხით სოუსი.

# ტაილანდური წვნიანი

**საჭირო ინგრედიენტები:** 500 მილილიტრი ქათმის ბულიონი, 200 მილილიტრი რძე, 1 სადილის კოვზი გახეხილი ჯანჯაფილი, 3 ცალი ლიმონის ფოთოლი, 2 ძირი ნიახური, 1 ცალი სტაფილო, 2 პატარა თავი ხახვი, 1 ცალი წიწაკა ჩილი, 1 ცალი პომიდორი, 7-8 ცალი ქამა სოკო, 1 ნაჭერი ქათმის მკერდის ფილე, 2 სადილის კოვზი სოიის სოუსი, 1 სადილის კოვზი შაქარი, 2 ღერი ქინძი, ლიმონის წვენი – გემოვნებით.



**მომზადების წესი:** ქათმის ბულიონში ჩაყარეთ ნიახური, სტაფილო, 1 თავი ხახვი და აადუღეთ. როდესაც ბოსტნეული მოიხარშება, გადაწურეთ, ბულიონს ჩაუმატეთ რძე და წამოადუღეთ. წიწაკა და ლიმონის ფოთლები დაჭერით წვრილად, ხოლო ქათმის მკერდი, პომიდორი და სოკო – მსხვილად. ხახვი გახეხეთ. ბულიონში ჩაყარეთ დაჭრილი ლიმონის ფოთლები, წიწაკა, ხახვი და გახეხილი ჯანჯაფილი, 5 წუთში კი ჩაუმატეთ სოკო, ქათამი და პომიდორი. სოიის სოუსი, შაქარი და ლიმონის წვენი აურიეთ და 5 წუთის შემდეგ ჩაუმატეთ წვნიანს. სუფრაზე მიტანის წინ წვნიანში ჩაყარეთ წვრილად დაჭრილი ქინძი.

38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 1 მაისი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.40** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** ტ/სერ "**ბორჯია**" **17.00** დ/ფ "სახელგანთქმული თვითმფრინავები" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ "**სიყვარული შიშით**" **21.00** ტ/სერ "**ბორჯია**" **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** მხ/ფ "**როგორ მოკლა მხდალმა რობერტ ფორდმა ჯესი ჯეიმსი**" (ბ.პიტი) **02.00** დ/ფ "კოდის კონცხი".

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **13.00** ქ/სერ "**ეჰ, მეგობრებო**" 3 სერ. **14.40** ღამის შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**თილისმა**" **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** ფულთან თამაში **23.00** მხ/ფ "**დიდი სტენი**" (დ.ქერედინი) **01.20** მხ/ფ "**პროვინციელი ბარმენი**" (ფ.მორისი) (ტიტ.) **02.45** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** იღბლიანი ბორბალი. **17.00** სერ. "**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **20.05** სერ "**ერთგულების ძალა**" **22.00** ნანუკას შოუ. **22.40** ჩემპიონთა ლიგა **00.50** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00, 8.00, 9.00, 10.00, 0.00, 1.30, 4.00, 6.30** ახალი ამბები **7.30** მულტფილმი **8.10, 9.15, 10.15** მაღვიძარა **11.00, 17.30** მაგთიფანი **11.30, 16.40** აბები **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.00** თავისუფალი დრო **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** პრესკლუბი **17.00** ღია კარის დღე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.15, 0.30** თოქ-შოუ "არგუმენტი" **19.15 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 2.00** მაგთიფანი კონცერტი **4.30** თავისუფალი დრო (გამ.).

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.20** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.45** დოკ/ფ "ექვთიმე" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ჩვენი ფონდი **11.00** ქრისტიანული ხელოვნება **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** დროის ჩანაწერები **13.20** ქრისტიანული სწავლება **13.40** დოკ/ფ "გზა" III ნაწ. **14.35** ჩვენი ბიბლიოთეკა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.20** დოკ/ფ "ვნების კვირა წმინდა მიწაზე" III ნაწ. **15.55** დოკ/ფ "წმინდა ოთხთავი" მარკოზის სახარება **16.55** კვირიაკე **18.05** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** დეკორატიული ფლორა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** საღვთისმსახურო წელიწადი **19.45** დოკ/ფ "დავით გარეჯი" I ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება (გ. გვასალია) **23.35** დიდი მარხვა **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** დოკ/ფ "ჩვენებურები".

## ხუთშაბათი 2 მაისი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ "**ბორჯია**" **17.00** დ/ფ "სიცოცხლე" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ "**სიყვარული შიშით**" **21.00** ტ/სერ "**ბორჯია**" **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" **00.00** მხ/ფ "**მე სემი ვარ**" (მ.პფაიფერი).

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **13.00** ქ/სერ "**ეჰ, მეგობრებო**" 4 სერ. **14.40** კაცების შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**მაგნატები**" 1 სერ. **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** მხ/ფ "**ყოვლისშემძლე ბრუსი**" (ჯ.ენისტონი) **00.15** მხ/ფ "**აუზი**" (ა.დელონი) **02.20** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** კომედი შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. "**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **20.05** სერ "**ერთგულების ძალა**" **22.00** პროფილი **23.30** ტოპ გოგო **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.00, 10.00, 1.00, 6.30** ახალი ამბები **8.10, 9.15, 10.15** მაღვიძარა **11.00** კვირის აბები **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.00** თავისუფალი დრო **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** პრესკლუბი **16.15** მაგთიფანი კონცერტი **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.15, 2.00** თოქ-შოუ "სუბ. აზრი" **19.15 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.30** "ყოველდღიური აბები" **22.20, 0.30** მაგთიფანი **23.00, 3.00** თოქ-შოუ - "პოლიტმეტრი" **4.30** თავისუფალი დრო.

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "ჩვენებურები" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30, 21.05** ლექსით ქებათა ქება **10.35** დოკ/ფ "დავით გარეჯი" I ნაწ. **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** დოკ/ფ "გზა" IV ნაწ. **13.00** კონცერტი - გია ყანჩელი "ლიტურგია" **14.00** ჩვენი დრო **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.20** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.45** დოკ/ფ "ვნების კვირა წმინდა მიწაზე" IV ნაწ. **16.20** დოკ/ფ "წმინდა ოთხთავი" ლუკას სახარება **17.25** დიდი მარხვა **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დოკ/ფ "ზეცის სიმაღლეს ეზიარა" **19.40** დოკ/ფ "დავით გარეჯი" II ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების სალონი **22.30** წმინდა ზიარების შესახებ **22.40** საიდუმლო სერობისა და ფეხთბანვის განმარტება **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება (გ. გვასალია) **23.30** დოკ/ფ "კაპელანი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** დოკ/ფ "მონასტრის ბინადარნი".

## პარასკევი 3 მაისი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ "**ბორჯია**" **17.00** დ/ფ "მარი კიური" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ "**სიყვარული შიშით**" **21.00** ტ/სერ "**ბორჯია**" **22.00** მხ/ფ "**დაუვიწყარი მოგზაურობა**" **23.30** "წითელი ზონა" **00.30** მხ/ფ "**ერთი წლის ცხრა დღე**".

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **13.00** ქ/სერ. "**ღმერთო რისი გულისთვის – უმადური**" **14.30** ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) **17.50** სერ. "**მაგნატები**" 2 სერ. **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** დოკ/ფ "პატრიარქის იუბილე" **00.15** მხ/ფ "**წერილები ჯულიეტასთვის**" (ა.საიფრედი) **02.00** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ეკე ვოკე (გ/ჩ) **17.00** სერ. "**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **20.05** სერ "**ერთგულების ძალა**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **01.00,**

03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი.

7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.00, 1.00, 6.30 ახალი ამბები 8.10, 9.15 მალვიძარა 11.00, 17.00, 22.20, 0.30 მაგთიფანი 11.30, 16.40 აბები 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 4.30 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00 თოქ-შოუ "კვირის არგუმენტები" 19.15 **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30 "ყოველდღიური აბები" 23.00, 3.00 თოქ–შოუ -"პოლიტმეტრი".

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 დოკ/ფ "მონასტრის ბინადარნი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 დოკ/ფ "დავით გარეჯი" II ნაწ. 11.40 ქრისტიანული სწავლება 12.05 ამინდი 12.10 დოკ/ფ "გზა" V ნაწ. 13.05 ეთნოგრაფია 14.10 დოკ/ფ "ვნების კვირა წმინდა მიწაზე" V ნაწ. 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დეკორატიული ფლორა 15.45 დოკ/ფ "წმინდა ოთხთავი" იოანეს სახარება 17.00 საუბრები ლიტერატურაზე 18.10 დიდი მარხვა 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.25 დიდი პარასკევი 19.45 დოკ/ფ "გზა მაცხოვრისა" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ლექსით ქებათა ქება 21.20 საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება (გ. გვასალია) 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ქრისტიანული ხელოვნება 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 22.15 დოკ/ფ "გარდამოხსნა" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.00 ირაო.

## შაბათი 4 მაისი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 "მოამბე" (აფხაზურ ოსურ სომხურ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.30 საბავშვო ან/ფ "პატარა პრინცესა" 11.00 "ეთნოგრაფიული ნარკვევები" 11.30 საბ. ტ/სერ "**ზინგზილები**" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "AGVA-GEORGIA" 13.00 ზეციური ცეცხლის გარდამოსვლა მაცხოვრის აღდგომის ტაძრიდან (პ/ტრ) 16.30 "ჩემპიონთა ლიგის დღიური" 17.00 დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები" 18.00 "ეტალონი" 19.00 "გურმანია" 21.00 დ/ფ "გზა მაცხოვრისა" 22.00 ქართ. მხ/ფ "**ნაზარის უკანასკნელი ლოცვა**" 23.00 სააღდგომო ლიტურგია. (პ/ტრ.).

07.20 ან/ფ "ბარბი: პრინცესა და ღარიბი გოგონა" 08.50 მხ/ფ "**პრინცესას დღიურები — 2**" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან/ფ "ავატარი" 12.00 ქ/სერ. "**შუა ქალაქში**" 13.00 სერ. "**ოქროს კერპი**" 3 სერ. 14.20 იმედიატორი (გ/ჩ) 15.50 დოკ/ფ "შავი არა თეთრი" (გ/ჩ) 17.50 სერ "**მაგნატები**" 3 სერ. 18.50 სერ. "**აკრძალული სიყვარული**" 21.00 სერ. "**მარტოსული**" 22.00 ქ/სერ. "**შუა ქალაქში**" 23.00 დოკ/ფ "უფლის ჯარისკაცები" 23.40 სააღდგომო ლიტურგია.

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია "პატარა პრინცი" 09.30 შერეკილები 10.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 13.30 ქართ. მხ/ფ 15.30 სერ. "**სიყვარული და საიდუმლო**" 16.30 "ნანუკას შოუ" - (გ/ჩ) 19.00 ყველაზე ჭკვიანი 2. 20.05 სერ. "**ერთგულების ძალა**" 22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 00.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 01.00 "Latin Angels" 01.30 სერ. "**გრიმი**" 02.00, 04.30 მხ/ფ.

7.00, 0.00, 2.00, 3.00 ახალი ამბები 7.30 მულტფილმი 8.00 მალვიძარა 9.30, 5.30 თოქ-შოუ "კვირის არგუმენტები" 11.00, 18.30, 23.00, 3.30 მაგთიფანი 11.30 აბები 12.00 ახალი ამბები 12 სთ-ზე 12.30, 14.00, 15.30, 19.15 **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** 15.00 ახალი ამბები 3 სთ-ზე 18.00 ახალი ამბები 6 სთ-ზე 21.00 ახალი ამბები 9 სთ-ზე 21.45, 4.30 "პრეს-პრესი" 0.30 პრეს-პრესი 1.30 მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება 2.30, 4.00 ღია კარის დღე 6.30 ახალი ამბები (კოლაჟი).

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 დოკ/ფ "პლანეტა დედამიწა" 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.55 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.10 დოკ/ფ "გზა მაცხოვრისა" 13.00 ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლა (ტრანსლაცია იერუსალიმიდან) 14.15 ქრისტიანული სწავლება 14.30 სალვთისმსახურო წელიწადი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.10 ოპერა – "**დაისი**" 16.30 დოკ/ფ "შემოდგომა" 17.05 დოკ/ფ "დედაო ღვთისა" 18.10 ქრისტიანული ხელოვნება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 ერთსულოვნების სალონი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 დიდი შაბათი 21.30 დიდი მარხვა 22.25 პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან 22.55 საგალობელი 23.00 ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ჩვენისა და მაცხოვრისა იესო ქრისტესი.

## კვირა 5 მაისი

08.00 საბ/ფ "**ჩარლი და შოკოლადის ფაბრიკა**" 10.00 "ეტალონი" 11.00 საბ. ტ/სერ "**ზინგზილები**" 12.00, 16.00 "მოამბე" 12.30 "ჩვენი ფერმა" 13.00 "სპექტაკლის დრო" – შ. რუსთაველის თეატრის სპექტაკლი: "ნატაძრალი" 16.30 "ჩვენი ეზო" 17.30 "ვაშინგტონი დღეს" 18.00 პატრიარქის აღსაყდრების იუბილე 20.40 ქართ. მხ/ფ "**მხიარული რომანი**" 22.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 23.00 "აღმოაჩინე საქართველო" 23.30 "უცნობი მუსიკა" 00.30 კონცერტი 01.30 მხ/ფ "**ცხოვრება" როგორც სახლი**" (კ.კლაინი).

08.00 ან/ფ "ბარბი: 12 მოცეკვავე პრინცესა" 09.25 ქ.მხ/ფ "**საბუდარელი ჭაბუკი**" 08.50 მხ/ფ "**სახლში მარტო დარჩენილი - 3**" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ/სერ. "**შუა ქალაქში**" 13.00 სერ."**ოქროს კერპი**" 4 სერ. 14.20 დოკ/ფ "პატრიარქის იუბილე" (გ/ჩ) 16.00 დოკ/ფ "ჯახი გურიაში 17.40 იმედის გმირები 17.50 დოკ/ფ "სქიმ არქიმანდრიტი საბა" 18.50 დოკ/ფ "დაჭიმული სიმები" 21.00 ღამის შოუ 22.00 ქ/სერ. "**შუა ქალაქში**" 23.00 რომ გადახვალ" გაჩერე 23.30 იმედიატორი 01.00 დოკ/ფ "ტონინო გუერა საქართველოში" 02.00 მუსიკა.

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია "პატარა პრინცი" 09.30 შიშის ფაქტორი 10.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 12.00, 15.00, 18.00, 04.00 კურიერი 12.30 დოკ/ფ (ფრაგმენტი) 13.00 "საქართველოს ვარსკვლავი" 15.30 სერ. "**სიყვარული და საიდუმლო**" 16.30 პროფილი (გ/ჩ) 19.00 ეკი ვოკი 20.00 იღბლიანი ბორბალი 21.00 P.S. 22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 23.00 კომედი შოუ 00.00 კარდაშიანების ოჯახი (ს2) 01.00 ტოპ გოგო (გ/ჩ) 02.00, 04.30 მხ/ფ.

7.00, 6.30 ახალი ამბები კოლაჟი 7.30 მულტფილმი 8.00 მალვიძარა 10.15 ღია კარის დღე 11.00, 23.00, 3.30 მაგთიფანი 12.00 ახალი ამბები 12 სთ-ზე 12.30, 15.30, 16.15 **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** 15.00 ახალი ამბები 3 სთ-ზე 18.00 ახალი ამბები 6 სთ-ზე 18.15, 4.30 სტუდია "რე" 19.30, 2.00 მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება 20.00, 0.30 "ჩვენ" 21.00 ახალი ამბები 9 სთ-ზე 21.45, 1.30 კვირის აბები 22.20 ღია კარის დღე 0.00, 3.00 ახალი ამბები.

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 გამოყენებითი ხელოვნება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 დეკორატიული ფლორა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 22.55, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.50 სიმღერის კვალდაკვალ 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.10 დოკ/ფ "პილიგრიმობა ევროპიდან იერუსალიმში" 13.25 ქრისტიანული ხელოვნება 13.55 კონცერტი "ერისიონი" 15.05 სააღდგომო ეპისტოლე 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.20 სალვთისმეტყველო საუბრები 18.05 სააღდგომო ეპისტოლე 18.30 დროის ჩანაწერები 19.35 მხ/ფ "**ფიროსმანი**" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.35 აღდგომა 21.45 კვირიაკე 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ციკლი "საუფლონი"- "ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა" 00.10 პატრიარქის ქადაგება 00.30 მხ/ფ "**ქეთო და კოტე**".

## ვერძი



აქტიური და შედეგიანი პერიოდია. კარგია ხელოვნებასთან კონტაქტი, დამატებითი სამუშაოს შესრულება. დასახული გეგმების ასასრულებლად, ჯობია, გაამყაროთ ურთიერთობა უცხოელ პარტნიორებთან. არ გირჩევთ მოგზაურობას. გაიზრდება საქმიანი შეხვედრების რაოდენობა.

## კურო



გაუმჯობესდება თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა და მოიმატებს ენერგიულობა. ადვილად გაართმევთ თავს ფინანსებთან დაკავშირებულ საქმეებს. თავდაჯერებული იყავით საყვარელი ადამიანის გვერდით. კარგია გადაადგილებები და აქტიური მოქმედებები.

## ტყუპები



ნუ წამოიწყებთ ახალ საქმეს. გააზრებული რისკი წარმატებას მოგიტანთ. მოერიდეთ საეჭვო ადამიანებთან კონტაქტს. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებსა და მინიშნებებს. ახალი რომანტიკული კავშირი სულ სხვა თვალით დაგანახვებთ საკუთარ თავსა და სამყაროს.

## კირჩხიბი



შრომისუნარიანი იქნებით და შედეგსაც ადვილად მიაღწევთ. მოერიდეთ ფულის უყაირათო ხარჯვას. პირად ცხოვრებაში არსებული კრიზისი ცუდად აისახება თქვენს გუნება-განწყობაზე. კარგია მოგზაურობა და ახალი ადამიანების გაცნობა, რადგან ისინი მომავალში დახმარებას გაგიწევენ.

## ლომი



ენერგიის დაქვეითება ცუდად აისახება თქვენზე, პრობლემები კი დაუკავშირდება ფინანსების მიღებასა და საბუთების გაფორმებას. სასიყვარულო ურთიერთობებში ნუ იქნებით ემოციური და ნუ მიიღებთ სერიოზულ გადაწყვეტილებებს. არ გირჩევთ მოგზაურობას.

## ქალწული



კარგი ფიზიკური მდგომარეობა დაგეხმარებათ პრობლემების სწრაფად მოგვარებაში. შესაძლებელია ახალი საქმის დაწყებაც. საყვარელ ადამიანთან გაატარეთ მეტი დრო და მეტი ყურადღება დაუთმეთ მას. გაიზრდება ამბიციურობა. მოუფრთხილდით ფულს და ნუ დახარჯავთ მას უმიზნოდ.

## სასწორი



საკმაოდ დაძაბული პერიოდია. გქონდეთ მეგობრების დახმარების იმედი. მოგებას მოგიტანთ პარტნიორული მუშაობა. ტონუსის ასამაღლებლად დროდადრო დაისვენეთ. ახალი სასიყვარულო კავშირის დაწყებისას კარგად დაფიქრდით, ნამდვილად დაასრულეთ თუ არა ურთიერთობა ძველ პარტნიორთან, რათა პრობლემებსა და გაუგებრობებს აარიდოთ თავი.

## ღრიანკალი



კარგი განწყობა და ფიზიკური მდგომარეობა დაგეხმარებათ ნებისმიერი კონფლიქტის მშვიდად მოგვარებაში. მიიღეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. კარგია მოგზაურობა, უცხოელებთან კონტაქტი. საყვარელ ადამიანთან რომანტიკული თავგადასავლები ცხოვრებას გაგიხალისებთ.

## მშვილდოსანი



საქმეებში წარმატება დამოკიდებული იქნება მიღებულ ინფორმაციაზე. გაგიჭირდებათ ხშირი გადაადგილება და ბევრ ხალხთან ურთიერთობა. სასიყვარულო სფეროში, შესაძლოა, ახალ ურთიერთობას ჩაეყაროს საფუძველი, რაც მთლიანად შეცვლის თქვენს ცხოვრებას.

## თხის რქა



გაგიადვილდებათ მუშაობა. გაიზრდება გადაადგილებების, კონტაქტებისა და შეხვედრების რაოდენობა. ეცადეთ, ეს პერიოდი მაქსიმალურად გამოიყენოთ. დროდადრო შეისვენეთ, რათა ორგანიზმი არ გადაგეღალოთ. საყვარელი ადამიანი იზრუნებს თქვენი სასიკეთო განწყობის შექმნაზე.

## მერწყული



აქტიური მოქმედებებისა და ურთიერთობების დროა. ხშირად გქონდეთ კონტაქტი ხალხთან. კარგია ვარჯიში და ბუნებასთან კონტაქტი. ახალი ფარული სასიყვარულო ურთიერთობა არ იქნება ხანგრძლივი და, შესაძლოა, პრობლემებიც კი შეგიქმნათ. ამიტომ, იყავით დაკვირვებული და ფრთხილი.

## თევზები



ფინანსური წარმატებების მისაღწევად აუცილებელია, იყოთ მომთმენი და მიზანდასახული. კარგია, თუ ახალ საქმეს მეგობრებთან ერთად წამოიწყებთ. სასიყვარულო ურთიერთობა კი უფრო მყარი და ძლიერი გახდება. კარგია ბუნებასთან კონტაქტი, რათა სასიცოცხლო ძალებით დაიმუხტოთ.

**ახალმთვარეობა – 10 მაისი, 00 სთ: 28 წთ.**

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

### ორშაბათი
### გეომაგნიტური დღეა

მეტი დრო დაუთმეთ ახლობლებსა და ოჯახის წევრებს. კარგია იურიდიული საქმიანობა, მოგზაურობა, უცხოელებთან კონტაქტი, უცხოეთში კაპიტალდაბანდება, სამეცნიერო კვლევა. ატარეთ წითელი, ლურჯი, ცისფერი, იისფერი, ყვითელი, ყავისფერი, კრემისფერი, ნაცრისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, ფირუზი, აქატი, ლაბრადორი ან ჰელიოტროპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, ფინანსურ ოპერაციებს. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი.

***პოზიტიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

### სამშაბათი

ნუ აიღებთ ქუჩაში ნაპოვნ, სხვის დაკარგულ ნივთებს. ატარეთ ყავისფერი, მწვანე, ბეჟი, ოქროსფერი, ნაცრისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი ან ოპალი. მიაქციეთ ყურადღება სიზმრებს. მოერიდეთ ფინანსურ ოპერაციებს, სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, ვაჭრობას, გაცვლით ოპერაციებს, ახალ კავშირებს. კარგია უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ექიმთან კონსულტაცია. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები.

***პოზიტიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### ოთხშაბათი

ნურაფერს დაგეგმავთ. მოერიდეთ კონფლიქტებს, სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას. ატარეთ ყავისფერი, კრემისფერი, ნაცრისფერი, ლურჯი, მწვანე, ყვითელი, ვერცხლისფერი, ცისფერი, წითელი ან ვარდისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, აკვამარინი, საფირონი ან ცირკონი. კარგია სახლის მშენებლობა, სარემონტო სამუშაოების დაწყება. სუსტდება თვალები, სისხლძარღვები, ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

### ხუთშაბათი
### გეომაგნიტური დღეა

იმოქმედეთ გეგმაზომიერად. დაეყრდენით ინტუიციას და მეტად რეალისტი იყავით. ატარეთ ვერცხლისფერი, ყვითელი, ნაცრისფერი, ლურჯი, ცისფერი, წითელი ან ვარდისფერი სამოსი; ქვებიდან კი – აკვამარინი, საფირონი, ცირკონი ან ფირუზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია ინტელექტუალური განვითარება, სამეცნიერო კვლევა, ადგილსამყოფლის შეცვლა, დიეტის დაწყება, გართობა. სუსტდება თვალები, ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები, სისხლძარღვები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, სასწოორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღეა

კარგია პატიება და მონანიება. მოერიდეთ თმის შეჭრას. ატარეთ ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, ყვითელი, წითელი, ვარდისფერი, ცისფერი, ლურჯი ან ნეონის ფერის ტანსაცმელი; ქვებიდან კი – აკვამარინი, ცირკონი, საფირონი, მარგალიტი ან ამეთვისტო. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. იყავით მეტად რეალისტი. კარგია სამეცნიერო კვლევა, გართობა, ადგილსამყოფლის შეცვლა, დიეტის დაწყება. სუსტდება ნერვული სისტემა, თვალები, ტერფები, სისხლძარღვები.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტურია დღის პირველი ნახევარი

კარგია კონტაქტები, იურიდიული საკითხების მოგვარება, მცენარეების დარგვა-გადარგვა, შემოქმედებითი მუშაობა, სასიყვარულო კავშირები. ატარეთ მწვანე, ფირუზისფერი, იისფერი, ვერცხლისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, გიშერი, ამეთვისტო, ალექსანდრიტი ან მარჯანი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. სუსტდება სისხლძარღვები, სასუნთქი ორგანოები, ფეხის კუნთები.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის.***

### კვირა

მოერიდეთ ფანტაზიას და რეალურად აღიქვით ირგვლივ მიმდინარე ფაქტები. ატარეთ ლურჯი, ზღვის ტალღის ფერი, იისფერი, მწვანე, ვერცხლისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ამეთვისტო, ალექსანდრიტი, გიაცინტი, მარგალიტი ან მარჯანი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია ხელოვნებასთან კონტაქტი, მოგზაურობა, მცენარეების დარგვა-გადარგვა, სასიყვარულო კავშირები. სუსტდება ნერვული, ენდოკრინული და ლიმფური სისტემები.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, მორიელებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

## ყურაშვილი-ყრუაშვილი

არსებობს მოსაზრება, რომ **ყურაშვილებსა** და **ყრუაშვილებს** საერთო წარმომავლობა ჰქონიათ, ოღონდ, სხვაობა იმაშია, რომ **ყრუაშვილები** აზნაურები ყოფილან.

გვარის ფუძეა მეტსახელი ყურა.

**ყურაშვილთა** გვარის გამოკვლევა მოცემული აქვს ბატონ პაატა ცხადაიას, წიგნში „გვარები და გვართა დასახელებანი სამეგრელოში".

საქართველოში ყველაზე გავრცელებულ ათას გვარს შორის **ყურაშვილებს** 79-ე ადგილი უჭირავთ.

საქართველოში 4 971 **ყურაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 1 167, ქუთაისში – 755, ცაგერში – 497. არიან სხვაგანაც.

## ქარჩავა

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ქარჩა.**

ამავე ძირისაა გვარები: **ქარჩაიძე, ქარჩილძე.**

ასევე, გვხვდება ტოპონიმები: ნაქარჩუ – უბანი ამავე სახელის სოფელში; ლუქარჩე – უბანი იორიმეში. აქაური **ქარჩავების** წინაპრები ჩამოსულან ნაკიანის ლექარჩედან საუკუნის წინათ და თან ჩამოუტანიათ სოფლის სახელწოდება.

საქარჩა უბანია ჩხოუშის მარცხენა ნაპირზე, საქარჩიო კი – უბნები მოცირში, ჭითაწყარსა და აბასთუმანში.

ზოგი მკვლევარი ვარაუდობს, რომ გვარის ფუძეა მეტსახელი ქარჩა. სიტყვა ქარჩა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული.

საქართველოში ყველაზე გავრცელებულ ათას გვარს შორის **ქარჩავას** 235-ე ადგილი უჭირავს, სამეგრელოში კი – 43-ე.

საქართველოში 2 836 **ქარჩავა** ცხოვრობს: ზუგდიდში – 1 005, ჩხოროწყუში – 426, თბილისში – 371. არიან სხვაგანაც.

## ზანდარაშვილი

გვარის ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი ზანდარი.

დილმელი **ზანდარაშვილები** ციციშვილების ყმები იყვნენ. მათი დაბრუნების პირობა ვახტანგ მეფემ იმერეთში გადახვეწილ ციცი ციციშვილს 1658 წელს მისცა.

1658 წელს მოიხსენიება გიორგი **ზანდარაშვილი**, რომელმაც დიმიტრი პაპაშვილს ორი დღის მიწა მიჰყიდა კოლოტაურის ვენახამდე. აღებული თანხით კი თავი დაიხსნა ციცი ციციშვილის ყმობიდან და მეფეს ეყმო.

**ზანდარაშვილები** ძირითადად სასულიერო პირები იყვნენ.

საქართველოში 288 **ზანდარაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 118, მცხეთაში – 78, ყვარელში – 56. არიან სხვაგანაც.

## თედორაძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **თეოდორე**, რაც ბერძნულად „ღვთის საჩუქარს" ნიშნავს. ბერძნული თეოდორედან შემდგომ ქართულში თევდორე გავრცელდა. გვაქვს, ასევე, მისგან ნაწარმოები ქალის საკუთარი სახელები თეოდორა და დოროთა.

სახელ თევდორესგან ნაწარმოები გვარებია: **თედეიშვილი, თედელური, თედეშვილი, თედოზაშვილი, თედორაშვილი, თედიაშვილი, თევდორაშვილი, თევდორაძე.**

„ალისმერეს მცხოვრებ ივანე **თედორაძეს** ქუთაისის საყდრის ბეგარა ემართა 1558 წელს".

საქართველოში 2 115 **თედორაძე** ცხოვრობს: ხელვაჩაურში – 487, ბათუმში – 226, აბაშაში – 206. არიან სხვაგანაც.

## ნაცარიშვილი-ნაცარაშვილი

გვარის ფუძეა ნაცარი. ონის რაიონის სოფელ გლოლაში დაფიქსირებულია საკუთარი სახელი ნაცარა. ამ ფუძიდანაა წარმოშობილი გვარი **ნაცარაშვილი**.

გვარმოდენილობით ამ ორ გვარს – **ნაცარაშვილსა** და **ნაცარიშვილს** საერთო არაფერი აქვს.

**ნაცარიშვილი** ხელოვნურადაა გამოგონილი ცხოვრებისეული პირობების გამო და ამ გვარს დადიანების ცნობილ ფეოდალურ საგვარეულოსთან მივყავართ.

აჭარის მიდამოებში, კერძოდ კი, ქობულეთის მაღალმთიან სოფელ ხინოში, საუკუნეების წინათ სამეგრელოდან ჩასული დადიანები დასახლებულან. გვარში დღემდეა შემორჩენილი გადმოცემა: ჯემალ დადიანმა ხუნდებით წამებას ვერ გაუძლო, ტყეში გადაიკარგა და სოფელ ხინოდან 80 კილომეტრზე იპოვეს ნაცარში ამოგანგლული. მას ალამბარელებმა (სოფელია) ჯერ ნაცარა შეარქვეს, ხოლო, როცა ოჯახი შექმნა, „დადიანის ნაცარიშვილად" მონათლეს. ასე რომ, სწორედ დადიანის გვარმა დაუდო სათავე **ნაცარიშვილის** გვარს. ამ მცირერიცხოვანი გვარის წინაპრები დადიანები იყვნენ.




საქართველოში 37 **ნაცარიშვილი** ცხოვრობს: ქობულეთში – 22, თბილისში – 10, ბათუმში – 5.

## ჯაფიაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ჯაფა**, რომელიც ჩვენთან არაბულიდან შემოვიდა და დამკვიდრდა. ის მძიმე შრომას ნიშნავს.

1873 წელს, სოფელ წყურვილეთში მოიხსენიება გოგოლა **ჯაფიაშვილი**.

საქართველოში 392 **ჯაფიაშვილი** ცხოვრობს: გორში – 148, ქარელში – 117, თბილისში – 51. არიან სხვაგანაც.

## ელიკაშვილი-ილიკაშვილი-ელიკაური

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი ელია. ამ საკუთარი სახელიდან რამდენიმე ქართული გვარია ნაწარმოები.

ელია ძველი ბერძნული სახელია და ნიშნავს: „ღმერთი ციხესიმაგრეა ჩვენი."

**ელიკაშვილი** და **ილიკიშვილი** ერთი და იგივე გვარია.

1671 წელს ელიკა მოიხსენიება ბაადურ ციციშვილის მიერ სამწევრისეული მამულების ნუსხაში, სადაც აღნიშნულია, რომ მისი ნაქონი სამი დღის მიწა კაკალაშვილს ჰქონდა.

1709 წელს, ავნევში მცხოვრები **ელიკაშვილი** ფალავანდიშვილის წილის ბარათში მოიხსენიება.

ერტისში მცხოვრები ბიძინა **ელიკაშვილი** 1688 წელს მეფე გიორგიმ მამულითურთ უწყალობა ბეჟან თურქისტანიშვილს.

გიორგი **ელიკაშვილი** 1781 წელს, სოფელ მუხათში მოიხსენიება.

**ელიკაშვილები** ცხოვრობდნენ სოფელ ჭანდარში.

ამავე ძირისაა გვარი **ელიკაური**.

საქართველოში 750 **ელიკაშვილი** ცხოვრობს: გორში – 305, გურჯაანში – 199, თბილისში – 174. არიან სხვაგანაც.

35 **ელიკაური**: თბილისში – 12 გორში – 18, თიანეთში – 5.

## თურქაძე

ფუძიდან თურქი ნაწარმოებია ქართული გვარები: **თურქანაისძე, თურქაძე, თურქია, თურქიაშვილი, თურქისტანაშვილი, თურქიშვილი. თურქიაშვილი, თურქანაისძე** და **თურქაძე** ერთ და იმავე გვარად ჩანან.

**თურქანაისძეთა** განაყოფი გვარია, ასევე, გაბისულაისძე.

„გაბისულაისძის, სახლიკაცს ლაბეჭინის ეკლესიაში ჰქონდა საფლავი", – აღნიშნულია გაბრიელ ლაბეჭინელის ანგარიშებში მეცამეტე საუკუნეში.

„თურქაძე პაატა იყო მოწმე ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ გიორგი გლურჯიძისთვის მიცემული მიწის გაცვლილობის წიგნისა" (1527-1556 წლები).

საქართველოში 941 **თურქაძე** ცხოვრობს: თერჯოლაში – 248, თბილისში – 178, ქუთაისში – 131. არიან სხვაგანაც.

## თოლორდავა-თოლორაია-თოდუა

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **თოლორდა**, რაც მეგრულად „თვალად იყავის" ნიშნავს.

**თოლორდავა, თოლორაია** და **თოდუა**, ერთი და იგივე გვარია. გვარის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ფოლკლორული ნამუშევრები: გურიის მაზრის ერთ-ერთ სოფელში უცხოვრია ერთ კეთილბუნებოვან კაცს. ის ერთ ნათესავს დაუჩაგრავს, ადგილ-მამული წაურთმევია და შეურაცხყოფა მიუყენებია. კეთილ კაცს აბუჩად აგდება ვერ აუტანია და იძულებული გამხდარა, ნათესავი მოეკლა. მკვლელი მესისხლეობას გაჰქცევია და ზუგდიდის მაზრის სოფელ მუხურისთვის შეუფარებია თავი. იქ ციდრავების გოგო მოსწონებია, მაგრამ, როგორც კი მისი ცოლად შერთვა განუზრახავს, ბატონი გამოჩენილა, რომლის აღვირახსნილობასაც ახალგაზრდებისთვის ხელი შეუშლია. კეთილი კაცი იქიდანაც აყრილა და სხვაგან გადასახლებულა. დადიანების ურჩ პატიოსან კაცს ბატონების შიში და კრძალვა ვერ მოუშორებია და მღვდლისთვის გაუნდვია: ცოლი შევირთე, აქვე, ლუგელაში ვცხოვრობ და თქვენი იმედი მაქვსო. კარგი, შვილო, მაგრამ, იცოდე, აქვე ახლოს უნდა იყო სახილველად, თვალის დასანახადო („თოლო ორდა" მეგრულად – „თვალად იყავი"). ასე შერქმევია მის შთამომავლობას **თოლორდავა.**

**სათოლორდო**, **თოლორდათი** – უბანია ლეცირდესა და შიშას შორის, მუხურაში.

ასევე, **თოლორდავები** გვხვდებიან სოფლებში: ხაბუძე, ჩხოროწყუ, ნოსირი, თაია, საჯიქიო, ზუმი, ინგორი, ხამისქური, ჯგალი.

საქართველოში ყველაზე გავრცელებულ 1 000 გვარს შორის **თოლორდავას** 387-ე ადგილი უჭირავს.

საქართველოში 2 127 **თოლორდავა** ცხოვრობს: ჩხოროწყუში – 907, თბილისში – 274, სენაკში – 170. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# სამარხვო დიეტა

ძალიან ბევრს ჰგონია, რომ, თუკი მარხვას ინახავს, ესე იგი, დიეტასაც იცავს, მაგრამ, ეს დიდი შეცდომაა. არც ეკლესიურად და არც პირდაპირი გაგებით, ცხადია, მარხვა დიეტა არ არის და, შესაბამისად, ხელს არ შეუწყობს გახდომას, უფრო პირიქით – ძალიან ხშირად ის, ვინც მარხულობს, სუქდება. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ეძალებიან პურს, სამარხვო ნამცხვრებსა და სხვა კალორიულ პროდუქტებს.



დღეს გთავაზობთ სამარხვო დიეტას, რომელიც ყველასთვის ძალიან სასარგებლოა: მათთვისაც, ვინც მარხულობს და მათთვისაც, ვინც არ მარხულობს.

დიეტის მთავარი პირობაა, მთლიანად გამორიცხოთ მენიუდან ცხოველური წარმოშობის ცხიმები და პროდუქტები. უნდა იკვებოთ ბურღულეულით, პარკოსნებით, ხილით, ბოსტნეულითა და მცენარეული ზეთით. ამ დიეტის დაცვა აღარ გაგიძნელდებათ, რადგან გაზაფხული ძალაში შედის და ახალი ბოსტნეული, ხილი და ბალჩეული უკვე ყველასთვის ხელმისაწვდომია.

საუზმე (შეარჩიეთ ერთ-ერთი ვარიანტი და ცვალეთ თქვენი სურვილისამებრ):

ა) წყალზე მოხარშული ფაფა (მანანის, წიწიბურას, „ჰერკულესის" ან სხვა ბურღულის), უცხიმოდ და უშაქროდ. შეგიძლიათ, ულუფას შეურიოთ 1 ჩაის კოვზი თაფლი.

ბ) მოხარშული ჭარხალი შეაზავეთ ცოტა მარილით, 1 ჩაის კოვზი ზეთითა და 1 ჩაის კოვზი ძმრით.

გ) 3 ბუტერბროდი ჭვავის პურითა და ბადრიჯნის ან სოკოს „ხიზილალით".

დ) სასმელები: ბალახების ნახარში, ვარდკაჭაჭას ყავა ან მწვანე ჩაი (ყველაფერი უშაქროდ).

სადილი აუცილებლად უნდა შედგებოდეს ვეგეტარიანული წვნიანისა და სალათისგან (შეარჩიეთ და ცვალეთ ვარიანტები):

ა) ბორში სოკოთი, ცოცხალი კომბოსტოსა და სტაფილოს სალათა, ხილის ან კენკრის მუსი.

ბ) ჭარხლის ფოთლების სუპი, ვაშლისა და მწვანილების სალათა, კენკრის ჟელე.

გ) კარტოფილის სუპი. თალგამის, შტოშისა და სტაფილოს სალათა.

ყოველი ორი საათის შემდეგ აუცილებლად უნდა წაიხემსოთ, რისთვისაც, შეგიძლიათ, გამოიყენოთ:

ა) შემწვარი ვაშლები (უშაქროდ).

ბ) კარტოფილთან ერთად მოშუშული სოკო.

გ) კომბოსტოს ან ჭარხლის კატლეტები.

ვახშამი: უნდა მიირთვათ არაუგვიანეს საღამოს 6 საათისა. საღამოს მენიუს ვარიანტებია:

ა) ბრინჯისა და სოკოს გუფთა.

ბ) კიტრისა და მოხარშული კარტოფილის სალათა.

გ) მანანის ბურღულის, თაფლისა და ქიშმიშისგან მომზადებული ნამცხვარი.

სუფრიდან რომ ადგებით, ცოტათი კიდევ უნდა გშიოდეთ, მით უმეტეს, რომ მარხვის დროს ნაყროვანება დაუშვებელია.

# სასარგებლო რჩევები ქალბატონებს

* აბაზანისა და შხაპის კოსმეტიკაში უნდა შედიოდეს მხოლოდ ნატურალური ინგრედიენტები. ასეთ საშუალებებს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მითითებული ვარგისიანობის ვადა (LUSH).

* ყველანაირი ქიმია არ არის საშიში. მაგალითად, პარაბენები – ისინი კოსმეტიკაში კონსერვანტების ფუნქციას ასრულებს, თუმცა, ისინი ბუნებრივი გზით მიიღება, ანუ, შესაძლოა, მათ ჰქონდეს ბუნებრივი წარმომავლობა: პარაბენებით მდიდარია შტოში, სელშავი („ბრუსნიკა"), არყის ხის ფოთლების ექსტრაქტი, ფიჭვის ფესვები, ევკალიპტი, პროპოლისი, შავი მოცხარი, შოთხვი.



* ბიობამბა – ეს არის ჰიპოალერგიული და კანისა და, ზოგადად, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო მასალა.

* ბიოლოგიური ან ორგანული ბამბა იზრდება ქიმიური ნივთიერებებისა და სასუქების გამოყენების გარეშე.

* ვარცხნილობის შერჩევისას გასათვალისწინებელია სამი რამ: სახის ოვალი, სახის ნაკვთები და აღნაგობა.

ოვალი: მრგვალ სახეს უხდება ირიბი „ჩოლკა" და უსწორმასწოროდ შეჭრილი თმის ბოლოები. უარი უნდა თქვათ შუაზე გაყოფილ თმაზე.

კვადრატულ სახეს, პირიქით, უხდება თმის შუაზე გაყოფა, მაგრამ, არ უხდება ძალიან მოკლე თმა.

გრძელ სახეს ამშვენებს მოკლე „ჩოლკა" და ყურის ძირებამდე სიგრძის თმა, რომელსაც მოცულობა უნდა მისცეთ.

სახის ნაკვთები: შორიშორს განლაგებული თვალებისთვის იდეალურია ვარცხნილობა წარბებამდე „ჩოლკით"; ვერტიკალურად განლაგებულ ყურებს კი დაფარავს ვარცხნილობა „კარე".

აღნაგობა: თხელ და მაღალ ქალბატონებს განსაკუთრებით უხდებათ საშუალო სიგრძის დატალღული თმა. მათთვის კი, ვისაც მრგვალი ფორმები აქვს, იდეალური ვარიანტია ფენებად აჭრილი, საშუალო სიგრძის თმა.

* სკრაბი ტანისთვის მოამზადეთ შემდეგნაირად: 1 ჩაის კოვზი თაფლი, 1 ჩაის კოვზი ზღვის მარილი, 1 ჩაის კოვზი გახეხილი (ან დაფქული) კოჭა, 1 ჩაის კოვზი დარიჩინი, 1 ჩაის კოვზი გახეხილი მუსკატის კაკალი აურიეთ ერთმანეთში და ნელ-ნელა შეაზილეთ იმდენი თბილი წყალი, რომ არაჟნის კონსისტენციის მასა მიიღოთ. შემდეგ ეს მასა წრიული მოძრაობით წაისვით სველ ტანზე, გაიჩერეთ 10 წუთი და თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: თუ შეიძლება, ცოტა დაწვრილებით ამიხსენით, რა არის პილინგი და რამდენი სახის პილინგი არსებობს?**

**პასუხი:** ტერმინი „პილინგი" წარმოიშვა ინგლისური სიტყვიდან – peel, რაც ნიშნავს რაიმეს ზედაპირიდან ფენის აცლას, მოშორებას. კოსმეტოლოგიაში პილინგს ორნაირი გაგება აქვს: ასე უწოდებენ როგორც კანის ზედა ფენის – ეპიდერმისის მოშორების სალონურ პროცედურას, ისე ამქერცლავი მოქმედების კოსმეტიკას.

მყარი ნაწილაკების შემცველ საშუალებებს ეწოდება სკრაბი – ესაა პილინგის ერთ-ერთი სახეობა. მას აქვს ინტენსიური მოქმედება და განკუთვნილია კომბინირებული და ნორმალური კანისთვის. ეს ნაწილაკები ძირითადად შედგება გარგარის კურკის ან ნუშის დაფქული ნაჭუჭებისგან.

პილინგს მგრძნობიარე კანისთვის ეწოდება გომაჟი. ეს კრემის კონსისტენციის კოსმეტიკური საშუალება არ შეიცავს მყარ ნაწილაკებს და შედგება ნაზი რეაგენტებისგან.

**კითხვა: ვარ 25 წლის ქალი, მაგრამ, ვერა და ვერ მოვიშორე სახიდან ფერიმჭამელები და წვრილი ჩირქოვანი გამონაყარი. მაინტერესებს, რომელი ანალიზების გაკეთებაა საჭირო, რომ ამის მიზეზი დადგინდეს?**

**პასუხი:** ასეთ გამონაყარს ჰქვია აკნე. მის გაჩენას ბევრი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს, ამიტომ, უნდა გამოიკვლიოთ მთელი რიგი ჰორმონებისა; ასევე, გაიკეთოთ სისხლის კლინიკური და ბიოქიმიური ანალიზი. თუ ეს გამოკვლევები გამოავლენს გამონაყარის მიზეზს, ჩააბარეთ ანალიზი B (განსაკუთრებით – $B_1$ და $B_6$) ჯგუფის ვიტამინებზე, ასევე, E ვიტამინზე და ზოგიერთ მიკროელემენტზე. კანის მდგომარეობაზე პასუხს აგებს მასში შემავალი ქიმიური ელემენტები: რკინა, ქრომი, თუთია, მარგანეცი, კაჟბადი, სპილენძი.



მოამზადა
თამრიკო ზამთარაძე

# როგორ გაწირა ტყუპისცალი ძმა და დაიკავა მისი ადგილი ამერიკის დაზვერვის აგენტმა

***პუბლიკაციის ზოგიერთი მონაწილის ვინაობა შეცვლილია. მათი ვინმესთან მსგავსება შემთხვევითია, რისთვისაც წინასწარ გიხდით ბოდიშს.***

### ქურდი ქალი

1970 წლის 4 მარტს თბილისის მილიციის სამმართველოში ახალგაზრდა ქალი მივიდა და მორიგეს სთხოვა, ხელმძღვანელობასთან დაეკავშირებინა. მისი დაჟინებული მოთხოვნა დააკმაყოფილეს და ის პოდპოლკოვნიკ გენო კავსაძესთან შეიყვანეს, რომელიც ერთ-ერთი განყოფილების უფროსი იყო.

– ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, მე ლუბა სვეტლოვა ვარ, 27 წლის. ჩემი პროფესიაა ბინის ქურდობა. მე და ჩემი 25 წლის და – ანა სვეტლოვა წყვილში ვმუშაობთ. ჩვენი მუშაობის სტილია ვინმე შეძლებული, მარტოხელა მამაკაცის გაცნობა, მასთან სქესობრივი ურთიერთობის დამყარება და ამ გზით მის სახლში შეღწევა. შემდეგ – ბინის ყველა საკეტის ანაბეჭდს ვიღებთ და გასაღებს ვამზადებთ. ბინის პატრონი რომ სახლში არ არის, მის სახლს ვძარცვავთ. ჩვენ, წარმოშობით ვოლგოგრადიდან ვართ და მთელ საბჭოეთში ვმოგზაურობთ. თბილისში ორი კვირის წინ ჩამოვედით და სასტუმრო „კოლხეთში“ დავბინავდით. ჩამოსვლის მეორე დღესვე, დამ ვიღაც სიმპათიური, საშუალო ასაკის გემის კაპიტანი გაიცნო, მასთან ბინაში შეაღწია, მისი სახლის ყველა საკეტის ანაბეჭდები აიღო და მე გასაღებები დავამზადებინე. ამისთვის კი, ვოლგოგრადში გამგზავრება დამჭირდა, სადაც ჩვენი ზეინკალი გვყავს. ერთი სიტყვით, ბინის პატრონი, ოთხი დღის წინ შორეულ ნაოსნობაში გაემგზავრა. მეორე დღეს კი, ანა მის სახლში შევიდა. თქვა: ჯერ ყველაფერს „გავშმონავ“ და წასაღებად გავამზადებ. მერე კი გამოვალ, შეგატყობინებ და ერთად წავიღოთო. მე სასტუმროში ველოდებოდი, მაგრამ, რომ არ გამოჩნდა, იმ ბინას მივაკითხე. ზარი ვრეკე, მაგრამ არავინ გამომეპასუხა. ბინას, რკინის კარი აქვს. მე სათადარიგო გასაღებები არ მქონდა და შიგნით ვერ შევაღწიე. თქვენ კი იმიტომ მოგმართეთ, რომ გული ცუდს მიგრძნობს და კატეგორიულად მოვითხოვ, იმ ბინაში შეხვიდეთ და გაარკვიოთ, რა ხდება:

**ხვედელიძის სეიფში უამრავი ვალუტა, დაშიფრული რვეული, სარდაფში კი ჯაშუშური აპარატურა აღმოაჩინეს**

– კარგი. მითხარით მისამართი, – უთხრა ქალს კავსაძემ. ლუბამ კი მიუგო:

– მისამართი არ ვიცი, მაგრამ შემიძლია, ბინა გაჩვენოთ.

თბილისის მილიციის ოპერჯგუფი ვაკისკენ გაემართა, სადაც ახალაშენებული ხუთსართულიანი სახლის პირველ სართულზე მდებარეობდა ლუბა სვეტლოვას მიერ მითითებული, ოთხოთახიანი ბინა. მილიციელებმა ბინის კარი გატეხეს, სახლში შევიდნენ და საძინებელ ოთახში, ორადგილიან საწოლზე დაგდებული, ანა სვეტლოვას გვამი აღმოაჩინეს. 25 წლის გოგონას, შუბლი ტყვიებით ჰქონდა დახვრეტილი. საძინებლის აღმოსავლეთ კედელზე კი, საიდუმლო სეიფის კარი ღია იყო და სეიფში ოსტატურად ჩამონტაჟებული პისტოლეტის ლულა მოჩანდა.

– ჰმ, საქმე იმაზე სერიოზულია, ვიდრე მე მეგონა, – თქვა გენო კავსაძემ და ხელქვეითებს უბრძანა, კრიმინალისტები და პათანატომები გამოეძახათ. ლუბა სვეტლოვა კი, რომელიც ქვითინებდა, წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს.

### გემის კაპიტნის ბინა

ვაკის ახლად აშენებული, ოთხოთახიანი ბინა ვინმე ოთარ ხვედელიძის კუთვნილება იყო და როგორც კავსაძემ მისი მეზობლებისგან შეიტყო, ის შორეული ნაოსნობის კაპიტანი გახლდათ.

– ოთარი მთელი წლის განმავლობაში, მაქსიმუმ, ორი თვე თუ არის სახლში და ისიც წყვეტილად, – უთხრა კავსაძეს მეზობელმა, – ძალიან კარგი კაცია, განათლებული, გულისხმიერი და მისი ერთადერთი ნაკლი ისაა, რომ მეტწილად ზღვაშია.

მილიციის სამმართველოს ოპერჯგუფმა თავდაპირველად სეიფი დაათვალიერა. მასში დიდძალი ვალუტა აღმოაჩინეს ამერიკულ დოლარებსა და გირვანქა სტერლინგებში. აგრეთვე, სხვადასხვა ძვირფასეულობა და ორმოცდარვაფურცლიანი მათემატიკის რვეული, რომელშიც მხოლოდ და მხოლოდ რიცხვები ეწერა. სეიფში ჩამონტაჟებულ, ცხრამილიმეტრიან ლულას მაყუჩი ჰქონდა წამოცმული და სეიფის კარის გაღებისას ისროდა. ბინას სარდაფიც ჰქონდა, რომელშიც სხვადასხვა რადიოდანადგარი იყო მოთავსებული. კავსაძემ რომ ბინა დაათვალიერა, თავისი ხელქვეითები მოიხმო და უთხრა:



– უპირველესად, რაც აქ ნახეთ, არავისთან თქვათ. ამ ყველაფერს სხვა სუნი უდის და უშიშროება უნდა გამოვიძახოთ. აქ არავინ შემოუშვათ, მათ შორის მეზობლებიც და ხელი არაფერს ახლოთ. დარწმუნებული ვარ, ამ საქმეს „კაგებე“ წაიღებს...

გენო კავსაძემ ხვედელიძის ბინიდანვე დარეკა „კაგებეში“, მათ თავი წარუდგინა და აღნიშნულ მისამართზე კომპეტენტური ხალხის გაგზავნა მოითხოვა.

– ბინაში მკვლელობაა, – თქვა კავსაძემ, – მოკლულია ახალგაზრდა ქურდი ქალი, საიდუმლო სეიფში კი უამრავი უცხოური ფული აღმოვაჩინეთ.

გენო კავსაძის ზარიდან ოცი წუთის შემდეგ, ხვედელიძის ბინაში „სუკის“ კონტრდაზვერვის ოთხი ოფიცერი მივიდა, რომლებსაც მაიორი გივი ზოიძე მეთაურობდა. მან კავსაძე გვერდით გაიხმო და სანამ ახალმოსულები შემთხვევის ადგილს გულდასმით ათვალიერებდნენ, გენოს უთხრა:

– ოთარ ხვედელიძე, სინამდვილეში, ინჟინერია და საიდუმლო სამხედრო ლაბორატორიაში მუშაობს რუსეთში. გემის კაპიტნობა კი მხოლოდ და მხოლოდ ლეგენდაა, რომ მისი აქ არყოფნა გამართლებული ჩანდეს. ახლა კი მითხარით, თუ რატომ ჩათვალეთ საჭიროდ ჩვენი უწყების გამოძახება.

– იმიტომ, ამხანაგო მაიორო, რომ ამ საიდუმლო სეიფში უამრავი ვალუტაა, ხოლო ასეთ საქმეებს თქვენ იძიებთ. ყველაზე მთავარი ისაა, რომ იქ რვეული დევს და რაც მასში წერია, ძალიან წააგავს საიდუმლო შიფრს.

– საიდუმლო შიფრს? – გაიმეორა გივი ზოიძემ. ამ დროს კი მას მისმა კოლეგამ სწორედ ის ციფრებიანი რვეული გადასცა და უთხრა:

– ნახე, გივი, საიდუმლო შიფრითაა ნაწერი და თუ არ ვცდები, საქმე გვაქვს მსხვილ შპიონაჟთან.

ინჟინერ ხვედელიძის სარდაფში ქართველმა კონტრმზვერავებმა ორი მძლავრი რადიოგადამცემი და ერთი მიმღები აპარატი აღმოაჩინეს. იქვე იპოვეს „ქსეროქსის“ აპარატი, რუსულ და ქართულ ენაზე დაბეჭდილი ანტისაბჭოთა ლიტერატურა და ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის საწყობი. „ჩეკისტებმა“ მილიციელებს გაუთქმელობის ხელწერილი ჩამოართვეს და გაუშვეს. საქმის გამოძიება კი საკუთარ თავზე აიღეს.

### უბედური შემთხვევა თუ მკვლელობა

39 წლის ოთარ ხვედელიძე ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი იყო და საბჭოთა სარაკეტო წარმოებაში მუშაობდა. მისი საკონსტრუქტორო ბიურო შუა აზიაში, ყაზახეთის სტეპში მდებარეობდა. იქვე იყო საცდელი პოლიგონი, სადაც უახლეს ბალისტიკურ რაკეტებს აწარმოებდნენ და ცდიდნენ. ხვედელიძე უცოლშვილო იყო და თბილისში წელიწადში 3-4-ჯერ, მაქსიმუმ ორი კვირით ჩამოდიოდა. ოთარ ხვედელიძე „სუკის“ განსაკუთრებულ კარტოთეკაში ირიცხებოდა, სადაც მისი ბიოგრაფიის ყველა წვრილმანი იყო აღნუსხული და ამ დოსიეს ნახვა მხოლოდ საქართველოს „სუკის თავმჯდომარის“, გენერალ-პოლკოვნიკ ალექსი ინაურის ნებართვით შეიძლებოდა. ხვედელიძის ბინაში აღმოჩენილი ვალუტის, რვეულისა და სხვა ნივთების ამბავი უმალვე შეატყობინეს ინაურს. მან მოსკოვში დარეკა და ყველაფერი ანდროპოვს მოახსენა, რომელმაც თავის კოლეგას ძიების გაგრძელება დაავალა და უთხრა, რომ მეორე დღეს თბილისში სპეციალურ საგამოძიებო ჯგუფს გამოგზავნიდა „კაგებეს“ ცენტრალური აპარატიდან.

ანდროპოვთან საუბრის შემდეგ, ინაურმა მაიორ ზოიძეს სპეცდოსიეს ნახვის ნება დართო და დაავალა, რომ მეორე დღისთვის ხვედელიძის საქმე გულდასმით შეესწავლა და ისე დახ-

ვედროდა მოსკოველ კოლეგებს.

გივი ზოიძემ ოთარ ხვედელიძის საქმეში ამოიკითხა, რომ ოთარს ჰყავდა ტყუპისცალი ძმა ემზარი. ის პროფესიით მათემატიკოსი იყო, თბილისში ჰქონდა დამთავრებული უნივერსიტეტი და ერთ-ერთი სკოლის დირექტორი გახლდათ. თავად ოთარს კი, მოსკოვის, ბაუმანის სახელობის ფიზიკურ-ტექნიკური ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული. ემზარი, ისევე, როგორც ოთარი, მარტოხელა იყო და ორი წლის წინ, 1968 წლის 27 თებერვალს ტრაგიკულად დაიღუპა ავჭალაში. მისი მსუბუქი ავტომანქანა „პობედა“ ყინულზე მოცურდა, დამცავი ჯებირი გაანგრია და მტკვარში გადავარდა. გაკვეთის შემდეგ დაასკვნეს, რომ მძღოლი მთვრალი მართავდა საჭეს და ეს ავარია უბედურ შემთხვევად მონათლეს. ემზარი რომ დაიღუპა, ოთარი ყაზახეთიდან ჩამოსული იყო და იმ დღეს თბილისში, თავის ბინაში იმყოფებოდა. როდესაც ძმის ამბავი შეატყობინეს, გული წაუვიდა და ექიმებმა მოასულიერეს.

ოთარის დოსიეში იდო დასკვნა, რომელსაც „კაგებეს“ ექვსი გამოცდილი ოფიცერი აწერდა ხელს და აღნიშნული იყო, რომ ოთარ ხვედელიძე უმაღლესი დონის ნდობას იმსახურებდა და კეთილსაიმედო პიროვნება გახლდათ.

## მოკლული ჯაშუშის გვამი სარდაფის იატაკში იყო ჩაბეტონებული

ზოიძემ რომ ოთარ ხვედელიძის დოსიე შეისწავლა, დარწმუნდა, რომ ინჟინერი მოღალატე არ იყო. თუმცა, ის, რაც მის საიდუმლო სეიფსა და სარდაფში ნახეს, საწინააღმდეგოზე მიუთითებდა.

– აქ რაღაც ემმაკობას აქვს ადგილი, – ჩაილაპარაკა ზოიძემ. ოთახში გაიარ-გამოიარა, დაკეცილ საიდუმლო დოსიეს დახედა, თავში ხელი შემოირტყა და თქვა, – თავს მოვიჭრი, თუ ინჟინერი ოთარ ხვედელიძე, სინამდვილეში მათემატიკოსი ემზარ ხვედელიძე არ არის და მცხეთასთან მომხდარი შემთხვევა, კარგად შენიღბული მკვლელობა არ იყოს.

მაიორ ზოიძეს საკმაო არგუმენტირებული ვერსია გააჩნდა. სწორედ ამ ვერსიით წარუდგა ის მოსკოველ კოლეგებს, პოდპოლკოვნიკ იური მოროზოვის ხელმძღვანელობით. როცა მოროზოვმა ზოიძის ვერსია მოისმინა, თქვა:

– ჭკუასთან ახლოა. სავსებით შესაძლებელია, რომ ტყუპების შეცვლა მოხდა. ამას კი ხელის ანაბეჭდებით დავადგენთ.

### რაკეტა „დიოსკურია 001“

პოდპოლკოვნიკი იური მოროზოვი გამოცდილი „ჩეკისტი“ იყო და გივი ზოიძის ვერსია ამიტომ გაიზიარა. მან ყაზახეთში დაშიფრული დეპეშა გაგზავნა და ინჟინერ ოთარ ხვედელიძის თითების ანაბეჭდების აღება და სასწრაფოდ თბილისში გადმოგზავნა მოითხოვა. მაშინ ინტერნეტი და სხვა საშუალებები არ არსებობდა. ამიტომ თითის ანაბეჭდები თვითმფრინავით ჩამოიტანეს და როდესაც ის კარტოთეკაში არსებულ ანაბეჭდებს შეადარეს, ერთმანეთს არ დაემთხვა.

– გილოცავთ, მაიორო, – უთხრა მოროზოვმა ზოიძეს, – თქვენი ვერსია მართლდება და როგორც ეტყობა, აქ საქმე კაენის ცოდვასთან გვაქვს. ძმამ ძმა გაწირა და სინამდვილეში, ინჟინერი ოთარ ხვედელიძე მათემატიკოსი ემზარ ხვედელიძეა, მისი ტყუპისცალი.

ინჟინერი ხვედელიძე ყაზახეთიდან თბილისში ჩამოაფრინეს და შევჩენკოს ქუჩაზე, „კაგებეს“ შენობაში მიიყვანეს. კაბინეტში მას პოდპოლკოვნიკი მოროზოვი, გივი ზოიძე და სხვა ჩეკისტები დახვდნენ. ის სკამზე დასვეს და მოროზოვმა უთხრა:

– აბა, ბატონო კაენ! მოყევით, როგორ გაწირეთ თქვენი ტყუპისცალი ძმა და როგორ დაიკავეთ მისი ადგილი.

ოთარ ხვედელიძის სახელს ამოფარებული ემზარ ხვედელიძე ერთბაშად მოტყდა და თქვა:

– მიუხედავად იმისა, რომ უნიჭო არც მე ვიყავი, ოთარი ასი თავით მჯობდა და მისი ყოველთვის მშურდა. მე თავს უბრალო მათემატიკოსად მივიჩნევდი, ის კი საბჭოთა მეცნიერების ელიტაში ტრიალებდა. ერთხელაც, ჩემმა ძველმა ნაცნობმა, გერმანულის მასწავლებელმა მირიან კობიძემ გადამიბირა. ის ამერიკელებისთვის მუშაობდა და მათი აგენტი იყო ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. სწორედ მან შემომთავაზა ავარიისა და შეცვლის გეგმა, რაზეც მე დიდი ყოყმანის მერე დავთანხმდი. ამერიკელების მიერ მომზადებულმა ხალხმა მოკლა ოთარი, მე კი მისი ადგილი დავიკავე.

– მირიან კობიძე სად ცხოვრობს?

– მე ის მოვკალი და ჩემი სახლის სარდაფში ჩავაბეტონე.

– ისინი, ვინც თქვენს ძმას ავარია მოუწყო?

– იმათ არ ვიცნობ. მაგრამ ვიცი, რომ სამნი იყვნენ და ერთ-ერთი მათგანი კობიძის მეზობელია.

– ქსეროქსი რად გინდათ, გასაგებია, მაგრამ ასაფეთქებელი და დიდძალი იარაღი რისთვის გჭირდებოდათ?

– სპეციალურ ჯგუფს კავკასიაში, სტრატეგიულ ობიექტებზე დივერსიები უნდა მოეწყო და ასაფეთქებელი ნივთიერებები იმისთვის უნდოდათ; ცეცხლსასროლი იარაღები კი ცალკეული პირების მოსაკლავად და თუკი მასობრივი არეულობა მოხდებოდა, ხალხში – დასარიგებლად.

ემზარ ხვედელიძემ აღიარა, რომ ამერიკულ დაზვერვას საიდუმლო საბჭოთა რაკეტების ნახაზებს აწვდიდა და სხვა სახის ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდა. ეს კი მის დასახვრეტად საკმარისი იყო. თუმცა, საბჭოთა კონტრდაზვერვამ მას თანამშრომლობა შესთავაზა, რაზეც ემზარი დასთანხმდა და ორი წლის განმავლობაში ამერიკელებს არარსებული საბჭოთა ბალისტიკური რაკეტა „დიოსკურია 001“ ნახაზებს აწვდიდა და მტერი შეცდომაში შეჰყავდა.

გარდა ამისა, საქართველოს „სუკმა“ ცენტრთან ერთად, კავკასიაში მოქმედი თორმეტკაციანი დივერსიული ჯგუფი გაანეიტრალა, რომელიც ამერიკული დაზვერვის მითითებებს ასრულებდა.

ემზარ ხვედელიძე კი საიდუმლო სამუშაოებზე დააბრუნეს, თუმცა ყოველგვარი კონტაქტი მოუსპეს გარე სამყაროსთან.

**ნიკა ლაშაური**

## რა მოხდა ამ დღეს

**29 აპრილი**

1913 – შვედმა ინჟინერ-ელექტრიკოსმა გიდეონ სუნდბეკმა დააპატენტა ელვა-შესაკრავი.

1933 – ინგლისის საფეხბურთო თასზე თამაშში „ევერტონსა“ და „მანჩესტერ სიტის“ შორის ფეხბურთელებს პირველად ეწერათ მაისურებზე ნომრები.

1945 – ევა ბრაუნისა და ადოლფ ჰიტლერის ქორწილი რაიხსტაგის ბუნკერში.

1993 – ინგლისის დედოფალმა ელისაბედ მეორემ ბუკინგემის სასახლე გახსნა დამთვალიერებლებისთვის.

**30 აპრილი**

1722 – ერთ-ერთ ლონდონურ გაზეთში პირველად არის მოხსენიებული „ბილიარდი“.

1803 – ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საფრანგეთისგან იყიდა ლუიზიანა.

1975 – კომუნისტურმა ჩრდილოეთ ვიეტნამმა მოახდინა კაპიტალისტური სამხრეთის ოკუპაცია. ასე გაერთიანდა ვიეტნამი.

1992 – ამ დღიდან თავის ისტორიას იწყებს ინტერნეტი, როგორც საერთო მსოფლიო ქსელი.

**1 მაისი**

1707 – ოფიციალურად გაერთიანდა ინგლისი და შოტლანდია – შეიქმნა დიდი ბრიტანეთი.

1786 – ვენაში გაიმართა ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ოპერა „ფიგაროს ქორწინების“ პრემიერა.

1808 – შეიქმნა ბავარიის სამეფო.

1840 – ინგლისში გამოჩნდა პირველი საფოსტო მარკები. მათზე გამოსახული იყო დედოფალი ვიქტორია.

**2 მაისი**

1902 – საფრანგეთში ეკრანებზე გამოვიდა პირველი სამეცნიერო-ფანტასტიკური ფილმი „მოგზაურობა მთვარეზე“.

1955 – ინდოეთში აიკრძალა მოსახლეობის კასტური პრინციპით დაყოფა და დისკრიმინაცია.

1963 – ჯგუფი „ბითლზი“ პირველად მოექცა ინგლისის ჰიტ-პარადის სათავეში.

1980 – სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აიკრძალა ჯგუფ „პინკ ფლოიდის“ სიმღერა – „ანოზერ ბრიკ ინ ზე უალლ,“ რადგან, რომ ამ სიმღერაში დაგმობილი იყო რასიზმი და საბჭოთა კავშირში ყველა გაზეთი ამის შესახებ წერდა. მაგრამ, ერთი წლის შემდეგ, როდესაც „პინკ ფლოიდის“ ერთ-ერთ სიმღერაში გაიჟღერა ფრაზამ: „ბრეჟნევმა ავღანეთი აიღო“, ჯგუფი უკვე საბჭოთა კავშირში აკრძალეს.

**3 მაისი**

1968 – საფრანგეთში დაიწყო სტუდენტური რევოლუცია, რომელიც მალე მთელ ევროპას მოედო.

**4 მაისი**

1932 – ამერიკის შეერთებული შტატების პოლიციამ დააპატიმრა ცნობილი განგსტერი ალ კაპონე.

2000 – მთელ მსოფლიოში კომპიუტერებმა მიიღეს დარტყმა ვირუსისაგან აი ლოვე იოურ.

**5 მაისი**

1865 – ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოჰაიოს შტატში მოხდა მსოფლიოში პირველად გაძარცვეს მატარებელი.

1891 – ნიუ-იორკში გაიხსნა მსოფლიოში განთქმული საკონცერტო დარბაზი – „კარნეგი-ჰოლი.“

1912 – გამოვიდა გაზეთ „პრავდის“ პირველი ნომერი.

1961 – პირველი ამერიკელი კოსმონავტი გახდა ალან შეპარდი, თუმცა, მისი ფრენა მხოლოდ 15 წუთს გაგრძელდა.

2000 – პლანეტების აღლუმი. ამ დღეს ერთ რიგში „ჩადგნენ:“ მზე, იუპიტერი, სატურნი, ვენერა, მარსი, მერკური და მთვარე.

**მოდის კვირეული მისთვის განსხვავებულად მიმდინარეობს. სულ ცოტა ხნის წინ კი, ის გვახსოვს – მიკროფონით ხელში, სხვადასხვა დიზაინერის სამოსში, რომელთათვისაც მნიშვნელოვანი იყო თიკო სადუნიშვილი სწორედ მისი ნამუშევრით გამოჩენილიყო სამიზნე პუბლიკასთან. ამჯერად, თიკო საღამოს კაბის გარეშე, ჯინსის პერანგითა და შარვლით მშვიდად იდგა მეგობრების წრეში „ქარვასლის“ ფოიეში და მოწყენა სულ არ ეტყობოდა. როგორც თავად გვითხრა, ახლა ის დაკვირვების რეჟიმშია, რათა გაარკვიოს, რა აკლია ქართულ სატელევიზიო სივრცეს და რა სიახლე შეიძლება, შესთავაზოს მას.**

# რა არ იწვევს გაღიზიანებას თიკო სადუნიშვილში და რა შემთხვევაში შერცხვებოდა მას საკუთარი თავის წინაშე

**– ადრე ნებისმიერ ღონისძიებაზე, მით უმეტეს, მოდის კვირეულზე, მოსაწვევები თავზე საყრელად იგზავნებოდა შენთან. ახლა კი მხოლოდ ერთ ჩვენებაზე გამოჩნდი. რა განცდაა ეს?**

– მართალი ხარ. წინა მოდის კვირეულიც იყო „თბილისი ლაივის“ გარეშე, სადაც მიკროფონით არ ვიყავი, მაგრამ ყველა ჩვენებაზე მოსაწვევი მქონდა. ახლა კი მხოლოდ იმ დიზაინერებმა დამპატიჟეს, ვისთანაც ვმეგობრობ და მათ ჩამოთვლას ერთი ხელის თითებიც ეყოფა. დანარჩენებმა არ მომიწვიეს. ადრე სხვანაირად იყო და ეს არც მიკვირს, ლოგიკურია. მათ უნდოდათ გაშუქება, ვრცელი და საინტერესო სიუჟეტები...

**– თუმცა, გაშუქების გარეშეც, შენი მისვლა მათთვის გარკვეული სტატუსის მიმნიჭებელი იყო.**

– შეიძლება, ახლა კი ასე აღარ არის *(იცინის)* ეს არც მწყინს. იმდენად კარგად ვიცნობ, ზოგადად, ადამიანს, მით უმეტეს ქართველებს, რომლებსაც განსაკუთრებით ახასიათებთ სნობიზმი, ეს, რაც ახლა ხდება, არანაირ განსაკუთრებულ ემოციებს ჩემში არ იწვევს. გადაღეჭილი მაქვს, პრინციპში. რომ მეწყინოს, უკვე სირცხვილიც იქნება, საკუთარი თავის შემრცხვება, უპირველესად *(იცინის).*

**– თან, ბევრისთვის შენც გიწყენინებია.**

– კი, და ეს ჩემი საქმის ნაწილიც იყო. შესაბამისად, ორმხრივ ამბებში ვართ *(იცინის).*

**– ახლა რით ხარ დაკავებული?**

– ძირითადად, სახლში ვარ. „თბილისი ლაივის“ დროს საოცარ რეჟიმში ვცხოვრობდი. მერე იყო „ცეკვავენ ვარსკვლავები“ – „იმედის“ პროექტი, უამრავი კორპორატიული საღამო. მოკლედ, დუღდა ცხოვრება და იმისთვის, რომ მეგობრებისთვის ყურადღება მიმექცია, არასდროს მეცალა. სულ ვნატრობდი, არ შეიძლება, ორი დღე მაინც მქონდეს თავისუფალი, რომ მეგობრებთან ერთად სადმე გავემგზავრო; მომენატრა, შაბათ-კვირის სახლში გატარება-მეთქი... სულ ასეთ რაღაცეებზე ვწუწუნებდი და ვოცნებობდი...



**ახლა ზუსტად მივხვდი, რა მჭირდებოდა და შესაბამისად, ვიპოვე ის, რაც მჭირდებოდა**

**– ამიტომ, ფრთხილად უნდა იყო შენს სურვილებსა და ოცნებებში, შემთხვევით არ აგისრულდეს.**

– ნამდვილად, ოცნებებიც უნდა აკონტროლო *(იცინის).* არადა, სულ მქონდა სურვილი, რომ სადმე გავსულიყავი, წიგნისთვის დრო მქონოდა. ყოველდღიურ ჩანაწერებს ვაკეთებ სისტემატურად და სულ მინდოდა, ამისთვის მეტი დრო დამეთმო. წავიკითხე ერთი წიგნი, ორი, სამი... და ისევ ის ქაოსი და რეჟიმი მომენატრა, ვაღიარებ. მაგრამ, ცხოვრებაში ყველაფერი კანონზომიერია. ეს არ არის კარიერიაში ჩემი პირველი პაუზა, უკვე მეორედ თუ მესამედ ვჩერდები. ამიტომ, ამ ამპლუას მოვირგებ, კიდევ უფრო გავიზრდები, უფრო მეტად დავხვეწ ჩემს პროფესიონალიზმს. ცოტა ხანს ქართულ არხებს მაყურებლის თვალით შევხედავ და მივხვდები, რა სჭირდება მას, სად არის ჩემი ადგილი.

**– შენი ყოველი მომდევნო გამოჩენა აფეთქებას ჰგავდა...**

– ამიტომაც ვამბობ, რომ სულ ამ რეჟიმში ვერ იქნები და სულ სიმაღლეზე ვერ ივლი. ახლა ვაკვირდები გადაცემებს – მივხვდები, რა დასჭირდება ქართულ სატელევიზიო სივრცეს ჩემი სახით. ჩვიდმეტი წლიდან ამას ვაკეთებ, სხვა არაფერი ვიცი და ახლა სამედიცინო ინსტიტუტში, ან იურიდიულ ფაკულტეტზე ვერ ჩავაბარებ, გვიანია *(იცინის).*

**– სწავლის გაგრძელებას ფიქრობდი – თუ არ ვცდები, ბარსელონაში გინდოდა წასვლა.**

– კი მაქვს პროფესიული დახვეწის სურვილი, ზაფხულის კურსებზე მინდოდა ბარსელონაში წასვლა. დაზუსტებით ამაზე ჯერ ვერ ვილაპარაკებ, გეგმაში ჯერჯერობით ისევ არის, მაგრამ წავალ თუ არა, არ ვიცი. მინდა, ეს პაუზა პროფესიულ ზრდას მოვახმარო. მართალია, სწავლა სიბერემდეო, ამბობენ, მაგრამ ისე მივეჩვიე ჩემს პროფესიას ბოლო თორმეტი წელია, რომ სხვას ვერაფერს გავაკეთებ.

**– ჭორები გავრცელდა შენი და ერთი კალათბურთელის რომანის შესახებ.**

– რომანი არის, მაგრამ კალათბურთელი – არა. სპორტსმენები არასდროს მიზიდავდა და თუ ჩემს წარსულს გადახედავ, მიხვდები, რომ არც ერთი სპორტსმენი არ ფიგურირებს.

**– ბიზნესმენია? პროფესია გვითხარი...**

– რა მნიშვნელობა აქვს პროფესიას, თავისი საქმე აქვს, მაგრამ არ იცნობთ. სახელი და გვარიც რომ გითხრათ, ეს არაფერს გეტყვით. ოლიგარქი არ არის, სპორტსმენი არ არის...

**– წვრილი ბიზნესმენია?**

– ფერმა აქვს „ფეისბუქში“, რანჩო *(იცინის).*

**– მოსწონს შენი ასეთი რეჟიმი – ბევრი თავისუფალი დრო რომ გაქვს, ოჯახური რომ ხარ?**

– გაგიჟებული და აღფრთოვანებულია-მეთქი ამით, ვერ ვიტყვი. მეოცე საუკუნიდან გადმომხტარი ბიჭი ნამდვილად არ არის, რომლისთვისაც ქალი მხოლოდ სამზარეულოში არსებობს. ძალიან მოსწონს, რომ ვმუშაობ, აქტიურად ვცხოვრობ. მაგრამ ის, რომ ერთმანეთისთვის, ურთიერთობისთვის, ერთად ყოფნისთვის მეტი დრო გვაქვს, ეს ორივეს გვსიამოვნებს.

**– ეს რომანი იმ დროს დაიწყო, როცა ზედაკავებული იყავი?**

– კი, მაშინ დაიწყო და ამიტომ, მიეჩვია ჩემს გიჟურ რეჟიმს. ჯერჯერობით, ასე ყოფნა ძალიან მოგვწონს და მერე, ვნახოთ.

**– კარგად ხარ? რაც გჭირდებოდა ის არის?**

– კი ძალიან კომფორტულად და კარგად ვარ. იცი, რა? – ახლა ზუსტად მივხვდი, რა მჭირდებოდა და შესაბამისად, ვიპოვე ის, რაც მჭირდებოდა. ამდენი წლის გამოცდილების შემდეგ, რომელიც ცხოვრებაში მივიღე, მივხვდი როგორი ვარ, როგორი ადამიანი მჭირდება გვერდით და ზუსტად ასეთი შემხვდა. მასთან, დაახლოებით, ერთი წლის განმავლობაში, უბრალოდ ვმეგობრობდი და მერე გავაცნობიერეთ, რომ ერთად ყოფნა გვინდოდა. ახლა ძალიან კარგად, კომფორტულად ვარ – კარგი მეგობრები ვართ, უზომოდ გვიყვარს ერთმანეთი და ბედნიერებისთვის მეტი რა არის საჭირო? – ბევრი ფული და ბევრ ფულსაც ერთად ვიშოვით.

**თურმე ოცნებებიც უნდა აკონტროლო. სულ მქონდა სურვილი, სადმე გავსულიყავი და წიგნისთვის დრო მქონოდა**

**– როცა ხვდები, ზუსტად რა გინდა, მერე მართლა პოულობ იმას, ვინც გჭირდება...**

– არა, როცა სამსახურს კარგავ, ეგრევე სიყვარული მოდის. ყველაფერი ერთად არ არის – ზედმეტი რომ არ მოგივიდეს და გული არ გაგისკდეს *(იცინის).* დაკარგე სამსახური? – სიყვარულია ჯერჯერობით. ასე ვარ და მალე, ალბათ სექტემბრისთვის, ღმერთი ახალ სცენარს დაწერს ჩემთვის და რამე ახალს ვიზამ.

**სალომე გველესიანი**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს

**კითხვა: მყავს იაპონიიდან ჩამოყვანილი „ტოიოტა“, 1.8 ძრავით. მასში საგრძნობლად იკლებს ზეთი. ვასხამ 5.40 სინთეტიკას. თუ არის შესაძლებელი ნახევრად სინთეტიკის ჩასხმა და რომელ ბრენდს მირჩევთ?**

**პასუხი**: ზოგადად, თუ ძალიან ბევრი ზეთი აკლდება, ბიუჯეტის შესამცირებლად შეგვიძლია ნახევრად სინთეტიკა კი არა, მინერალიც კი ჩავასხათ, თუნდაც 15W40. მით უფრო, რომ ხშირად, დამატების დროს, გამოცვლიდან გამოცვლამდე ზეთი გარკვეულწილად ახერხებს განახლებას და, თან, გაცილებით იაფი დაჯდება. რადგან თქვენს ავტომობილში ზეთი საკმაოდ იკლებს, ესე იგი, ძრავის მაკომპლექტებელი შიდა დეტალები საკმაოდ დამუშავებულია და მინერალური ზეთიც თავისუფლად მოახერხებს წარმოქმნილ ღრიჭოებში გავლას და მათ შეზეთვას. ეს არ ნიშნავს, რომ მინერალური ზეთი აჯობებს სინთეტიკურს ან ნახევრად სინთეტიკურს. ეს არ გამოიწვევს ძრავის უფრო მეტად გამოყვანას მწყობრიდან და თან, გაცილებით იაფი დაგიჯდებათ. გირჩევთ „რეინოლს“, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, ხარისხის ხარჯზე ინარჩუნებს რეპუტაციას, ან – „ელფს“, რომელიც ახლა შემოვიდა ბაზარზე და ჩვენ მიერ ჩატარებულ ტესტებში უკვე დაამტკიცა თავისი ხარისხიანობა.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: მყავს 1998 წლის გამოშვების გერმანული „ოპელ ვექტრა“, 1.8-იანი ძრავით. უკვე დიდი ხანია, რაც ეგრეთ წოდებულ „ხალასტოი ხოდის“ დროს, ან დაქოქვისთანავე, ან წითელზე გაჩერებისას, ძრავა იწყებს ბღავილს. ტაქომეტრი ზოგჯერ 3.5 000 ბრუნამდეც ადის. თუ ძრავა არ გამოვრთე, საშინელი მოსასმენია. ძრავას ხელახლა დაქოქვისას, პრობლემა უმეტესწილად გვარდება, მაგრამ, არა დიდი ხნით. უმორჩილესად გთხოვთ, გამარკვიოთ, რა ხდება. რამდენიმე დეტალი ხელოსნებმა შემიცვალეს, მათ შორის – საჰაერო ფილტრიც და მრავალი დეტალი გაწმინდეს, მაგრამ, პრობლემა არ გამოსწორდა.**

**პასუხი**: თქვენი ავტომობილისთვის დიაგნოზის დასმა არც მარტივია და არც რთული, უბრალოდ, ამის გარკვევას კონკრეტულად ავტომობილთან უშუალო შეხება და შემოწმება სჭირდება. ამის მიზეზი ბევრი წვრილმანი შეიძლება იყოს, ან, რამდენიმე წვრილმანი დაზიანების არასასურველი კვეთა. პირველ ყოვლისა, უნდა შემოწმდეს ეგრეთ წოდებული რეცირკულაციის „კლაპანი”, რომელიც ჰაერის შემშვები კოლექტორის ქვეშაა განთავსებული, თან, საკმაოდ მოუხერხებელ ადგილას. როგორც წესი, მსგავს მოქმედებებს ასეთი შემთხვევების ოთხმოც პროცენტში სწორედ ეს დეტალი იწვევს. თუმცა, შეიძლება, ასეთი რამ უჩვეულო დეტალებმაც გამოიწვიოს. მაგალითად, შეიძლება, ღია რჩება, ეგრეთ წოდებული „დროსელი,” შეიძლება დაზიანებული იყოს ვაკუუმის „შლანგი” ან თვითონ ვაკუუმი, საიდანაც ძრავა ჰაერის შეწოვას ახდენს და ეს იწვევს მის ღმუილს. ასევე, შესაძლოა, იყოს პირდაპირი დეტალი (ეგრეთ წოდებული „ხალასტოი ხოდის რეგულატორი”), რომლის პირდაპირ მოვალეობაში შედის ბრუნების ნორმაში შენარჩუნება თავისუფალი სვლის დროს. მაგრამ, როგორც წესი, ამ დეტალის დაზიანების დროს ძრავას ბრუნები 2 500-ს არ სცდება. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზის და კიდევ უამრავი სხვა მიზეზის გადამოწმება შეგიძლიათ „თეგეტა მოტორსში” – ამისთვის მათ სპეციალური ხელსაწყოები ჩამოიტანეს.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „მაზდა 626”, რომლის ავტომატურ მართვის კოლოფს უცნაური რაღაც ემართება, მაგალითად, შუქნიშანთან გაჩერებისას „დე-ში“ იწყებს ძაგძაგს; თუ კოლოფს გადმოვიტან „ნეიტრალში“ ჩერდება, მერე კი, „დე-ში“ ისევ ჩვეულებრივად განაგრძობს მუშაობას. რა არის ამის მიზეზი?**

**პასუხი**: ზოგადად, ეს არა მხოლოდ „მაზდის” არამედ, ავტომატური მართვის კოლოფების პრობლემაა, რაც სხვადასხვა მიზეზით არის გამოწვეული, მაგრამ, ყველაფერს ერთი ძირითადი მიზეზი აქვს – ძრავას ბრუნი სათანადო დონემდე არ ჩამოდის, ის ცოტა მეტზე რჩება, რაც კოლოფს აიძულებს, ავტომობილის წაყვანისკენ უბიძგოს, ჩვენ კი მუხრუჭით ვაიძულებთ, რომ იდგეს, შესაბამისად, იწყება ბიძგები. მაგრამ, რიგ შემთხვევებში „ნეიტრალში“ გადაგდება აიძულებს ავტომობილის მართვის მენეჯმენტს, რომ ძრავას ბრუნთა რიცხვი ნორმაში დაბრუნდეს და, ამის მერე ისევ სიჩქარეში გადართვისას, ის ჩვეულებრივად განაგრძობს მუშაობას. ძრავას ბრუნთა რიცხვის გაზრდა მილიარდი მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული და კონკრეტულ ავტომობილზე ამ მიზეზს ხელოსანმა უნდა მიაგნოს.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ფოლკსვაგენ პოლო”, 2000 წლის, რომელიც დაახლოებით სამი თვეა, შევიძინე. ამ რამდენიმე ხნის წინ ერთი უცნაურობა დაეწყო: ზოგიერთ მოსახვევში შესვლისას ხელსაწყოების დაფაზე ინთება წითელ ფრჩხილებში ჩასმული ძახილის ნიშანი, ანუ, იგივე ნათურა, რომელიც ხელის მუხრუჭის ამოწევისას ინთება. როდესაც ვსწორდები და ავტომობილს ვაჩერებ, ვსინჯავ ხელის მუხრუჭს და ოდნავაც არ აქვს შეცვლილი მდგომარეობა. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი**: ეს არ არის ძალიან რთული პრობლემა, უბრალოდ, სამუხრუჭე სისტემაში სამუხრუჭე სითხე აკლია და დამატებას საჭიროებს. მაგრამ, ამ შემთხვევაში ბევრი სითხის დამატება კარგი არ იქნება. სავარაუდოდ, თქვენს მანქანაში სითხის დონემ დაიწია, რადგან, სამუხრუჭე ხუნდები რაღაც დონემდე გაცვდა. შეიძლება, ხუნდები ჯერ არ არის დასული კრიტიკულ ზღვრამდე და არ ისმის ეგრეთ წოდებული „საკონტროლო წივილი”, რითაც უამრავი მძღოლი ხვდება, რომ ხუნდები შესაცვლელია. გირჩევთ, ორივე ერთად შეცვალოთ, მაგრამ, ჯერ მაინც ხუნდების მდგომარეობა გადაამოწმეთ და, თუ არის საშუალება, ამ ხუნდებით კიდევ რაღაც პერიოდი იაროთ, მხოლოდ სითხე დაამატეთ. ბევრის დამატება კი იმიტომ არ არის საჭირო, რომ, როდესაც ხუნდებს შეცვლით, მისი დონე აიწევს და პატარა ავზიდან, გადმოვა.



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი
მევლუდ მელაძე

**ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**



თბილელი / პატარკაციშვილი
მსახიობი პიუ....
კუნძული კურილიის არქიპელაგში
სითხის სადინარი
სფერო, საქმიანობის სივრცე
აგულის ბიჭი / საზიზღარი
(.......) ვაჩნაძე / ფეხის ნაწილი
ინდური ღვთაება
დამახასიათებელი ნიშანი
მსახიობი (......) მერსიე
ოფიცრის დაბალი ჩინი რუსეთში
ავტომისაზმელი მოწყობილობა
სიცილიის ვულკანი
რომის პაპის თავსაბურავი
ბრწყინვალება
დამამტკიცებელი საბუთი
ფრანგი მწერალი, ალბერ...
კოსმეტიკური ფირმა
წერილობითი თხოვნა
ტალღებს იჭერს
ფრანგი მსახიობი ფილიპ...
„(......) მუდამ იყოს მზე“
საილბერგის უცხოპლანეტელი
გამწმენდი საშუალება
პატარა მღრღნელი
დარტყმა... (.........)!
სიგარეტის ერთი მოქაჩვა
შექსპირის მთარგმნელი
მცირე ზომის
რუსეთის რესპუბლიკა
საქ. სუკ-ის უფროსი კომუნისტობისას
გამოუწვავი აგური
მასწავლებლის შეთავსებითი პროფესია
თხზულებათა ერთეული
ქალაქი რუსეთში
ქათამაძე
კავკასიონზე მიჯაჭვული
ილია ჭავჭავაძის ლექსი
მაუგლის მეგობარი პანტერა
ციმბირის ქალაქი ბაიკალთან
ნიმფა-ფუტკარი ძვ.ბერძნ. მით.-ში
ცირკის მოედანი
დესპოტი
ამირანის დედა
თბილისის უბანი
კამერუნელი ფეხბურთელი
მომღერალი (.....) ზღვაური
ორი გოლი ერთ მატჩში
ვარაუდის სიტყვა
წერილი შთამომავლობას
ცეცხლის ენა
წინაპარი ქალი
ოხერი და უთვისტომო
თამაში „კვერცხის“ ბურთით
(....) მიცკევიჩი, პოლონ. პოეტი
ბიზნესის მამოძრავებელი
კლდე შეიძლება იყოს
სვანური არაყი
სოფელი კასპის რაიონში
ქართველოლოგი, მარი.....
ერთი (გერმან.) / „ნაბიჯის“ მერე
იგივე ალვის ხე
მდორე ანუ... / თევზის საჭერი
კაცის ჩვენებური სახელი
ბუნებრივი მოვლენა
ჭიაღუა
პატარა არჩილი
სიგარეტი
პატარა ქათამი
მსახიობი აბაშიძეც
მინის დასამუშავებელი იარაღი
სანთებელას მწარმოებელი ფირმა / ანდების „აქლემად“ მიჩნეული არსება
(.......) ფონ ბისმარკი
(......) აგარა ქარელი გორი
თითების როდინი
ებრაელთა რეპატრიაცია
ქალბატონი გურგულია
(.......) მარია
უძველესი ქუთაისი
ნარნარი ფრენა
კბილის საფარი
იტალიის დედაქალაქი
ძველი სატრანსპორტო საშუალ.
სამიზნის ცენტრი / რკინის ჭურჭელი
ინდონეზიის მთავარი კუნძული

Column clues (top to bottom, 35 columns):

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | 2 | | | | | | 3 | | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | 1 | 2 | 3 | | | | | 7 | 2 | 1 | 2 | 3 | | | 2 | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | 3 | 2 | 1 | 2 | 3 | 3 | 2 | 7 | | 1 | 2 | 4 | 2 | 2 | 2 | 3 | 2 | 1 | 2 | | | | | | | | | | | |
| | | | | | 2 | 2 | 2 | 5 | 9 | 11 | 14 | 13 | | 1 | 3 | 8 | 4 | 8 | 4 | 2 | 2 | 1 | 2 | 3 | | | | | | | | | | |
| 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | 2 | 2 | 2 | 1 | 4 | 2 | 17 | 4 | 12 | 3 | 12 | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |

Row clues:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | 3 |
| | | | 2 | 2 |
| | | | 1 | 1 |
| | | 2 | 2 | 2 |
| | | | 2 | 3 |
| | | | 3 | 2 |
| | | 2 | 2 | 3 |
| | 1 | 1 | 4 | 3 |
| 2 | 2 | 4 | 2 | 2 |
| | 3 | 4 | 1 | 1 |
| | | 2 | 2 | 2 |
| | | | 6 | 3 |
| | | | 2 | 8 |
| | 2 | 5 | 3 | 2 |
| | | | | 17 |
| | 3 | 3 | 1 | 4 |
| | | | | 5 |
| | | | 4 | 2 |
| | | | | 9 |
| | | | | 10 |
| | | | | 11 |
| | | | | 12 |
| | | | 5 | 5 |
| | | | 5 | 4 |
| | | | 4 | 4 |
| | | | 2 | 2 |
| | | | 3 | 2 |
| | | | 2 | 2 |
| | 3 | 2 | 2 | 3 |
| | 6 | 6 | 6 | 12 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | 8 | 9 | | | | 3 | 4 |
| | 9 | | 4 | 8 | 1 | 6 | | 7 |
| 1 | 4 | | | | 6 | 8 | 9 | |
| | 5 | 2 | 1 | | 8 | 7 | | |
| 6 | | 9 | | 3 | | 4 | 1 | 8 |
| 4 | 8 | | 7 | 6 | | | | 3 |
| 7 | | | | 9 | 3 | 2 | | 5 |
| 9 | 2 | 6 | 8 | | 5 | | 4 | |
| | | 5 | 2 | 1 | | 9 | 7 | |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4 | | | | 9 | | 8 | |
| | | | | 4 | | 9 | 6 | 7 |
| 9 | | 5 | | 6 | 7 | | | |
| | 7 | | | 1 | | | | 3 |
| 3 | 5 | 6 | | | | | 9 | |
| | | | 3 | | 5 | | 7 | 4 |
| | | 3 | | 8 | | | 1 | |
| | 9 | | 7 | 3 | 6 | | | |
| | 2 | | | | | 8 | | 6 |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. დაიწყეთ მულტფილმის პერსონაჟის „მაშას" თავის ხატვა



2. მიახატეთ მრგვალი თვალები და ყელსახვევი



3. „მაშას" მიახატეთ თავსაფარი და პირი



4. შემდეგ – კაბა და ცხვირიც



5. მიახატეთ კბილები და დაასრულეთ სახის ხატვაც



6. „მაშას" მიახატეთ ხელები და ფეხები



7. გააფერადეთ



თამუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია

# იპოვეთ ათი განსხვავება



## რა გზით მივა ბიჭი საჩუქრებთან



## ხაზებით შეაერთე საგნების შესაბამისი ჩრდილები



# ქვრივი და მისი მოახლეები

## (იგავ-არაკი)

იყო ერთი მარჯვე ქვრივი ქალი. წესად ჰქონდა – მოახლეებს გამთენიისას, მამლის ყივილზე წამოშლიდა ხოლმე. იმ საწყლებს ჯაფით არაქათი ელეოდათ, მაგრამ, აბა, რა უნდა ეღონათ? იფიქრეს, იფიქრეს და ბოლოს ესღა მოიფიქრეს: ავდგეთ და ის წყეული მამალი დავკლათ, ქალბატონს რომ დილაუთენია აღვიძებსო. დაკლეს მამალი და უარეს დღეში ჩაცვივდნენ. ახლა ქალბატონი უფრო ადრე აღვიძებდა მათ, ვინძლო, დრო არ გამეპაროსო.

ხშირად ადამიანს ბევრი ფიქრი ღუპავსო.

## რიცხვრებუსი

,,,7, ,,8



# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
ზაქრო ბაჯიაშვილი

**ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**
**ჯეიმს დუგლასი**

**კითხვა: მაინტერესებს, რა ნიშნებით გამოიხატება ცხოველზე ლეიშმანიოზი და როგორ უნდა მივხვდეთ ამ დაავადების საწყის ფორმას?**

**პასუხი:** ლეიშმანიოზს აქვს რამდენიმე ფორმა. ამ დაავადების დროს ძაღლს პირველად ეწყება უკანა ფეხების სისუსტე, უხასიათოდ არის, დავარდნილია, თვალებიდან და ცხვირიდან გამონადენი შეინიშნება. ზუსტი დიაგნოსის დასმა ლეიშმანიოზის შემთხვევაში ბარძაყის ძვლიდან ბიოფსიის აღებით ხდება, რაც საკმაოდ რთული პროცედურაა. ბოლო დროს იმუნური ტესტები შემოვიდა და მეტ-ნაკლები სიზუსტით გვიჩვენებს ლეიშმანიოზის არსებობას. ტემპერატურა იმატებს. ამიტომ, როგორც კი ძაღლს უხასიათობას შეატყობთ, მაშინვე ექიმს უნდა მიუყვანოთ. ლეიშმანიოზის საწყის ეტაპზე ცხოველმა ცხვირის აქერცვლა იცის, თან, ცოტა შეუსივდება კიდეც. ყურების ბოლოები თითქოს შეუხმება, თვალებიდან გამონადენი აქვს. ასეთ შემთხვევაში მას ექიმმა უნდა მიხედოს, თქვენ ვერ უმკურნალებთ, რადგან, ძალიან სპეციფიკური მკურნალობის კურსია, საჭიროა გადასხმები. გლუკანტინი, რომელიც ძაღლის ორგანიზმში შეჰყავთ, ქიმიური პრეპარატია და მისი ატანა ცხოველისთვის საკმაოდ ძნელია.

**კითხვა: მალე ჩემი მეგობრის დაბადების დღეა და მინდა ძაღლი ვაჩუქო. რას მირჩევთ, რომელი ჯიშის ძაღლი ჯობია, ვუყიდო (მხედველობაში მაქვს პატარა ტანის ძაღლი)?**

**პასუხი:** გირჩევთ, ამ სახის საჩუქარისგან საერთოდ შეიკავოთ თავი და მეგობარს სხვა რამე აჩუქოთ. ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა, თქვენს მსგავსად, სიურპრიზის სახით, მეგობრისთვის ესა თუ ის ჯიშის ძაღლი უჩუქებიათ, მაგრამ, ძაღლის ახალ პატრონს ეს დიდი სერიოზულობით არ მიუღია და მცირე დროით დაკავებულა ცხოველის მოვლით, ისიც, მხოლოდ გართობის სახით. ამიტომ, ჯობია, უარი თქვათ მსგავს საჩუქარზე. თუ ადამიანს ძაღლი არ უნდა (რაც თქვენ არ იცით), საჩუქარზე უარს ვერ გეტყვით, მაგრამ რაღაც პერიოდის შემდეგ, როგორც წესი, გააჩუქებს. ხოლო, თუ დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი მეგობარი ცხოველების დიდი მოყვარულია, მაშინ, აჯობებს, წინასწარ უთხრათ საჩუქრის შესახებ, რის შემდეგაც ის მოემზადება და სიამოვნებით დაელოდება ოჯახის ახალ წევრს.

**კითხვა: ჩემი ძაღლი 12 წლის არის და უკვე ძალიან დასუსტებულია, ფაქტობრივად, აღარც გვეკონტაქტება და წევს თავისთვის. მირჩიეს, რომ მის ასეთ წვალებას, ჯობია, „დავაძინო", მაგრამ, ამას ვერ ვაკეთებ, რადგან მეცოდება. იქნებ, თქვენ მითხრათ, რამდენად მიღებულია ასეთი მეთოდი?**

**პასუხი:** საერთოდ, ძალიან ცუდია ძაღლის „დაძინება," მაგრამ, მე ჩემი ინდივიდუალური ხედვა მაქვს ამასთან დაკავშირებით, კერძოდ, თუ ძაღლი დაავადებულია ისეთი დაავადებით, რომელიც არ იკურნება და ის საშიშია პატრონის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის (მაგალითად, ლეიშმანიოზით, ცოფით, ლეიკემიით და ასე შემდეგ), ძაღლი უნდა „დააძინოთ". არის მეორე მომენტიც, მაგალითად – სიბერე, რომელიც თქვენ გაინტერესებთ. თუ ძაღლი სიბერისგან იმ მდგომარეობამდეა მისული, რომ ძალიან იტანჯება, მაგალითად, დაეწყო ძვლების დაშლა, სახსრების განუკურნებელი ანთება ან რამე მსგავსი, ჩემი აზრით, ჯობია ის დააძინოთ. ჩემთვის დაუშვებელია ძაღლის „დაძინება" იმის გამო, რომ მას სიბერისგან მხედველობა დააკლდა ან ისე ველარ იყეფება, როგორც ადრე. არსებობს ასეთი ფრაზა: თუ მოიშინაურეთ ცხოველი, კეთილი ინებეთ და ბოლომდე მოუარეთ!

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

**ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.**
**გოეთე**

კითხვა: **როგორ მოვუარო ოთახის ბეგონიას?**

**პასუხი**: ბეგონია ტროპიკული მცენარეა, ამიტომ მას სითბო ესაჭიროება და ასევე სინათლე. ბეგონიის მრავალი სახეობა არსებობს, მაგრამ, ზაფხულობით მათ ერთნაირი მოვლა სჭირდებათ. მცენარე გარეთ გაიტანეთ და ეცადეთ, რომ გაფანტულ მზის სხივებზე დადგით. მას არ უყვარს, როდესაც ნიადაგი გაუშრება, ასევე, არც გადამეტებული წყალი მოსწონს, ამიტომ, მორწყეთ რეგულარულად, ხოლო ზამთარში შეიტანეთ ბინაში და ამყოფეთ 18-22 გრადუს ტემპერატურაზე. წყალი დაასხით კვირაში ერთხელ, მცირე რაოდენობით. ამ მცენარეს არ უყვარს ორპირი ქარი. ის იოლი გასამრავლებელია როგორც კალმით, ასევე მისივე თესლით. ბეგონია არსებობს ბოლქვიანი და ჩვეულებრივი. ორივეს ერთნაირი მოვლა და პირობები ესაჭიროება.

კითხვა: **შეიძლება თუ არა ოთახის პალმების გარეთ გატანა და რამე დაავადებებს ხომ არ „აიკიდებს"?**

**პასუხი**: რადგან პალმა არის ტროპიკული მცენარე და სიცხეების მოყვარული, ეცადეთ, მის გარეთ გატანაზე ჯერჯერობით თავი შეიკავოთ, რადგან, ჯერ კიდევ არ არის სტაბილური ტემპერატურა. პალმები და სხვა ტროპიკული და სითბოს მოყვარული მცენარეები ვერ იტანენ არასტაბილურ ტემპერატურას. ამიტომ, ეცადეთ მოუაროთ სახლის პირობებში და გარეთ გაიტანეთ აპრილის 15-20-დან, როცა ღამის ტემპერატურა მიაღწევს 14-18 გრადუს სითბოს. პალმას არ უყვარს ხშირი გადარგვა და, ასევე, არ სიამოვნებს ზედმეტად გამომშრალი ნიადაგი. გაითვალისწინეთ, რომ პალმებს წყალი უნდა დაუსხათ ზაფხულში კვირაში ორჯერ, ხოლო ზამთარში – თვეში ორჯერ, რათა არ გამოშრეს ფესვთა სისტემა. მცენარე მრავლდება თესლით და ამონაყრებით.

კითხვა: **ჩემი ლილიები ახლა ამოდის. ამით რამე საშიშროება ხომ არ ემუქრება?**

**პასუხი**: ლილიები საერთოდ არის სუბტროპიკული მცენარე, ამიტომ, ამოდის, როდესაც ტემპერატურა აღწევს 8-13 გრადუსს. ლილია თუ ცოტა ადრე ამოვიდა, არ ინერვიულოთ, საშიში არაფერია. ეს მცენარე მკაცრად არეგულირებს თავისი ზრდის განვითარებას, ამიტომ, დატოვეთ როგორც არის. ზაფხულში გახსოვდეთ, რომ ლილიებს არ მოაკლოთ წყალი და ასევე საკვები მინერალები. გაითვალისწინეთ, რომ, უნდა მიაწოდოთ ისეთი სასუქები, რომლებშიც ნაკლებია აზოტის შემცველობა. ლილიები კარგი მოსავლელია, თან, კარგად მრავლდება თავისივე ბოლქვით. ეცადეთ, ყოველ 2-3 წელიწადში ერთხელ ამოიღოთ მიწიდან და დაყოთ. ამ მცენარის კარგი მოვლის შედეგად, შესაძლოა, მიიღოთ 3-5 ბოლქვი, რომლებიც ძირითადი ბოლქვის ჯიბეზეა მიმჯდარი. ეს შვილები შეგიძლიათ, მოაცალოთ და ცალკეულ ქოთნებში ჩარგოთ.

კითხვა: **სახიფათოა თუ არა ოლეანდრას მოვლა სახლის პირობებში?**

**პასუხი**: ოლეანდრას სამშობლო ტროპიკებია, ამიტომ, მას უყვარს მზიანი ადგილი, თუმცა, ასევე ჩრდილშიც კარგად გრძნობს თავს. ოლეანდრა ჩვენთან, საქართველოში, კარგად ეგუება კლიმატურ პირობებს, ამიტომ, არ არის აუცილებელი, რომ ის ბინაში იყოლიოთ. მისი როგორც ფოთოლი, ასევე ფესვებიც, შხამიანია, მაგრამ, ეს საერთოდ არ უქმნის ადამიანს საშიშროებას. მთავარია, რომ ფოთოლი არ დაანაწევროთ და პირის ღრუში არ მოხვდეს, სხვა მხრივ კი ის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს. ოლეანდრა ყვავის ძალიან ლამაზად და დიდხანს. მისი ყვავილები მრავალი ფერის არსებობს: წითელი, თეთრი, ყვითელი, მუქი წითელი და ჭრელიც კი. მცენარე მრავლდება ამონაყარითაც და თესლითაც. მას უყვარს ნესტიანი და მზიანი ადგილი. მცენარეს ადრე გაზაფხულზე და შემოდგომით მიეცით სასუქები, ასევე, სასურველია, ფესვებში ჩაუსხათ ნაკელიანი წყალი.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# ვისი დახმარებით გაიტაცა მამინაცვალმა პატარა გოგონა და ვინ აღმოაჩინა ის კონსპირაციულ ბინაში



ინფორმაცია 10 წლის გოგონას დაკარგვის შესახებ სამართალდამცველებს მისმა დედამ, 36 წლის მაკა კ-ძემ მიაწოდა. დაზარალებული დედის განცხადებით, ბავშვი სკოლიდან გაუჩინარდა, რამდენიმე საათის ძებნის შემდეგ კი დედამ შეიტყო, რომ მისი შვილი გაიტაცეს და მძევლად ჰყავდათ. მაკა კ-ძემ სამართალდამცველებთან პირველი ჩვენების მიცემისას აღნიშნა, რომ ბავშვი მისთვის უცნობ პიროვნებებს ფულის გამოძალვის მიზნით ჰყავდათ გატაცებული. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და დაიწყო გამოძიება.

ამონაწერი მაკა კ-ძის ჩვენებიდან: „ჩემი შვილი კერძო სკოლაში სწავლობს. იმის მიუხედავად, რომ იმ სკოლას ავტობუსი ემსახურება, ბავშვი ყოველდღიურად ჩემს მძღოლს მოჰყავს სახლში. იმ დღესაც, მძღოლი ჩვეულებრივად მივიდა სკოლასთან, მაგრამ, ირინკამ სკოლიდან გამოსვლა დააგვიანა. მძღოლი სკოლაში შევიდა, თუმცა ბავშვს ვერსად მიაგნო. ჩემთან დარეკვის შემდეგ გაარკვია, რომ ბავშვის ადგილსამყოფელი არ ვიცოდი. დაკარგული ირინკას ძებნა სკოლის დირექციამაც დაიწყო, მაგრამ, ვერავინ გაიგო, სად გაუჩინარდა ჩემი შვილი. ამ ამბიდან სამიოთხი საათი იქნებოდა გასული, როდესაც სახლის კართან წერილი დამხვდა და იქიდან შევიტყვე, რომ ბავშვი გატაცებული იყო.”

მაკა კ-ძემ გამოძიებას წარუდგინა წერილიც, რომელიც კომპიუტერზე აკრეფილი რამდენიმე სიტყვისგან შედგებოდა. წერილში მითითებული იყო, რომ ბავშვს მხოლოდ 20 ათასი დოლარის გადახდის შემდეგ გაათავისუფლებდნენ. წერილის ავტორი მუქარით მიმართავდა გატაცებული ბავშვის დედას, რომ, თუ ის მომხდარის შესახებ პოლიციაში განაცხადებდა, ბავშვის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრებოდა. როგორც დაზარალებულმა განაცხადა, წერილის ავტორი მისთვის კარგად ნაცნობი ადამიანი უნდა ყოფილიყო, რომლის ხელწერასაც იცნობდა და სწორედ ამიტომ ჰქონდა გამოყენებული დამნაშავეს კომპიუტერი. გამოძიების ვერსიით, ის გამოცდილი კრიმინალიც უნდა ყოფილიყო, რადგან კომუნიკაციისთვის არ გამოიყენა სატელეფონო ზარი.

ოპერატიულმა სამსახურმა მაკა კ-ის საქმიანი და საახლობლო წრის შესწავლა დაიწყო. როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, მაკა კ-ძე მესამე ქორწინებაში იმყოფებოდა, შვილი კი პირველი ქორწინებიდან ჰყავდა. ბავშვის მამა რამდენიმე წლის გარდაცვლილი იყო. მამაკაცი, რომელთანაც ახალგაზრდა ქალი მეორე ქორწინებაში იმყოფებოდა, საქართველოში არ ცხოვრობდა. მაკა კ-ის მესამე მეუღლე თავადაც ძალიან განიცდიდა ბავშვის გატაცებას და აქტიურად იყო ჩართული ბავშვის ძებნაში, ასე რომ, მასზე ეჭვის მიტანა თავიდანვე გამოირიცხა. გამოძიებისთვის ცნობილი გახდა, რომ მაკა კ-ძე ოქროს სამკაულებით ვაჭრობდა და ოპერატიულმა სამსახურმა მისი საქმიანი პარტნიორების მოძიება დაიწყო, თუმცა, ამ მიმართულებითაც, გამოძიებისთვის საჭირო ინფორმაციების დადგენა ვერ მოხერხდა. დამნაშავე, რომელმაც ბავშვი გაიტაცა და უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება, ინციდენტიდან მხოლოდ ათი საათის შემდეგ გამოჩნდა – მან ავტომობილზე დატოვა ქალს მეორე წერილი, რომელშიც მითითებული იყო, რომ ბავშვი ცოცხალი არ დაბრუნდებოდა, რადგან, გამტაცებლისთვისაც ცნობილი გახდა, რომ დედას ამის შესახებ პოლიციაში განაცხადა. როგორც ჩანდა, ის მოვლენების განვითარებას მალულად აკვირდებოდა. ოპერატიული სამსახურის მცდელობა, დედას კავშირი აღედგინა დამნაშავესთან, უშედეგო აღმოჩნდა – ბავშვის გამტაცებელთან კონტაქტი შეწყდა. გამოძიება გატაცებული ბავშვის კვალს ეძებდა. დანაშაულიდან 24 საათის შემდეგ მაკა კ-ძემ დამნაშავისგან კვლავ მიიღო წერილი ფულის მოთხოვნით – 20 ათასი დოლარი მაკა კ-ძეს მითითებულ ადგილზე უნდა დაეტოვებინა. მესამე წერილი დამნაშავემ მაკა კ-ძის მეგობრის სახლის კართან დატოვა, რაც მიუთითებდა, რომ ბავშვის გამტაცებელი მაკა კ-ძის წრეს კარგად იცნობდა. ოპერატიულმა სამსახურმა ფულის გადაცემის ოპერაცია დაგეგმა. ფული დათქმულ ადგილას თავად მაკა კ-ძემ დატოვა. 18 საათი უთვალთვალებდა გამოძიება წერილში მითითებულ ადგილს, მაგრამ, იქ ფულის ასაღებად არავინ მივიდა.

გატაცებული გოგონას პოვნა ოპერატიულმა სამსახურმა სრულიად გაუთვალისწინებელი შემთხვევის წყალობით შეძლო: იმის შესახებ, რომ გატაცებული იყო, ბავშვმა თავად აცნობა მოქალაქეს, რომელიც ბინაში, სადაც გატაცებული გოგონა იყო დატყვევებული, სოციოლოგიური კვლევის ჯგუფიდან მივიდა და კარზე ზარი დარეკა. მოქალაქემ ამის შესახებ პოლიციას აცნობა. ოპერატიულ-სამძებრო სამსახურმა გატაცებული ბავშვის გათავისუფლების ოპერაცია დაგეგმა დამნაშავე, რომელიც 40 წლის კახა კ-ოევი აღმოჩნდა, მათ მაშინ დააკავეს, როდესაც ის დაქირავებული კონსპირაციული ბინიდან საჭმლის საყიდლად გადიოდა.

**18 საათი უთვალთვალებდა გამოძიება წერილში მითითებულ ადგილს, მაგრამ, იქ ფულის ასაღებად არავინ მივიდა**

მოქალაქე, რომლის წყალობითაც დაკარგული ბავშვის აღმოჩენა მოხერხდა, 41 წლის მადონა კ-ძე აღმოჩნდა.

ამონაწერი მისი ჩვენებიდან: „სოციოლოგიური კვლევის ჯგუფში ვმუშაობ, რამდენიმე მოქალაქის გამოკითხვა საცხოვრებელ ბინებში უნდა მომეხდინა. იმ საცხოვრებელ კორპუსში, სადაც გატაცებული ბავშვი ვიპოვე, შემთხვევით შევედი. რატომღაც, ისე მოხდა, რომ მესამე სართულამდე კარი არავინ გამიღო. როცა იმ ბინის კარზე დავაკაკუნე, ბავშვი გამომეხმაურა. როგორც ჩანს, კართან ახლოს იდგა, რადგან, მაშინვე მიპასუხა: დეიდა, დაკარგული ვარ და დედასთან წამიყვანეთო. ჯერ ვერ დავიჯერე და ვუთხარი: უფროსებს დაუძახე-მეთქი, მაგრამ, მაშინვე მიპასუხა – ამ სახლში ერთი კაცის გარდა არავინ მოდის და მარტო ვარო. ბავშვს დავპირდი, რომ მალე დავბრუნდებოდი. იმავე სართულზე, მეორე ბინის კარზე დავაკაკუნე. ქალბატონმა გამომხედა, რომელსაც ვითარება ავუხსენი. მან მითხრა, რომ იმ ბინაში არავინ არ უნდა ყოფილიყო, რადგან ბინა დაკეტილი იყო და იქ არავინ ცხოვრობდა, თუმცა მან, ჩემთან ერთად, თავად მოისმინა, რომ ბინიდან პატარა გოგონა შველას ითხოვდა. მაშინვე მივხვდი, რომ დანაშაულთან გვქონდა საქმე, მაქსიმალურად დავიცავით სიფრთხილე, თუმცა, პოლიციას მაშინვე შევატყობინეთ მომხდარის შესახებ. „დამნაშავე” რამდენიმე საათში დააკავეს.

დაკავებული კახა კ-ოევი მაკა კ-ძის მეორე ქმრის ძმა აღმოჩნდა. გამოძიებისთვის ცნობილი გახდა, რომ ის ბავშვს კარგად იცნობდა. ამიტომაც, 10 წლის ირინკა მას იოლად ენდო და სკოლიდან სახლში წაყვანაზე დასთანხმდა. კახა კ-ოევს ბინა წინასწარ ჰქონდა დაქირავებული და, ორი დღის განმავლობაში, სანამ ბავშვის დედასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა, გოგონა უკანა ოთახში ჰყავდა გამოკეტილი. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მას ოთახში ბავშვის გამოკეტვა დაავიწყდა, ის დღე იყო, როცა ის უცნობმა მოქალაქემ აღმოაჩინა.

ამონაწერი კახა კ-ოევის ჩვენებიდან: „მაკას და მის შვილს კარგად ვიცნობდი. ირინკა 2 წლის იყო, როდესაც ჩემმა ძმამ მაკა ცოლად შეირთო და ბავშვი ჩემ თვალწინ გაიზარდა. შემიძლია ვთქვა, რომ ბავშვი ძალიან მიყვარდა და ამიტომაც არაფერი დამიშავებია მისთვის. ვფიქრობდი, რომ ფულს ავიღებდი და მაშინვე დავტოვებდი საქართველოს – ჩემს ძმასთან წასვლა მინდოდა. როდესაც მივხვდი, რომ მაკამ გამოძიებაში პოლიცია ჩართო, ბავშვის გაშვება გადავწყვიტე, მაგრამ, მივხვდი, რომ დედამისს ჩემ შესახებ ყველაფერს ეტყოდა. სამი წელი არ ვყავდი ნანახი, მაგრამ, მაშინვე მიცნო. მერე საქმე გართულდა და აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ბავშვს ვერაფერს ვავნებდი, ისევ ჯობდა, მოთხოვნილი ფული ამეღო. ირინკასთვის არაფერი დამიშავებია, საჭმელსაც ვაჭმევდი, უბრალოდ, უკანა ოთახში მყავდა გამოკეტილი, რომელსაც ფანჯარა არ ჰქონდა და ვერავის შეატყობინებდა, რომ გატაცებული იყო. იმ დღეს მაკას სახლის სათვალთვალოდ წავედი და ოთახში ბავშვის ჩაკეტვა დამავიწყდა. საღამო იყო, როცა სახლში დავბრუნდი. ირინკა კართან დამხვდა, მაგრამ არ უთქვამს, თუ ვინმეს გამოელაპარაკა. ერთ საათში საჭმლის საყიდლად გავედი და პოლიციამ სადარბაზოსთან დამაკავა.”

წარსულში ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებისა და ქურდობისთვის ნასამართლევმა კახა კ-ოევმა ჩადენილი დანაშაული აღიარა. მან განაცხადა, რომ არასრულწლოვანი ბავშვის გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით, ნარკოტიკის გავლენის ქვეშ დაგეგმა და ამ დანაშაულში მისი უფროსი ძმა გარეული არ იყო, მაგრამ, გამოძიებამ კახა კ-ოევისა და მისი ძმის პირადი მიმოწერით დაადგინა, რომ დანაშაულის ორგანიზატორი მაკა კ-ძის ყოფილი ქმარი – კობა კ-ოევი იყო – დაკავებულმა დამნაშავემ სოციალურ ქსელში და სკაიპში დარჩენილი მიმოწერის წაშლა ვერ მოასწრო. სასამართლომ უმცროს ძმას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ხოლო უფროსს, რომელზეც ძებნა გამოცხადდა, დაუსწრებლად 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

# მე – დაქირავებული მკვლელი

## უშიშროების პოლკოვნიკის ჩანაწერების მიხედვით

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №28(550)-17(643)

კოლმანის მუქარა რეალური იყო, თუმცა, პოლიტბიუროში არჩევის არანაირი შანსი არ ჰქონდა, თანაც, ითხოვდა, რომ მისი სურათი და პოლიტბიუროში არჩევის ინფორმაცია ცენტრალური ტელევიზიით, პროგრამა „ვრემიაში“ გაეშვათ, რომელსაც მთელი საბჭოთა კავშირი უყურებდა. სწორედ ამ დროს გამომიძახეს ლუბიანკაზე და შჩუკინმა მითხრა:

– ჩვენზეა ნათქვამი: „ვაის გავეყარეთ და ვუის შევეყარეთო“.

– რატომ, ამხანაგო გენერალო, რაშია საქმე? – ვკითხე შჩუკინს.

– ვისტის და კლაინის ნეიტრალიზება გახსოვს?

– მსოფლიო რომ „ბურლისგან“ გადარჩა?

– ეს – მაშინ. დღეს კი, მსოფლიოს ახალი „ბურლი“ ემუქრება, – მითხრა შჩუკინმა, კოლმანის ისტორია დაწვრილებით მიამბო და ბოლოს დაამატა: – ხომ წარმოგიდგენია, რა მოხდება, იმ კრეტინმა რომ „ბურლი“ ზღვაში გაუშვას?! ამიტომ, ჩვენ ის უნდა გავანეიტრალოთ და მსოფლიო მეორედ ვიხსნათ „ბურლისგან“.

ერთი სიტყვით, სასწრაფოდ იალტაში გადავფრინდით და კოლმანის განეიტრალების ოპერაციაში ჩავერთე, რომელმაც წარმატებით ჩაიარა. ტექნოკრატი კოლმანი დააძინეს და „ბურლი“ უვნებლად ამოიღეთ. თავად პროფესორი კი საიდუმლო ლაბორატორიაში დააბრუნეს, ყოველგვარი პრივილეგიები მოუხსნეს, პატიმრის სტატუსი მიანიჭეს და დღემდე იქ ჰყავთ. მოხუცებულობის მიუხედავად, ის კვლავ ნაყოფიერად შრომობს და ახალ, მომაკვდინებელ ვირუსებსა და ანტივირუსებს იგონებს.

იური კოლმანის ისტორიას „კაგებეს“ ორი გენერლისა და ორი ათეული ოფიცრის კარიერა შეეწირა, ვინც საიდუმლო ლაბორატორიებს კურირებდნენ და იქ უსაფრთხოების დაცვა ევალებოდათ.

– კრეტინი! ინჟინერ გარინის კომპლექსით შეპყრობილი! მომინდომა პოლიტბიუროს წევრობა და თავდაცვის კურატორობა! – იმეორებდა შჩუკინი კოლმანზე, როდესაც ის გავანეიტრალეთ და ყველაფერი წარმატებით დასრულდა.

„გარინის კომპლექსი“ მსოფლიოზე ბატონობის იდეას შეიცავს და გამოჩენილ მეცნიერებს ხშირად ემართებათ ხოლმე. ასეთ შემთხვევაში, ამა თუ იმ მძლავრი სამხედრო იარაღის შემქმნელს მიაჩნია, რომ მას უფლება აქვს, სხვებზე იბატონოს და შესაბამის პირობებს ითხოვს. ასე დაემართა კოლმანსაც და, რომ არ გვემარჯვა, მსოფლიოში გლობალური კატასტროფა მოხდებოდა.

სხვათა შორის, დედამიწაზე გავრცელებული მრავალი ცნობილი ინფექცია ხელოვნურადაა შექმნილი და გავრცელებული და მათ შორის პირველობას არავის უთმობს შიდსი... ეს საშინელება „ცეერუს“ პროექტი იყო და მას „სიყვარულის ისარი“ ერქვა. ამერიკელებმა შიდსის ვირუსი აფრიკის ერთ-ერთ ტომზე გამოსცადეს და, მიუხედავად იმისა, რომ ამ ექსპერიმენტის ყველა, რვაასივე მონაწილე დახოცეს, დაწვეს და მათი ფერფლი მიწაში ღრმად ჩაფლეს, შიდსი მაინც გავრცელდა და, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ის გაავრცელა ერთ-ერთმა ამერიკელმა ჯარისკაცმა. ის ჯარისკაცი გეტოს იცავდა, სადაც ექსპერიმენტში მონაწილე აფრიკელები შერეკეს და ერთ-ერთ ინფიცირებულთან ჰქონდა სქესობრივი კავშირი. ასე ხდება ყოველთვის, როდესაც ადამიანი ღმერთის წინააღმდეგ ილაშქრებს, უფალი კი ასეთ რამეს არ პატიობს.

ულვთოობა, ღმერთის საწინააღმდეგო მოქმედებები და სხვა მსგავსი რამ, ხშირად ახასიათებთ მსხვილ კორპორაციებსა თუ ფირმებს და მათი ასეთი საქციელი სიხარბით, დიდი ფულის შოვნის სურვილითაა გამოწვეული. ერთხელ „ძიამ“ დამიბარა და, ალექსანდრეს ქვედა ბაღში რომ მივედი შეხვედრაზე, მითხრა:

– შემკვეთს შენთან შეხვედრა უნდა. ის არც საქმის შინაარსს ამხელს და არც კონკრეტულ თანხას ასახელებს. მან შემოთვალა, რომ ბევრ ფულს გადაიხდის და შეხვედრის ადგილად ჟენევის ტბაზე მდებარე რესტორანი „გედი“ დაასახელა. თუ თანახმა იქნები, ის სამი დღის მერე, საღამოს 10 საათზე დაგელოდება. იჯდება სამხრეთის კედელთან, მეორე რიგში და მის მაგიდაზე იდგმება ლუდ „ვარშტაინერის“ ერთლიტრიანი ბოთლი.



– მივალ, – მოკლედ მოვუჭრი რომანს და, მას მერე, რაც „ძია,“ ტრადიციულად, პირველი წავიდა, მეც წამოვედი.

„გედში“ დათქმულ დროს მოვედი, რა თქმა უნდა, შენიღბული და, შემკვეთს რომ შევხედე, მასში მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფარმაცევტული კომპანიის თანამშრომელი შევიცანი. მას ჰანსი ერქვა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გავიცანი, როდესაც იქ „კაგებეს“ სპეცდავალებას ვასრულებდი. მან, რა თქმა უნდა, ვერ მიცნო და მითხრა:

– მე არც თქვენი სახელი მაინტერესებს და არც ჩემსას გეტყვით. აქ კი კონკრეტული საქმისთვის დაგიბარეთ, რაშიც კარგად გადაგიხდით.

– არც მე ვაპირებ, წარმოგიდგეთ და არც თქვენი ვინაობა მაინტერესებს. რაც შეეხება საქმეს, აქ მეტი კონკრეტიკაა საჭირო – ზუსტად უნდა ვიცოდე, რას მავალებთ და რამდენს მიხდით ამ საქმეში.

– ეს კაცი პროფესორი კარლ მეზონია. ის ამსტერდამში ცხოვრობს, მისამართი ფოტოზე წერია, უკან. თქვენ ის უნდა მოიტაცოთ, ჟენევაში ჩამოიყვანოთ და, აი, ამ მისამართზე მოიყვანოთ. ამ საქმეში კი მილიონ ამერიკულ დოლარს მიიღებთ.

მილიონი ამერიკული დოლარი შეთავაზებულ საქმეში რეალურ ღირებულებაზე ორჯერ მეტი იყო და მივხვდი, რომ პროფესორის მოტაცება რაღაც ბინძურ საქმესთან იყო დაკავშირებული. ამიტომ, ჩემი ვარაუდის შემოწმება გადავწყვიტე და ჰანსს ვუთხარი:

– ასეთი საქმე სამჯერ ძვირი ღირს. სამ მილიონ დოლარს თუ გადამიხდით, საქმე უნაკლოდ გაკეთდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვა შემსრულებლის მოძებნა მოგიწევთ.

ჰანსს წარბიც არ შეხრია, ისე მომიგო:

– თანახმა ვარ. გეტყობათ, რომ ნამდვილი პროფესიონალი ხართ. მილიონს დღესვე დაგისვამთ ანგარიშზე, დანარჩენ ორს კი – საქმის დასრულებისთანავე.

კარლ მეზონი ორმოცდაათიოდე წლის სიმპათიური მამაკაცი იყო. ის ამსტერდამში ცხოვრობდა და მუშაობდა. მის მოტაცებასა და შვეიცარიაში ჩაყვანას ბევრი ხლაფორთი არ სჭირდებოდა. ამიტომ, უპრობლემოდ მივაძინე, კონსპირაციულ ბინაში მივიყვანე და მის გამოფხიზლებას დაველოდე. თვალი რომ გაახილა მიიხედ-მოიხედა და აღმოაჩინა, ხელფეხშეკრული იყო და მწარედ გაეცინა:

– მოვკვდები, მაგრამ იმ ნაძირლებზე არ ვიმუშავებ.

პროფესორ მეზონის საქციელიდან მივხვდი, მას არ გაჰკვირვებია, რომ უცხო გარემოში აღმოჩნდა და ვკითხე:

– აშკარაა, სერ, რომ თქვენი ასეთი მდგომარეობა არ გაოცებთ. ნება მიბოძეთ, გკითხოთ, რატომ?

– იმიტომ, ჩემო კარგო, რომ თქვენ წარმოდგენაც არ გაქვთ, ვისთვის მუშაობთ და რაზე მოაწერეთ ხელი. მაგრამ, თქვენი შემკვეთები ვერ ეღირსებიან ჩემგან იმას, რასაც ელოდებიან.

– მაინც, რას ელოდებიან?

– რას და, მსოფლიო საშინელებას, მაგრამ, გიმეორებთ: ისინი ამას ვერასოდეს ეღირსებიან ჩემგან.

– სერ კარლ, ნუ აღელდებით და თანმიმდევრულად მომიყევით ყველაფერი, შემდეგ კი ერთად გადავწყვიტოთ, რა ვქნათ.

– კეთილი. მომისმინეთ, – მითხრა მეზონმა და თხრობა უნდა დაეწყო, მაგრამ, მე მას სიტყვა გავაწყვეტინე, ხელ-ფეხი გავუხსენი და ვუთხარი:

– აი, ახლა კი ბრძანეთ.

– ჩემი მოტაცება თქვენ ამ ცნობილმა ფარმაცევტულმა კომპანიამ შეგიკვეთათ, – მითხრა მეზონმა, მერე ზუსტად დაასახელა ის ფარმაცევტული კომპანია, სადაც ჰანსი მუშაობდა და განაგრძო: – შარშან მათ სათანამშრომლოდ მიმიწვიეს. რომ ჩავედი და მათი ჭეშმარიტი ზრახვები გავიგე, ფეხი დავკარი, გამოვიქეცი და დავემუქრე, თუ ასეთ რამეს თავს არ დაანებებთ, თქვენ შესახებ მსოფლიოს შევატყობინებ-მეთქი.

– ისეთი რა შემოგთავაზეს?

– მე პროფესიით მიკრობიოლოგი ვარ, ვირუსებსა და ანტივირუსებზე ვმუშაობ. მათ კი შემომთავაზეს, შემექმნა მუტანტური გრიპის ვირუსი და ანტივირუსი. ვირუსს ისინი მთელ მსოფლიოში გაავრცელებდნენ, შემდეგ კი გამოუშვებდნენ ამ გრიპის სამკურნალო წამალს და დიდ ფულს იშოვიდნენ. როცა ყველაფერი გავიანგარიშე, შედეგებმა მაჩვენა, რომ ამ გრიპს ერთი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეეწირებოდა, ფარმაცევტული კომპანია კი ამ გრიპის საწინააღმდეგო წამლის გაყიდვით, სუფთა მოგების სახით მიიღებდა ერთ ტრილიონ დოლარს. გესმით თქვენ, რამხელა ცოდვისკენ მიბიძგებდნენ ეს გარეწრები?!

პროფესორის მონათხრობი მართლაც ძალიან შთამბეჭდავად ჟღერდა და კარლ მეზონის ჟენევაში ჩაყვანაში ჩემთვის ნახევარი ტრილიონი დოლარიც რომ გადაეხადათ, მაინც უარს ვეტყოდი. ამიტომ, მეზონს ვუთხარი:

– მე თქვენი მჯერა და შეკვეთას ვაუქმებ, მაგრამ, თქვენ რას იზამთ?

– თუ გამიშვებთ, დღესვე დიდ პრესკონფერენციას მოვიწვევ და მთელ მსოფლიოს შევატყობინებ ამ ბოროტების შესახებ.

– ეს საკმარისი არაა. თქვენ ან მოგკლავენ, ან მოგიტაცებენ და ამ სატანურ პროექტს მაინც განახორციელებენ.

– აბა, რას მთავაზობთ?

– თქვენ მყარი სახელმწიფო დაცვა გჭირდებათ – მხოლოდ ეს გიხსნით სიკვდილისგან, მსოფლიოს კი – საშინელებისგან.

– დაცვისთვის რომელ ქვეყანას უნდა მივმართო, ჰოლანდიას? მე ამ ქვეყნის მოქალაქე ვარ.

– ასეთი სულ სამი ქვეყანაა: ამერიკის შეერთებული შტატებში, დიდი ბრიტანეთი და რუსეთი.

– აჰ, რუსეთი არა, – ხელები გაასავსავა მეზონმა. – რუსეთი ბოროტების იმპერიაა. აი, ამერიკა და ბრიტანეთი კი შეიძლება.

– მე კი რუსეთს გირჩევთ, მისტერ მეზონ. ისინი საიმედოდაც დაგიცავენ და არც მსგავს საშინელებას მოგთხოვენ.

– შტატებსა და ბრიტანეთში მომთხოვენ?

– მერწმუნეთ, რუსეთი უფრო საიმედოა, თუ თანახმა ხართ, შემიძლია, დაგეხმაროთ.

– კარგი, მე მჯერა თქვენი. რაც არ უნდა იყოს, იმ მონსტრების კლანჭებიდან მიხსენით და ამით, ალბათ, საკუთარი სიცოცხლე ჩაიგდეთ საფრთხეში.



– მაგაზე ნუ დარდობთ, პროფესორო. დღესვე მოსკოვში იქნებით. იქ კი სათანადოდ მოგხედავენ.

პროფესორი კარლ მეზონი მოსკოვში ჩავიყვანე და ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად კონსპირაციულ ბინაში მოვათავსე. შემდეგ შჩუკინს შევხვდი და ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი. მან დახმარება აღმითქვა და, მას მერე, რაც ვიქტორ იაკოვლევიჩი შესაბამის ხალხს შეხვდა და მათგან კარლ მეზონის დაცვის მყარი გარანტიები მიიღო, მე მათ კონსპირაციული ბინის მისამართი ვუთხარი და ორიოდე საათის შემდეგ თბილისში გამოვფრინდი.

პროფესორი მეზონი დღემდე რუსეთში ცხოვრობს, უმსხვილეს მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიას ხელმძღვანელობს და მიუხედავად იმისა, რომ მასზე კბილებს ილესავენ, ვერაფერს აკლებენ. ეს კი იმიტომ, რომ მეზონი თავის პირად მეგობრად გამოაცხადა რუსეთის პირველმა პირმა და მთელ მსოფლიოში კარგად უწყიან, რომ ვინც რუსეთის მეთაურის მეგობარს შეეხება, ათჯერ უარეს პასუხს მიიღებს... „კბილი – კბილის წილ“ – ასეთია ამბიციური, ძლიერი ქვეყნების დევიზი და, ვინც მათ რამეს ავნებს, ადეკვატურ პასუხს მიიღებს. იყო დრო, (მართალია, ის ძალიან მცირე მონაკვეთს მოიცავდა), როდესაც რუსეთს ადეკვატური პასუხის გაცემა თითქმის არ შეეძლო; დღესდღეობით კი მას არ აკმაყოფილებს ლოზუნგი „კბილი – კბილის წილ“ და თუკი მას ვინმე კბილს მოსტეხს, პასუხად თავს მოჰკვეთენ.

– გიხაროდეს, კოკი, ჩვენ კვლავ ფეხზე დავდგებით, – მითხრა ამას წინათ შჩუკინმა, როდესაც მას მოსკოვში შევხვდი.

– კონკრეტულად რას გულისხმობთ, ვიქტორ იაკოვლევიჩ? – ვკითხე შჩუკინს, მან კი მიპასუხა:

– რა თქმა უნდა, ჩვენს სამხედრო ძლიერებას და არა მარტო ამას. ჩვენ სულ მალე ეკონომიკურადაც დავდგებით ფეხზე და, რაც არ უნდა ემბარგოები აცხადონ ამერიკელებმა, ეს ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებს.

– ჩვენ, ჩვენ რა გვეშველება? საცოდავი საქართველო კვლავ ვიღაცის ექსპერიმენტებსა და პოლიტიკურ ამბიციებს უნდა შეეწიროს?

– არა! – მტკიცედ მითხრა შჩუკინმა, – მორჩა ექსპერიმენტები. ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით. ის დრო მოდის, როდესაც თანასწორუფლებიანი პარტნიორები გავხდებით და ერთად შევუტევთ მართლმორწმუნეობის, მართლმადიდებლობის მტრებს. ჩვენ დავანგრევთ ცრუ კერპებს და დედამიწას უწმინდურებისგან გავწმენდთ.

შჩუკინის სიტყვებში მტკიცე საბჭოური რიტორიკა იგრძნობოდა და მე გამახსენდა ცივი ომის პიკი, როდესაც დედამიწა მესამე მსოფლიო ომის პირას იდგა და ჰაერში სიკვდილის სუნი ტრიალებდა. სწორედ მაშინ დამკვიდრდა ასეთი შეურიგებელი მიმართვების სტილი




ერდო ჯგუფი

-ლექტორი ბებიის დანატოვარ 5 ოთახიან ბინას ვყიდი ვაკეში, ვართ ორი ძმა, და თან არ გვაქვს ნორმალური სამუშაო და თან ...

-რუსეთიდან ჩამოვედი და მსურს ვიყიდო 5 ოთახიანი ბინა ვაკეში, მყავს ცოლ-შვილი და თან მაქვს კარგი სამსახური და თან ...

მაკლერი:

-კი თქვენ გენაცვალეთ და თან ... გადაგვიხადეთ 6%. 3 გამყიდველის და 3 მყიდველის მხრიდან.

მარიკა 599 24 28 31

და, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ოპონენტებს არაფერს ვუთმობდით, მაინც დავმარცხდით და დავიშალეთ. ამიტომ, შჩუკინს ვუთხარი:

– ეს ხომ საბჭოური რიტორიკაა და, გამოგვადგება რამეში?

– გამოგვადგება, ჩემო კარგო. საბჭოური გამოცდილება გამოგვადგება და, მერწმუნე, რომ ჩვენი მტრები, ამერიკის თამადობით, მეორეჯერ ველარ შეძლებენ ჩვენს დამარცხებას. გარწმუნებ, რომ რუსეთი არ დაიშლება და ამაში ლომის წილს საქართველო შეიტანს.

ვიქტორ იაკოვლევიჩის სიტყვებზე გამეცინა და ვუთხარი:

– ამერიკელები რომ ასე არ ფიქრობენ?

– რომ არ ვიცოდე, ვინ ხარ, შენზე ცუდი წარმოდგენა შემექმნებოდა. ჩემო კოკი, ნუთუ ისე დავკნინდით, რომ გაბღენძილი, გაზულუქებული ამერიკელების გვეშინია? გაიხსენე, რა დღეში ვყრიდით მათ. რა ჩვენი ბრალია, რომ ერთმა მოღალატე ნაძირალამ ამხელა ქვეყანა ჯერ დაშალა, შემდეგ კი მტრებს მიუგდო საჯიჯგნად? მორჩა! ეს ყველაფერი წარსულში იყო და, რომ იტყვიან, წინ ველარ წავლენ. ჩვენი დევიზია – „არც ერთი ნაბიჯი უკან“. ეს სტალინისეული მოწოდება მეორე მსოფლიო ომის მერე ახლა ყველაზე აქტუალურია. დღეს სწორედ ჩვენ ვდგავართ მართლმადიდებლური ცივილიზაციის წინა ხაზზე და თუკი კერპთაყვანისმცემლებს გავატარებთ, მაშინ, ისინი ჩვენს სიწმინდეებს წაბილწავენ და დედამიწაზე კატასტროფა მოხდება...

– ვიქტორ იაკოვლევიჩ, თქვენ კარგად იცით ჩემი განწყობა და ამერიკელებისადმი დამოკიდებულება. რა თქმა უნდა, ისინი ჩვენი უპირველესი მტრები არიან და სწორედ ეს ვიგულისხმე ჩემს სიტყვებში. ანუ, ისინი ძალიან ძლიერები არიან, ამიტომ, არც საქართველოს დათმობენ ასე იოლად და არც თავიანთ გლობალურ გეგმებზე აიღებენ ხელს.

– ჰოდა, სწორედ აქ მოიტეხენ კისერს. ვიმეორებ: მორჩა ექსპერიმენტებისა და დაპირისპირებების პერიოდი. საქართველო და რუსეთი ორი ძმური სახელმწიფო, ორი ძმური ერია და მართლმადიდებლური ცივილიზაცია სისხლში გვაქვს გამჯდარი. როგორც თქვენ, ასევე ჩვენ, იმდენი წამებული გვყავს, რომ მარტო მათი სულები არ მოგვცემენ მოდუნების უფლებას და ამ ბრძოლაში წაგვიძღვებიან წინ.



შჩუკინს ვუსმენდი და მეგონა, ჩემ წინ ძლევამოსილი საბჭოთა „კაგებეს“ მაღალჩინოსანი გენერალი კი არა, ეროვნული მოძრაობის ლიდერი იდგა, სულით ხორცამდე ეროვნულ-მართლმადიდებლური იდეოლოგიით გაჟღენთილი და მზად იყო, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში შებმოდა უწმინდურებს. ანუ, შჩუკინში მე ახალი, სრულიად უცნობი პიროვნება აღმოვაჩინე. რას წარმოვიდგენდი, თუ ის ასე ღრმად, საფუძვლიანად იცნობდა ჩვენს სარწმუნოებას და სწორედ ის მიაჩნდა ჩვენი ბრძოლის მამოძრავებელ ერთადერთ და წარმმართველ იდეოლოგიად. ვიქტორ იაკოვლევიჩის სიტყვებში ეჭვის შეტანა აბსურდი იყო, რადგან მე მას მშვენივრად ვიცნობდი და გამორიცხული იყო, შემშლოდა. ამიტომ შჩუკინს გავუღიმე და ვუთხარი:

– სასიამოვნო სიურპრიზია, ამხანაგო გენერალო. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ თქვენ ქრისტიანობის ასეთი თავგამოდებული დამცველი იყავით.

– ქრისტიანობის კი არა, ჭეშმარიტი ქრისტიანობის. ნახევარი მსოფლიო უწოდებს საკუთარ თავს ქრისტიანს, მაგრამ, არანაირი საერთო არ აქვს მასთან. ასე, ამერიკელებიც ქრისტიანები არიან, ვითომ... ჭეშმარიტი ქრისტიანობა მართლმადიდებლობაა, დანარჩენი კი მხოლოდ იბრალებს ამას. ამიტომ, სწორი ის იქნებოდა, გეთქვა, მართლმადიდებლობის დამცველი ხარო.

– და, მაინც, ჩემო ძვირფასო ვიქტორ იაკოვლევიჩ, თქვენგან ასეთი სიტყვები დიდი მოულოდნელობაა და, ვაღიარებ, რომ სასიამოვნოდ გაოცებული ვარ ამით.

– მოხარული ვარ, რომ ჩემზე ასე ფიქრობ. ახლა კი ერთი თხოვნა მაქვს, რომელშიც, რა თქმა უნდა, შესაბამის ანაზღაურებასაც მიიღებ.

– ბრძანეთ.

– კოკი, სიტყვამ შემთხვევით არ მოიტანა რელიგიური თემა, – მითხრა შჩუკინმა და ორი ცალი ფერადი ფოტო მიჩვენა, – ეს ეგრეთ წოდებული „ენჯეოშნიკი“ – არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელია. ცენტრალურ რუსეთში, სადაც საკმაოდ გაჭირვებული, ღარიბი ხალხი ცხოვრობს, მან, ეგრეთ წოდებული „სიკეთის სახლი“ გახსნა და მოსახლეობა ისე ჰყავს „დაბოლებული“, რომ საკუთარ ჭკუაზე ატარებს. ეს კი ძალიან საშიშია და მისი ლიკვიდაცია უნდა მოახდინო.

– მაინც, რას აშავებს?

– მისი მთავარი დანაშაული ისაა, რომ ახალგაზრდებს რყვნის.

– როგორ, სქესობრივად?

– არა. ის ფულს უხდის მათ და სანაცვლოდ მართლმადიდებლობაზე უარის თქმას აიძულებს. ცენტრალური რუსეთი კი მართლმადიდებლობის მთავარი სამჭედლოა, ყველაზე მეტი ტაძარი სწორედ იქაა და სწორედ იქაურები ილაშქრებდნენ ყოველთვის რჯულის შემლახველებისა და ულმერთოების წინააღმდეგ ყველაზე აქტიურად. მტერს კი ამ ჩვენი დედაბოძის დანგრევა სურს და, ეს თუ მოახერხა, ჩათვალე, რომ რუსეთსაც დააჩოქებს, შემდეგ დაშლის და თავის ბილწ მიზანსაც მიაღწევს. გახსოვს, რას წერს ბზეჟინსკი თავის წიგნში?

– მახსოვს. ის წერს: კომუნიზმი დავამარცხეთ, ახლა კი ჯერი მართლმადიდებლობაზეაო.

– ჰოდა, აგაშენა ღმერთმა. ეს „ენჯეოშნიკი“, სინამდვილეში კი სექტანტი და მართლმადიდებლობის მტერი, თავისი ამერიკელი პატრონების შეკვეთას ახორციელებს და ჩვენი ციხესიმაგრის დანგრევას შიგნიდან ცდილობს. ის ჩვენი კანონების ფარგლებში მოქმედებს, სწორედ ამის გამო არ ხერხდება მისი პასუხისგებაში მიცემა და, ამიტომ, ის უნდა განადგურდეს.

– ვიქტორ იაკოვლევიჩ, ხომ არ აჯობებდა, მასზე ჯერ კომპრომატი მოგვეძებნა, გადაგველო და, მისი ლიკვიდაციის პარალელურად, ხალხისთვის გვეჩვენებინა, რომ ის წამებულად არ შერაცხონ? თორემ, ხომ შეიძლება, ჩვენმა აქციამ უკუეფექტი გამოიწვიოს და მისი მოკვლით მისივე საქმე გავაკეთოთ? – შევთავაზე შჩუკინს, მან კი მითხრა:

– სამწუხარო ისაა, რომ, ის ბილწი, ამერიკელების მიერ კარგად მომზადებული აგენტია და აბსოლუტურად ასკეტურად ცხოვრობს. არც ეწევა, არც სვამს, არც ნარკოტიკებს ეკარება და არც ქალებს. ამიტომ, მისი კომპრომეტირება არ მოხერხდება, თორემ, გიყვარდეს, ასეთი რამ რომ იყოს შესაძლებელი, აუცილებლად გამოვიყენებდით. ამიტომ, მას მხოლოდ ტყვიას თუ დავაჭედებთ.

– ვიქტორ იაკოვლევიჩ, ვფიქრობ, რომ მისი კომპრომეტირება მაინც მოხერხდება.

– როგორ?

– ჯერ ის მითხარით, სადაურია და რომელი ქვეყნის მოქალაქეობა აქვს?

– ეროვნებით რუსია, მოქალაქეობა კი ამერიკის აქვს.

– ძალია კარგი. ესე იგი, ის რომ გაუჩინარდეს, ამერიკელები დიდ სკანდალს ატეხენ, ხომ?

– მსოფლიოს შეძრავენ.

– მაშინ, ასეთ რამეს გთავაზობთ: ის სუბიექტი უნდა გავიტაცოთ და ამერიკელების რეაქციას დაველოდოთ. საერთაშორისო სკანდალი პიკს რომ მიაღწევს და რუსეთის ლანძღვას დაიწყებენ, პოლიცია წამალში გაპარულ მის ცხედარს აღმოაჩენს ერთ-ერთ მოსკოვურ პრიტონში, სადაც ელიტური ბოზ-ნარკომანი ქალები დაადასტურებენ, რომ ის ხშირად ატარებდა დროს მათთან ერთად. ამ კადრებს კი, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად, მთელი რუსეთი ნახავს, მათ შორის, მის მიერ „დაბოლებული“ ახალგაზრდებიც. ვფიქრობ, ეს კარგი კომპრომატი იქნება მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტრის წინააღმდეგ.

ლაპარაკს რომ მორჩი, შჩუკინი ორიოდე წუთის განმავლობაში უხმოდ მიყურებდა, ბოლოს თავი გააქნია და მითხრა:

– როგორც ეტყობა, ვბერდები და ვშტერდები. ასეთი კომბინაცია როგორ ვერ მოვიფიქრე? შენ კი, კოკი, კვლავ ძველებურ ფორმაში ხარ. მიდი, იმოქმედე. ნახევარ მილიონ დოლარს ხვალვე დაგისვამენ ანგარიშზე.

ბოლოდან დავიწყებ და ვიტყვი, რომ ის ნახევარი მილიონი დოლარი, რომელიც საქმეში გადამიხადეს, ორად გავყავი და ერთი ნახევრით მართლმადიდებელთა დახმარების ფონდი ჩამოვაყალიბე, მეორე ნახევრით კი მართლმადიდებლური ტაძარი ავაგე. ეს ყველაფერი, რა

თქმა უნდა, ანონიმურად გავაკეთე. რაც შეეხება ობიექტს, მისი წამალში გაპარული, ნემსებით დაჩხვლეტილი ცხედარი მთელმა მსოფლიომ ნახა და არც ამერიკელებს დაუწყიათ იმისი მტკიცება, ეს კაცი მოკლულია. თუმცა, „ცეერუმ“ კარგად იცოდა, რომ აგენტი ასკეტი იყო. მაგრამ, ამის მტკიცება რომ დაეწყოთ, ეჭვს გამოიწვევდა და ხმა არ ამოუღიათ.

მსგავსი მეთოდებით მოქმედებს „ცეერუ“ საქართველოშიც და, ჩვენდა სამწუხაროდ უნდა ვთქვა, რომ აქ ეს კარგად ჭრის და ძალიან ბევრი ადამიანი გაება მათ ბადეში. მაგრამ, ჩვენთან ოდნავ განსხვავებული ტაქტიკით მოქმედებენ: ყველა ანტიქართულ, ანტიმართლმადიდებლურ სექტას ქრისტიანობის მანტია აქვს მოსხმული და ჩვენი მტრები ქრისტეს სახელით გველაპარაკებიან. ერთხელ ჩემს ახალ სახლში ვიმყოფებოდი. ცუდი ამინდი იყო. არანაირი საქმე არ მქონდა და არსად წასვლას არ ვაპირებდი. სავარძელში ვიყავი მოკალათებული, როდესაც ზარმა დაიწკრიალა. გარეთ ფარული ვიდეოკამერები მაქვს დაყენებული და მონიტორს რომ შევხედე, ჩემს კართან მდგარი ქალ-ვაჟი დავინახე, რომლებსაც უზარმაზარი ჩანთები ჰქონდათ მხარზე გადაკიდებული, ხელში კი სექტანტური ლიტერატურა ეკავათ. მათი ამოცნობა არ გამჭირვებია. შემეძლო, კარი არ გამეღო და წავიდოდნენ, მაგრამ, კართან მივედი, გავუღე და ვუთხარი:

– გისმენთ.

ვაჟი უხმოდ იდგა, გოგონამ კი ჩართო:

– გამარჯობა. თქვენთან რამდენიმე შეკითხვა გვაქვს. შეიძლება, გკითხოთ?

– ბინაში შემობრძანდით, – ვუთხარი ქალ-ვაჟს. ისინი აშკარად არ ელოდნენ ჩემგან ასეთ თავაზიანობას და, თითქოს ეშინიათ, ორმოში არ ჩავარდნენო, ძალიან ფრთხილად შემოვიდნენ სახლში. მე ისინი სასტუმრო ოთახში შევიყვანე, სავარძელზე მივუთითე და ვკითხე:

– ყავას მიირთმევთ?

გოგონა ბიჭზე ბევრად თამამი აღმოჩნდა და მითხრა:

– დიახ, უნალექოს.

– თქვენ? – ვკითხე ვაჟს.

– მეც, – ენის ბორძიკით მითხრა ვაჟმა.

– ნალექიანს თუ უნალექოს?

– ნალექიანს.

მე სამზარეულოში გავედი. უკან გორგოლაჭიანი ურიკით დავბრუნდი, რომელზეც ნალექიანი ყავის გარდა, სხვადასხვა სასმელი, ტკბილეული და სიგარეტები ელაგა. ახალმოსულებს ყავა წინ დავუდგი და ვკითხე:

– რომელი რას დალევთ ყავასთან ერთად – ვისკის, არაყს, ღვინოს თუ ლიქიორს?

ყმაწვილს აშკარად ეტყობოდა, რომ ალკოჰოლი უნდოდა, თუმცა, გოგონამ არ აცალა და მითხრა:

– ჩვენ მხოლოდ ყავას ვსვამთ.

– კარგი, როგორც გენებოთ. მიირთვით ყავა და ბრძანეთ, რა გნებავთ.

ვაჟი ნელ-ნელა, სიამოვნებით სვამდა უმაღლესი ხარისხის ყავას, გოგონამ კი არაყივით გადაჰკრა და მითხრა:

– შეიძლება, გკითხოთ?

– ბრძანეთ.

– თუ შეიძლება, თქვენი სახელი მითხარით.

– კოკი.

– ბატონო კოკი, რას ფიქრობთ მეორედ მოსვლასა და ღმერთზე?

– ღმერთი არსებობს, მეორედ მოსვლა კი მისი ნებაა და ის გადაწყვეტს, ვინ დაიღუპება და ვინ გადარჩება.

– ეკლესიაში დადიხართ?

– ძალიან იშვიათად, – მივუგე გოგონას, რომელსაც ჩემმა პასუხმა ფრთები შეასხა და მითხრა:

– ღმერთის რისხვის არ გეშინიათ?

– არ ვიცი, – ვუთხარი გოგონას, რომელსაც მერყევ კაცად მოვაჩვენე თავი და საშუალება მივეცი, თავისი სექტის ფართო პროპაგანდა დაეწყო ჩემთან. მან თხუთმეტი წუთი „იქადაგა“ და ბოლოს შემაპარა:



– როგორ ფიქრობთ, ღირს ჩვენს ჭეშმარიტ სარწმუნოებრივ სახლში მოსვლა, სადაც იდეალური ჰარმონია სუფევს და მაღალი ღმერთი გვფარავს?

მე ჭიქები არყით შევავსე და გოგონას ვკითხე:

– დარწმუნებული ხართ, რომ ღმერთი არსებობს?

– რა თქმა უნდა, – ერთხმად მომიგეს სექტანტებმა.

– მაშინ, ღმერთს გაუმარჯოს! დალიეთ, თორემ, არ დავიჯერებ, რომ მართლა ჭეშმარიტ რწმენაში ხართ.

წყვილი სექტის მიერ „ვერბოვკაზე“ იყო გამოგზავნილი და, ალბათ, იფიქრეს, რომ, თუკი დალევდნენ, „დამავერბოვკებდნენ“. ამიტომ, თითო ჭიქა არაყი გადახუხეს... მე მათ კიდევ ორორი ჭიქა დავალევინე, რამაც ისინი კარგად შეაქეიფიანა და ენებიც ააშვებინა, განსაკუთრებით კი ბიჭი ენაწყლიანობდა. გამომიტყდა, რომ მას სიმონი ერქვა, გოგონას კი – ეთერი და რომ ისინი იმერეთის ერთ-ერთი მაღალმთიანი სოფლიდან იყვნენ.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | ქ | მ | ა | რ | ი | | ა | |
| | | | | | | | | | ლ | | ს | ა | დ | ა |
| | | | | | | | | ა | ი | ს | ი | | ე | ლ |
| | | | | | | | ა | ბ | დ | ა | უ | ბ | დ | ა |
| | ტ | ო | ლ | ე | დ | ო | | ი | | ბ | რ | ა | | ზ |
| ჯ | | ლ | | ს | | რ | ბ | ო | ლ | ა | | დ | | ა |
| ა | გ | ი | ტ | ა | ც | ი | ა | | ი | ნ | ო | რ | ე | ნ |
| ფ | | ფ | | კ | | | ხ | | ზ | ი | დ | ა | ნ | ი |
| ა | რ | ა | დ | ი | | ჯ | უ | ბ | ა | | ი | გ | ი | |
| | კ | | ი | ა | რ | უ | ს | ი | | ა | ნ | ი | ა | ნ |
| ლ | ა | ყ | ე | | | ჯ | ი | გ | ა | რ | ი | | პ | |
| | ლ | | ტ | უ | რ | ა | | ლ | | მ | | კ | | ძ |
| რ | ი | გ | ა | | ა | | ბ | ი | ნ | ა | დ | ა | რ | ი |
| თ | | ე | | ა | დ | უ | ი | | | დ | | კ | | ძ |
| უ | ქ | ნ | ა | რ | ა | | რ | | ბ | ა | ი | ა | თ | ი |
| ლ | | უ | | ხ | | ა | დ | ი | უ | | ქ | ო | რ | ა |
| ი | მ | ა | მ | ი | | ს | ა | ვ | ა | ნ | ა | | ი | |
| | ა | | ა | | ჯ | ი | ბ | ე | | ა | ბ | მ | ა | ს |
| ა | გ | ე | ნ | ტ | ი | | ი | რ | ა | კ | | ა | | ო |
| | ი | | ი | | ნ | ა | რ | ი | | ლ | ა | ნ | დ | ი |
| ფ | ა | ფ | ა | რ | ი | | ი | ა | შ | ი | ნ | ი | | ა |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 3 | 4 | 2 | 6 | 5 | 1 | 9 | 7 |
| 9 | 5 | 6 | 7 | 1 | 4 | 3 | 2 | 8 |
| 1 | 7 | 2 | 8 | 9 | 3 | 5 | 4 | 6 |
| 5 | 2 | 3 | 1 | 8 | 6 | 9 | 7 | 4 |
| 4 | 9 | 8 | 5 | 3 | 7 | 2 | 6 | 1 |
| 7 | 6 | 1 | 9 | 4 | 2 | 8 | 3 | 5 |
| 2 | 4 | 5 | 3 | 7 | 1 | 6 | 8 | 9 |
| 6 | 1 | 9 | 4 | 2 | 8 | 7 | 5 | 3 |
| 3 | 8 | 7 | 6 | 5 | 9 | 4 | 1 | 2 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 5 | 6 | 8 | 7 | 2 | 1 | 4 | 9 |
| 9 | 2 | 1 | 6 | 5 | 4 | 3 | 7 | 8 |
| 8 | 4 | 7 | 1 | 9 | 3 | 6 | 5 | 2 |
| 2 | 6 | 5 | 4 | 1 | 9 | 8 | 3 | 7 |
| 1 | 8 | 4 | 7 | 3 | 5 | 2 | 9 | 6 |
| 7 | 9 | 3 | 2 | 8 | 6 | 5 | 1 | 4 |
| 6 | 7 | 2 | 5 | 4 | 1 | 9 | 8 | 3 |
| 5 | 3 | 8 | 9 | 6 | 7 | 4 | 2 | 1 |
| 4 | 1 | 9 | 3 | 2 | 8 | 7 | 6 | 5 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: პასუხები: 1. საკუთარი, მამის და ბაბუის. 2. ჰელიოსი – მზის ღმერთი. 3. ბურგუნდია (ბურგუნდები). 4. საახალწლო ნაძვის ხეზე. 5. კრიზისი. 6. არაბულს – ყურანი ამ ენაზეა დაწერილი. 7. ფსიქოლოგები. 8. ვარდი. 9. ნიანგს. 10. ცხენის ძალა.**

# ყველა კაცი ერთნაირია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №12-17(643)

## გახსოვდეს საკუთარი თავი

მამაკაცების რიცხვი დღითი დღე კატასტროფულად მცირდება. ამიტომაც ამბობენ, რომ მოთხოვნა ძლიერი სქესის წარმომადგენლებზე იზრდება. ამბობენ, ვითომ, შეესაბამება ეს რეალობას?! საეჭვოა... უბრალოდ, ვიღაცას აშკარად უნდა, იმედი გადაუწუროს სუსტი სქესის იმ ნაწილს, ვისაც ჯერ არ გაუმართლა: ნუღარ ნერვიულობთ და დარდობთ, ჩვენო ძვირფასებო! არ არის ყველასთვის სამყოფი ეს „ბედნიერება“ და შეეგუეთ რეალობასო.

ქალბატონებო! მტერი გყავთ... ფასეული, მაგრამ – ვერაგი. „ვიღაცას“ (და ამ „ვიღაცის“ სქესი ჯერ დადგენილი არ არის) ძალიან უნდა, აღარ იფიქროთ და იზრუნოთ საკუთარ თავზე და, სამაგიეროდ, მთელი რესურსები მამაკაცებისკენ მიმართოთ. სულერთია, ვინ იქნება ეს მამაკაცი – ქმარი, საყვარელი თუ... ჰო, აი, ეს „თუ“ არის განსაკუთრებით საინტერესო. ჯერ რომ კონკრეტული არაფერია, თან რომ „ფერია“... ეჰ, რატომ არის ქალი მზად მსხვერპლშეწირვისთვის მაშინაც კი, როცა მისგან ამას არავინ ითხოვს?! ისინი ხომ ღირსნი არ არიან! ვინ ისინი? – კაცები! სინამდვილეში, ყველა ქალი ხვდება და გრძნობს ამას. მაგრამ არავინ ყვირის – შეჩერდიო; არც ერთი არ ამბობს ხმამაღლა, რომ თითქმის ყოველ წუთს უშვებენ გამოუსწორებელ შეცდომას...



„გახსოვდეს საკუთარი თავი!“ – ნებისმიერმა ქალმა დევიზად უნდა გაიხადოს ეს ფრაზა და ყველაფერი მალევე დალაგდება, მაგრამ, ვიღაცამ ხომ უნდა დაიწყოს?..

***

ქეთიმ მალულად გახედა ქმარს. ვახო ტელევიზორის წინ, სავარძელში იჯდა და ტელეფონზე მესიჯს კრეფდა. „არ ვკითხავ, ვის სწერს... არ ვკითხავ“... – ჯიუტად გაიმეორა გუნებაში ქალმა, მაგრამ, წუთის შემდეგ, სავარძლის სახელურზე ჩამომჯდარი, ცდილობდა, მობილურის ეკრანისთვის ცალი თვალით მაინც დაეხედა.

– რა გინდა, ქეთი? – დაღლილი ხმით ჰკითხა ქმარმა, – თუ გაინტერესებს, ვინ მომწერა მესიჯი და ვის ვწერ პასუხს, მკითხე და გეტყვი. ეს თვალთვალი რა უბედურებაა?

– სულაც არ გითვალთვალებ. ეს რა ლაპარაკია? რატომ იცი ხოლმე რაღაც ისეთის თქმა, რაც გულს მატკენს? ისე ჩამოვჯექი, რა, არ შეიძლება? – აბუზღუნდა ქეთი.

– შეიძლება, ყველაფერი შეიძლება, მაგრამ, არ მსიამოვნებს შენი ასეთი საქციელი. არ მსიამოვნებს კი არა, მაღიზიანებს, თანაც საშინლად.

– რატომ? რამეს მიმალავ?

– ეგ საიდანღა მოიგონე? რას უნდა გიმალავდე? ან, რამის დამალვა რომ მინდოდეს, შენ თვალწინ დავიწყებდი მესიჯების წერას?

ქეთი მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა, ქმარს მხარზე მიეხუტა ლოყით და დამნაშავესავით ჩაილაპარაკა:

– ნუ მიბრაზდები. შეიძლება, ცუდად გამომივიდა, მაგრამ, უცებ ძალიან მომინდა შენ გვერდით ყოფნა.

ვახომ გაიცინა:

– არ გატყდე და არ აღიარო, რომ ცნობისმოყვარეობამ მოგიყვანა აქ... ან – ეჭვმა. სულ ტყუილად ეჭვიანობ, ჩემო ძვირფასო. ძალიან ერთგული ქმარი გყავარ. თან, უკეთ რომ მიცნობდე, იმასაც მიხვდებოდი, რომ ძალიან არ მიყვარს სკანდალები, სიმშვიდე მირჩევნია. გარდა ამისა, ძალიან ზარმაციც გახლავარ და ოჯახსგარე რომანებისთვის არ გამოვდგები.

– რაღაც, ძალიან ბევრს ლაპარაკობ ამ თემაზე, – თვალები მოჭუტა ქეთიმ, – მე ხომ არაფერი მიკითხავს?

– ვერ გავიგე, რა უნდა გეკითხა?

– არაფერი, – ქეთიმ გაჩუმება ამჯობინა, მაგრამ, ამჯერად ვახო აღარ მოეშვა:

– აბა, მითხარი, რა უნდა გეკითხა? ბოლოს და ბოლოს, დავილაპარაკოთ და გავარკვიოთ, რაც ჩვენ შორის გასარკვევი დაგროვდა. ეტყობა, საამისოდ უკვე მომწიფდა სიტუაცია.

ქეთიმ თვალები დაახამხამა:

– არაფრის გარკვევას არ ვაპირებ, მით უფრო – დღეს არა. ხომ შევთანხმდით, რომ დღეს ვისვენებთ. გახსოვს, რას დამპირდი?

კაცმა თავი დაუქნია:

– ჰო, მახსოვს. დღევანდელ დღეს ერთად ვატარებთ. ბავშვებსაც მივხედავ... კიდევ რა? თუ ამინდი გამოვიდა, გავისეირნებთ კიდეც. მაგრამ, სათქმელი მაინც უნდა ითქვას.

– რისი თქმაც მინდოდა, უკვე ვთქვი.

– არა, – თავი გააქნია ვახომ, – ბოლო დროს თითქმის სულ გაღიზიანებული ხარ. შეიძლება, ამის მიზეზი რაღაც გაურკვევლობა იყოს, რომელიც ჩვენ შორის არსებობს. მე არ მინდა მუდმივი კონფლიქტები. მიყვარხარ და მირჩევნია, ყოველ წუთს გასამეორებლად არ მქონდეს საქმე... ბოლომდე დავიცალოთ და მოვრჩეთ ამით.

ქეთი თავდახრილი იჯდა.

– კარგი... გეტყვი... ზოგჯერ ცოტას ვეჭვიანობ. არ მინდა, მაგრამ, ვეჭვიანობ. შენ ისეთი ყურადღებიანი აღარ ხარ ჩემ მიმართ, როგორც ადრე. სახლში რომ მოდიხარ, მე ზედაც არ მიყურებ...

– აბა, რას ამბობ? – გააწყვეტინა ვახომ და ცალი ხელი წელზე შემოხვია, მაგრამ, ქეთი არ დაჰყვა მის ალერსს:

– არა. რადგან გინდა, ყველაფერი ვთქვა, მოსმენა მოგიწევს... მოკლედ, ჩემთვის უკვე ნორმად იქცა, სანამ შენ – ჩემს ძვირფას მამაკაცს ისევ გძინავს, დილით ადრე ადგომა და ყველაფრის მოსწრება, დაწყებული საკუთარი თავის მოწესრიგებიდან, დამთავრებული საუზმითა და სადილით. იცი, როგორი შეგრძნება მაქვს? – როგორც ციყვს მბრუნავ ბორბალში. ვიცი, რომ სიყვარული – ეს არის ზრუნვა ერთმანეთზე... მაგრამ, ჩემზე რატომ არავინ ზრუნავს? ურთიერთობის მთელი ხიბლი ხომ ისაა, რომ ორივესთვის კომფორტული იყოს, – ქეთიმ შუბლზე მოისვა ხელი, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და განაგრძო: – სანამ შენი ცოლი გავხდებოდი, არ გიჭირდა ჩემთვის საღამოს პაემანი დაგენიშნა. მინიმუმ ოცი მესიჯი მოგეწერა დღის განმავლობაში და პატარ-პატარა სიურპრიზებით გაგენებივრებინე. ოღონდ, არ მითხრა, რომ ახლა გაცილებით მნიშვნელოვანი საზრუნავი გაქვს – და რომანტიკისთვის დრო აღარ გრჩება. სულელი არ ვარ, ბევრს ვფიქრობ, ძალიან ბევრს და ბოლოს ერთ დასკვნამდე მივედი: ზედმეტი სიყვარულითა და ერთგულებით მომაბეზრებელი ხდები... ტყუილად აქნევ თავს უარყოფის ნიშნად. მშვენივრად ხვდები, რომ ასეა. ისიც კარგად იცი, რომ შენი მოტანილი გამხმარი ფოთოლიც კი გამახარებს, მაგრამ, არ აკეთებ ამას. აღარ აკეთებ. რატომ? გაუგებარია. მე ეს მწყინს, წყენა ნელ-ნელა გროვდება და ვიწყებთ ერთმანეთის ნერვებზე თამაშს. გგონია, მომწონს, როცა გეშპილკავები? არანაირად. მაგრამ, რა ვქნა, თავს ვერ ვიკავებ. არადა, პრობლემის გადაჭრის უმარტივესი გზაა – საერთოდ არ შექმნა ის...

– ქეთი, მომისმინე. ის, რაც ბოლოს თქვი, სიმართლეა და ბოლომდე გეთანხმები, – ვახომ აცრემლებული ცოლი ჩაიხუტა, – კარგი ქენი, რომ ეს ყველაფერი მითხარი. იცი, რას გეტყვი? ნუღარ წამოხტები დილაუთენია, ჯანდაბას საუზმეც და სადილიც. ერთად

გავიღვიძოთ ხოლმე, ჩახუტებულებმა...

– სათქმელად ადვილია, – ამოიოხრა ქეთიმ, – რეალობაში არ გამოგვივა, დამიჯერე.

– ჩვენც, ვცადოთ, მოვსინჯოთ. ოღონდ, ამ სულელურ წვრილმანებზე ნუღარ ვიჩხუბებთ.

– კარგი, ნუღარ ვიჩხუბებთ. არც მე მინდა, – ბოლომდე მოლბა ქეთი, – ძალიან მიყვარხარ.

– მეც, მეც მიყვარხარ და მართლა ნერვები მეშლება – რის გამო ვჩხუბობთ... შეხედე, ვინ გაიღვიძა! – ვახომ საძინებლის შეღებული კარისკენ გაიშვირა ხელი, – უყურე, ლოგინიდან ჩამოსვლაც რომ მოახერხა... იყავი, მე მივხედავ. ჩავაცმევ და მერე ერთად ვჭამოთ... ქეთუშ, დამპირდი, რომ აღარ იეჭვიანებ. არ ვაპირებ თქვენს ღალატს, ასეთი რამ გუნებაშიც არასდროს გამივლია...

ქეთიმ თვალებში შეხედა ქმარს და გაუღიმა...

***

... მოკლედ, დროა, გავიხსენოთ, ვინ ვართ და საიდან მოვდივართ; რომ ვართ სუსტი, ნაზი და ჰაეროვანი არსებები... იქნებ, ამის მერე მაინც, ყველაფერი თავის ადგილას დადგეს... მამაკაცებმა ისევ იგრძნონ საკუთარი პერსონის მნიშვნელობა და სიძლიერე, ქალებმა კი ღირსების განცდით მიიღონ მათგან საქმენი საგმირონი... კიდევ – გვირილები და შოკოლადი... ახლა რა ხდება? ქალებმა სიმშვიდე და ნდობა დაკარგეს. იშვიათია ქალი, რომელსაც გვერდით საიმედო საყრდენი ჰყავდეს და ამიტომაც ვერ მშვიდდება. სულ შფოთავს და ნერვიულობს. აფორიაქებულია... გიყვარს ქმარი?! მაშინ, მთელი ცხოვრება კულისებში მოგიწევს ყოფნა. თუ რამეს მიაღწევს, დაფნის გვირგვინი შენ არ შეგხვდება. მაშ, რატომ უნდა გაილო მსხვერპლი და არ იფიქრო საკუთარ სიამოვნებაზე?! – საკმარისია, ეს შეკითხვა დაუსვა საკუთარ თავს, რომ პასუხიც აღარ არის საჭირო, მაშინვე შვებას იგრძნობ. ხოლო, თუ პრაქტიკაშიც განახორციელებ, კიდევ უკეთესი – ცხოვრება ისედაც ხანმოკლეა, რომ მასში უსიამოვნო სიურპრიზებს დაუთმო ადგილი. ამიტომ, ყოველთვის გახსოვდეს საკუთარი თავი...

***

ლიზამ ხმაურით დახურა კარი, თავის მაგიდასთან მივიდა და ზედ შემოჯდა. სახე ერთიანად უბრწყინავდა. ღრმა დეკოლტე მთელი სისრულით უჩენდა ლამაზ მკერდს. მოკლე კაბა მუხლებს ძლივს უფარავდა.

– არაჩვეულებრივ გუნებაზე ვარ და საშინლად არ მინდა მუშაობა. წავიდეთ რა, სადმე?! თქვენ გეუბნებით... დღეს ხომ ორშაბათია, არც იმდენი საქმე გვაქვს, როგორი სახეებითაც სხედხართ... დროზე მოიფიქრეთ, თორემ, მარტო წავალ და გავაფუჭებ რამეს.

მიხომ ალმაცერად გახედა ქალს:

– ჯერ ერთი, მაგიდიდან ჩამოდი და, მეორეც, – ცივი წყალი დალიე, ძალიან აჟიტირებული ხარ.

– მერე ეს ცუდია? აბა, შენსავით რომ ჩამომტიროდეს ცხვირ-პირი, გავგიჟდებოდი. სულ მაინტერესებს, როგორი ხარ, როცა ასეთი არ ხარ, – ლიზამ გადაიკისკისა, – მინდოდა მეთქვა, როგორი ხარ თავისუფალი და სტერეოტიპებისგან შორს, როცა პატარ-პატარა სიამოვნებებზე უარს არ ეუბნები საკუთარ თავს. თუ, არასდროს არ ხარ ასეთი?! მაშინ, მეცოდები... ნინიც არასოდეს გაგიღიმებს ისე, როგორც გიგის უღიმის...

– ლიზა, გაჩუმდი! – ვეღარ მოითმინა ნინიმ, – მოეშვი მიხოს, რას ერჩი? და, საერთოდაც, რა გჭირს დღეს?

– არაფერი, რა უნდა მჭირდეს? მშვენიერ გუნებაზე ვიყავი და მინდოდა, თქვენც გამემხიარულებინეთ. მაგრამ, ისე მიყურებთ, თითქოს რაღაც საშინელება ვიყო... ეჰ, იმუშავეთ, იმუშავეთ, თქვენგან მაინც არაფერი გამოვა... მე კი ისე მინდა, ვიყვირო, ვიხტუნო, ვიმღერო, ვიცეკვო, ბოლოს და ბოლოს.

– ლიზა, ხმას ნუ უწევ და დაწყნარდი. ამ ოფისში ჩვენ გარდა ორმოცი კაცი მაინც მუშაობს. რა გინდა, ყველა აქ შემოვიდეს ცირკის საყურებლად?!

– რატომაც არა, ზოგჯერ ცირკიც კარგია, – მხრები აიჩეჩა ლიზამ, – თორემ, საინტერესო არაფერი ხდება.

ნინიმ მკლავზე მოჰკიდა ხელი და თითქმის ძალით ჩამოიყვანა მაგიდიდან.

– წამოდი, აქვე კაფეში ყავა დავლიოთ და ვილაპარაკოთ. მინდა, რაღაც მოგიყვე.

ლიზამ ჩანთა აიღო და მიხოს ნიშნისმოგებით გაუცინა, მერე ენაც გამოუყო:

– ესეც შენ... მოგტაცე თუ არა?! ეს რა არის, გიგიც რომ მოგტაცებს, მერე უარესად იგრძნობ თავს, შე, მუდო, შენა...

ნინიმ კომპიუტერი გამორთო და ლიზას სახელოში მოქაჩა:

– წამოდი, წამოდი, სანამ ჩხუბი ატეხილა...

კაფეში თბილოდა. ლიზამ პალტო დაუდევრად მიაგდო სკამზე და ოფიციანტს ხელი დაუქნია.

– ორი შავი ყავა და ტირამისუ. ნინი, ცოტაც ხომ არ დაგველია?

– მე არ მინდა. საღამომდე ესკიზები მზად უნდა მქონდეს, მართლა ბევრი სამუშაო მაქვს. აბა, რისი მოყოლა გინდოდა?!

– გული უნდა გადაგიშალო...

ნინი შეიჭმუხნა:

– გულახდილად რომ გითხრა, არ მიყვარს და არც მინდა მოძღვრის როლში ყოფნა – არ არის ეს ჩემი სტილი...

– მოიცა, ნუ კომპლექსდები. შენ გენდობი და შემიძლია, გულახდილი ვიყო, ემოციებისგან დავიცალო. ვიცი, რომ გამიგებ და საყვედურებით არ ამიკლებ. თუმცა, ესეც არ არის პრობლემა.

– კარგი, მელაპარაკე, – ამოიოხრა ნინიმ.

ლიზამ გაიღიმა:

– ვიცი, რასაც ფიქრობ ჩემზე, მაგრამ, ისე მარტივადაც არ არის საქმე, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ყველას უდარდელი და ძალიან ბედნიერი ვგონივარ. მეც ხშირად მიკითხავს საკუთარი თავისთვის: „ბედნიერი ვარ? გამიმართლა ცხოვრებაში და როგორც მინდოდა, მართლაც ისე მაქვს ყველაფერი?“

– ვერ ვხვდები, რას გულისხმობ. განა ჩვენი ცხოვრება ჩვენს ხელში არ არის? რაც არ მოგვწონს, ყოველ წუთს შეგვიძლია, შევცვალოთ. თუ, სინდისი გაწუხებს, ქმარს რომ ატყუებ?

– არა, არა, სინდისი არაფერ შუაშია. უბრალოდ, ხომ უნდა არსებობდნენ ბედნიერი და ცხოვრებით კმაყოფილი ადამიანები, ლოგიკა ხომ ამას მოითხოვს?!

– შენ ეჭვობ, რომ მათ რიცხვში არ ხარ?

– არ ვიცი და პრობლემაც ამაშია. დავიმსახურე თუ არ დავიმსახურე ის სიკეთეები, რაც მაქვს, ნაკლებად საინტერესოა. ფაქტია, რომ მატერიალურად არ მიჭირს. მიჭირს კი არა, სხვებთან შედარებით ფუფუნებაშიც კი ვცხოვრობ, მაგრამ, სრული ბედნიერებისთვის ეს ნამდვილად არ არის საკმარისი. რაღაც მუდმივად მაკლია და ეს დეფიციტი დისკომფორტს მიქმნის.

– სიყვარულია, რაც გაკლია?

ლიზამ გაიცინა და ხელი ჩაიქნია:

– სიყვარულზე განსაკუთრებული წარმოდგენის არასდროს ვყოფილვარ – ამაზე ერთხელ უკვე გელაპარაკე... ისე, კარგად ვგრძნობ თავს იმ ბიჭთან...

– მართლა? ერთად ხართ?

– ნუ, ერთად ვართ – შეიძლება, პირობითად ასეც ითქვას. რამდენჯერმე ერთად ვიწექით... ოო, ფანტასტიკური იყო, მაგრამ...

– რა – „მაგრამ“... უკვე მოგბეზრდა? – ნინის ჩაეღიმა.

– ტყუილად იღიმები. შენი ირონია საერთოდაც უადგილოა.

– ჰო, ცუდად გამომივიდა... მოკლედ, რა ხდება, მითხარი.

– მგონი, ვუყვარდები საცოდავს და მეშინია... – ამოიოხრა ლიზამ...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



# შეგიძლიათ, დათმოთ?

*რამდენი ადამიანიცაა, იმდენივეა აზრი. ხშირად, საჭიროა, მოისმინოთ სხვისი პოზიციაც და ზოგჯერ კომპრომისზე წახვიდეთ. თქვენ ეს შეგიძლიათ?*

**1. სერიოზული საქმე გაქვთ. ამ დროს მეგობარი გირეკავთ და გთხოვთ, სასწრაფოდ მასთან მიხვიდეთ:**

ა) ვეტყვი, რომ ძალიან მოუცლელი ვარ;

ბ) ტელეფონით ვეცდები, გავარკვიო, რა პრობლემა აქვს;

გ) მივატოვებ ყველაფერს და მასთან წავალ.



**2. როდისმე დაგითმიათ თქვენი რიგი ბანკში, ექიმთან ან მაღაზიაში?**

ა) არავითარ შემთხვევაში;

ბ) თუ ორსულია ან ბავშვიანი;

გ) საკმაოდ ხშირად.

**3. როცა მეგობრები კაფეში მიდიხართ, ყოველთვის ახერხებთ, თქვენი სურვილის მიხედვით შეარჩიოთ ადგილი თუ სხვას უთმობთ ინიციატივას?**

ა) დიახ, ყოველთვის ვახერხებ;

ბ) ვცდილობ. თუ არ გამომდის, მარტო მივდივარ;

გ) ვთმობ. სადაც ყველა, იქაც – მე.

**4. სახლში ყველაფერს თქვენი ინიციატივით და გემოვნებით აკეთებთ თუ პარტნიორის, ოჯახის წევრების აზრს ითვალისწინებთ?**

ა) ჯერ ჩემს იდეებს ვაანალიზებ და მერე ვიღებ გადაწყვეტილებებს;

ბ) ყველას აზრს ვითვალისწინებ;

გ) ერთპიროვნული ლიდერი ვარ, არაფერს ვთმობ.

**5. ყოველთვის პირველი ითხოვთ პატიებას კონფლიქტის შემდეგ?**

ა) ყოველთვის ყველასთან ასე ვიქცევი;

ბ) გააჩნია, რა კონფლიქტი იყო;

გ) პატიებას არასდროს არ ვითხოვ.

**6. კონფლიქტურ სიტუაციაში მყოფი მეგობრები მოგმართავენ რჩევებისთვის?**

ა) იშვიათად. მხოლოდ წუწუნებენ ჩემთან;

ბ) ძალიან იშვიათად. რჩევებს ვიძლევი;

გ) ექსპერტი ვარ რჩევებში.

**7. ბაზარში შევაჭრება გიყვართ?**

ა) დიახ და ძალიან კარგი შევაჭრება ვიცი;

ბ) აბა, როგორ! მთელი ხიბლი ბაზრისა ამაშია;

გ) არა, ვერ ვიტან ვაჭრობას.

**8. შაბათ-კვირას დასვენება გინდოდათ, მაგრამ, მეგობრები გთხოვენ, მიხვიდეთ მათთან და დაეხმაროთ...**

ა) რამდენიმე საათით მივალ, აბა, რა ვქნა?!

ბ) ბოდიშს მოვუხდი და არ წავალ. უნდა დავისვენო;

გ) არ ვიცი, როგორ მოვიქცევი.

**9. ოჯახის ერთ-ერთ წევრს (მეუღლეს) სამსახურში პრობლემა აქვს, ამიტომ, სახლში სულ ყვირის, ცუდ გუნებაზეა. როგორ იქცევით?**

ა) ჩუმად ვითმენ;

ბ) ვცდილობ, გავამხნევო, დაველაპარაკო;

გ) ვბრაზობ. მე რა დავაშავე?

**10. ხშირად გადაგირთავთ ტელევიზორი იმ არხზე, რომელიც თქვენი ოჯახის წევრებს არ უნდათ?**

ა) სულ ასეა;

ბ) უფრო მოვითხოვ, ჩემი ინტერესი დაკმაყოფილდეს;

გ) საკმაოდ ხშირად, თუ ნერვები მყოფნის.

### ტესტის გასაღები

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | 1 | 1 | 3 | 5 | 5 | 3 | 3 | 3 | 5 | 5 |
| ბ | 5 | 3 | 1 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 3 | 1 |
| გ | 3 | 5 | 5 | 1 | 1 | 3 | 5 | 5 | 1 | 3 |

### ნახეთ შედეგები

*10-23 ქულა: მზად არ ხართ, რამე დათმოთ. ერთი მხრივ, ასეთი სიმტკიცე კარგია, მაგრამ მეორე მხრივ, „რთული ადამიანის“ რეპუტაციას მოიხვეჭთ. თუ აფასებთ ახლობლებს, ერთხელ მაინც დათმეთ მათ სასარგებლოდ.*

*24-37 ქულა: კომპრომისის ხელოვნებას დიპლომატიურად ფლობთ. ადვილად პოულობთ გამოსავალს კონფლიქტური სიტუაციებიდან. ამიტომაც ხშირად გთხოვენ რჩევებს.*

*38-50 ქულა: თქვენ საკუთარი აზრი არ გაგაჩნიათ. თმობთ ყოველთვის, ყველაფერს და ყველასთან. თავი არ გეცოდებათ?!*

### გენიალურობა უბრალოებაშია

ამ უბრალო გამოგონებებმა კარდინალურად შეცვალა ჩვენი ცხოვრება.

კაპრონის წინდები – ქალის ფეხების ამ „უწყინარ“ სამოსს ნებისმიერი მამაკაცი გადაჰყავს ჭკუიდან. აღარავის ახსოვს, რომ თავიდან უილიამ ლიმ გამოიგონა საქსოვი დაზგა და, წინდებმა, რომლებიც მანამდე მხოლოდ შალის ძაფით იქსოვებოდა, მთლიანად იცვალა სახე. აბრეშუმის ნაზმა ქმნილებამ მაშინვე მოხიბლა სუსტი სქესი და სწრაფად გადაინაცვლა მათ გარდერობში.



28 მარტი სარეცხი მანქანის დაბადების დღედ არის მიჩნეული. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ, პატენტი პირველ სარეცხ მანქანაზე ჯერ კიდევ 1797 წელს არის გაცემული. გამოგონება ეკუთვნის ამერიკელ ნათანიელ ბრისს. მერე რა, რომ მისი სარეცხი მანქანა საერთოდ არ ჰგავს თანამედროვე აპარატებს. ქალბატონებმა ნათანიელს მაინც მადლობა უნდა უთხრან.

სარეცხი მანქანის შემდეგ, პოპულარობით მეორე ადგილზეა მტვერსასრუტი. კაცობრიობის ისტორიაში პირველი მტვერსასრუტი გამოიგონეს ამერიკაში, აიოვას შტატში. მისი ავტორია ვინმე დენიელ ჰესი. 1660 წლის 10 ივლისს მან თავისი გამოგონება საზოგადოების ფართო მასებს გააცნო როგორც „ხალიჩების მწმენდავი.“ მასობრივ წარმოებაში აპარატი მხოლოდ 8 წლის მერე გაუშვეს.

რეზინის ლენტები – დღეს ეს აღარავის უკვირს. ამ ლენტებით ვკრავთ ფულის დასტებს, თმას, ქაღალდს. იყო დრო, როცა მათ ნამდვილი ფურორი მოახდინეს. გამოგონების ავტორია ვინმე სტივენ პერი. 1845 წლის 17 მარტს უბრალო ინგლისელმა კაცმა დააპატენტა თავისი წარმოება ვულკანიზებულ რეზინზე. მას ის წამლის ბოთლებზე თავსახურის დასამაგრებლად სჭირდებოდა.

საკანცელარიო სამაგრი („სკრეპი“) – სანამ მას გამოიგონებდნენ, ქაღალდებს ძაფით აკერებდნენ ერთმანეთზე. ხომ წარმოგიდგენიათ, რამდენი დრო მიდიოდა ამაში. 1887 წელს ფილადელფიის მცხოვრებმა ელიზაბეტ მიდლტონმა ამ საქმისთვის ფოლადის მავთული გამოიყენა, მაგრამ, კიდევ თორმეტი წელი გახდა საჭირო, რომ ნორვეგიელ იოჰან ვალესს ამ მავთულისგან „სკრეპი“ მოეხვია.

ერთჯერადი ჩაის ქაღალდის ტომსიკა – მოვაჭრე ტომას სალივანს მხოლოდ და მხოლოდ ფულის დაზოგვა უნდოდა. 1904 წელს მან თავის ხელქვეითებს უბრძანა, ჩაი არა რკინის ქილებში, არამედ, აბრეშუმის ტომსიკებში შეეფუთათ – ასე წონაშიც დაიკლებდა და გადასატანადაც ადვილი იქნებოდა. ანუ, ვერც კი მიხვდა, როგორ შეეწყო ხელი სასარგებლო გამოგონებას.

საწრუპი ჩხირი – წარმოუდგენელია კოქტეილი ამ მარტივი ხელსაწყოს გარეშე. ვის უნდა ვუმადლოდეთ კომფორტსა და სიამოვნებას? სიგარეტის მუნდშტუკების დამამზადებელი ფაბრიკის მფლობელმა მარვინ სტოუნმა 1888 წელს კალამს გარშემო შემოახვია ქაღალდის ფურცელი, დააწება და ისე დალია თავისი კოქტეილი. ერთ წელიწადში კი კოქტეილის ჩხირებს წარმოებამ უზარმაზარი მოგება მოუტანა.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

ძველი კვარტალი თითქმის არ შეცვლილა. ჩარლი დაგერი კუბოში იწვა. სქელი მაკიაჟი და ბოლომდე შეკრული პერანგის საყელო ნაიარევს უფარავდა – გრიმიორს კარგად უმუშავია. მაგრამ ის მაინც მკვდარი იყო... მკვდარზე უფრო მკვდარი...

– კარგი ქენი, რომ მოხვედი, – უთხრა ლოსმა, – ძველი მეგობრები იყავით, რაც უნდა იყოს.

– ჰო, იციან, ვინ მოკლა? – ჰკითხა კურტმა და ფანჯარასთან დაიკავა ადგილი.

ლოსმა მხრები აიჩეჩა.

– ასე ადვილია? ეს კვარტალი ისევ ყაჩაღების სათარეშოა. ჩარლის ხომ მაღაზიები ჰქონდა. შეიძლება, ვილაც ფულს აწერდა. მოკლედ, ზუსტად არავინ არაფერი იცის. შენ აღგიდგინეს ლიცენზია?

– არა და არც აპირებენ.

– აფსუს, კარგი დეტექტივი იყავი. მაგრამ „ის" მოსაკლავი ნამდვილად იყო. მაინც ვისთან გიღალატა, არ იტყვი?

– არ ვიცი, – კურტ კენონი უსიამოვნოდ შეიჭმუხნა. არ სიამოვნებდა ყოფილ ცოლზე – ტინაზე ლაპარაკი. ქალმა ქორწინებიდან სამი თვის თავზე გაიჩინა საყვარელი და რქები დაადგა... მოკვლა მაინც არ უნდოდა, მაგრამ ცემისას ქალმა წინააღმდეგობა გაუწია, ხელიდან გაუსხლტა და მეთვრამეტე სართულის ფანჯრიდან გადახტა. კურტი არ დაუჭერიათ, მაგრამ კერძო დეტექტივის ლიცენზია ჩამოართვეს და უმუშევარი დატოვეს.

– ისიც უნდა იპოვო და მოკლა, – ფიქრიდან ლოსის ხმამ გამოარკვია, შეხედა და თავი გააქნია.

– არ ვიცი, ვინ არის და სიმართლე გითხრა, აღარც მაინტერესებს, ცხოვრება ძალიან ხანმოკლეა. თუ არ გჯერა, ჩარლის შეხედე, – კურტმა ლოსს მხარზე დაარტყა ხელი. მერე მისკენ მომავალი ჩარლის დედა დაინახა, მიუსამძიმრა და გარეთ გამოვიდა... ძველ კვარტალში მართლაც არაფერი შეცვლილიყო. ისევ ის მაღაზიები და პატარა, სავაჭრო ჯიხურები... უბრალოდ, ახლა აქ სხვა პატარა ბიჭები დარბოდნენ. კურტს უცებ ძალიან მოუნდა ფუნთუშა კრემით. თითქოს თავისმა ბავშვობამ უხმო.

– „პელი-მელი" – წარმოთქვა მან და სანდომიან ყმაწვილს დახლზე რამდენიმე მონეტა დაუდო. მოულოდნელად ზურგს უკან ქალის ხმა მოესმა.

– კურტ!

ეს კიტი იყო – პატარა კიტი, ამ საფუნთუშის მეპატრონის ქალიშვილი. ბოლოს რომ ნახა, გაწეწილი და ფეხშიშველი დარბოდა. ძველი კიტისგან მხოლოდ თვალები და ღიმილი დარჩენილიყო. კურტმა აღფრთოვანებული მზერა ვერ მოაშორა მის აშოლტილ ტანს, თხელ სვიტერში გამოკვეთილ მკერდს და გაბუსხულ, თითქოს საკოცნელად გამობურცულ ტუჩებს...

– კიტ, კიტ დონელ... ეს ხომ შენ ხარ?

ქალიშვილმა გაუღიმა, მასთან მივიდა და მკლავზე მოკიდა ხელი.

– საქმე მაქვს შენთან. აქვე, ახლოს, პატარა ბარია. იქ დავსხდეთ.

– შესანიშნავია. სწორედ ის არის, რაც მჭირდებოდა.

ბარში ნახევრად ბნელოდა... კურტმა ორი არაყი აიღო ლიმონით, კიტისთვის კი – წვენიც.

– არაჩვეულებრივად გამოიყურები, – უთხრა ქალიშვილს, როცა მაგიდას მიუჯდა.

– შენც. თუმცა, ახლა სერიოზული პრობლემები მაქვს. იცი, ჩარლი ვინ მოკლა?

# მტკივნეული დარტყმა

## ელ მაკბეინი

კურტი დაიძაბა.

– შენ იცი?

– ეჭვი მაქვს, სერიოზული ეჭვი და ძალიან ვდარდობ.

– ჩარლიზე დარდობ, კიტი? – კურტმა აღფრთოვანებული მზერით „დაასაჩუქრა" ქალიშვილი.

– არა. ჩარლის არაფერი ეშველება. ვშიშობ, ამჯერად მამაჩემის ჯერიც დადგება. ო, კურტ, დამეხმარე. ამას ვერ გადავიტან. მამაჩემი რომ მოკლან, სულ მარტო დავრჩები.

– კიტი, მითხარი, რა უნდა გავაკეთო. მე ლიცენზია აღარ მაქვს. მუშაობა ამიკრძალეს. ძალიანაც მინდა, მაგრამ ჩარლის ამბავსაც კი ვერ გამოვიძიებ.

– კურტ, გემუდარები. ყველაფერზე თანახმა ვარ. რასაც მთხოვ, მოგცემ, ოღონდ მამა გადამირჩინე. ექვსი თვის წინ ჩვენს კვარტალში ვიღაც ტიპი გამოჩნდა და ადგილობრივი მოვაჭრეების, მედუქნეების „რეკეტი" დაიწყო. ოთხი-ხუთი თანამზრახველი ჰყავს და დათარეშობენ. ჩარლიმ უარი თქვა, მათთვის ფულის გადახდაზე და ვეჭვობ, ყელი ამიტომაც გამოჭრეს. ახლა მამაჩემსაც მოადგნენ. მამაჩემი გახსოვს? ისეთი ტიპია, არ გადაიხდის და მომიკლავენ. კურტ, შენს იქით გზა არ მაქვს... – უცებ ქალიშვილი გაფითრდა და კაცს მკლავში ფრჩხილები ჩაასო.

– ღმერთო, ეს ის არის...

კურტმა ბარისკენ გაიხედა და აქლემის ბეწვის პალტოში გამოწყობილი ტიპი დაინახა. სახეზე თავხედური ღიმილი დასთამაშებდა და თავი ისე ეჭირა, თითქოს იქაურობის პატრონი იყო. ბარმენმა ვისკი დაუსხა. მან მოზრდილი ყლუპი მოსვა და ბარი მოათვალიერა. კიტიზე შეაჩერა მზერა... ისე ათვალიერებდა, თითქოს აშიშვლებდა მზერით, თან პირს აწკლაპუნებდა. კურტი დაიძაბა. ადგა და იმ უტიფარი მამაკაცისკენ გაემართა. კიტიმ სახელოში მოქაჩა.

– არ გინდა, კურტ, ძალიან გთხოვ. ის საშიშია, ძალიან საშიში, – მაგრამ კურტმა ფრთხილად გააშვებინა ხელი და დახლთან მივიდა.

– შენ, ეი, რატომ უყურებ ჩემს გოგოს? – დაუყვირა მრისხანედ. ტიპმა ირონიულად შეხედა, როგორც ჭიანჭველას.

– ვინ გეკითხება, მათხოვარო? ვისაც მინდა იმას შევხედავ. ენა ჩაიგდე და ბოდიში მოიხადე უხეშობისთვის.

კურტმა ხმამაღლა გაიცინა. ვისკიან ჭიქას ხელი სტაცა და შიგ ჩარჩენილი სითხე სახეში შეასხა. კიტმა იკივლა. ტიპმა მარჯვენა ხელი ჯიბეში ჩაიყო. კურტი მაშინვე მიხვდა, რისთვისაც. გამობერილი პალტოს ჯიბე ადრევე შენიშნა... არც შემცდარა. ინტუიცია არასოდეს ღალატობდა... წამში „38 კალიბრიანის" ბუთხუზა ლულა სახესთან ჰქონდა... კიტიმ ისევ იკივლა... კურტმა ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს გაქცევას აპირებდა და ამით ოდნავ მოადუნა რევოლვერიანის ყურადღება, თვალის დახამხამებაში მაჯაში სწვდა და გადაუგრიხა. ძვლებმა ყრუდ დაიღრჭიალა. ტიპმა ტკივილისგან დაიღმუვლა და დაბუჟებული თითები გახსნა. რევოლვერი იატაკზე გასრიალდა. კურტმა იარაღს ფეხი ჰკრა და ბარის შორეულ კუთხეში მიაგდო. თან, ხელს სულ უფრო მაგრად უჭერდა, სანამ ძვლების გადატეხის ხმა არ გაისმა. მერე მკლავი საპირისპირო მიმართულებით გადაუტრიალა. ტიპმა არაადამიანურად იბღავლა, იატაკზე ჩაიჩოქა და სახე გაუნაცრისფერდა. კურტმა ხელი გაუშვა... მოტეხილი მკლავი ჩვარივით ჩამოუვარდა. კურტი ქეჩოში სწვდა ულონო მსხვერპლს და ბარიდან გარეთ გამოათრია. მიიხედ-მოიხედა, კუთხეში პოლიციელი შენიშნა და გეზი იქით აიღო... პოლიციელი გაოგნებული მიაშტერდა უცნაურ წყვილს.

– ჩაიბარეთ. ხელი მე მოვტეხე. ქალის გამო ვიჩხუბეთ. ადგილობრივი ბანდის მეთაურია... მე კურტ კენონი ვარ, ყოფილი კერძო დეტექტივი. მაგრამ, მთავარი ის არის, რომ ამ ტიპმა ჩარლი დაგერი მოკლა. ყელი გამოსჭრა. მკვლელობის იარაღი ჯიბეში უდევს... წაიყვანეთ განყოფილებაში და თუ ჩემთან დამატებით რამე კითხვა გაგიჩნდებათ, მზად ვარ. ჩემი პოვნა არ გაგიჭირდებათ...

– კურტ, საყვარელო, როგორი მადლობელი ვარ შენი... – კიტი კისერზე ჩამოეკიდა გადამრჩენს. კურტმა მკერდზე ქალის თბილი სხეულის შეხება იგრძნო და ერთიანად აცახცახდა. არა, ამ ახალი ურთიერთობისთვის მზად არ იყო. ქალიშვილის მკლავები ფრთხილად მოიშორა და ყრუდ ჩაილაპარაკა:

– ნახვამდის, კიტი, როგორმე შემოგივლი. მადლობას კი, ნუ მიხდი. მე ჩემი მეგობრული ვალი მოვიხადე.

ერთი საათის შემდეგ კურტი უკაცრიელ პარკში იჯდა და ბოთლიდან ჯინს წრუპავდა. ყველაფერი შესანიშნავად აეწყო. კარგი ქნა, რომ ჩარლის სამძიმარზე წავიდა. ეს ერთგვარი ალიბიც კი იყო. თან, როგორ გაუმართლა, კიტი რომ შეხვდა, თავისი პრობლემებით?! ახლა იმ ტიპს ჩარლის მკვლელობისთვის გაასამართლებენ... მისთვის ჯიბეში დანის ჩადება შეუმჩნევლად მოახერხა, როცა მაჯას უმსხვრევდა... ეჰ, ჩარლი, ჩარლი, რატომ არ იფიქრე, რომ კერძო დეტექტივის ცოლთან საქმე არ უნდა დაგეჭირა... მით უფრო, როცა ის დეტექტივი შენი ბავშვობის მეგობარი იყო...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



# მკვდარი ვერსია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №7-17(643)

ნანამ ფრთხილად შეაღო საძინებლის კარი და ნიკას დააკვირდა. მას თვალები დახუჭული ჰქონდა და ღრმად, უშფოთველად ეძინა. ნანამ უხმაუროდ გაიხურა კარი, რამდენიმე წუთში კი ისევ დაბრუნდა ოთახში, საწოლის გვერდით, ტუმბოზე, ფინჯანი ყავა დადგა და იქვე სკამზე ჩამოჯდა. ყავის სურნელმა მალე შეუღიტინა ნიკას ყნოსვას, ან, ჯერ ისევ მძინარემ ნანას მზერა იგრძნო. ასე იყო თუ ისე, მან თვალები გაახილა. ჯერ ნანას გახედა და შემდეგ ორთქლადენილ ფინჯანზე გადაიტანა მზერა.

– დილა მშვიდობისა, – მიესალმა ნანა.

– დილა მშვიდობისა... როგორ მიხვდი, რომ ფინჯანი ყავით ვიწყებ დღეს? – თქვა ნიკამ.

– ეს არც ისე რთული იყო, – გაუღიმა ნანამ, – რით უნდა ისაუზმოს ადამიანმა, რომელსაც სამზარეულოში ცარიელი მაცივარი უდგას, კარადაში კი მხოლოდ ყავას ინახავს?

– გამომძიებელივით მსჯელობ. თუ ასე კარგად ერკვევი დედუქციაში, მე რისთვის გჭირდები, იქნებ, შენ თვითონ გამოგეძიებინა ეს საქმე? – ჩაიცინა ნიკამ.

– არა, – თავი გაიქნია ნანამ, – როგორც არ უნდა იყოს, მე მაინც მოყვარულად ვრჩები, გამოძიება ნამდვილი პროფესიონალის საქმეა.

– აღიარებისთვის მადლობას გიხდი.

– ყავა დალიე, თორემ, გაცივდება, – უპასუხა ნანამ.

ნიკა წამოიწია, რომ ფინჯანს მისწვდომოდა. ამოძრავებისას წინა საღამოს მიღებულმა ტრავმამ შეახსენა თავი, მკერდში ყრუ ტკივილმა დაურბინა და მდორედ მოედო მთელ სხეულს. ნიკამ თავი მიანება ფინჯანს და ფრთხილად დაეშვა ბალიშზე.

– რა მოგივიდა? – ნანას არ გამოჰპარვია მისი შეჭმუხნული შუბლი.

– მკერდი მტკივა და სუნთქვა მეკვრის.

– რატომ?

– გუშინ ცხენიდან ჩამოვვარდი, – უპასუხა ნიკამ.

ნანა ადგა, საწოლს მიუახლოვდა და საბანი ფრთხილად გადასწია გვერდზე. ნიკას მკერდზე მოზრდილი სისხლჩაქცევის ლაქა გამოჩნდა, რომელიც გვერდამდე ჩასდევდა.

– ღმერთო... ეს რა საშინელებაა! – უნებლიეთ აღმოხდა ნანას.

– საშიში არაფერია. ექიმმა მითხრა, რომ მხოლოდ დაჟეჟილობაა, – ნიკამ მკერდზე გადაიფარა საბანი.

– გუშინ ეს იგულისხმე, მძიმე დღე მქონდაო?

– ჰო.

– და, ამიტომაც გამოიყურებოდი დაღლილი?

– რა თქმა უნდა.

– მე კი მეგონა, რომ ნასვამი იყავი, – ყრუდ ჩაილაპარაკა ნანამ, – და ამიტომაც არ მინდოდა, გამოგყოლოდი.

– მგონი, ექიმთან წასვლა მომიწევს, – მკერდზე მოისვა ხელი ნიკამ.

– ახლა არ თქვი, ექიმთან ვიყავიო? – გაუკვირდა ნანას.

– ის იპოდრომის ექიმი იყო და მხოლოდ პირველი დახმარება გამიწია. მან მირჩია, თავის დასაზღვევად რენტგენი გაიკეთეო.

– მეც გამოგყვები, – სწრაფად თქვა ნანამ.

– იქნებ, აქ... – წამოიწყო ნიკამ, მაგრამ, სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო – სწორედ ამ დროს მისმა მობილურმა დარეკა.

ნიკა ტელეფონს გადასწვდა. ეკრანზე დოდოს ნომერი ციმციმებდა.

– გისმენ...

– ხომ არ გაგაღვიძე? – ჰკითხა დოდომ.

– არა... არ მეძინა, – უპასუხა ნიკამ.

– ღამით ძლივს შევიკავე თავი. გამიჭირდა, მაგრამ, მაინც არ დაგირეკე, მინდოდა, დაგესვენა. გუშინდელისთვის ბოდიში უნდა მოგიხადო, – განაგრძო დოდომ.

– ბოდიში? – გაუკვირდა ნიკას, – რისთვის?

– ავღელდი და, ალბათ, გაწყენინე. მაგრამ, შენც უნდა გამიგო – მართლა ძალიან მინდოდა, რომ ჩემთან დარჩენილიყავი, – თქვა დოდომ.

– მოდი, დავივიწყოთ ის დღე. ჩავთვალოთ, რომ არაფერი მომხდარა.

– დავივიწყოთ... – დაეთანხმა დოდო, – ახლა როგორ ხარ, გიშველა თბილმა აბაზანამ?

– ვერა... მკერდი ისევ მტკივა და სუნთქვაც მიჭირს. ექიმთან ვაპირებ წასვლას.

– დამელოდე, ნახევარ საათში შენთან ვიქნები და ექიმთან გამოგყვები, – სწრაფად თქვა დოდომ.

– არ გინდა.

– არა, არა, აუცილებლად მოვალ, – გაიმეორა დოდომ.

– დოდო, მე მარტო არ ვარ.

– ვინ არის შენთან?

– ნანა...

– ის ქალი, ვის გამოც მიმატოვე გუშინ? – ხმა გაებზარა დოდოს.

– ჰო, – უპასუხა ნიკამ.

– ის ღამით შენთან იყო?

– ასე იყო საჭირო.

– იცი, რას გეტყვი? იქნებ, კარგად დაფიქრდე და გადაწყვიტო, ვისთან გსურს ყოფნა? გთხოვ, ნუ დაამსგავსებ ჩვენს ურთიერთობას მექსიკურ სერიალს! – უკმაყოფილოდ თქვა დოდომ.

– ეგ რა შუაშია? – იწყინა ნიკამ.

– რა შუაშია?! – გაიკვირვა დოდომ, – შენ თვითონ მითხარი: რა უნდა ვიფიქრო მამაკაცზე, რომელმაც გუშინ მარტო დამტოვა, რომ სხვა ქალთან გაეტარებინა ღამე?! ოღონდ, ჰოლივუდური ფრაზით ნუ მიპასუხებ: „ეს ის არ არის, რაზეც შენ ფიქრობ, ძვირფასო!“

– სწორედ მაგის თქმას ვაპირებდი.

– ასეთ განმარტებას ვერ მივიღებ, რამე უკეთესის მოფიქრება მოგიწევს... მაპატიე, ალბათ, არ ხარ ასეთი საუბრის ხასიათზე, – სწრაფად თქვა დოდომ და ტელეფონი გათიშა.

ნიკამ უკმაყოფილოდ მიაგდო ტუმბოზე მობილური და საფეთქლები მოისრისა.

ნანა, რომელსაც დოდოს ყოველი სიტყვა ესმოდა, მცირე ხანი თავდახრილი იჯდა, შემდეგ ადგა და კარისკენ წავიდა.

– ნანა!.. – სწრაფად დაადევნა ნიკამ.

ქალი შემობრუნდა.

– სად მიდიხარ?

– აქ მოსვლით დიდი შეცდომა დავუშვი, – ყრუდ ჩაილაპარაკა ნანამ, – საქმე საქმეა, მაგრამ შენ შენი ცხოვრება გაქვს, მე – ჩემი. არ მინდა, ჩემ გამო რამე უხერხულობა შეგექმნას.

– შენ სწორად ვერ გაიგე, – აჩქარდა ნიკა.

– რა ვერ გავიგე სწორად?

– შენი აქ ყოფნა არანაირ უხერხულობას არ მიქმნის.

– მაშ ეს რა იყო? – მობილურზე მიანიშნა ნანამ.

– დოდო... მოკლედ, გუშინ შენთან რომ მოვსულიყავი, მისი მარტო დატოვება მომიხდა, – უხალისოდ ჩაილაპარაკა ნიკამ.

– ეს აღარ განმეორდება. მე უკვე ველაპარაკე ჩემს ერთ-ერთ მეგობარს, დღესვე მასთან გადავალ საცხოვრებლად.

– ჩემი თან წაყვანა მოგიწევს. მაგრამ, მოდი, ამაზე ექიმისგან რომ დავბრუნდებით, მერე ვილაპარაკოთ.

– დავბრუნდებით? – გამომცდელად შეხედა ნანამ, – წეღან მომეჩვენა, რომ სახლში დატოვებას მიპირებდი.

– წეღან მართლაც ასე ვფიქრობდი, მაგრამ, ახლა აღარ დაგტოვებ, – უპასუხა ნიკამ.

– რატომ?.. რა შეიცვალა ამ რამდენიმე წუთში?

– მეშინია, რომ უკან დაბრუნებულს აქ აღარ დამხვდები.

ნანა შეკრთა. ნიკამ სწორედ ის უთხრა, რაზეც იმ წუთებში ფიქრობდა.

– მართალი ვარ თუ არა?

– მართალი ხარ, აქ აღარ დაგხვდებოდი, – გულწრფელად უპასუხა ნანამ.

– ასეთი გულგრილი არ მეგონე, – ჩაილაპარაკა ნიკამ.

– გულგრილი? – გაუკვირდა ნანას, – რატომ?

– გულგრილობად არ გეჩვენება ჩემი ასეთ მდგომარეობაში მიტოვება?

– კარგი, გამოგყვები ექიმთან, – ღიმილით თქვა ნანამ და ოთახიდან გავიდა, რათა ნიკასთვის ჩაცმის საშუალება მიეცა.





* * *

ზურაბისთვის დღე უსიამოვნო საუბრით დაიწყო. ის უკვე თათბირისთვის ემზადებოდა, როდესაც სამმართველოს უფროსმა თავისთან გამოიძახა და შეწყვეტილ გამოძიებაზე ჩამოუგდო სიტყვა.

– სირაძისა და ნინუას საქმეებს გულისხმობ? – ჰკითხა ზურაბმა.

– რა, ამ ბოლო ხანებში სხვა საქმის ძიებაც შევწყვიტეთ?! – გაღიზიანდა სამმართველოს უფროსი.

– მაინც, რა გაინტერესებს?

– არაფერი, ჩემთვის ყველა საკითხი გარკვეულია, მაგრამ, როგორც ვხედავ, შენ გაინტერესებს რაღაც, – უკმაყოფილოდ განაგრძო სამმართველოს უფროსმა.

– ვერაფერს ვხვდები, – გაოცებით თქვა ზურაბმა.

– ჩემთვის ცნობილია, რომ ნანა სირაძე უკმაყოფილო დარჩა გამოძიების შედეგებით და კერძო დეტექტივი დაიქირავა. რა თქმა უნდა, ეს კანონმდებლობით არ არის აკრძალული. ქალბატონ სირაძეს სრული უფლება აქვს, თავისი შეხედულებისამებრ მოაგვაროს მისთვის საჭირბოროტო საკითხები, მაგრამ, მე არ დავუშვებ ამ საქმეში ჩემი თანამშრომლების უშუალო მონაწილეობას! – მკაცრად თქვა სამმართველოს უფროსმა.

– ისევ ვერაფერს ვხვდები. ვინ მონაწილეობს ჩვენი თანამშრომლებიდან ამ საქმის გამოძიებაში?

– შენ!

– მე?!

– თუ ძმა ხარ, ზურაბ. არ დამიწყო ლაილაი. მე ზუსტად ვიცი, რომ სირაძის კერძო დეტექტივს, ნიკა გურულს, შენ ეხმარები გამოძიებაში. უფრო სწორად, კი არ ეხმარები, ის უშუალოდ შენს მითითებებსა და რეკომენდაციებს ასრულებს. ამ საქმეში ჩართულია კრიმინალისტების ხელმძღვანელი გურამ ბრეგვაძეც. არ დაგიმალავ, მართლაც გაოცებული ვარ შენი და გურამის უპასუხისმგებლობით. რა გაქვთ საერთო გურულთან – პიროვნებასთან, რომელიც თანამდებობასთან შეუთავსებლობის გამო გაათავისუფლეს სამსახურიდან? ის ხომ წმინდა წყლის ავანტიურისტია!

– ნიკა მართლაც იყო ჩემთან მოსული. მას, როგორც დეტექტივს, საქმის გარკვეული დეტალები აინტერესებდა, – უპასუხა ზურაბმა, – გარდა ამისა, ის ჩემი აღზრდილია, ჩემი რჩევით დაიწყო მუშაობა საგამოძიებო სამსახურში და მე ნებისმიერ შემთხვევაში დავეხმარები.

– სწორედ ამას ვგულისხმობ, როდესაც ვამბობ, რომ არ დავუშვებ ჩემი თანამშრომლების ამ საქმეში მონაწილეობას-მეთქი! – ხმას აუწია სამმართველოს უფროსმა. მე გავეცანი საქმის მასალებს. არ ვიცი, რა მოტივებით ხელმძღვანელობს ქალბატონი სირაძე, მაგრამ, პირადად ჩემთვის, საქმესთან მიმართებაში ყველა საკითხი გარკვეულია. მე მთლიანად ვეთანხმები პროკურატურის პოზიციას და მიმაჩნია, რომ ძიების გაგრძელების საჭიროება აღარ არსებობს. რაც შეგეხება შენ, იმისთვის არ დაგნიშნეს თანამდებობაზე, რომ ეჭვებით შეპყრობილი ქალის ხუშტურები დააკმაყოფილო. მას შეუძლია, თუნდაც საქართველოს ყველა კერძო დეტექტივი დაიქირავოს – ეს მისი პირადი საქმეა, მაგრამ, შენ ამ საქმეში არანაირი ფორმით აღარ მიიღებ მონაწილეობას. პირდაპირ გეტყვი, ზურაბ – ეს ბოლო გაფრთხილებაა. გურულთან ურთიერთობის გაგრძელებას თუ აპირებ, გირჩევნია, შენით დაწერო განცხადება სამსახურიდან წასვლის თაობაზე... გასაგებად გითხარი ყველაფერი?

– არ მეგონა, რუხაძეს ასეთი გავლენა თუ ჰქონდა, – მშვიდად ჩაილაპარაკა ზურაბმა.

– რა შუაშია რუხაძე? – მოიღრუბლა სამმართველოს უფროსი.

– შენ რა, იმის თქმა გინდა, რომ თავად გეწვია ასეთი ორიგინალური იდეა? – დამცინავად ჰკითხა ზურაბმა.

– მე მგონი, დაგავიწყდა ვის კაბინეტში იმყოფები!

– მაშინ, ერთ კითხვაზე მიპასუხე: როგორ მოიქცევი იმ შემთხვევაში, თუ ნიკა გურული ისეთ მონაცემებს წარმოადგენს, რომლებიც პირდაპირ დააყენებს ძიების განახლების საკითხს? – ჰკითხა ზურაბმა.

– რა მონაცემებზეა საუბარი? – სწრაფად ჰკითხა სამმართველოს უფროსმა.

– არ ვიცი. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ნიკა აქ ხელცარიელი არ მოვა.

– რა ქარაგმებით მელაპარაკები, – გაღიზიანდა სამმართველოს უფროსი, – შენ კარგად იცი, რომ საქმის ძიების განახლების საკითხი პროკურატურამ უნდა გადაწყვიტოს.

– ვიცი, მაგრამ, პროკურატურა გადაწყვეტილებას შენი აზრის გათვალისწინებით მიიღებს!

– მოდი, ნუ გადავასწრებთ მოვლენებს. თუ გურული მართლაც საინტერესო მონაცემებს მოიპოვებს, მე თავად მივმართავ პროკურატურას ძიების განახლების მოთხოვნით. მაგრამ, მეეჭვება, რომ ეს მოხდეს. რუხაძემ შესანიშნავი შეფასება მისცა შენი და გურულის მოსაზრებებს იდუმალი სუპერმკვლელის არსებობის შესახებ: ეს მკვდარი ვერსიაა, ზურაბ. თავიდან ამოიგდე ამაზე ფიქრი და საქმეს მიხედე. შევთანხმდით?

ზურაბი მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ ცივად მოუჭრა:

– ვერა!.. ვისარგებლებ შენი განმარტებით და იმავე სახით გიპასუხებ: მე რუხაძის ხუშტურების აღსასრულებლად არ დავუნიშნივარ თანამდებობაზე. ჩემი საქმე მკვლელის საბრალდებო სკამზე დასმაა. აქედან გამომდინარე, არც ამ საქმეს შევეშვები, არც გურულთან ურთიერთობას შევწყვეტ და, იმის იმედიც ნუ გექნება, რომ მე თვითონ დავწერ განცხადებას სამსახურიდან წასვლის შესახებ. შეგიძლია, შენი ბრძანებით დამითხოვო, მაგრამ, მანამდე კარგად დაფიქრდი, რას მიუთითებ მიზეზად!

* * *

თავის კაბინეტში დაბრუნებისთანავე ზურაბი სავარძელში მოეწყო და ფიქრს მიეცა:

„რუხაძე არ ისვენებს. ჩანს, არ მოსწონს ნიკას ამ საქმეში ჩართვა. კარგად იცნობს მის ჯიუტ ხასიათს და ეშინია, რომ საქმეში რაიმე ისეთი არ ამოაგდოს, რაც აშკარას გახდის მის სიბრიყვეს. ყველა შესაძლებლიდან ყველაზე უარესი გზა აირჩია. მისი უაზრო სიჯიუტე ყველას დააზარალებს, პირველ ყოვლისა კი ნიკას შეუშლის ხელს მუშაობაში. აქედან გამომდინარე, გაჭიანურდება ბანკთან დაკავშირებული ბუნდოვანი ვითარების გარკვევა. ნანა სირაძე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. იურიდიულად ის ვალდებულია, ყოველთვიურად იხადოს საბანკო გადასახადი. სუფთად ვერც რუხაძე და ფიფია ვერ გამოვლენ. დროთა განმავლობაში რუხაძე უფრო გაზრდის ზეწოლას და უფრო მეტ შეცდომასაც დაუშვებს. ნიკა მაინც არ შეჩერდება და ადრე თუ გვიან, რუხაძე ფაქტის წინაშე აღმოჩნდება. რა პოზიციას დაიკავებს ამ შემთხვევაში პროკურატურა? ძნელი გასათვლელი არ არის, რომ სამსახური თავის წარმომადგენელს დაუჭერს მხარს და ნიკას ჩაძირვას შეეცდება. უნდა გავაფრთხილო, რომ რუხაძისგან სიურპრიზებია მოსალოდნელი“... – ზურაბმა ფიქრი შეწყვიტა და მობილური ტელეფონი მოიმარჯვა.

ნიკას ტელეფონი გამორთული აღმოჩნდა. ზურაბმა კიდევ რამდენჯერმე სცადა მასთან დარეკვა, მაგრამ, ყოველ ჯერზე ყურმილიდან ერთსა და იმავე ფრაზას ისმენდა: „მობილური ტელეფონი გამორთულია, ან გასულია მომსახურების ზონიდან”. ზურაბმა სახლის ტელეფონითაც სცადა ნიკასთან დაკავშირება, მაგრამ, უშედეგოდ – ბინაში არავის აუღია ყურმილი. ამან ზურაბი ააღელვა. ნიკას არასოდეს სჩვეოდა ასეთი რამ. სამუშაოდან გამომდინარე, ის არასდროს თიშავდა ტელეფონს. ხანმოკლე ფიქრის შემდეგ ზურაბმა მობილური ჯიბეში ჩააბრუნა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა კაბინეტიდან.

ნიკას მანქანა ეზოში არ იდგა, ესე იგი, სახლშიც არ უნდა ყოფილიყო. ზურაბი მანქანიდან გადავიდა და სადარბაზოს სიახლოვეს მდგარ ახალგაზრდებს მიუახლოვდა.

– გამარჯობა ბიჭებო!

– გამარჯობა, – უპასუხეს ახალგაზრდებმა.

– ნიკას იცნობთ? – ჰკითხა ზურაბმა.

– გურულს?

– ჰო.

– ვიცნობთ.

– დღეს ხომ არ გინახავთ? – განაგრძო ზურაბმა.

– ასე, საათ-ნახევრის წინ წავიდა, ვიღაც ქალთან ერთად იყო.

– ხომ არ გამოლაპარაკებიხართ. იქნებ რომელიმემ იცით, სად წავიდა?

– არა, – უპასუხეს ახალგაზრდებმა, – მხოლოდ მოგვესალმა, მერე იმ ქალთან ერთად მანქანაში ჩაჯდა და წავიდა.

ზურაბმა ახალგაზრდებს მადლობა გადაუხადა და უკან გაბრუნდა. სწორედ ამ დროს ეზოში ნიკას მანქანა გამოჩნდა. მის დანახვაზე ზურაბი გაოცებული შედგა: მანქანაში ნიკას გვერდით ნანა სირაძე იჯდა.

ამასობაში ნიკამ მანქანა ზურაბის სიახლოვეს შეაჩერა, გადმოვიდა და ჰკითხა:



– გაუმარჯოს... რამე ხომ არ მოხდა?

– მობილური რატომ გაქვს გამორთული? – ჰკითხა ზურაბმა?

– აუ, სულ გადამავიწყდა, – ნიკამ მობილური ჯიბიდან ამოიღო და ჩართო, – ექიმთან ვიყავი მიღებაზე და მისი თხოვნით გამოვრთე, რომ აპარატურის მუშაობისთვის არ შეეშალა ხელი, მერე კი ჩართვა დამავიწყდა.

ამ დროს მანქანიდან ნანაც გადმოვიდა და ზურაბს მიესალმა.

– გამარჯობა...

– გამარჯობა, – უპასუხა ზურაბმა და ნიკას მრავალმნიშვნელოვნად შეხედა. ის უმალ მიხვდა, რის განმარტებასაც ელოდა ზურაბი და ნანას გასაღები გაუწოდა – ბინაში ადი, მე ზურაბს დაველაპარაკები და მალე ამოვალო. ნანამ უსიტყვოდ ჩამოართვა გასაღები და სადარბაზოში მიიმალა.

– მანქანაში ჩავსხდეთ. მიჭირს დიდხანს ფეხზე დგომა, – თქვა ნიკამ ქალის წასვლის შემდეგ და კარი გააღო.

– რა ხდება? – მანქანაში ჩაჯდომისთანავე განაგრძო ზურაბმა.

– ბოლო დღე-ღამემ ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

– საიდან მოხვდა შენთან ნანა სირაძე? შენმა მეზობლებმა მითხრეს, რომ დილით ერთად გამოხვედით სახლიდან.

– ჰო... ღამე ჩემს ბინაში გაატარა, – უპასუხა ნიკამ.

– შენ ხომ არ შეიშალე?! – აღელდა ზურაბი, – მძაფრმა შეგრძნებებმა გაგიტაცა?!

– კარგი, რა, ზურაბ. არ მიცნობდე მაინც, – ნანას ემუქრებიან. ვილაც ნაბიჭვარი ტელეფონით უკავშირდება და მოკვლით ემუქრება. მარტოს ვერ დავტოვებდი.

– ვინ ემუქრება?

– აზრზე არ ვარ. მისი საუბრის ჩანაწერს და მობილურის ნომერს მოგვიანებით მოგაწვდი, იქნებ გურამმა გაარკვიოს რამე. იმ დამპალს ძალიან სპეციფიკური ხმა აქვს. ერთხელ თუ მოისმინე, არასოდეს დაგავიწყდება.

– და, ნანა ასე იოლად გამოგყვა სახლში?

– ძალიან შეშინებული იყო, – უპასუხა ნიკამ.

– როდემდე იცხოვრებს შენთან? იქნებ, სხვა გამოსავალი მოვძებნოთ. სწორად გამიგე. ძალიან უცნაურად გამოიყურება შენს ბინაში მისი ცხოვრება, ბევრი ვერ გაიგებს ამას.

– არავის აზრი არ მაინტერესებს. ახლა ჩემთვის მთავარი მისი უსაფრთხოებაა. მე კი ამ მხრივ მშვიდად უნდა ვგრძნობდე თავს, რომ საქმეზე მუშაობა შევძლო.

– მესმის, მაგრამ, როდემდე? ხომ ხვდები, რომ საქმე ერთ და ორ კვირაში ვერ გაიხსნება?

– მანამდე, რამდენი ხანიც იქნება საჭირო. სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ!

– რატომ იყავი ექიმთან, რა შეგემთხვა? – განაგრძო ზურაბმა.

– ცხენიდან გადმოვვარდი.

– როდის აქეთ გაგიტაცა ცხენოსნობამ? – გაუკვირდა ზურაბს.

– გრძელი ისტორიაა. დოდომ დამპატიჟა იპოდრომზე.

– ეს ის ქალია, „ინტელგრუპჯორჯიაში" რომ მუშაობს?

– ჰო, – დაუდასტურა ნიკამ, – ღობის გასწვრივ მივდიოდი, როცა მანქანის სიგნალით დამფრთხალი ცხენი ყალყზე შედგა. თავი ვერ შევიკავე, გადმოვვარდი და ცხენი ზემოდან დამეცა.

– ეგ რა ადგილას მოხდა? – ჰკითხა ზურაბმა.

– ადმინისტრაციული შენობის საპირისპირო მხარეს.

– მოიცა... მოიცა... მე კარგად ვიცნობ მაგ ტერიტორიას, იქ სამანქანე გზა არ გადის, – თქვა ზურაბმა.

– არ ვიცი, გადის თუ არა. შეიძლება, ცხენი სხვა რამემ დააფრთხო. უბრალოდ, სიგნალი გაისმა თუ არა, ცხენი ყალყზე შედგა, – უპასუხა ნიკამ.

– გასაგებია, – ზურაბი წამით ჩაფიქრდა და შემდეგ დაამატა, – თუ ძმა ხარ, მობილურს ყურადღება მიაქციე, აქეთ-იქით სიარულში დროს ნუ დამაკარგვინებ. რა უნდა მეფიქრა, როცა არც მობილურზე მპასუხობდი და არც – ბინის ტელეფონზე?

– მესმის, – თავი დაუქნია ნიკამ.

– ახლა როგორ გრძნობ თავს, შეძლებ მუშაობას?

– საშინელი არაფერი მჭირს. დაჟეჟილობა მაქვს. ორი ნეკნი გაბზარულია. ექიმის დანიშნულებით, რამდენიმე დღე საწოლში უნდა გავატარო, მაგრამ, ვიცი, რომ ლოგინში ვერ გავჩერდები, – უპასუხა ნიკამ.

– დაისვენე რამდენიმე დღე და, კიდევ, იცი, რა გააკეთე? პროკურატურაში გყავს ჭორიკანა ნაცნობები?

– მყავს.

– დაურეკე და წაიჩურჩულე: შევცდი, სირაძის საქმეს რომ მოვკიდე ხელი. ამდენი ხანი ვიმუშავე და ხელჩასაჭიდს ვერაფერს მივაკვლიე-თქო.

– რისთვის? – გაუკვირდა ნიკას.

– იქნებ, ასე მაინც მოვადუნოთ რუხაძე. ის უკვე ღიად გვიტევს. დღეს სამმართველოს უფროსმა შენთან ურთიერთობა ამიკრძალა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამსახურიდან გათავისუფლებით დამემუქრა... – ცივად ჩაიცინა ზურაბმა, – გესმის? პარტიული ჩინოვნიკი, რომლის მთელი მოღვაწეობა აქციებზე ღრიალითა და დროშის ქნევით განისაზღვრება, ჩემ მაგივრად წყვეტს, ვისთან მქონდეს ურთიერთობა და ვისთან – არა!

– გასაგებია... დავრეკავ.

– ბანკში რა ხდება?

– ბანკში ფარული კამერით ვიყავი. ფილიალის ხელმძღვანელისა და კრედიტოფიცრის საუბარი ჩაწერილი მაქვს. საქმეში ოფიციალურ მასალად არ გამოდგება, მაგრამ, აზრის გამოსატანად მაინც ივარგებს. იმ ჩანაწერებსაც გამოგიგზავნი, გადახედე.

– კეთილი... შევთანხმდით. აღარ დაგაყოვნებ. თავს მიხედე. რამე თუ დაგჭირდეს, დამიკავშირდი, – ზურაბმა ხელი ჩამოართვა ნიკას და მანქანიდან გადავიდა.

* * *

ზურაბმა იპოდრომის საპირისპირო მხარეს დატოვა მანქანა და ღობეს ფეხით გაუყვა. დაახლოებით ორმოცდაათმეტრიან ზოლს ღობესა და მის მიღმა მდებარე მაღალ ბორცვებს შორის მეჩხერი ბუჩქნარი იკავებდა, მხოლოდ ორ ადგილას იყო შედარებით ხშირი ბუჩქნარი. ერთ ადგილას კი ის თითქმის გაუვალი იყო. ზურაბი არ მოერიდა ხშირ ტოტებს და ბუჩქნარში შევიდა. რამდენიმე მეტრის გავლის შემდეგ შედარებით ღია ადგილას აღმოჩნდა – ეს თავისებური კუნძული იყო გაუვალი ბუჩქნარის შუაგულში. პირველი, რაც თვალში მოხვდა, აეროზოლის წითელი ბალო-

## აკაკი წერეთლის გახსენება

შვილო, აკაკი! მთელი ჩემი ცხოვრება შენზე ვლოცულობდი. ლოცვითა და ლექსებით გეფერებოდი. შენ ჩემთვის პატარაც იყავი, ყმაწვილკაციც და კაცური კაციც. ასეთი დარჩები მარად ჩვენთვის.

აკაკი, საერო და საეკლესიო დღესასწაულებში განსაკუთრებით გიყვარდა აღდგომა და ახალი წელი...

და აი, მეორედ მოვიდა უშენოდ აღდგომა, რომელსაც თვალცრემლიანი ვხდებით შენი მშობლები, მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ შენ უფალთან ხარ, როგორც რჩეული. უფალი დაგიმკვიდრებს ცათა სასუფეველს და შენი ხსოვნა და არდავიწყება იქნება სამარადისოდ.



თვალცრემლიანი და დიდი გულისტკივილით გიძღვნი, შვილო, იმ ლექსს, რომელიც შენთვის ადრე დამიწერია.

*ა-რის ასეთი ყვავილი, მას*
*კ-ამელია ჰქვია,*
*ა-სეთი ყმაწვილიც არის*
*კ-აი ყმა ვისაც რქმია.*
*ი-ბადებიან ასეთნი*
*ს-ასწაულებს რომ ქმნიან.*
*ერთი მათგანი შენცა ხარ*
*ვისაც აკაკი ჰქვია.*

**შენი გაუბედურებული მშობლები:**
**თენგიზი და ციალა წერეთლები**



ნი იყო, რომელსაც ზემოდან მცირე ზომის საყვირი ექ-ეთა – ასეთ ბალონებს გულშემატკივრები სტადიონებზე იყენებდნენ. ბალონის სიახლოვეს ხუთი თუ ექვსი სიგარეტის ნამწვავი ეყარა, მიწაზე კი ფეხსაცმლის ანაბეჭდები მოჩანდა. აშკარა იყო, რომ ვიღაც აქ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში აფარებდა თავს.

– ასეე... – ჩაილაპარაკა ზურაბმა. შემდეგ ჯიბიდან პოლიეთილენის პაკეტი ამოიღო, აეროზოლიანი ბალონი და სიგარეტის ნამწვავები პაკეტში ჩააწყო. მიწაზე აღბეჭდილ ნაკვალევს მობილურის ფოტოაპარატით რამდენიმე სურათი გადაუღო და უკან გამობრუნდა.

იპოდრომის ადმინისტრაციული შენობის ფოიეში შესვლისას ზურაბი დაცვის სამსახურის თანამშრომელმა შეაჩერა.

– ვისთან მიბრძანდებით?

– თქვენს ექიმთან მსურს გასაუბრება, – უპასუხა ზურაბმა და თავისი პირადობის მოწმობა უჩვენა.

დაცვის სამსახურის თანამშრომელი ტელეფონით დაუკავშირდა ექიმს და ზურაბს რამდენიმე წუთით მოცდა სთხოვა.

– კეთილი, – უპასუხა მან და ჯიხურს მოშორდა.

ცოტა ხანში ფოიეში თეთრ ხალათში გამოწყობილმა მამაკაცმა შემოაბიჯა. მან ზურაბს მიაშურა და ჰკითხა:

– თქვენ გინდოდათ ჩემთან შეხვედრა?

– დიახ, – ზურაბმა ხელი ჩამოართვა და ლაპარაკი განაგრძო, – გუშინ იპოდრომზე მცირე ინციდენტი მოხდა – ერთი ახალგაზრდა ცხენიდან ჩამოვარდა.

– აა... იმ დამწყებ მხედარს გულისხმობთ?.. მგონი, ნიკა ერქვა, – თქვა ექიმმა.

– სწორედ მას ვგულისხმობ, – დაუდასტურა ზურაბმა.

– რატომ ინტერესდება კრიმინალური პოლიცია ამ შემთხვევით? ასეთი რამ ხშირად ხდება იპოდრომზე, – გაუკვირდა ექიმს.

– ეს კრიმინალურ პოლიციას არ უკავშირდება, ნიკა ჩემი მეგობარია. უბრალოდ, მაინტერესებს, რა მოხდა აქ?

– მაგაზე ვერაფერს გეტყვით. მე მისი ცხენიდან ჩამოვარდნის შემდეგ მაცნობეს მომხდარის შესახებ. საბედნიეროდ, მძიმედ არ დაშავდა.

– ორი ნეკნი აქვს გაბზარული, – ჩაურთო ზურაბმა.

– კიდევ კარგად გადარჩა.

– მძიმე შედეგიც იყო მოსალოდნელი?

– დიახ... ცხენი ზემოდან დაეცა. ზურგით რომ დასცემოდა, უნაგირი ნეკნებს დაუმტვრევდა და, დიდი ალბათობით, შინაგან ორგანოებსაც დაუზიანებდა. ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებული, ყველაფერი სანტიმეტრებმა გადაწყვიტა.

– ესე იგი, შეიძლებოდა, დაღუპულიყო? – ჰკითხა ზურაბმა.

– სავსებით შესაძლებელია. მე ასეთ შემთხვევებსაც შევსწრებივარ, – უპასუხა ექიმმა.

– სად ვნახო თქვენი თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ შეესწრნენ ამ შემთხვევას?

– ბიჭები იპოდრომზე არიან. წამოდით, მიგაცილებთ, – თქვა ექიმმა და იპოდრომზე გასასვლელისკენ დაიძრა.

ექიმმა ზურაბი ერთ-ერთ საჩეხამდე მიაცილა, კარი გამოაღო და შიგნით მყოფი ორი ახალგაზრდა მამაკაციდან ერთ-ერთს დაუძახა;

– დიმა, მოდი აქ, შენთან საუბარი სურთ!

მამაკაცი კარისკენ შემობრუნდა და დაბნეული სახით გაქვავდა ადგილზე. ზურაბმა უმალ იცნო ის: მის წინ იდგა დიმიტრი გაბისონია, რომელიც ხუთი წლის წინ ყაჩაღობის საქმეზე პირადად აიყვანა. მაშინ დიმიტრის ცხრაწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. პატიმრობის ვადის გასვლამდე ოთხ წელზე მეტი ჰქონდა დარჩენილი და ამ დროის ამოწურვამდე ზურაბი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მასთან შეხვედრა მოუწევდა.

ამასობაში დიმამ სახეზე მშვიდი ღიმილი მოიგდო, საჩეხი გადმოკვეთა, ძველი ნაცნობივით გაუწოდა მარჯვენა და მიესალმა:

– გამარჯობა, ბატონო ზურაბ...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# კალეიდოსკოპი

## რეალითი შოუ მარსზე

ჰოლანდიური ორგანიზაცია Mars One მარსზე კოლონიის დასასახლებლად მოხალისეებს აგროვებს. პროგრამა რეალითი შოუს ფორმატში წარიმართება. წარმატებულ კანდიდატებს წითელ პლანეტაზე 2023 წელს გაუშვებენ, ოღონდ, ერთი პირობით – ისინი დედამიწაზე აღარ დაბრუნდებიან.

მსურველებს უახლოეს დროში აიყვანენ. ზუსტი თარიღი უცნობია. განცხადებები მიიღება ივლისამდე. „ჩვენ მილიონამდე განაცხადს ველოდებით წუთიანი რგოლებით, რომლებშიც კანდიდატები საკუთარ თავზე ისაუბრებენ. ზოგიერთი მათგანის ნახვას ყველა შეძლებს“, – ამბობს პროექტის ხელმძღვანელი ბაზ ლანდსდორპი. ასტრონავტობის სურვილი უკვე 45 ათასმა ჰოლანდიელმა გამოთქვა, 10 ათასი ადამიანი კი პროექტს მთელი მსოფლიოდან გამოეხმაურა. აუცილებელია, რომ კანდიდატები 18 წელზე მეტი ასაკის ჯანმრთელი ახალგაზრდები იყვნენ. უპირატესობა მიენიჭებათ სამეცნიერო-ტექნიკური განათლების მქონე პირებს.

2015 წლის ივლისისთვის Mars One კანდიდატების შეგროვებას დაასრულებს და 24 ბედნიერი მომზადებას დაიწყებს, რაც 7 წელი გაგრძელდება. „ჩვენ მათ ექვს გუნდად დავყოფთ, თითოეული კი 3 თვის განმავლობაში იცხოვრებს ისეთ დროებით დასახლებაში, როგორიც მათ მარსზე უნდა ააგონ. პირობებიც იმის მსგავსი იქნება, რაც მათ წითელ პლანეტაზე ელოდებათ. ჩვენ მონაწილეებს ყველაზე სტრესულ სიტუაციებს მოვუწყობთ“, – განაცხადა ლანდსდორპმა. მისი თქმით, ასტრონავტებს რეგულარულად მოუწევთ, გამოავლინონ დამოუკიდებლობა და მოსაზრებულობა. სიგნალი დედამიწიდან მარსის თანამგზავრამდე არც ისე სწრაფად – 3-დან 22 წუთამდე პერიოდში აღწევს.

„ბილეთი ერთი მიმართულებით“ – ეს არის ყველაზე მთავარი სიძნელე, რომელიც მომავალ მარსელებს ემუქრებათ. „ისინი შინ ვერ დაბრუნდებიან, რაც განპირობებულია იმით, რომ მარსამდე ფრენა შვიდ-რვა თვეს გაგრძელდება. ამ დროში კოსმოსური აპარატის მგზავრები კუნთებისა და ძვლების მნიშვნელოვან მასას დაკარგავენ; შემდეგ აღმოჩნდებიან მარსზე, რომლის გრავიტაციული ველი მრავალჯერ ჩამორჩება დედამიწას, რაც, ასევე, აისახება მათ ფიზიკურ მდგომარეობაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შოუს მონაწილეები, უბრალოდ, ველარ შეძლებენ, თავიდან შეეგუონ დედამიწის გრავიტაციას“.

## „ქალი ჰობიტის“ ჩონჩხის კვლევის ახალი დეტალები

„ქალი ჰობიტის“ მინიატურული ჩონჩხის შესწავლისას ახალი დეტალები გამოჩნდა. ჩონჩხი თითქმის ათი წლის წინათ აღმოაჩინეს ინდონეზიის კუნძულ ფლორესზე. ცნობილი გახდა ამ „ქალი ჰობიტის“ ტვინის ზუსტი მოცულობა – ის სულ 426 კუბურ სანტიმეტრს შეადგენს. ექსპერიმენტულად დადასტურება იმისა, რომ ჯუჯა ადამიანის მსგავსი რასის ტვინის ზომა ფორთოხალზე დიდი არ იყო, ვერ შეძლეს მანამ, სანამ სწავლულებმა ულტრათანამედროვე სკანერები არ გამოიყენეს.

ადრე „ჰობიტის“ ტვინის ასეთ მცირე ზომებს (ის თითქმის სამჯერ უფრო პატარაა თანამედროვე ადამიანის ტვინზე) იმითაც ხსნიდნენ, რომ ნაპოვნი ქალი შეიძლება იტანჯებოდა მიკროცეფალიით – ავადმყოფობით, რომლის დროსაც ტვინი და თავის ქალა ვერ აღწევს თავის სრულყოფილ ზომებს. მაგრამ, ამერიკელი სპეციალისტები – უილიამ იუნგერსი და კარენ ბააბი, ჯერ კიდევ 2009 წელს მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ეს ასე არ არის. მათ სტონი ბრუკის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრში ჩაატარეს „ჰობიტის“ ჩონჩხის სტატისტიკური ანალიზი. „ჰობიტების“ პათოლოგიების მიხედვით ადამიანებზე მიკუთვნების ცდები არაერთხელ ჩავარდა, ვინაიდან, სამედიცინო დიაგნოზს ჯუჯის სინდრომსა და მიკროცეფალიაზე არავითარი საერთო არ აქვს Homo Florensiesis-ის უნიკალურ ანატომიასთან.

ამ დასკვნებს ეთანხმებიან ტოკიოს სპეციალისტები ბუნებისა და მეცნიერების ნაციონალური მუზეუმიდან. იმ მოდელის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, Homo Florensiesis იყო საყოველთაოდ აღიარებული Homo erectus-ის („გამართულად მოსიარულე ადამიანის“) ჯუჯა სახეობა, მათ ივარაუდეს, რომ ჩვეულებრივი ზომების მქონე ადამიანებს შეეძლოთ, დამოუკიდებლად დაეტოვებინათ მატერიკი, პრიმიტიული ნავებით გადაეცურათ 24 კილომეტრი და მისულიყვნენ ინდონეზიის ამ კუნძულზე. იზოლაციაში კი მათ ევოლუცია განიცადეს Homo Florensiesis-მდე. იაპონელი სპეციალისტები არ უარყოფენ, რომ ყველაზე ცხადი ევოლუციური ცვლილებები მოხდა სახელდობრ მათ ზომებში. მეცნიერებმა დააზუსტეს, რომ მინიატურულ არსებებს არ სჭირდებოდათ დიდი ტვინი, მათ ყველაფერი პროპორციული ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, იაპონელები არ გამორიცხავენ, რომ – შესაძლოა, პროცესები განვითარებულიყო უკუმიმართულებით – სახეობის ზრდის მიმართულებით.

ტვინის ზომებმა და „ჰობიტების“ მცირე პარამეტრებმა ხელი არ შეუშალა მათ, მიეღწიათ ცივილური განვითარების განსაზღვრულ ეტაპამდე. ამას ამტკიცებს ბუხრები, დამწვარი ძვლები და ათასობით ქვის იარაღი, რომლებიც, როგორც ჩანს, მათ დაამზადეს.

სინამდვილეში, ცნობილი არ არის, რამდენ ხანს იარსება Homo Florensiesis-ის სახეობამ. თუ ვიმსჯელებთ გაქვავებული ძვლებით, რომლებიც კუნძულზე იპოვეს, „ჰობიტები“ ამოწყდნენ დაახლოებით 400 ათასი წლის წინათ. სხვა მონაცემებით, პატარა ადამიანები ამოწყვიტეს თანამედროვე სახეობის ადამიანებმა დაახლოებით 18 ათასი წლის წინათ. ზოგიერთი მკვლევარი კი ვარაუდობს, რომ სიცოცხლე კუნძულზე, გიგანტური ვირთხებისა და ჯუჯა სპილოების ჩათვლით, გაანადგურა ვულკანმა, დაახლოებით 12 ათასი წლის წინათ.

**მოამზადა**
**ლაშა გაბელიამ**

**როგორც წინა სეზონები, ბოლო პერიოდიც ქრისტინე ძიძიგურისთვის საკმაოდ წარმატებული და დატვირთული იყო. ის უკვე სამი წელია, პარიზში ცხოვრობს და სამოდელო საქმიანობას ეწევა. ამ ხნის განმავლობაში მას საკმაოდ დიდი გამოცდილება დაუგროვდა და თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალია.**

# როგორ გახდა პარიზში, „დიორის სახლთან“ მეორედ თანამშრომლობა ქრისტინე ძიძიგურის სავიზიტო ბარათი და სად გაატარა მან საღამო ბობ სინკლერთან ერთად



**ქრისტინე ძიძიგური**: ბოლო პერიოდი ჩემთვის ძალიან წარმატებული იყო. მეორედ ვიმუშავე „დიორთან“ და რაც მთავარია, ამ შემთხვევაში პირდაპირი მოთხოვნა იყო ჩემზე და ერთ მოდელზე – ეს ჩემთვის ძალიან დიდი წარმატებაა. რადგან მეორედ ამირჩიეს, თან, ყოველგვარი ქასთინგის გარეშე და თავად შემომთავაზეს მუშაობა, ეს ნიშნავს, რომ მე და ის მეორე გოგო, „დიორის“ პარფიუმის სახლის მოდელები ვართ. სხვა დროსაც, რომ დასჭირდებათ მოდელი, ჩვენ დაგვიძახებენ. ეს ჩემთვის უკვე სავიზიტო ბარათია. წარმოვადგინეთ 2013 წლის მაკიაჟი, ძირითადად, ზაფხულის ფერები იყო – ძალიან ფერადი. ასევე, გაიმართა მათი ახალი პროდუქციის პრეზენტაცია. გაგვიკეთეს მაკიაჟი და შემდეგ მოეწყო პატარა შოუ ჟურნალისტებისთვის.

**– როგორ ტენდენციებს გვთავაზობს „დიორის სახლი“?**

– იისფერია მოდაში: მუქი და ღია. ორნაირი მაკიაჟი გაგვიკეთეს. პირველი – ეს იყო ლურჯი ლაინერი, ლურჯი ტუშით – ინოვაციური მაკიაჟი „დიორისგან“. მეორე კი იისფერი „ჩრდილები“. პომადა იყო, ძირითადად, ტუჩის ფერი, თმა – გადაწეული. ანუ, ის ტანსაცმელი, რაც გვეცვა, ვარცხნილობა, მაკიაჟი – ყველაფერი „დიორის“ ბოლო შოუდან გახლდათ. ასევე, ვიმუშავე გერმანიაში, ბერლინში მოღვაწე ქართველ დიზაინერთან, ბიბი ბახტაძესთან. ძალიან წარმატებული დიზაინერია, ულამაზესი კაბები აქვს. ისევ აქტიურად ვმუშაობ ალექსანდრ ვოტიესთან: ფითინგი იქნება ეს თუ სხვა რამ. გარდა ამისა, მქონდა სხვადასხვა გადაღება, ქასთინგები. უკვე ორი წელია, რაც სამოდელო სააგენტო „კრისტალთან“ ვმუშაობ. ჩემი დედასააგენტოა და მათთან მუშაობით ძალიან კმაყოფილი ვარ. ევროპის მასშტაბით მიწევს მოგზაურობა, რადგან კარგად გადიან სხვადასხვა ხაზზე და ასევე, თითქმის ყველა დიდ ბრენდთან მუშაობენ.

**– სააგენტოში, ალბათ, ძალიან ბევრი მოდელი გყავთ. რა უნდა გააკეთო იმისთვის, რომ შიდა კონკურენციაც დაძლიო და ერთ-ერთი წამყვანი მოდელი გახდე?**

– ყველაფერი ბუქერზეა დამოკიდებული, თუ უყვარხარ და სჯერა შენი. „დიორის სახლში“ ჩემი პირველი მოხვედრა ჩემი ბუქერისა და შემდეგ ჩემი ბუქის დამსახურებაა. მან შესთავაზა მათ ჩემი თავი და მერე უკვე ყველაფერი ჩემზე იყო დამოკიდებული. ახლა, როცა „დიორთან“ ვიმუშავე, ამან კიდევ უფრო გაამყარა სააგენტოში ჩემი პოზიცია. საერთოდ, თუ სააგენტოში სულ „აბდეითში“ არ ხარ და არ ამტკიცებ, რომ კიდევ უფრო მეტი შეგიძლია, არაფერი გამოვა. სააგენტოში ყველას თავისი ხაზი აქვს. ანუ, ზოგი შოუშია ძალიან კარგი, ზოგი – კამერის წინ. პარამეტრებსა და ფოტოგენურობას პარიზში ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს და ეს ბევრ რამეს წყვეტს. მე უფრო ფოტოგენურობისკენ მივდივარ, პარამეტრებშიც ვზივარ.

**– როგორია ამ ეტაპზე შენი ფრანგული, დაიხვეწა უკვე?**

– სორბონაში ვსწავლობ ფრანგულ ენას, ცივილიზაციას, ისტორიას. უკვე სულ ფრანგულად ვლაპარაკობ, შესაბამისად, დაიხვეწა. მინდა, მაგისტრატურა გავაკეთო პარიზში. ამ ეტაპზე ნორმალურად ვსაუბრობ 4 ენაზე. ფრანგულს, რომ ვისწავლი კარგად, მინდა, იტალიური ან ესპანური დავუმატო. ენების ცოდნა ჩემს საქმეში ძალიან მეხმარება – ურთიერთობებს მასწავლის. ამიტომ მინდა, მაგისტრატურა გავიარო საერთაშორისო ურთიერთობებში ან კულტურული საღამოების მოწყობის კუთხით.

**– ვნახე ფოტოები, სადაც ბობ სინკლერთან და მაროკოს პრინცესასთან ხარ გადაღებული.**



**ფრანგი ბიჭები ბევრად პირდაპირები არიან. იტალიელებს საუბარი გამოსდით კარგად, ნაკლებად პირდაპირები არიან და შემოვლითი გზებით მოდიან. ინგლისელები ცოტა ცივები არიან, ესპანელები – ტემპერამენტიანები**

– პარიზში უკვე ბევრი მეგობარი მყავს, ძალიან კარგად ვერთობით. მაგრამ, მოდელისთვის არ არის კარგი ღამე დიდხანს გართობა, ეს მეორე დღეს უკვე სახეზე გაწერია. ამიტომ, ასეთ რაღაცეებს ვუკრძალავ საკუთარ თავს. ჩემი სურვილებით ნაკლებად ვმოქმედებ, რადგან ასე არაფერი გამოვა, დავიკარგები. ერთ-ერთ დაბადების დღეზე ვიყავი მეგობართან. როგორც მე, ბობიც სტუმრის სტატუსით მოვიდა. ბევრი საერთო ნაცნობი აღმოგვაჩნდა და გავიცანი. დადიოდა აქეთ-იქით, თან სვამდა. საუბარი დავიწყეთ – მკითხა, ჩემ შესახებ რაღაცეები. მეც ავუხსენი: საიდან ვარ, რას ვსაქმიანობ. ბოლოს ისიც ვუთხარი, რომ ბავშვობიდან ძალიან მიყვარს მისი მუსიკა. ზუსტად იმ მომენტში მეგობარმა მითხრა: ფოტოს გადაგიღებთ ერთადო. ძალიან კარგი დრო გავატარეთ. პარიზში დაბადების დღეებზე ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ ყველა ძალიან კარგად ერთობა.

**– სად შეხვდი მაროკოს პრინცესას?**

– ჩემი ოჯახის მოთხოვნით, უკვე დიდი ხანია, ერთ ძალიან კარგ ოჯახთან ერთად ვცხოვრობ. ერთი ოჯახივით ვართ, ჩემ გარეშე არ ვახშმობენ. მაროკოს პრინცესა – ლალა, ჩემი დიასახლისის ქმრისა და შვილის ახლო მეგობარია, ბავშვობიდან იცნობენ და მათ დაპატიჟეს სახლში ვახშამზე. მეც დამპატიჟეს. როცა სახლში სტუმრები მოდიან, სულ მთხოვენ: კრისტი, უნდა დაუკრა პიანინოზე, იმღეროო. პარიზში თუ პიანინოზე უკრავ და მღერი, ეს დიდ პლუსად გეთვლება. საღამოს, გვიან მოვიდა, მთელი ქუჩა გადაიკეტა. მთელ კორპუსში დაცვა იდგა, კომუნიკაციის ყველა საშუალება ჩაახშეს. ოთახში რომ შემოვიდა, მთელი ამალა მოჰყვა, ყველას თავისი საქმე ჰქონდა: აქ დაჯექი, აქ გადაიღე ფოტო და ასე შემდეგ. შვილთან ერთად იყო, რომელიც ადრე წავიდა. როგორც კი სახლში შემოვიდა, მაშინვე ყველას გაგვაცნეს. ასეთი უშუალო ადამიანი მეორე არ ვიცი. ძალიან ბევრ ენაზე ლაპარაკობს, განათლებულია. ცოტა ხანში დიასახლისის გოგომ გამომიცხადა: ქრისტი, ახლა შენ უნდა დაუკრაო. მოკლედ, დავუკარი ფრენკ სინატრას „მაი ვეი“, თავად პრინცესამ მთხოვა მისი დაკვრა და მერე ერთად ვიმღერეთ. ძალიან კარგად მღერის. მერიდებოდა მასთან ერთად სიმღერა, მაგრამ ვიმღერე ფრანგული სიმღერები და ინგლისურიც. რამდენიმე კლასიკური ნაწარმოებიც დავუკარი, ძალიან მოეწონა. პრინცესამ მადლობა გადამიხადა და რომ მიდიოდა, ჩემს დიასახლისს უთხრა: მაროკოში რომ ჩამოხვალთ, ქრისტინე ჩამოიყვანეთ, დაპატიჟებულიაო.

**– რას საქმიანობენ იმ ოჯახის წევრები, სადაც შენ ცხოვრობ?**

– ექიმების ოჯახია. ჩემი დიასახლისის პირველი ქმარი მაროკოში ძალიან ცნობილი ექიმი და როგორც ვიცი, პრინცესას ოჯახის რომელიღაცა წევრის პირადი ექიმიც იყო. ასე რომ, დიდი ხანია, ერთმანეთს იცნობენ, მეგობრობენ. თავად ჩემი დიასახლისის ოჯახს დიდი საიველირო ბიზნესი აქვს.

**– ახლა მითხარი, პირად ცხოვრებაში არ არის სიახლეები?**

– ფრანგი ბიჭები ბევრად პირდაპირები არიან. იტალიელებს საუბარი გამოსდით კარგად, ნაკლებად პირდაპირები არიან და შემოვლითი გზებით მოდიან. ინგლისელები ცოტა ცივები არიან, ესპანელები – ტემპერამენტიანები. ესპანელებმაც და იტალიელებმაც იციან, რომ ძალიან სიმპათიურები არიან. ანუ, ჯერჯერობით დაკვირვების პროცესში ვარ. სხვა მხრივ, არც სერიოზული და არც არასერიოზული ურთიერთობა არ მაქვს ბიჭებთან. მალე კანის ფესტივალი იწყება და ერთ-ერთმა რეჟისორმა დამპატიჟა თავის სტაფთან ერთად. მითხრა: შენი პროფესიის ადამიანი აუცილებლად უნდა იყოს აქო. იმედია, მოვახერხებ წასვლას, ძალიან მაინტერესებს.

**ახლა, როცა „დიორთან“ ვიმუშავე, ამან კიდევ უფრო გაამყარა სააგენტოში ჩემი პოზიცია. საერთოდ, სააგენტოში სულ „აბდეითში“ არ ხარ, და არ ამტკიცებ, რომ კიდევ უფრო მეტი შეგიძლია, არაფერი გამოვა**

**ნათია უტიაშვილი**

# რის ნაკლებობას არ განიცდიან ანუკა არეშიძის შვილები და რაში უდგას თაკო ჩხეიძეს გვერდში მეუღლე

*დრო: 23-26 აპრილი; ადგილი: თბილისის ისტორიული მუზეუმი „ქარვასლა“ – „თბილისის ფეშენ ვიქის“ ორგანიზატორებმა მოდის მოყვარულები უკვე მერვედ მიიწვიეს, ქართველი და უცხოელი დიზაინერების ჩვენებაზე, რომელიც უცხოელი სტუმრების სიმრავლითაც გამოირჩეოდა. მოდის კვირეულის ოთხივე დღე საკმაოდ დატვირთული იყო და ის ცნობილი ამერიკელი დიზაინერის, მარკ ბაუერის (რომლის კაბები არაერთხელ მოირგეს წითელ ხალიჩაზე: ბიონსემ, შარლიზ ტერონმა, ანჯელინა ჯოლიმ, ჯენიფერ ლოპესმა, ედი კლუმმა, უიტნი ჰიუსტონმა) პერფორმანსით გაიხსნა. შემდეგ გაიმართა უცხოეთში მოღვაწე ქართველი დიზაინერის, რია ქებურიას კოლექციის ჩვენება.*



**ანუკა არეშიძე**: პირველად ვარ „თბილისის მოდის კვირეულზე“, აქამდე ვერ ვახერხებდი დასწრებას, რადგან, მილანში ვიმყოფებოდი, ზამთარში კი ავად გავხდი. ჩემი მეგობრები აკეთებენ „ფეშენ ვიქს“, ამიტომ, ყოველთვის ვიღებდი ყველა ინფორმაციას. ძალიან ვგულშემატკივრობ და, მინდა, მალე მივიდნენ იმ სტანდარტებამდე, რომელიც მოდის სფეროშია დაწესებული და საითკენაც უკვე აღებული აქვთ გეზი. ორგანიზებაც ძალიან მომწონს. რაც შეეხება რიას ჩვენებას, ძალიან მომეწონა. კრეატიულია და მისგან ყოველთვის სიახლეს ველი, მისი კოლექციები ჩემში განსაკუთრებულ ემოციებს იწვევს. ძალიან ლამაზი პალტოები აქვს; ქვედაბოლოებიც მომეწონა, საინტერესო იყო. ვფიქრობ, მისი კოლექციები ყოველთვის მიიქცევს საზოგადოების ყურადღებას.



**– მომავალში შენ და ბიჭოლა არ აპირებთ „თბილისის ფეშენ ვიქზე“ გამოსვლას?**

– ოდესმე აუცილებლად გამოვალთ. მაისის შუა რიცხვებში კიევში მაღაზიას ვხსნით და გადატვირთული რეჟიმი გვაქვს. უკრაინის მოდის კვირეულზეც ვერ გამოვედით, მაგრამ, ალბათ, მომავალ სეზონზე მივიღებთ მონაწილეობას. რა თქმა უნდა, „თბილისის ფეშენ ვიქზეც“ ძალიან გვინდა გამოსვლა. მიყვარს ქართული პუბლიკა და მათი შეფასებები ყოველთვის მაინტერესებს. აქ ყველა კრიტიკოსია, ან, უნდათ, რომ კრიტიკოსები იყვნენ. ამიტომ, ქართველი მაყურებლის წინაშე სხვანაირი შემართებითა და კოლექციით წარვდგებით.

**– როგორ რეაგირებ კრიტიკაზე როგორც დიზაინერი?**

– გააჩნია, ვისგან მოდის კრიტიკა. კომპეტენტური ადამიანებისგან ვიღებ, მაგრამ, ორკლასდამთავრებულისგან ვერ მივიღებ. თუმცა, ეს არ მაღიზიანებს, რადგან, ვხვდები, რომ ისინი ხშირ შემთხვევაში, ამით იქცევენ ყურადღებას.

**– ორი შვილის დედა ხარ, მუშაობ, პლუს – ენებში ემზადები. როგორ ასწრებ ამ ყველაფერს?**

– ეს ზოგჯერ მეც მიკვირს, მაგრამ, ვახერხებ. შვილებისთვის ყოველთვის მაქვს დრო და ისინი დედასთან ყოფნის დეფიციტს არასდროს განიცდიან.



*რია ქებურიას ჩვენების შემდეგ პოდიუმი უკვე „მატერიისა“ და ქსენია შნაიდერის ჩვენებებს დაეთმო. პირველი დღე კი „ქარვასლიდან“ თბილისის ცირკში, უჩვეულო და ცოტა მისტიკურ გარემოში, „ავთანდილის“ ჩვენებით დასრულდა. ავთანდილისა და მისთვის ტიმჩენკოს მიერ შექმნილი „ფეშენ ინფანტას“ წყალობით, ყველანი ბავშვობაში დავბრუნდით. „რაკატუკის“ აკრობატების პატარა, მაგრამ შთამბეჭდავი გამოსვლის შემდეგ, ჩვენ თვალწინ განვითარდა მსახიობი ქალის ისტორია თავისი ტკივილით, სიხარულითა და ბევრი ემოციით. ავთანდილის მიერ სვაროვსკის კრისტალებით, ფუშფუშა ქვედაბოლოებით, კუბოკრული ქსოვილებით შექმნილი კოლექციის ჩაცმის შემდეგ, ალბათ, ყველა ქალი, განსაკუთრებით კი – ბალზაკის ასაკის, თავს უფრო ახლგაზრდად, ბავშვურად იგრძნობს და საკუთარ თავს უფრო მეტი სითამამის, სიცელქის ჩადენის უფლებას მისცემს. პირველის მსგავსად, მეორე დღეც საკმაოდ საინტერესოდ დაიწყო – ბლოგერებისთვის, ჟურნალისტებისა და დამწყები დიზაინერებისთვის უცხოელი პროფესიონალების მიერ გამართული მასტერკლასებით, რასაც სიმონ მაჩაბლის ულამაზესი, საოცრად დახვეწილი, ნათელი, ნაზი, ჰაეროვანი 10 კაბის (უმეტესობა ხელით ნამუშევარი, ნაქარგი იყო) გამოფენა მოჰყვა, რომელიც დიზაინერმა მოდის სახლ „დალოოდთან“ ერთად გააკეთა. ფიქრი ბავშვობაზე, ზღაპარზე, ნათელ ფერებზე, ბევრ მოგონებაზე – ასეთი იყო დიზაინერის შთაგონების წყარო, რომლის ნამუშევრებიც მარკ ბაუერმა ასე შეაფასა: „მოდა ხელოვნებისთვის“... მაყურებელმა პირველად იხილა ახალი კოლექცია ატელიე „კიკალასგან“, რომელიც ძირითადად ტყავისგან იყო დამზადებული და დიდი მოწონება დაიმსახურა. მოდის კვირეულის მეორე დღეს კიდევ სამი დიზაინერის: აინურ ტურისბეკის, ეკა ბალანჩივაძისა და თამუნა ინგოროყვას კოლექციების ჩვენება გაიმართა. ასევე, სასიამოვნოდ დატვირთული იყო მესამე დღეც: კოლექციებით „ქარვასლაში“ უკვე ქეთი ჩხიკვაძე და აკა ნანიტაშვილი წარდგნენ, რასაც დიზაინერ „პეპელას“ პერფორმანსი მოჰყვა. ამ დღის კულმინაცია კი, გიორგი შალაშვილის ჩვენება იყო. დიზაინერის ინსპირაცია ძველი ფოტოები, წარსულთან დაკარგული კავშირი, ძველი, ფოტოების გარეშე, ეულად დარჩენილი ჩარჩოები იყო. გიორგი შალაშვილის ჩვენებამ პუბლიკის აღფრთოვანება და გაოცება კიდევ ერთხელ მოახერხა. მეოთხე დღე: კონკურსი დამწყები დიზაინერებისთვის, მასტერკლასები, ტატუნა ნიკოლაიშვილისა და ატელიე „10ას“ კოლექციის ჩვენებები. „თბილისის მოდის კვირეულის“ მეოთხე დღე კი ლისის ტბაზე, ახალ იპოდრომზე, უჩვეულო გარემოში დათუნა სულიკაშვილის ორიგინალურმა ჩვენებამ დაასრულა.*



**თაკო ჩხეიძე**: „ფეშენ ვიქის“ მთავარი დანიშნულება მაინც კოლექციებია და შემდეგ უკვე – ორგანიზება, გაფორმება. წელს ძალიან კარგი კოლექციები ვნახე, ერთმანეთზე უკეთესი. ყოველდღე მაცვია ქართველი დიზაინერის სამოსი და ამით მათ მიმართ ერთგვარ მხარდაჭერას გამოვხატავ.



**– ავთანდილის ჩვენებამ პირადად მე ბავშვობაში დამაბრუნა.**

– ფანტასტიკური იყო, ძალიან ემოციური და ამაღელვებელი, კოლექცია კი – ულამაზესი. წლევანდელი „ფეშენ ვიქი“ იმითაც გამოირჩევა, რომ პირველად იღებს სამი უცხოელი დიზაინერი მონაწილეობას. ასევე, პირველად გვყავს ასე ბევრი სტუმარი. თან, „თბილისის ფეშენ ვიქი“ მოხვდა საერთაშორისო კალენდარში, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**– შენი მეუღლე პირველად ვნახე „ფეშენ ვიქზე“. მოიცალა ამისთვის?**

– წელს მოახერხა ჩამოსვლა, ესტონეთიდან ჰყავს საპატიო სტუმრები. ის ჩემი საქმიანობისა და, ზოგადად, ჩემი ყველაზე დიდი კრიტიკოსია. როდესაც მისგან ვიღებ კომპლიმენტებს, ვხვდები, რომ ძალიან კარგი იყო. ახლაც მივიღე დიდი კომპლიმენტი. რადიკალურად განსხვავებული პროფესიები გვაქვს, მაგრამ, სულ მგულშემატკივრობს, ბოლომდე გვერდში მიდგას. ბევრ რამეს ვეკითხები – ასე ხომ არ ჯობია ან ისე და მის აზრს ყოველთვის ვითვალისწინებ, რადგან, ძალიან გემოვნებიანი და კომპეტენტური ადამიანია. მიუხედავად იმისა, რომ სხვა სფეროში მოღვაწეობს, ესეც ძალიან კარგად ესმის. ჩემი დახმარებით კი უფრო მეტად გათვითცნობიერდა.



**– „ფეშენ ვიქის“ ბოლო დღეს შენი დაბადების დღე დაამთხვიე?**

– არავინ დაიჯერებს, მაგრამ, როდესაც „ფეშენ ვიქის“ რიცხვები დავგეგმეთ, დამავიწყდა, რომ 26 აპრილს ჩემი დაბადების დღე იყო. „ფეშენ ვიქს“ ხომ სულ მაისში ვაწყობდით, ამიტომ, ჩემი დაბადების დღეს წინა სამზადისი ემთხვეოდა: გვერდზე ოფისი მქონდა მოწყობილი და, თან აღვნიშნავდით, თან ვმუშაობდით. წელს კი დაბადების დღეს „ფეშენ ვიქის“ „ავთერ ფართიზე“ აღვნიშნავ ***(ინტერვიუ ჩაწერილია 25 აპრილს – ავტორი).*** პრინციპში, ვინც მიყვარს, ყველა მაინც იქ იქნება.

**ნათია უტიაშვილი**

(მე-11 გვერდიდან)

იმავე დღეს მარხავდნენო. თან, მითითებულია: 1918 წელი, 14 მარტი. რადგან უპატრონო იყო, მაშინვე დაკრძალეს პეტრე-პავლეს სასაფლაოზეო. აქვე მითითებულია, რომ თითქოს იმ დღეს დამარხეს 4 უპატრონო მიცვალებული, რაც საერთოდ არ შეესაბამება სინამდვილეს. უპატრონო მიცვალებულებს აგროვებდნენ, ორ ან სამ კვირას აჩერებდნენ მორგში, პეტრე-პავლეს ეკლესიაში მოიხსენიებდნენ, მერე ნავთლუღის სასაფლაოზე მიასვენებდნენ. 14 მარტს დაკრძალული ვინმე ნიკოლოზი სინამდვილეში 23 თებერვალს არის გადაცვლილი. 14 მარტს კი 59 მიცვალებულს აუგეს წესი და შემდეგ გადაასვენეს ნავთლუღში. ასე რომ, ეს ვერსიები მხოლოდ და მხოლოდ რეალობისა და კვალის არევაა. თუ ვინმეს ფიროსმანის ძვლების დანახვა სურს, ეს არარეალურია, რადგან, ჯერ თავიდან არ ჰქონდა მის საფლავს ნიშანი, ახლა კი მისი ზუსტი ადგილის დადგენა წარმოუდგენელია. რაც მთავარია, მტკიცდება, რომ ის დაკრძალულია კუკიაზე და ეს უტყუარია.

დღეს დარწმუნებით შემიძლია მტკიცება, რომ არქივში დაცული მიხეილის საავადმყოფოს სარეგისტრაციო წიგნში ფიროსმანის გარდაცვალების ჩანაწერს მივაკვლიე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნიკალა 1918 წლის აღდგომის წინა დღეს გარდაიცვალა, მაგრამ, თვე და რიცხვი არავის დაუზუსტებია. აღდგომის თარიღად შეცდომით 18 აპრილს ასახელებდნენ. როგორც დავადგინე, 1918 წელს აღდგომა ახალი სტილით 5 მაისს ყოფილა. აქედან გამომდინარე კი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნიკალა 4 მაისს წაუყვანიათ საავადმყოფოში. მაგრამ, რომელში – „მიხეილის“ თუ „არამიანცის“ – ეს არ იყო ცნობილი. 4 მაისს კი თბილისში ერთადერთი უპატრონო მიცვალებულია გატარებული და ისიც მიხეილის საავადმყოფოში. თან,

# რა კავშირი აქვს ნიკო ფიროსმანის გარდაცვალების დღეს წლევანდელი აღდგომის თარიღთან და სინამდვილეში რა გახდა მისი სიკვდილის მიზეზი

ფიროსმანი ამ საავადმყოფოსთან უფრო ახლოს ცხოვრობდა და იქ მისი მიყვანა ლოგიკურია. საარქივო დოკუმენტის მიხედვით, „1918 წლის 4 მაისს, ანუ აღდგომის წინა დღეს, „მიხეილის“ საავადმყოფოში მიუყვანიათ „უცნობი წოდების“ მამაკაცი. საავადმყოფოს რეგისტრატორს არ სცოდნია, თუ ვინ და საიდან მოიყვანა ეს ავადმყოფი, რომელიც იმავე დღეს გარდაცვლილა. „ავადმყოფი მოსაცდელში იმყოფებოდა. როდესაც მის გასასინჯად გამგზავნეს, ის უკვე მკვდარი დამხვდა“, – წერს მორიგე ექიმი. 1918 წლის მაისში შესული ყველა ავადმყოფის ვინაობა ცნობილია, გარდა ზემოხსენებული მამაკაცისა. მოუვლელი და მომაკვდავი ნიკალა გაცილებით ხნიერი ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო, რის გამოც ექიმებს, რომლებმაც მისი გასინჯვაც ვერ მოასწრეს, 70 წლის ჰგონებიათ. მისი ცხედარი 5 მაისს გაკვეთეს. ოქმი შედგენილია 7 მაისს, საიდანაც ჩანს, რომ მას დაავადებული ჰქონდა: გული, ღვიძლი, ელენთა, თირკმელები, ხოლო ორივე გაკვეთილი ფილტვიდან მოედინებოდა „ქაფიანი სითხე დიდი რაოდენობით“. ოქმის მონაცემები ემთხვევა იმ ჩივილებს, რის გამოც ფიროსმანმა 1893 წელს რკინიგზის სამსახურიდან გათავისუფლება მოითხოვა. ხოლო, ცოტა ხნით ადრე იძულებული გახდა, შვებულება აეღო და აბასთუმანში წასულიყო სამკურნალოდ. როგორც ირკვევა, ის ტუბერკულოზით იყო დაავადებული. საისტორიო არქივში ფიროსმანის დაკრძალვის ჩანაწერებიც მოვიძიე. მიხეილის საავადმყოფოში ეკლესიის სამეტრიკო წიგნში დაფიქსირებულია 1918 წლის 4 მაისს გარდაცვლილი „უცნობი წოდების“ მამაკაცი, რომელიც 9 მაისს დაუკრძალავთ. გარდაცვალების მიზეზი – ტუბერკულოზი. ბოლო გრაფაში – „ვინ აღუგო ანდერძი და სად არიან დასაფლავებულნი“ – აღნიშნულია: საავადმყოფოში გარდაცვლილ უპატრონო მიცვალებულთათვის კუკიის სასაფლაოზე გამოყოფილი ადგილი. ამრიგად, ფიროსმანის გარდაცვალების თარიღი არის 1918 წლის 4 მაისი, ხოლო დაკრძალვის ადგილი – კუკიის სასაფლაო. 1918 წლის მაისში საავადმყოფოში არც ერთი უპატრონო ავადმყოფი არ გარდაცვლილა. ყველა გარდაცვალებულის სახელი და გვარი ცნობილია. ეჭვს გარეშეა, რომ 4 მაისს გარდაცვლილი უცნობი სწორედ მხატვარი ნიკო ფიროსმანაშვილია. ვინ უნდა ყოფილიყო ის, თუ არა ფიროსმანი? თუ სხვა იყო, მაშინ ნიკალა სად გაქრა? ეს ინფორმაცია პირველად 2003 წელს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მეშვეობით გავაჟღერე. 2004 წელს გამოვეცი ბროშურა „ფიროსმანი“. ბოლოს, 2010 წლის 15 ნოემბერს, საგაზეთო ინტერვიუში ვთქვი, რომ ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ახლახან შეიძინა იოსებ იმედაშვილის არქივი, სადაც არის ცნობა, რომ ფიროსმანი 1918 წლის 4 მაისს გარდაიცვალა, რასაც მე წლების წინ ვამტკიცებდი. წელს კი ნიკალას გარდაცვალებიდან 95 წელი სრულდება და, რაც მთავარია, აღდგომაც 5 მაისს არის – ისევე, როგორც ნიკალას გარდაცვალებისას.

**ნათია უტიაშვილი**

(მე-10 გვერდიდან)

მკაცრი კანონმდებლობა აქვს, მაგალითად, შეერთებულ შტატებს, განსაკუთრებით სამხრეთში მექსიკიდან და ლათინური ამერიკიდან მიგრაციის პრობლემის გამო ძალიან მკაცრი კონტროლია. ასევე, მკაცრი კანონმდებლობა აქვს გერმანიას.

**– 126 000 ჩინელის ჩამოსახლებას რა ეშველება, ეს საკითხი ხომ უკვე შეთანხმებულია?**

– შეთანხმებულია ძველ კორუმპირებულ მთავრობასთან. ეს ჩაწერილია ამ ხელშეკრულების განმარტებით ბარათში, მაგრამ ცოტა ორაზროვანი ჩანაწერია. ახლა განმარტავენ, რომ თითქოს ეს თარგმანის შეცდომაა, თუმცა ცოტა უცნაურია, შეგეშალოს 126 000 ადამიანის ჩამოსახლება?!

**– ანუ ჩინელი ინვესტორი კატეგორიულად არ ითხოვს, რომ მის მიერ აშენებულ ჩინურ ქალაქში, მაინცდამაინც, ჩინელებმა იცხოვრონ?**

– კატეგორიულად ველარ მოითხოვენ, იმიტომ რომ ჩვენ გავამკაცრებთ საიმიგრაციო კანონს და მათაც ამ კანონმდებლობით მოუწევთ მუშაობა. ხელშეკრულების განმარტებითი ბარათი კანონზე მაღლა არ დგას. ჩვენ ხელს შევუწყობთ ჩინელ ინვესტორს, რომ წარმატებული ბიზნესი ჰქონდეს და კარგად ააშენოს ის სახლები, მაგრამ მას მოუწევს, დაემორჩილოს ჩვენს კანონებს.

**– ჩვენს სახელმწიფოს არ შეუძლია, რომ თავად შეისყიდოს ის სახლები?**

– შესაძლოა, მოლაპარაკების გზით ფასზე შევთანხმდეთ. ეს არის პოლიტიკურ-კომერციული პროექტი და ჩვენ ის სრულად უნდა გავაკომერციულოთ: ჩვენი მიზანია, დასაქმდნენ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები, შეივსოს ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტი და გაძლიერდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა და კანონი არ არჩევს, რა ეროვნების ინვესტორი გააკეთებს ამას. მიგრაცია უნდა გაკონტროლდეს და ის გაკონტროლდება.

**– რა კვალი იკვეთება ამ პროექტში? რატომ უნდა დასთანხმებოდა საქართველოს წინა ხელისუფლება ასეთ პროექტს?**

– კორუფცია, ეს არის საუკუნის ყველაზე დიდი ღალატი, თუმცა ბრალი მხოლოდ ჩვენს ხელ-

# როგორ გაედინება საქართველოდან საქართველოს მოსახლეობა და როგორ იკავებენ მის ადგილს უცხო, ძირითადად, ჩამორჩენილი ქვეყნის მოქალაქეები

ისუფლებას უნდა დავდოთ, რადგან, ჩვენ რომ გვქონდეს ფინანსური შესაძლებლობა და, მაგალითად, თურქეთმა მოგვცეს საშუალება, ძირძველ ქართულ მიწა-წყალზე აფხაზეთიდან დევნილები

**ჩინეთში ძალიან მაღალი დონის კრიმინალი და კორუფციაა. ამიტომ ჩვენს სპეცსამსახურებსა თუ ჯანდაცვის სამსახურებს უჭირთ შემოდინებული ნეგატივის, არა მხოლოდ კრიმინალის, არამედ ინფექციური დაავადებების, კონტროლი**

ჩავასახლოთ, სიამოვნებით გავაკეთებდით ამას. ამდენად, ვერ დავადანაშაულებთ ჩინელებს ასეთი სურვილებისთვის, უბრალოდ ქვეყანას უნდა ჰყავდეს პატრონი. ამისთვის პასუხი უნდა მოვთხოვოთ მას, ვინც ჩაიდინა ეს დანაშაული და ახალ ხელისუფლებასაც. საკმაო დრო გავიდა უკვე და ახალ ხელისუფლებასაც უნდა მოვთხოვოთ პასუხი ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე. ყველაფრის გამოსწორებას არავინ ითხოვს, მაგრამ გაცილებით ეფექტიანად შეიძლებოდა მუშაობა. მეჩვენება, ზედმეტად გაერთო კინკლაობაში „ნაცმოძრაობასთან“ და ეს არ არის გულუბრყვილო და მიამიტური საქციელი. ეს საჩვენებელი კინკლაობაა, რითაც უნდა გადაიფაროს ხალხის ზურგს უკან მიმდინარე მოლაპარაკება „ნაცმოძრაობის“ მიერ კონტროლირებადი ბიზნესების უჩხუბრად და მშვიდობიანად გადანაწილებაზე. დღემდე „ნაციონალური მოძრაობა“ აკონტროლებს ბიზნესის 80 პროცენტს. ეს ცოტა უტვინო საქციელიცაა, იმიტომ რომ დაუსჯელი ვერ დარჩება, რადგან, დარწმუნებით მინდა გითხრათ, რომ პრემიერ-მინისტრი მონაწილეობას არ იღებს ამ პროცესში. ის ღირსეული კაცია და ამას არ იკადრებს, მაგრამ მისი ძირითადი შემადგენლობა, ძირითადში ვგულისხმობ მათ, ვინც გადაწყვეტილებას იღებს, მონაწილეობს ამ სამარცხვინო გარიგებებში „ნაციონალურ მოძრაობასთან“.

**– ამბობთ, რომ ერთადერთი, რაც უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩამოსახლება-დასახლებას შეუშლის ხელს, არის საიმიგრაციო კანონის გამკაცრება, ეს კანონი უნდა გაამკაცროს ხელისუფლებამ, რეალურია ეს მოლოდინი?**

– რეალურია, რადგან საზოგადოებას აქვს ეს მოთხოვნა. თუ ხელისუფლება არ შეასრულებს საზოგადოების დაკვეთას ასეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, დიდხანს ვერ გაქაჩავს და ეს პარლამენტი ისეთივე უდღეური შეიძლება, აღმოჩნდეს, როგორიც წინა იყო და ასეთ შემთხვევაში, არ გამოვრიცხავთ, მხარი დავუჭიროთ საზოგადოების მოთხოვნას, პარლამენტი დაიშალოს და ჩატარდეს რიგგარეშე არჩევნები. არავის გაუკვირდეს, რომ ჩვენს საზოგადოებას უფრო მეტი მოთხოვნები ჰქონდეს ამ ხელისუფლების მიმართ, ვიდრე წინა ხელისუფლებისადმი ჰქონდა, იმიტომ რომ ხალხმა დაინახა თავისი ძალა. ხალხს ეს ბრძოლა ძვირად დაუჯდა, ამიტომ ამ ხალხთან იმავე ტონითა და გონორით ლაპარაკი ცეცხლთან თამაშია და არ უნდა უკვირდეთ პოლიტიკოსებს, რომ მათ უფრო მაღალ სტანდარტებს მოსთხოვს ეს ხალხი.

**ნინო ხაჩიძე**

# როგორ ეხმარება სიმსივნით დაავადებულებს ტკივილებისა და დეპრესიული ფონის მოხსნაში „კამელინი“ და როგორ მოქმედებს ის ადამიანის იმუნურ სისტემაზე

*მკითხველისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ თბილისში, კერძოდ კი ქინძმარაულის ქუჩაზე, ფუნქციონირებს უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ფარმაცევტული საწარმო, სადაც ნატურალური თაფლისგან მზადდება ქართული პრეპარატი „კამელინი“ ამპულების, კაფსულების, მალამოსა და სანთლების სახით. თუმცა, ამ პრეპარატის შექმნის ისტორია უფრო ადრე, დაახლოებით 60 წლის წინ დაიწყო, ჯერ კიდევ მეოცე საუკუნეში. როგორც ცნობილია, ის შექმნა ცნობილმა ქირურგმა და მეცნიერმა ბენედიქტე (ძაგული) მაღლაკელიძემ სწორედ იმ პერიოდში, როცა არ არსებობდა ეფექტური საშუალება სხვადასხვა ბაქტერიული და სიმსივნური დაავადების სამკურნალოდ.*

*პრეპარატი „კამელინი“ აძლიერებს იმუნურ სისტემას, თრგუნავს სიმსივნის უჯრედებს და აფერხებს მათ გამრავლებას. რაც მთავარია, ამ პრეპარატმა, ადრეც და ახლაც, ბევრი ადამიანი მთლიანად განკურნა სიმსივნისგან. ბევრ შემთხვევაში კი მოხდა სიმსივნური უჯრედების გამრავლების შეჩერება და მეტასტაზები გაქრა. პრეპარატ „კამელინით“ ჯერ კიდევ მაშინ იკურნებოდნენ, როდესაც ის ასეთი პოპულარული არ იყო, რასაც უამრავი მადლობის წერილი ადასტურებს. განკურნებული პაციენტები თუ მათი ოჯახის წევრები წერენ „კამელინის“ უნიკალური თვისებების შესახებ და მის ავტორს დიდ მადლობას უხდიან გამოგონებისთვის. პირადად მე შევიტყვე, თუ როგორ გაუქრა ერთ-ერთ პაციენტს სარკომა, ისე, რომ, როდესაც მას კომპიუტერული ტომოგრაფია გადაუღეს, ეჭვიც კი შეეპარათ, საერთოდ იყო თუ არა მანამდე სიმსივნე. ერთ-ერთ პაციენტს ჰქონდა სწორი ნაწლავის სიმსივნე. გაუკეთეს ოპერაცია. ძალიან მძიმედ იყო, დღეები ჰქონდა დათვლილი. მან მხოლოდ „კამელინით“ განაგრძო მკურნალობა და ხუთი კურსის შემდეგ გამოკეთდა: შეჩერდა სიმსივნური წარმონაქმნის ზრდა, გაქრა მეტასტაზები და პაციენტი ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. რამდენიმე ავადმყოფმა, რომლებიც უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, დაიწყეს „კამელინით“ მკურნალობა და სიცოცხლე გაუხანგრძლივდათ. ფაქტია, რომ „კამელინის“ გამოყენებით ადამიანებს უხანგრძლივდებათ სიცოცხლე და უუმჯობესდებათ ჯანმრთელობის ხარისხი. ერთ პაცინეტს ფილტვის სიმსივნე ჰქონდა, ისრაელშიც იყო, მოსკოვშიც... ყველგან უთხრეს, რომ მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა იყო ექვსი თვე. მან სამი წელი იცოცხლა და, რა თქმა უნდა, მკურნალობდა „კამელინით“, თან, აქტიურად ცხოვრობდა, ტკივილი არ ჰქონია, მხოლოდ ბოლო ერთი თვე იწვა. მაგალითად, ერთი პაციენტი 15 წლის განმავლობაში მკურნალობდა ჯერ უშვილობის გამო, შემდეგ წყლული გაუჩნდა, რომელიც არ შეხორცდა, მერე მედიკამენტური ინტოკსიკაციაც დაემართა. ბოლოს ყველანაირ მკურნალობას დაანება თავი, „კამელინის“ გამოყენებაზე გადავიდა და, როგორც თავად თქვა, პირველი კურსის ჩატარების შემდეგ მოეხსნა ინტოქსიკაცია, ექვსი კურსის ბოლოს კი წყლული შეუხორცდა. ეს მისი ექიმისთვისაც ძალიან საინტერესო და გასაოცარი ფაქტი იყო. ხშირია ისეთი პაციენტების რაოდენობა, რომლებიც „კამელინით“ მკურალობენ ვაგინალურ ინფექციებს. ასევე, არაერთი პაციენტია, რომლებსაც ბაქტერიულ-ვირუსული ვაგინიტების დროს, როდესაც აქვთ ჭარბი გამონადენი და ქავილი, მოდიან და იწყებენ მკურნალობას სანთლებით; ზოგიერთს, პარალელურად, ნემსიც სჭირდება და შემდეგ უკვე თავს ძალიან კარგად გრძნობენ. „კამელინი“, ასევე, ძალიან კარგად მოქმედებს გახანგრძლივებული ბრონქიტების დროს, როდესაც თითქმის ამოწურულია ანტიბიოტიკოთერაპია.*

**ქალბატონი თამარი**: ჩემს დას 33 წლის ასაკში აღმოაჩნდა თავის ქალის სიმსივნე, რომელიც არ ექვემდებარებოდა მკურნალობას და ნელნელა უფრო ცუდად ხდებოდა, უარესდებოდა მისი მდგომარეობა. გავუკეთეთ ოპერაცია, მაგრამ შედეგი არ იყო მაინცდამაინც სახარბიელო, ამიტომ, გადავწყვიტეთ, მკურნალობის სხვა გზები და საშუალებები გვეცადა. პირადად მე, ჩემი ახლობლისგან გაგებული მქონდა „კამელინის“ სამკურნალო თვისებების შესახებ. მას ჰქონდა ფილტვის სიმსივნე, საკმაოდ სერიოზული მდგომარეობა, იმკურნალა „კამელინით“' და დღეს თავს კარგად გრძნობს. ამიტომ, მთელმა ოჯახმა გადავწყვიტეთ, რომ ჩემი დისთვის „კამელინით“ დაგვეწყო მკურნალობა. იმ დროს ჩემი და საკმაოდ ცუდად იყო, ვერ ამოძრავებდა ხელებს, ფეხებს. მაგრამ, „კამელინის“ გაკეთებისთანავე, ორგანიზმმა მუშაობა დაიწყო. რამდენიმე კურსის შემდეგ ავუღეთ ანალიზიები და პასუხები უკეთესი იყო. სიმსივნე დაძლეული იქნა უფლისა და „კამელინის“ დახმარებით და ჩემმა დამ სიარულიც შეძლო. ამჟამად თავს კარგად გრძნობს, ცოტა უჭირს სიარული, მაგრამ, რა შედარებაა, სახლში ყველაფერს აკეთებს. ჩვენ „კამელინს“ უკვე პროფილაქტიკისთვის ვიყენებთ.



*ერთ-ერთ პაციენტს ჰქონდა სიმსივნე ყელზე, მეოთხე სტადია. რამდენიმე წლის წინ გაიკეთა ოპერაცია, მაგრამ, მეტასტაზები მარჯვენა ფილტვზე წავიდა. როდესაც სურათი გადაუღეს, აღმოჩნდა, რომ ფილტვი მთლიანად თეთრი იყო. ოჯახის წევრებმა მისთვის „კამელინის“ გაკეთება გადაწყვიტეს. პირველი ნემსის გაკეთებისთანავე პაციენტმა იგრძნო შვება, სუნთქვა გაუუმჯობესდა; ორი კურსის ჩატარების შედეგ, გადაიღო რენტგენი და აღმოჩნდა, რომ ჯანმრთელი იყო, ამან ექიმების გაკვირვებაც კი გამოიწვია. მკურნალობის ხუთი კურსის ჩატარების შემდეგ კი პაციენტი სრულიად განიკურნა, თავს მშვენივრად გრძნობდა და „კამელინის“ გამოყენებას უკვე სხვებსაც ურჩევდა.*

*24 წლის ახალგაზრდას აღმოაჩნდა თავის ტვინის სიმსივნე. ძალიან ცუდად იყო, ჰქონდა ეპილეფსიური კრუნჩხვები. ოპერაციის გაკეთებაზეც უარი უთხრეს და „კამელინით“ მკურნალობაზეც. მშობლებმა ავადმყოფს მაინც დაუწყეს „კამელინით“ მკურნალობა. თვე-ნახევრის შემდეგ პაციენტის მდგომარეობა გაუმჯობესდა, აღარ ჰქონდა ეპილეფსიური შეტევები.*

*40 წლამდე ასაკის ქალბატონს ათი წლის წინ მარჯვენა მენჯ-ბარძაყზე აღმოაჩნდა სიმსივნე. ჩაიტარა მკურნალობის თითქმის ყველანაირი კურსი, მაგრამ, შედეგი არ ჰქონია. რამდენიმე ხნის განმავლობაში მოსკოვშიც იმყოფებოდა სამკურნალოდ, მაგრამ, კვლავ უშედეგოდ, მდგომარეობა თანდათანობით უარესდებოდა. ბოლო პერიოდში ფეხმა განიცადა დეფორმაცია, დაწვრილდა, რის გამოც ავადმყოფი ველარ დადიოდა და ძირითადად იწვა. რამდენიმე ხნის წინ მან ახლობლების დახმარებით შეიტყო „კამელინის“ სამკურნალო თვისებების შესახებ და გადაწყვიტა მკურნალობა. ჩაიტარა მკურნალობის ოთხი კურსი, იღებდა მხოლოდ კაფსულებს. ნელ-ნელა მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა და ამჟამად პაციენტი თავს კარგად გრძნობს.*

**ქალბატონი მანანა**: ჩემს ახლობელს რამდენიმე წლის წინ დაუსვეს სიმსივნის დიაგნოზი. საკმაოდ ცუდად იყო. მკურნალობის ძალიან ბევრ საშუალებას მიმართა, რა არ სცადა, მაგრამ, უშედეგოდ. იმ დროს „კამელინის“ შესახებ ბევრმა არ იცოდა, მაგრამ, მისმა ახლობელმა უთხრა ამ საოცარი პრეპარატის შესახებ. პირადად მე ვუკეთებდი „კამელინის“ ნემსებს. მკურნალობის რამდენიმე კურსი ჩაიტარა, ზუსტად არ მახსოვს, რამდენი, იმიტომ, რომ მას შემდეგ 6 წელი გავიდა. საგრძნობლად გამოკეთდა, მოძლიერდა და დღესაც მშვენივრად გრძნობს თავს, მუშაობს, ჩვეულებრივი ჯანმრთელი ადამიანივით ცხოვრობს, მიუხედავად იმისა, რომ მკურნალობამდე მისი მდგომარეობა არცთუ სახარბიელო იყო.

**კობა გურიელიძე** ***(კომპანია „კამელინის“ აღმასრულებელი დირექტორი და სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი):*** ადრეული კვლევები, რომელთა საფუძველზეც მტკიცდება „კამელინის“ შესანიშნავი ანტისიმსივნური თვისებები, მოიცავს 1945-1975 წლებს. ამ პერიოდის განმავლობაში „კამელინი“ მოიხმარა ათიათასობით ონკოდაავადებულმა და მათ შორის უამრავი შემთხვევაა, როდესაც უმძიმეს სტადიაზე მყოფი ავადმყოფისთვის „კამელინი“ იყო ის უკანასკნელი იმედი და სასწაული, რომელიც რეალურად გამოჩნდა მათ ცხოვრებაში. სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა შექმნეს პრეპარატები, რომლებიც მკვეთრად ზრდის იმუნური სისტემის ეფექტურ მოქმედებას და შედეგად კიბოს წარმოქმნის ალბათობაც მინიმალურ დონეზეა დასული. ამ პრეპარატებს იმუნომოდულატორები ეწოდება. სწორედ ასეთ შესანიშნავ იმუნომოდულატორს წარმოადგენს პრეპარატი „კამელინი” ინიექციის, კაფსულების, მალამოსა და სანთლების ფორმით.

**– კიდევ ერთხელ განგვიმარტეთ, კიბოს საწინააღმდეგოდ რომელი ფორმის „კამელინის“ პრეპარატი გამოიყენება?**

– თუ შეიძლება, რა თქმა უნდა, საინიექციო ფორმა „კამელინი მ-1“ ყველა სტადიის კიბოს დაავადებისთვის არის აუცილებელი სხვა პრეპარატებთან კომბინაციაში; ასევე, მნიშვნელოვანია „კამელინი მ-4“ – სანთლების (იმ შემთხვევებში, თუ ავადმყოფი უარს ამბობს ნემსებზე) და „კამელინი მ-2“ – კაფსულების ჩართვა მკურნალობის თითქმის ყველა ეტაპზე. მინდა აღვნიშნო, რომ, ვინაიდან თვითონ „კამელინი“ აბსოლუტურად არატოქსიკურია და არავითარ გვერდით მოვლენებს არ იწვევს, მისი გამოყენება სანთლებისა და კაფსულების სახით, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ძალზე ეფექტურია პროფილაქტიკური დანიშნულებითაც.

***P. S.** ვისაც გაქვთ „კამელინთან“ დაკავშირებული შეკითხვები, გსურთ კონსულტაცია ან დამატებითი ინფორმაციის მიღება ქართული წარმოების პრეპარატთან დაკავშირებით, შეგიძლიათ, დარეკოთ ტელეფონის ნომრებზე: 599 33-10-89, 599 58-09-07, 599 23-03-33, 2-98-57-78, 2-71-04-80, 2-22-26-68, 2-93-20-87.*

**ნათია უტიაშვილი**

**გრეგორი რეჯინმა შემოქმედებითი პაუზა აიღო. მას დიდი გეგმები აქვს და ეს ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც, დიდი ხანია მედიაში აღარ გამოჩენილა. როგორც თავად ამბობს, რადიკალურად განსხვავებულისთვის ემზადება, იმდენად განსხვავებულისთვის, რომ თავის ნამდვილ სახელსა და გვარს იბრუნებს და ფსევდონიმის – ჯიჯი რეჯინის ნაცვლად, ისევ გრეგორი დევეჯიევი გახდება. მისი ახალი პროექტების ნახვამდე ცოტა ქართულ მოდაზე ვისაუბრეთ.**

# რა გავლენას არ აღიარებს გრეგორი დევეჯიევ-რეჯინი და რა პაუზა აიღო მან

**– მოდის ერთგვარ მეტრად ჩამოყალიბდი, მოდის სფეროში რაღაცეები იმის მიხედვით იზომება, შენ რამდენად მოგწონს ესა თუ ის დიზაინერი, პროექტი, მოდელი...**

– სიმართლე გითხრა, პირველად შენგან ვისმენ მსგავს რამეს. ვმუშაობ მოდის ინდუსტრიაში, ვიღებ მოდას...

**– და, ვერ გრძნობ რომ შენი აზრი ძალიან მნიშვნელოვანია?**

– ვიცი, რომ აინტერესებთ. ალბათ, უფრო აინტერესებთ, რადგან აზრს მნიშვნელობა აქვს, ეს ცოტა ხმამაღალი ნათქვამია. ხშირ შემთხვევაში, მეკითხებიან: რა მოგწონს რა – არა, რა შევცვალოო, მაგრამ, არა იმიტომ, რომ მაინცდამაინც ჩემი აზრია მნიშვნელოვანი, უბრალოდ, ქვეყანაში მოდაზე აზრის გამოთქმის უნარის მქონე ადამიანების დეფიციტი გვაქვს, იმ ადამიანების, ვინც პირდაპირ იტყვის, რა მოსწონს და რა – არა. შეიძლება, გემოვნება ბევრს აქვს, მაგრამ მათ უჭირთ იმის თქმა, რომ არ მოსწონთ.



**ხანდახან გემოვნებაში ისე „ვიჭედები“, ისეთ რაღაცეებს ვიცვამ, რომ მერე ვფიქრობ, რამ ჩამაცვა ასე, რამ გამომაშტერა-მეთქ**

**– მეორე პრობლემაცაა: მოსწონთ თუ არ მოსწონთ, ვერ ხსნიან მიზეზს.**

– ზუსტად, აბსოლუტურად გიერთდები ამაში. თუ ვამბობ, რომ მომწონს, ამის კონკრეტული საფუძველი და მიზეზი მაქვს და, თუ ვამბობ – არ მომწონს, იმიტომ კი არა, რომ ეს პოზაა და მინდა კრიტიკული ვიყო, ამის ძალიან დეტალური ანალიზის გაკეთებაც შემიძლია და იმ მიზეზების ზუსტად ჩამოთვლაც, რატომაც არ მომწონს. როცა მლანძღავენ ან აკრიტიკებენ ჩემს ფოტოებს, სულ ვითხოვ: თქვით – რატომ? არ მოგეწონათ შუქი, ექსპოზიცია, კომპოზიცია, რა არ ვარგა, რომ გავითვალისწინო? მაგრამ, თუ, უბრალოდ, არ მოგწონს, ეს ლანძღვა და პირადი შეურაცხყოფაა და არც მწყინს, მიხარია, რადგან, ვხვდები, ხალხს ჩემი შურს.

**– ვერ გრძნობ, რომ ხალხი ძალიან მარტივად იტაცებს იმას, რაც შენ მოგწონს?**

– სავარაუდოდ, მოსწონთ ჩემი შემოქმედება და ენდობიან ჩემს აზრს. თუ მიაჩნიათ, რომ გემოვნებიანი ნამუშევრები მაქვს, გემოვნებიან პროდუქტს ვქმნი, მაშინ, სხვა საკითხებზეც აინტერესებთ ჩემი აზრი. არ ვცდილობ და არ მინდა, ვიყო გავლენიანი ადამიანი; მინდა, თავისუფლად ვამბობდე ჩემს აზრს და ასე იქნება ყოველთვის.

**– და, არიან ქართულ მოდაში „პუგაჩოვები“?**

– არა. პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ ქართული მოდა ჯერ არ არის ინდუსტრია, ფული არ არის. მინდა, ვხედავდე ბევრ, განსხვავებულად ჩაცმულ ადამიანს, მაგრამ, არა იმ მოტივით, რომ მინდა ვიყო განსხვავებული და სულ არ მაინტერესებს ეს ჩემი ჩაცმულობა რა შინაარსს ატარებს. ჩაცმულობას უნდა ჰქონდეს მიზეზი – რატომ აცვიათ, რისთვის აცვიათ, რა შინაარსს ატარებს. სულ ვამბობ, რომ გაუნათლებლობა ყველა სფეროში მთავარი პრობლემაა. რაც უფრო მეტს იმუშავებ საკუთარ თავზე და განვითარდები, მით უფრო იოლად შეხედავ რაღაცეებს. მეტსაც გეტყვი: ხანდახან გემოვნებაში ისე „ვიჭედები,“ ისეთ რაღაცეებს ვიცვამ, რომ მერე ვფიქრობ, რამ ჩამაცვა ასე, რამ გამომაშტერა-მეთქი. მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ოდესმე ამას ჩემს ნამუშევარზე ვიტყვი. არ ვარ საკუთარი თავის პროდუქტი, არ მადარდებს ჩაცმულობა: დღეს ეს მაცვია, ხვალ – სხვა, „მკიდია“... მაგრამ ვისთვისაც ამას მნიშვნელობა აქვს, ვინც საკუთარი ვიზუალით პროდუქტს ქმნის, მან ძალიან ბევრი უნდა იფიქროს ამაზე და ვიღაცის ექსპერიმენტები პირდაპირი წესით არ გადმოიღოს – ეს ძალიან მძიმე საყურებელია. რა თქმა უნდა, ხალხი აზრს მეკითხება, მაგრამ, არ მიყვარს როდესაც არ ითვალისწინებენ. მოდი, დავსხდეთ, გავისაუბროთ და მე გადავწყვეტ. თუ მეკითხები აზრს, გაითვალისწინე, ტყუილად ნუ მალაპარაკებ, ძალიან გთხოვ.

**– რატომ არ აკეთებ მოდაზე რამე გადაცემას? გაქვს ის ქარიზმა და პირდაპირობა, რომელიც კარგ შოუდ აქცევდა შენს გადაცემას. ალბათ შემოთავაზებებიც გაქვს.**

– შემოთავაზებები ხშირადაა, მაგრამ უარს ვამბობ ერთადერთი მიზეზით – ძალიან უმადური საქმეა. ეს გადაცემა გამოიწვევს დიდ აგრესიასა და დიდ რეიტინგს. მითხარით, ჩემთვის კარგი რა არის?! მე არ მაქვს მოდის „იკონის“ პრეტენზია, რომელიც მოდის განვითარებაზე ზრუნავს; უამრავი სხვა „იკონა“ გვყავს, ალბათ...

**– შენთვის ვინ არის მოდის „იკონა“?**

– არავინ. უბრალოდ, არიან ადამიანები, ვისი ჩაცმულობაც ძალიან მომწონს. მაგალითად, ლენკა ციციშვილი. მასში არის ინდივიდუალიზმი, რისკი, ექსპერიმენტულობა და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი მისი შინაგანიდან მოდის. ის არ ცდილობს, სხვის მიერ გაკეთებული ექსპერიმენტი გადმოიტანოს, არ იპარავს და საკუთარ თავზე იტარებს ყველანაირ ექსპერიმენტს.

**– უფრო ქალურ და ელეგანტურ სტილში ვის გამოარჩევ?**

– სოფია ჭყონიას, ერთმნიშვნელოვნად. ძალიან მომწონს. ყოველთვის გათვლილი აქსესუარი, სათვალე ყოველთვის შეესაბამება ფეხსაცმელს. ეს ქალი იცვამს ძალიან სადად და ძალიან, ძალიან ქალურად. მიყვარს ორნაირი ქალი: ან სადა, დახვეწილი და ელეგანტური, როგორც სოფო ჭყონიაა, ან – ცოტა ჰიპსტერული, როგორიცაა ლენკა ციციშვილი.

**– როგორ ფიქრობ, მოდის კვირეული რამენაირად ზრდის დიზაინერების დონეს, წინ მიდიან?**

– დიზაინერებს ზრდას მართლა ვატყობ და, თანაც, რაღაცის გაკეთება ყოველთვის უფრო დადებითია, ვიდრე არაფრის კეთება. თან, თბილისში ბევრი რამ ხდება: ეწყობა გამოფენები, ჩამოდიან საინტერესო ადამიანები და „ვორქშოპებს“ ატარებენ. ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებაა „ბი ნექსთი“ – სტუდენტებს ვაძლევთ საშუალებას მიიღონ სერიოზული გამოცდილება.

**– დიზაინერებსაც ის სენი ხომ არ სჭირთ, რომ განსხვავებულობის სურვილით საკუთარ თავს კარგავენ?**

– ჩვენ – მე, შენ, ყველას – არ უნდა გვეშინოდეს ვიყოთ სადები და უბრალოები. არ უნდა გამოვიგონოთ ახალი ველოსიპედი. ნუ გეშინიათ სისადავის, რადგან, ყველაფერი გენიალური – მარტივია.

**– შენს კარიერაში რა ხდება?**

– ძალიან დიდი პაუზა ავიღე, რომელიც უფრო საზოგადოებისთვის იყო, თორემ, ისე, ოცდაოთხსაათიან რეჟიმში ვმუშაობ. სექტემბრისთვის ჩემი თაყვანისმცემლები ნახავენ ახალ გრეგორის ახალ ჟანრში, ახალი სახელით, სრულიად განსხვავებული შემოქმედებითი ხედვით. აღარ ვიქნები რეჯინი – ვფიქრობ, ამ სახელმა და გვარმა თავისი საქმე გააკეთა. ყველაფერს თავისი ადგილი, დრო და დანიშნულება აქვს.

**– დასაწყისში ბრუნდები?**

– დიახ, ჩემს ნამდვილ სახელსა და გვარს ვიბრუნებ, რადგან, ასე უფრო კომფორტულად ვარ. ახლა უკვე ახალი ეპოქა იწყება. იმდენად რადიკალურად ახალს ვაკეთებ, რომ ძველ სახელსა და გვარს აღარ უხდება. ყოველთვის ვიწერებოდი როგორც გრეგორი დევეჯიევ-რეჯინი, მაგრამ, მინდა, რომ რეჯინი მოვხსნა. საკუთარი გვარით წარდგენის პირველი მცდელობა მქონდა პარიზში – ქართული დღეების ფარგლებში „ფარაჯანოვი“ ვაჩვენე და ძალიან წარმატებული გამოდგა. ახლა ჩემი ნამდვილი გვარი უფრო ახლოსაა ჩემს შინაგან მდგომარეობასთან. ჩემი ძირითადი ბაზარი საქართველო არ იქნება, სხვა ქვეყნებისთვისაც ვიმუშავებ...

**ჩაცმულობას უნდა ჰქონდეს მიზეზი: რატომ აცვიათ, რისთვის აცვიათ, რა შინაარსს ატარებს**

**– უცხოური ჟურნალებიდან ხომ არ გაქვს შემოთავაზება?**

– აი, მაგას უკვე არ გეტყვი. ყველაფერს თავისი დრო აქვს ***(იცინის).*** ამიტომაც, ვცდილობ, არ გამოვჩნდე და შენც ახლა გამომიჭირე. ზოგადად, აღარ მომწონს ეს „პაბლიკ“ ცხოვრება. მინდა, წყნარად ვაკეთო ჩემი საქმე.

**სალომე გველესიანი**

**ეკა აბშილავა**: ამ ეტაპზე შემოქმედებითად საკმაოდ აქტიურად ვარ დაკავებული. ყოველდღიურ რეჟიმში ვმუშაობთ „კომედი შოუზე”; ახლახან ერთ-ერთი ფილმი გავახმოვანეთ, ასევე, გვიწვევენ სხვადასხვა გადაცემაში. ერთი სიტყვით, გაცილებით აქტიური გახდა ჩემი ცხოვრება, რაც ძალიან მომწონს.

**– სპექტაკლებში თუ თამაშობ?**

– როგორც კი თეატრალური უნივერსიტეტი დავამთავრე, ქასთინგზე მივედი „კომედი შოუში“. სტუდენტობის პერიოდში ვითამაშე რამდენიმე სპექტაკლში, თუმცა, „კომედი შოუს” შემდეგ ცოტა ჩამოვშორდი თეატრს, რაც ჩემთვის ნამდვილად სამწუხაროა. მაგრამ, ჩემი ბედით მაინც კმაყოფილი ვარ. სპექტაკლებში თამაშის სურვილი, რასაკვირველია, მაქვს. ამჟამად „ილიაუნის” თეატრში ვთამაშობ ერთ სპექტაკლში. ვებღაუჭები თეატრს, ჩემს ჭიას მაინც ვახარებ ***(იცინის).*** თეატრალურში იმიტომ ჩავაბარე, რომ სპექტაკლებში, ფილმებში მეთამაშა. იმედია, სამომავლოდ უფრო დავკავდები როლებით.

**– რაც შეეხება კინოს, როგორც ვიცი, რამდენიმე ფილმში თამაშობდი.**

– რამდენიმე ეპიზოდური კინოროლი მაქვს. „ჟამი ყვავილობისა” – იყო ასეთი სერიალი და იქ ვთამაშობდი ერთ-ერთ როლს. ამ სერიალის გადაღების პროცესში, პარალელურად იწერებოდა სცენარი და თანდათან ისე განვითარდა ჩემი როლი, რომ ძალიან საინტერესო გახდა. შემდეგ, სამწუხაროდ, შეწყდა სერიალის გადაღებები, რაც ძალიან მეწყინა. სერიალ „დეტექტივებში” ვითამაშე ერთ სერიაში. მოკლედ, მაქვს რამდენიმე როლი და, იმედია, უფრო სერიოზული როლებიც მექნება მომავალში. ძალიან დიდი სურვილი მაქვს და, ალბათ, შემოთავაზების შემთხვევაში, აუცილებლად დავთანხმდები, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, ჩემი ბედით ძალიან კმაყოფილი ვარ და სიამოვნებას მანიჭებს ის საქმე, რასაც ახლა ვაკეთებ.

**– საკუთარ თავს თუ ამსგავსებ შენ მიერ განსახიერებულ რომელიმე პერსონაჟს?**

– საკუთარ თავს, ალბათ, ვერ მივამსგავსებ, რადგან, ჩვენი თითოეული სკეტჩი დაახლოებით თხუთმეტწუთიანია. იმ მომენტში ვეძებ კონკრეტული პერსონაჟის თვისებას, მანერას ან ჩაცმის სტილს, იმდენად ვიცვლები ხოლმე, რომ, ჩემი აზრით, არც ერთი პერსონაჟი არ არის „ჩემეული”. ვიცი, რომ უნდა ვითამაშო, დავემსგავსო კონკრეტულ ადამიანს, ვაკვირდები ხოლმე, ვცდილობ, თავიდან ბოლომდე გადავიღო მისი თვისებები.

**– თითქმის ყველანაირი პერსონაჟის განსახიერება გიწევს. ეს, ალბათ, ძალიან საინტერესოა.**

– ნამდვილად ძალიან საინტერესოა. ბევრ ისეთ რაღაცას აღმოვაჩენ ხოლმე, რაზეც მანამდე დაკვირვებული არ ვიყავი. საინტერესოა თვითონ წერის პროცესი. ოც ხუმრობას რომ დაწერ, იქიდან, შეიძლება, სამი აირჩიონ, მაგრამ თვითონ წერის პროცესი ძალიან სახალისოა. მე პირადად, ძალიან ვერთობი ხოლმე ***(იცინის).*** ბიჭები ძალიან ბევრს ფიქრობენ თითოეულ ხუმრობაზე. ხანდახან ისეთი ხუმრობებიც არის, რომ, გამორიცხულია, არ გაგეცინოს. ამ შემთხვევაში ვაჩერებთ კადრს და შემდეგ თავიდან ვიწყებთ. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხს, რომელიც ჩაწერებს ესწრება. იმდენად გვამხნევებენ, ისეთი დადებითი მუხტი მოდის მათგან, რომ არანაირი უხერხული მომენტები არ გვაქვს ხოლმე. ხანდახან ისეთი როლი მაქვს, რომელიც ძალიან საპასუხისმგებლო და სანერვიულოა, მაგრამ, ის პუბლიკა, რომელიც გადაცემის ჩაწერას ესწრება, ძალიან გვამხნევებს და ჩაწერაც გაცილებით გვიმარტივდება.

**მომხიბვლელი და ენერგიული მსახიობი ეკა აბშილავა მაყურებელმა „კომედი შოუს” მეშვეობით გაიცნო. ის ცხოვრებაშიც ისეთივე მხიარული და ხალისიანია, როგორიც ეკრანზე ჩანს. დღეს გიამბობთ, თუ რა ხდება მის პირად ცხოვრებაში, რა საინტერესო გატაცება გამოჰყვა ბავშვობიდან და რა უცნაური თვისება ახასიათებს ამ მომხიბლავ მსახიობს.**

# რაში „დასთენებია“ ღამეები ეკა აბშილავას და როდის აქვს მას „გათიშვის“ პერიოდები

**– ეკრანზე ძალიან მხიარული და ენერგიული ჩანხარ, ცხოვრებაშიც ასეთი ხარ?**

– სხვათა შორის, როცა ჩემს ნათამაშებ როლებს ვუყურებ, ძალიან არ მომწონს, ვერ ვიტან ხოლმე. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ თავმდაბალი ვარ, უბრალოდ, მართლა არ მომწონს და ყოველთვის ვცდილობ, გამოვასწორო. ძალიან კრიტიკული ვარ საკუთარი თავის მიმართ. როდესაც ცნობილი ადამიანების პაროდიებს ვაკეთებ, ძალიან მიჭირს, მერიდება. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს დადებითად უნდა აღიქვა და ცუდად არ მიიღო. რაც შეეხება რეალურ ცხოვრებას, ჩემი აზრით, მხიარული ვარ. მიყვარს მეგობრებთან ერთად გართობა, მაგრამ, ერთი უცნაური თვისება მახასიათებს – გათიშვები მჭირს. შეიძლება დავჯდე და უცბად გავითიშო. მეკითხებიან, რა გჭირსო – შეიძლება, სახეზე მეტყობა, რადგან მაშინვე მამჩნევენ, რომ რაღაც ისე ვერ არის. ძალიან ხშირად მეუბნებიან, რომ გაცნობამდე სხვანაირი ვეგონე და სინამდვილეში სხვანაირი ვარ. ერთი თვისება მომწონს საკუთარ თავში – საერთოდ არ ვარ დეპრესიული. როდესაც რაღაც პრობლემა მაქვს და ძალიან განვიცდი, მალე მავიწყდება. დილით, შეიძლება, სიგიჟემდე ვინერვიულო რაღაცაზე, მაგრამ, საღამოს რომ მკითხო, არ არის გამორიცხული, არც კი გამახსენდეს. ხანდახან უყურადღებობაში გადამდის და ეს ფაქტი ძალიან მაწუხებს. თუ არ დამირეკეს და შემახსენეს, მავიწყდება.



**ბავშვობაში დაქალები მთხოვდნენ, რომ მეჩუქებინა და, იცი, როგორ მენანებოდა?! ახლა იმდენი მაქვს, ყუთებში მიწყვია, ვისაც უნდა, შეუძლია, მოვიდეს და წაიღოს**

**ადრე თუ გავდიოდი მაღაზიაში ჩუსტებით, ახლა ასე აღარ დავდივარ**

**– რაც შეეხება შენს პირად ცხოვრებას, რა ხდება სამსახურს გარეთ?**

– ადრე მქონდა ისეთი პერიოდი, რომ არაფრისთვის არ მრჩებოდა დრო, მაგრამ, ახლა ასე ნამდვილად აღარ არის. დრო როგორ ვერ უნდა გამონახო პირადი ურთიერთობებისთვის, მეგობრებისთვის, განტვირთვისთვის?! – ეს, ალბათ, აუცილებელიცაა. თუმცა, არიან ადამიანები, ვინც მართლა ვერ იცლის ვერაფრისთვის სამსახურის გარდა. ჩემს შემთხვევაში ასე არ არის. დღის განრიგი ისე მაქვს განაწილებული, რომ ცოტ-ცოტა ყველაფრისთვის მრჩება დრო.

**– რა არის შენთვის განტვირთვის საუკეთესო საშუალება?**

– ყველაზე კარგი განტვირთვა ჩემთვის არის ვარჯიში – ვგიჟდები, ისე მიყვარს. როდესაც სავარჯიშო დარბაზში შევდივარ, ყველაფერი მავიწყდება. სარბენ ბილიკზე რომ ვდგები, თვითონ მეცინება საკუთარ თავზე, იმდენად მობილიზებული ვარ ვარჯიშისთვის. სეირნობაც ძალიან მიყვარს. კიდევ, განტვირთვის ერთ-ერთი საშუალება არის თავისუფალ დროს აქსესუარების კეთება – შეიძლება ითქვას, ეს ჩემი ჰობია. ბავშვობიდან მიყვარდა ეს საქმე, უამრავი სამკაული მაქვს ჩემი ხელით გაკეთებული. ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როცა აქსესუარების კეთებისას ღამეები დამთენებია ***(იცინის).*** ბავშვობაში ვქარგავდი, შემდეგ კი ამ მოქარგულს ბისერებით ვრთავდი; ვაკეთებდი ლამაზ ჩარჩოებს, ზარდახშებს და ეს გატაცება დღემდე გამომყვა, თუმცა, ამ ბოლო პერიოდში ცოტა მოვუკელი ამ ყველაფრის კეთებას. მახსოვს, ბავშვობაში დაქალები მთხოვდნენ ხოლმე, რომ მეჩუქებინა და, იცი, როგორ მენანებოდა ***(იცინის)?!*** ახლა იმდენი მაქვს, ყუთებში მიწყვია, ვისაც უნდა, შეუძლია, მოვიდეს და წაიღოს ***(იცინის).***

**– „კომედი შოუში” გამოჩენისთანავე ძალიან პოპულარული გახდი. მოგწონს მუდმივად ყურადღების ცენტრში ყოფნა? ალბათ, თაყვანისმცემელთა რიცხვმაც იმრავლა.**

– თავიდან, ქუჩაში თან მცნობდნენ, თან – ვერა და ეს ცოტა მაკომპლექსებდა, ძალიან ვიძაბებოდი. ამბობდნენ: ეს ის არ არის, კომედი შოუს მსახიობიო?! ეჭვის თვალით მიყურებდნენ. ახლა კი თითქმის ყველა მცნობს; იციან, რომ მე ვარ ეკა, „კომედი შოუს“ მსახიობი. ძალიან მომწონს პოპულარობა, ყურადღების ცენტრში ყოფნა სტიმულს მაძლევს თუნდაც იმაში, რომ მუდმივად ფორმაში ვიყო. ადრე თუ გავდიოდი მაღაზიაში ჩუსტებით, ახლა ასე აღარ დავდივარ. თაყვანისმცემელთა რიცხვმაც იმრავლა, „ფეისბუქის“ საშუალებით ხშირად მწერენ, მეგობრების სიაში მამატებენ. ტელეფონზე ზარები ცოტა გამაღიზიანებელი და შემაწუხებელია. ძალიან ხშირად მირეკავენ და, ცოტა უხეშად თუ ვეტყვი რამეს, მერე ჰგონიათ, თავში მაქვს ავარდნილი. ამიტომ, ვცდილობ, ზრდილობიანად ველაპარაკო და ჩემი მეგობრები მიბრაზდებიან ამაზე.

**ხატია კარანაძე**

# ბრძნული აზრები

**მელიხანი**: თუ ორი უბედურებიდან ერთ-ერთს არჩევ, შეიძლება, მაშინ არც ისე ცუდად ყოფილა საქმე.

**ჰემინგუეი**: თუ გეუბნებიან: „ჩემი სიმდიდრე სიმწრით მაქვს მოპოვებული“, თქვენ შეგიძლიათ შეეკითხოთ: „ვისი სიმწრით?“

**ტვენი**: ადამიანებს ის კი არ უნდათ, უბრალოდ მდიდრები იყვნენ, მათ სურთ, სხვაზე მდიდრები რომ იყვნენ.

**ვოლტერი**: ბევრს სჯერა ღმერთის, მაგრამ ძალიან ცოტასი სჯერა ღმერთს.

**უაილდი**: ამერიკის ყველაზე ძველი ტრადიცია ახალგაზრდობაა, ის სამასი წლისაა.

**ნიცშე**: მუსიკა ბადებს გრძნობებს, რომელიც ცხოვრებაში არ არსებობს.

**ეშენბახი**: ადამიანი, რომელიც არასოდეს ცდება, იღებს ბრძანებებს იმ ადამიანებისგან, რომლებიც ცდებიან.

**რასელი**: დავიწყებული აზრი ყოველთვის მნიშვნელოვნად გვეჩვენება.

**მანი**: ფიქრი ადვილია, წერა – ძნელი.

**ლერმონტოვი**: აღზრდა ძნელი რამ არის, გგონია, მოვრჩიო და ახლა იწყება.

**ბელინსკი**: ადამიანს ეშინია მხოლოდ იმის, რაც არ იცის. ცოდნა ამარცხებს შიშს.

**ბუასტი**: დავა შეიძლება მასთან, ვისაც არ ეთანხმები და თანაც კარგად გესმის.

**ილია**: ქვეყანა ტაძარი კი არაა, საცა კაცი მარტო უნდა ლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და მუშაობდეს.

**აკაკი**: სოლომონმა თქვა: ბრძენი ის კი არ ყოფილა, ვინც მარტო თავის ჭკუაზე დადის, – ის ყოფილა, ვინც სხვებსაც დაეკითხება ხოლმეო.

**კონსტანტინე**: სანამ დედა ჰყავს კაცს, მუდამ ახალგაზრდად ითვლება.

**ლონგფელო**: სახიფათოა მოყვარე შტერი, ჯობია, გყავდეს ჭკვიანი მტერი.

**ფრანკლინი**: შენი შრომა აიძულე; ნუ დაელოდები, რომ მან გაიძულოს.

**კომენსკი**: მხოლოდ ის არის ადამიანში მტკიცე და საიმედო, რაც მის არსებაში ცხოვრების პირველ პერიოდში დაინერგა.

**ბონაპარტე**: იცით, რა მაოცებს ყველაზე მეტად? ის, რომ რაც უნდა ეცადო, ძალმომრეობით ვერაფერს შექმნი და ვერც ვერაფერს დაამტკიცებ. ქვეყნად ორად ორი ძალა მეგულება: ხმალი და გონება. საბოლოოდ გონება მუდამ სჯობნის ხმალს.

**სტენდალი**: სიყვარული გიჟს აჭკვიანებს და ჭკვიანს აგიჟებს.

**დიდრო**: ჭეშმარიტებას უყვარს კრიტიკა, მისგან მხოლოდ მოგებული რჩება; სიცრუეს სძულს კრიტიკა, რაც მისთვის ხელსაყრელი არაა.

**გოეთე**: ქალიშვილები გვიყვარს იმის გამო, რაც არიან, ვაჟები კი იმის გამო, რაც უნდა გახდნენ.

**ლაროშფუკო**: ქალებს მამაკაცების გასულელება უფრო მოსწონთ, ვიდრე მათი საყვარლებად ქცევა.

# თუ გაიგებთ

1. ინგლისური ანდაზა ამბობს: „ნამდვილი ჯენტლმენისთვის აუცილებელია სამი უმაღლესი განათლება“. **რა და რა?**

2. სინტოიზმში არის ამატერასუ, ძველ სომხურ მითოლოგიაში – ჰაიკი, ძველ ეგვიპტურში – რა; **ძველ ბერძნულ მითოლოგიაში?**

3. დაახლოებით 900 წელს, გრაფმა რიშარმა ცენტრალურ და აღმოსავლეთ საფრანგეთში დააარსა საჰერცოგო, რომლის დასახელებაშიც შემორჩა ოდესღაც იქ მოსახლე ტომების სახელი. **რა უწოდეს ამ საჰერცოგოს?**

4. 1926 წელი: „აღმაშფოთებელია! ეს ბურჟუაზიული ერთ-ერთი მავნე გადმონაშთია, რომელიც რელიგიურ უკულმართობებთან ერთად, წამლავს ხალხის ცხოვრებას“. 1936 წელი: „როგორი შესანიშნავი გასართობია ბავშვებისთვის. ვიღაც ტვინგამომშრალი ადამიანების ნომენკლატურული აზროვნების გამო, ჩვენი ყოფაცხოვრებიდან კინაღამ ამოვილეთ ასეთი მშვენიერი რამ!“. ამ ორ ფრაზას შორის ათი წელია და ნათქვამია ერთსა და იმავე საგანზე, რომლის გარეშე შეუძლებელია, წარმოვიდგინოთ ყველა ჩვენგანისთვის წლის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი პერიოდი. **დაასახელეთ, რაზე ჰქონდათ ასეთი ურთიერთგამომრიცხავი აზრი კომუნისტებს?**

5. „ლიზისი“ – სამედიცინო ტერმინია, რომელიც აღნიშნავს ნელ, თანდათანობით გამოჯანმრთელებას. **დაასახელეთ, რა ჰქვია ავადმყოფობის დროს მკვეთრ გარდატეხას, რომლის შემდეგ სწრაფი გამოჯანმრთელება იწყება.**

6. 1966 წელს ირანის პარლამენტმა აკრძალა უცხოური სიტყვების გამოყენება როგორც წერით, ისე ზეპირმეტყველების დროს სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში, ასევე, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. აიკრძალა ადგილობრივ, ფარსის გარდა, ნებისმიერ სხვა ენაზე წარწერების გაკეთება ქუჩების, რესტორნების, მაღაზიების აბრებზე. ხმარებიდან გამოვიდა 7 000 სიტყვა, მათ შორის ისე ხშირად გამოყენებულები, როგორებიცაა: „ფაქსი“, „კომპიუტერი“, „ტელეფონი“... ეს დისკრიმინაცია არ შეეხო ერთადერთ ენას. **რომელს?**

7. ისინი არც გურუები არიან და არც წმიდანები, უბრალოდ, მათ ასეთი პროფესია და საქმიანობა აქვთ, თუმცა, მათ შორის არიან შემთხვევითებიც. მათ ძალიან ბევრი საერთო აქვთ ექიმებთან, მაგრამ, არ კურნავენ მათ სხეულს და არც რეცეპტებს უწერენ; დიდი საერთო აქვთ მასწავლებლებთანაც, თუმცა, ნიშნებს არ წერენ. საერთო აქვთ რელიგიის მოძღვრებთანაც, ოღონდ, ისინი არ ცდილობენ, ღვთის რწმენისკენ მოაქციონ თავიანთი კლიენტები და იღებენ ისეთებს, როგორებიც არიან, უბრალოდ, ეხმარებიან მათ. **ვინ?**

8. ჩინეთის იმპერატორთა ბიბლიოთეკის 18 ათასი ტომიდან 500 მისადმია მიძღვნილი. რომში მას უძღვნიდნენ ჰიპოკრატეს – დუმილის ღმერთს. ინგლისელები მან თავისი სილამაზით მეთოთხმეტე საუკუნეში დაატყვევა და მალე ორი მტრულად განწყობილი მხარის სიმბოლო გახდა. **რა?**

9. ბიბლიაში ეს ცხოველი საოცრად დიდი ზომებით არის მოხსენიებული, ძველ ეგვიპტელებს ის წმიდა ცხოველად მიაჩნდათ და სიკვდილის შემდეგ აბალზამებდნენ კიდეც. ინდოელების აზრით, ის ღმერთ ვიშნუს მფარველობს, ჩინელები კი თაყვანს სცემდნენ, როგორც იმპერატორის გარდასახვას. **რომელ ცხოველს?**

10. ერთ-ერთი პირველი ორთქლის მანქანა, რომელიც ჯონ ვატმა ააგო, განკუთვნილი იყო ლუდსახარშისთვის და გამოიყენებოდა ცხოველების შრომა. **რომელი საზომი ერთეული დამკვიდრდა ამ მოვლენის შემდეგ ერთეულთა სისტემაში?**

*პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე*

# მხოლოდ ფაქტები

* ქალაქი არზრუმი 415 წელს დაარსდა და ფეოდოსიპოლი ერქვა. მეცხრამეტე საუკუნეში მისი მოსახლეობა 100 ათასს აღწევდა და მასზე გადიოდა ევროპასა და აზიას შორის მთავარი სახმელეთო სავაჭრო გზა.

* მსოფლიოში ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა – 2 279 მეტრ სიმაღლეზე, მექსიკის დედაქალაქის, მეხიკოს მეტროპოლიტენი მდებარეობს.

* ევროპელებმა ზებრა პირველად 1591 წელს ნახეს. მათი აზრი არ დაემთხვა აფრიკელებისას – მათგან განსხვავებით, ევროპელები ფიქრობდნენ, რომ ზებრა შავია თეთრი ზოლებით.

* აბრაამიდან დავითამდე 14 თაობაა, დავითიდან ბაბილონში გადასახლებამდე – 14, ბაბილონში გადასახლებიდან – კვლავ 14. ეს იესო ქრისტეს წინაპრების თაობათა რაოდენობაა.

* ინდოეთში, არა მხოლოდ ტყეებსა და მინდვრებში, სოფლებსა და ქალაქებშიც ბევრი დიდი გველი დასრიალებს, თუმცა, ყველაზე საშიშები პატარა, „სამწუთიანი“ და „ხუთწუთიანი“ გველები არიან – მათი კბენის შემდეგ სიკვდილი 3-5 წუთში დგება.

* ჩეხურმა ფანქრების მწარმოებელმა ფირმამ „კოხ-ი-ნორმა“ 1990 წელს გამოუშვა ფლომასტერები, რომლებსაც თეთრი საღებავით ავსებენ. ისინი გრიფელის დაფებზე დასაწერად გამოიყენება და, ჩვეულებრივი ცარცის მსგავსად, უბრალო მშრალი ქსოვილით იშლება.

* ჭადრაკის ფიგურას – ეტლს არაბები „რუხს“ ეძახდნენ, აზერბაიჯანელები – „ტოპს“; ზოგ ენაზე ეს ნიშნავს „კოშკს“, ზოგზე კი – „ლულას“, „ურემს“...

* ყველა ცხოველს გამორჩეულად უყვარს ესა თუ ის სუნი. კატებს ვალერიანისა და პიტნის სურნელი მოსწონთ; ლომებს, თურმე – კარგი სუნამოსი, აქლემს კი... ალბათ, ადვილად მიხვდებით, რომ ყველა სხვა სურნელს თამბაქოს სუნი ურჩევნია. სხვათა შორის, ამიტომაც დაარქვეს ერთ-ერთ სიგარეტს Camel – აქლემი.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლd7-d1!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



საშუალო ასაკია, როცა შენთვის სულერთია, სად მიდის ცოლი, მთავარია, მასთან ერთად არ იბოდიალო.

***

– მამი, რა განსხვავებაა ბავშვებისა და დიდების მიქსტურებს შორის?
– ბავშვების მიქსტურები ტკბილი და რბილია, დიდების კი – მწარე და მაგარი.

***

– ქალბატონო, არ გაწუხებთ ზედმეტი წონა?
– ზედმეტი კი არ არის, სათადარიგოა...

***

ეკლესიაში:
– მამაო, ჯვარი დაგვწერე.
– ძალიან კარგი, ახალგაზრდავ... რამდენი წლის ხარ, შვილო?
– 22 წლის.




– საპატარძლო?
– 15-ის.
– ო, ეს ხომ კანონით დაუშვებელია?
– თუ შეიძლება, ეს მამამისს უთხარით – კარს უკან დგას გადაჭრილი თოფით...

***

თქვენი ცოლი არ იღვიძებს მაღვიძარას მეხუთე დარეკვის შემდეგაც?!
არ არის პრობლემა, აკოცეთ ლოყაზე და აუცილებლად თქვით ქალის რომელიმე სახელი...

***

გავიკეთე ნიშნობის ბეჭედი თითზე და მაშინვე ვიგრძენი, როგორ დამაწვა კისერზე...

***

ცოლი გვიან მოსულ მთვრალ ქმარს ებუზღუნება:
– სად ეშმაკებში დაეთრეოდი?
– ვა... შენც დაინახე?

***

ტიპი ძაღლს ყიდის.
– სუფთა ჯიშია?
– რასაკვირველია!
– ჯანმრთელი?
– ჯანმრთელი!
– ჭკვიანი?
– ჭკვიანი!
– ერთგული?
– ერთგული, უკვე მეხუთეჯერ ვყიდი...

***

ახალი ქართველი სანადიროდ წავიდა, ისროლა ისარი და ჭაობთან, ბალახებში მჯდარ ბაყაყთან დავარდა. ეუბნება ბაყაყი:
– წამიყვანე სახლში, დამსვი ბალიშზე, მაკოცე და უმშვენიერეს ქალად ვიქცევი.
– სახლში კი წაგიყვან, ბალიშზეც დაგსვამ, მაგრამ, არ გაკოცებ.




– რატომ?
– ლამაზი ქალი უამრავია, მოლაპარაკე ბაყაყი კი მარტო შენ ხარ.

***

მიხოს ვიღაც ყოველდღე პარავს საზამთროს. იფიქრა, იფიქრა და მოიფიქრა: ბაღჩაში საფრთხობელის ნაცვლად აბრა ჩაარჭო წარწერით: „ერთ-ერთ საზამთროში დარიშხანია – თავის წამალი!“.
მივიდა მეორე დღეს და ხედავს, არც ერთი საზამთრო არ აკლია, მაგრამ, აბრაზე მიწერილია: „ახლა უკვე ორში“.

***

დაქალებმა ჩაი დალიეს. ჩაიდანში ცხელი წყალი დარჩა. შეხედეს გოგოებმა, გადაღვრა ენანებათ. ერთი ეუბნება მეორეს:
– მოდი, მაცივარში შევინახოთ, მერეც ხომ დაგვჭირდება...

***

ანესთეზიოლოგი თვითმფრინავში ზის. გამოდის სტიუარდესა და აცხადებს:
– მგზავრებს შორის არის ანესთეზიოლოგი? თუ შეიძლება, მიბრძანდით მე-12 სკამთან.
მივიდა ანესთეზიოლოგი და ხედავს, იქ ვიღაც მამაკაცი ჭიქებში ას-ას გრამს ასხამს.
– თქვენ ვინ ხართ?
– ქირურგი. ანესთეზიოლოგის გარეშე დალევა არ შემიძლია, გამიგე?!

***

ინტონაციის მიხედვით, ავტომექანიკოსის ერთი გინება 50 სხვადასხვა დეტალსა და მოწყობილობას შეიძლება აღნიშნავდეს.

***

ექთანმა აუზიდან წყლის სინჯი აიღო. იქვე მოცურავე მამაკაცი ეკითხება:
– ქლორის რაოდენობა უნდა გასინჯოთ?
– არა, სანატორიუმის დამსვენებელთა შარდის საერთო ანალიზს ვაკეთებთ.

***

ცოლი ეკითხება ქმარს:
– მართალია, რომ ამბობენ, კურდღელი ყველაზე შტერი ცხოველიაო?
– კი, ჩემო ბაჭია...

***

– მამი, მართალია, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში საქმრო არ იცნობს საცოლეს, სანამ არ დაქორწინდება?
– ეჰ, ეგ ყველა ქვეყანაში ეგრეა, შვილო...

***

ორი მეგობარი ხვდება ერთმანეთს:
– რა გჭირს, რატომ ხარ მოწყენილი, რამე მოხდა?
– გუშინ ოქროს თევზი დავიჭირე და სურვილი შემისრულა.
– რა სურვილი?
– რომ იმდენი ფული მქონოდა, რამდენიც ბილ გეითსს.
– ვა, ბიჭო, უნდა გიხაროდეს!
– გუშინ კი მიხაროდა, მაგრამ დღეს გაკოტრდა...

***

ლატაკი თევზაობს. ბადეს ოქროს თევზი ამოჰყვა:
– აბა, ლატაკო, მითხარი ერთი სურვილი.
– მომეცი იმდენი ფული, რამდენიც ჩემს სახლში დაეტევა.
– კარგი!




შევიდა სახლში ლატაკი და ხედავს, იატაკზე 500 ლარი დევს. გამოიქცა უკან:
– შენ რა, მომატყუე? 500 ლარი რატომ მომეცი?
– რა, სახლში არ დაეტია?

***

კბილების მოვლის სამი ოქროს წესი არსებობს:
1. გაიხეხეთ ხარისხიანი კბილის პასტითა და ჯაგრისით დღეში ორჯერ;
2. წელიწადში არანაკლებ ორჯერ – ვიზიტი სტომატოლოგთან;
3. არ ჩაყოთ ცხვირი სხვის საქმეში.

***

სასამართლო გაყრის საქმეს იხილავს.
– დაასახელეთ გაყრის მიზეზი: სექსუალური შეუთანხმებლობა, ხასიათით ვერ შეეწყვეთ, ცუდი დიასახლისია თუ...
– არა, თქვენო ღირსებავ, არანაირი გაუგებრობა. უბრალოდ, იცით... ჩემს ცოლს ინტიმურ ადგილებში რიჟა თმა აქვს.
– მერე რა?
– მე – არაფერი, მაგრამ, მეგობრები დამცინიან...

# როგორ დააფრთხო ლოგინში ფაჩუნმა შიმშილისგან გამგელებული ქართველი ფალავანი

ძალიან რთულია მოჭიდავის რეჟიმი. ვარჯიში – ვარჯიშად, დისციპლინა – დისციპლინად, მაგრამ, არსებობს ყველაზე „ბოროტი" ცნება – წონის შენარჩუნება. არადა, თუ მოჭიდავე ჯეროვნად არ იკვებება – ღონე არ აქვს, იკვებები და – წონაში იმატებ. მოკლედ, დილემაა, რა... მოგეხსენებათ, თუ შეჯიბრებაზე თუნდაც 100 გრამით მეტი ხარ შენს წონით კატეგორიაზე, მოგხსნიან და უყარე მერე კაკალი...

1971 წელია. კიევში ვართ შეკრებაზე. სასტუმროს ერთ ნომერში ვცხოვრობდით მე, გივი ონაშვილი და „ეშმაკის ფეხის მკვნეტელი", ბუმბერაზი მოჭიდავე შოთა ჩოჩიშვილი. ჩემ გარდა თითქმის ყველა თავის წონაშია, მე კი 4-5 კილოგრამით მეტი ვარ ჩემს ნორმაზე. დავჯექი „უჭმელობით დიეტაზე." მშიერი კაცი მგელზე უარესი და ბრაზიანია. თავისი ჭკუით, მიადვილებენ და ათასნაირ ვითომ ხუმრობებს იგონებენ ჩემი გუნდის წევრები. ხან რა „შტუკას" მიწყობენ, ხან – რას. ერთ საღამოს ცოტა გვიან მივედი ნომერში. შოთა-გივის უკვე „დაუძინიათ". მახსოვს, რომ გასვლისას (დილით), ვჩქარობდი და ჩემი ლოგინი აშლილი დავტოვე. რომ შემოვედი – გაწყობილ-გაწკრიალებულია, მაგრამ, ყურადღება არ მივაქციე. არ მინდა, ბიჭები გავაღვიძო, მალულად ჩავაქრე შუქი და შევგორდი ლოგინში.

დავხუჭე თვალები და ჩემს თავს მამაპაპური ძილის „ზაკაზი" მივეცი. მალე წავედი ბურანში და... ზეწრის ქვეშ რაღაც აფუთფუთდა, ამოძრავდა... ალბათ, მომეჩვენა-მეთქი და ოდნავ შევსწორდი ლოგინში. ცოტაც და – ისევ აფუთფუთდა რაღაც... „ვაა, ნუთუ თაგვია?" – ვფიქრობ, მაგრამ, რომელი თაგვი გაუძლებდა ჩემი ტანის სიმძიმეს...




მოვლენებს წინ ნუ გადაუსწრებთ და ნუ იფიქრებთ, რომ რაღაც რეპტილია შემისვეს ლოგინში.

ცოტა ხანში, ისევ რომ აფუთფუთდა ჩემი ზეწარი, მაშინ კი წამოვვარდი და ავანთე შუქი. ზეწარზე არაფერია. არც საბანზე ჩანს რაიმე საეჭვო. „ოოხ, მე შენიო, – რომ უნდა ვთქვა, „მძინარე" შოთა ყვირის:

– სტოპ! არ შეიგინო, კაცო! – და გივი-შოთამ ისეთი ხარხარი ატეხეს, მთელ შენობას გაელვიძა.

...თურმე, კაპრონის ძაფები „შეუმონტაჟებიათ" ჩემი ზეწრის ქვეშ და მეორე ბოლოები თითებზე მოუბამთ. ეწევიან და ეწევიან ჩუმჩუმად თავიანთი ლოგინებიდან. იცოცხლე, გვარიანად შემომელანძღა ორივე იმ ღამეს, მაგრამ „შემაბეს" – არ გაგვთქვა და მეზობელ ნომერშიც ჩავუტაროთ ბიჭებს ასეთი რამეო. მეორე დღეს მართლაც გაფართოებული მასშტაბით ჩატარდა ჩემზე უკვე აპრობირებული „ლონისძიება". მეზობელ ნომერში გაელვიძათ „ძაფნაფხაჭუნებ" ფალავნებს შუაღამეზე, ოღონდ, ერთი განსხვავებით – ძაფის „დამონტაჟების" დროს ამათ პატარა ტექნიკური შეცდომა მოუვიდათ და კვალმა „დაზარალებულები" მალე მოიყვანა ჩვენს ნომერში, კინაღამ სერიოზულად იჩხუბეს, მაგრამ მოსაგონებლად ახლაც ღირს.

P.S. ამის შემდეგ კიდევ ბევრი „შუტკა" ჩამიტარეს ისედაც მშიერ და აღრენილ კაცს. ვითმინე, ვითმინე, ერთხელაც, ველარ მოვითმინე და გვარიანად შემომელანძღა ორივე.

– რა იყო, ჯო, – მეუბნება გივი – მასხრობა არ იცი, კაცო, შენა?

– რა მასხრობა! ვიღრინები და რა ვიღრინები, – კაცი წონის დასაკლებად ვშიმშილობ, ძილში პურისა და ყველის მეტი არაფერი მესიზმრება და, თქვენ კიდევ...

მოვდივარ საღამოს ჩემს ნომერში. კარი უნდა გავაღო, მაგრამ, სიბნელეში კარზე რაღაც თეთრი ლაქა დავლანდე. ამოვიღე ჯიბის სანათი, მივანათე – ვაა, ფურცელია... ნეტავ რა უნდა იყოს? მივედი უფრო ახლოს და ვკითხულობ: „ოსტოროჟნო, ვ კომნატე ზლაია სობაკა" (ფრთხილად, ოთახში ავი ძაღლიაო!), ჰმ! მეე კაცო?!! აბა, მაშინ გენახაა, სუ ერთმანეთს ეფარებოდნენ – ესა, ესაო, მე არა, – კაცოოო!

**ვეტერანი ძიუდოისტი გურამ გოგოლაურის ნაამბობის მიხედვით მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# რატომ ითვლება გოიმობად სოფელში დასვენება ჩინელი ბიჭის აზრით

გამარჯობა დედა, როგორ ხარ? ძალიან მენატრებით ყველა. მე არა მიშავს, უბრალოდ, ძალიან გადავიღალე და დასასვენებლად გადავწყვიტე წასვლა. გართობაზე ადრეც მოგწერე, დასვენება კი ნამდვილად ხარისხიანად შეიძლება აქ, ულამაზესი ბუნება აქვს საქართველოს, თან, ძალიან მცირე მანძილითაა ერთმანეთისაგან დაშორებული ზღვის პლაჟი და თხილამურებით სასრიალო თოვლიანი მთები.

საქართველოში თუ ზღვაზე დასვენებას გადაწყვეტ, ძალიან ბევრი ფული უნდა მოიმარაგო, რომ ადამიანურად დაისვენო, რადგან, შავი ზღვის სანაპიროზე, ქალაქ ბათუმში, ძალიან ძვირი ღირს ყველაფერი. თბილისში ჩვენს ბინაში 12 ვცხოვრობთ და თვეში 150 ლარს ვიხდით, ბათუმში კი 150 ლარად 12 ადამიანი ერთ ღამესაც ვერ გაათევს ჩვეულებრივ ოთახში. თბილისში ერთი სადილი საშუალოდ 20 ლარი გვიჯდება ხოლმე ყველას ერთად, ბათუმში კი ამ ფულით ერთი კაციც ვერ ისადილებს ხეირიანად. სასმელებს ისეთი ფასი აქვს, როგორც თბილისის ღამის კლუბებში. მოკლედ, ქართველებმა თუ შეგატყვეს, რომ დასვენებას ან გართობას აპირებ, იმწამსვე გაგიძვირებენ ყველაფერს, თუ უცხოელი ხარ ხო, საერთოდ, ათჯერ მეტ ფასს გეუბნებიან.

პრინციპში, ადამიანსაც გააჩნია, თორემ, შარშან კობა 4 ლარით წავიდა ზღვაზე დასასვენებლად და 20 ლარით ჩამოვიდა.

ბათუმში დასასვენებლად ჩასული ქართველების დიდი ნაწილი ოჯახებში მიდის და გარკვეულ საფასურად ჩვეულებრივ, საკუთარ სახლებში ბინავდებიან, მხოლოდ ძალიან პატარა ნაწილი ცხოვრობს სასტუმროებში, რომლებიც ძალიან ძვირი ღირს.




მაგალითად, ბათუმის სასტუმროში ერთი ღამის გათენება რომ შევძლო, თბილისში სამი თვე უნდა ვიმუშაო. საშუალო შეძლების ქართველები თურქეთში მიდიან, იმიტომ, რომ იქ გაცილებით იაფი ჯდება დასვენება, თანაც, ბევრად უკეთეს პირობებში.

სამთო კურორტები საქართველოში სულ ორია – გუდაური და ბაკურიანი. აქაც ზუსტად იგივე მდგომარეობაა, დედა – ძალიან ძვირი ღირს ყველაფერი. ამის გამო, ბევრია ისეთი ქართველი, რომელიც არც ზღვაზეა დასასვენებლად ნამყოფი და არც სამთო კურორტებზე.

დედა, მე უკვე გადავწყვიტე, როგორც დავისვენებ – მოვიქცევი ისე, როგორც ქართველების უმრავლესობა იქცევა: ჯერ კობას სოფელში წავალ ორი კვირით, მერე სამი დღით – ზღვაზე, მზეზე დავიწვები, ჩამოვალ და ვიტრაბახებ, ზღვაზე მაგრად დავისვენე-მეთქი. ადრე, თურმე, ყველა თავის სოფელში ისვენებდა და დროსაც კარგად ატარებდნენ. ახლა კი გოიმობად ითვლება სოფელში დასვენება და ამის გამო, ბევრი მთელი ზაფხული არც კი გადის თბილისიდან.

დასვენების შთაბეჭდილებებს უფრო კარგად მოგწერ, როცა თბილისში დავბრუნდები, ჯერჯერობით კი სულ ეს არის. მომიკითხე ყველა

**გკოცნით**
**თქვენი ტობი ვონგი**



**როგორ გახდა პარიზში „დიორის სახლთან“ მეორედ თანამშრომლობა ქრისტინე ძიძიგურის სავიზიტო ბარათი და სად გაატარა მან საღამო ბობ სინკლერთან ერთად**

გვ. 70



გვ. 18

**რატომ წამოვიდა ნინო გაჩეჩილაძე სერიალიდან დროულად და რა ასწავლა თაკო გაჩეჩილაძეს პირველმა ქორწინებამ**

**რაში აიყოლია ოჯახის წევრები ნუკა გვალიამ და როგორ აპირებს ის მსოფლიოში ცნობილი ადამიანის სტატუსის მოპოვებას**



გვ. 22


საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi

ყოველკვირეული ჟურნალი • გამოდის ორშაბათობით • №18 (644) • 29 აპრილი – 5 მაისი • ფასი 1,50 ლარი